ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიმღერები

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1949

ავტორისაგან

ეს ნაშრომი ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. იგი უფრო ფართო მოცულობით იყო დამუშავებული. ტექნიკური მიზეზების გამო ნაშრომიდან ამოვიღეთ ორი თავი (საისტორიო ნაწარმოებთა შექმნის დრო და გავრცელების არე); ზოგი თავი კი— შევამოკლეთ. ამავე მიზეზით წიგნს ვერ ვურთავთ სისტემატიზირებულ კრებულს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისას, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა. საგულისხმიერო შენიშვნებისათვის გულითად მადლობას ვუძღვნი აკად. კორნელი კეკელიძეს, აკად. აკაკი შანიძეს, აკად. ნიკო ბერძენიშვილს და პროფ. ალექსანდრე ბარამიძეს.

შესავალი

ქართული ხალხური სიტყვიერება მდიდარია თემატიკურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებებით, რომელთა რეალური საფუძველი კონკრეტული ისტორიული მოვლენა ან ისტორიული პირის მოქმედებაა. ეს ნაწარმოებნი იწრდებიან საისტორიოდ და წარმოადგენენ ხალხური სიტყვიერების სპეციფიკურ განყოფილებას. ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი კვლევის ობიექტად აღებულ საგმირო ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთაც ჩვენ საგმირო-საისტორიოს ვუწოდებთ.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძველი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, მისი გმირული წარსულით, პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარებით არის განსაზღვრული. ამით აიხსნება მისი ძირითადად საგმირო ხასიათი. სამშობლოს მდიდარი წარსული და აწმყო ქართველ ხალხს თავისი შემოქმედების, პოეტური შემეცნების საგნად გაუხდია. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი იქმნებოდნენ იმ ბრძოლების საფუძველზე, რომელთაც თავისი დამოუკიდებლობისა და კულტურის დასაცავად საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა ქართველი ხალხი უცხო დამპყრობლებისა თუ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ასეთ ბრძოლებში განვითარდა და განმტკიცდა საუკეთესო თვისებები ჩვენი ხალხისა, რაც შესანიშნავად არის ასახული ხალხურ სიტყვიერებაში.

ხალხურ სიტყვიერებას, როგორც საისტორიო მასალას, იყენებდნენ კ. მარქსი[1] და ფრ. ენგელსი[2]. სიტყვიერი ხელოვნების ამ სფეროს მისი ისტორიული ღირებულების გამო მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა: „Ведь на этом материале можно было

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი. თბ., სახელგამი, 1946, გვ. 10.

[2] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1938, გვ. 28, 60, 70—71, 78—79, 139, 165.

бы написать прекрасное исследование о чаяниях и ожиданиях народных... Это—доподлинное народное творчество, такое нужное и важное для изучения народной психологии в наши дни" [1].

ხალხური სიტყვიერების დიდი მნიშვნელობა პოლიტიკურ მოღვაწეთა დასახასიათებლად, ეროვნული წარსულის შესასწავლად და ხალხის სოფლმხედველობის გასათვალისწინებლად შესანიშნავად განსაზღვრა საბჭოთა ფოლკლორისტიკის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ: „От глубокой древности фольклор неотступно и своеобразно сопутствует истории. У него свое мнение о деятельности Людовика XI, Ивана Грозного, и это мнение резко отлично с оценками истории, написанной специалистами, которые не очень интересовались вопросом о том, что именно вносила в жизнь трудового народа борьба монархов с феодалами" [2]. ოფიციალური ისტორიის ასეთი ცალმხრივობის გამო ილია ჭავჭავაძემ გულისტკივილით აღნიშნა: „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ძნელია და შეუმუშავებელი, ჩვენი ერის ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც ეტად საეჭვოა. ჩვენ გამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი ქართლის ცხოვრება ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმარა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითოს მეფეთა მოქმედებაც ხაჩვენებია სხვაგარეთ საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა" [3]. ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება-შესწავლის პირველი ინიციატორები, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ მათ დიდ ისტორიულ ღირებულებას. „იმათი (ე. ი. ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, ქ. ს.) დავიწყება წარსულზე ხელის აღებაო",—განაცხადა აკაკი წერეთელმა

[1] Вл. Бонч-Бруевич, Ленин о поэзии, Набросок из воспоминаний, „На литературном посту", 1931, № 4, стр. 4.

[2] М. Горький, О литературе, Изд. 3-е, 1937 г., стр. 456.

[3] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1927 წ., გვ. 201.

პოეტ. ალ. აბაშელის ლიტერატურულ საღამოზე [1]. ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებას მაღალი შეფასება მისცა ვაჟა-ფშაველამ [2]. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები ავსებენ იმ ხარვეზს, რაზედაც მიუთითა ი. ჯავახიშვილმა. ქართველი ხალხის ისტორიის პირუთვნელად წესწაელისას ისინი სათანადო ანგარიშს უწევენ ფოლკლორულ მასალებსაც. ამის საუკეთესო ნიმუშია ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის საქართველოს ისტორია. მასში V—VI საუკუნეების ქართლის ეითარების, ბაბტრიონის ბრძოლის, ერეკლე მეორის მღელვარე ეპოქისა და სხვათა დასახასიათებლად მოხდენილადაა გამოყენებული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები [3].

ზეპირსიტყვიერების დიდი ისტორიული ღირებულებით აიხსნება თამარ მეფის ციკლის ჰანური გადმოცემის გამოყენება თურქების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწა-წყლის გამო დაწერილ არნ. ჩიქობავას საინტერესო წერილში: „Несколько замечаний о лазах“ [4].

ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებს შემოუნახავს სახელები მთელი რიგი სახალხო გმირებისა, რომელთა შესახებ მატიანეებსა და ისტორიაში არაფერი იყო ნათქვამი. ხალხურმა შემოქმედებამ დაიცვა სახელები ბატრიონის აღების მონაწილე გმირების, შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლების — შიოსი, ხოდაშანასი და სხვებისა. ქსნისა და არაგვის საერისთაოს ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ზურაბ ერისთავის შესახებ არსებულ მდიდარ ფოლკლორულ მასალას. ბატონყმობის ისტორიის შკვლევარისათვის ძვირფასი მასალაა იმავე ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებნი, არსენას ლექსი, ლექსები და გადმოცემები მაია წყნეთელზე, თინა წავკისელსა და თამრო ვაშლოვანელზე და მრავალი სხვა.

ლექსებში, გადმოცემებში, თქმულებებსა და ლეგენდებში ისტორია თავისებურადაა წარმოდგენილი. ისტორიული ფაქტი მათში ხშირად პირველი საფუძველია. ფოლკლორი შეუხედავად მისი ის-

---

[1] აკ. წერეთელი, ხალხური ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა „თეში“, 1913 წ., № 118.

[2] ვაჟა-ფშაველა, ორი აბაკი მტკვრის ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია“, 1902 წ., № 195.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, საქ. სსრ ცამომკ. მ-რე გამოცემა, თბილისი, 1946 წ., გვ. 110, 309, 350, 382 და სხვ.

[4] „Заря Востока“, 1945 г., № 250 (6616).

ტორიული ღირებულებისა ისტორია არ არის. ვს. მილერის კვლევის მეთოდი მოძველებული და მცდარია. თავის დროზე ისტორიული სკოლის შეცდომათა შორის აღინიშნა მხატვრული ნაწარმოებისა და ისტორიული დოკუმენტების გაიგივება. ყოველივე ამის გათვალისწინებისას არც მეორე უკიდურესობა—ხალხური სიტყვიერების ისტორიული ღირებულების უგულებელყოფაა დასაშვები. სგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ბუნების გასარკვევად სხვადასხვა საკითხის განხილვისას საჭიროა სათანადო ადგილი დაეთმოს ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაციას, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე. ხალხური ნაწარმოები ამ თვალსაზრისით მკაცრ ისტორიულ კრიტიკას მოითხოვს. იგი პირველ რიგში მხატვრული შემოქმედებაა ზეპირსიტყვიერების ყველა თავისებურებით—კონტამინაცია-ციკლიზაციით, ანაქრონიზმებით, ტრადიციული მოტივების ეპიური დამუშავებით და ტექსტის პოეტური ევოლუციით.

ხალხურ ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაცია აუცილებელია მისი იდეური მხარის გასათვალისწინებლად. სინამდვილის ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა მოხდეს აგრეთვე შემოქმედებითი პროცესის დადგენა;—კერძოდ, საგმირო ლირო-ეპიკისა და ეპოსის წარმოშობისა და განვითარების გზების გათვალისწინება. ამ მიზნის მისაღწევად ხალხური სიტყვიერების ჟანრებისა და განყოფილებებიდან საისტორიო განყოფილება მისი რეალური საფუძვლის გამო ყველაზე ხელსახებ მასალებს იძლევა.

ხალხური სიტყვიერების საისტორიო განყოფილება წარმოდგენილია ლექსებით, გადმოცემებით, თქმულებებით და ლეგენდებით. მეცნიერული ტერმინების გამოყენება ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა მიმართ საჭიროებს დაზუსტებას—ჟანრობრივ თავისებურებათა მიხედვით. ისტორიული ლექსით აღინიშნება ლირიკულ-ეპიური ან ეპიური ყველა ლექსი, რომელიც უკავშირდება ისტორიულ პირსა თუ მოვლენას. რაც შეეხება ტერმინებს—გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა—მათ შეიძლება ერთგვარი კვალიფიკაცია მიეცეს. ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ტერმინის „გადმოცემა“ გამოყენება იმ მნიშვნელობით, რომლითაც მას იყენებდა ალ. ვესელოვსკი (предание). იგი предание-ს ხმარობს Sage-ს პარალელურად და ხშირად იმით ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოებსაც აღნიშნავს. გადმოცემა მარტივი ისტორიული ან ფსევდოისტორიული მოთხრობაა. ეს ისეთი ნაწარმოებია, რომელსაც არ განუცდია საგრძნობი პოეტური ევოლუცია და ისტორიული ან

ფსევდო-ისტორიული ფაქტის უბრალო აღწერას წარმოადგენს. ტერმინით თქმულება შეიძლება აღინიშნოს როგორც პროზაული ნაწარმოები, ისე ლექსიც. თქმულება უფრო მხატვრულია, ვიდრე გადმოცემა. თუ უკანასკნელში ისტორია სჭარბობს პოეზიას, თქმულებაში მათი როლები ან თანაბარია, ან კიდევ ერთიმეორეს ენაცვლება. თქმულება Sage-ს შესატყვისია.

ტერმინ ლეგენდას წარმოშობას საკუთარი ისტორია აქვს. იგი გამოყენებული იყო საეკლესიო-რელიგიური და დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის მოთხრობების მიმართ. დამახასიათებელია ამ მხრივ Eicken-ის განმარტება: „Die Legendenliteratur war die heroische Epik der Kirche“ [1]. ამჟამად ტერმინ ლეგენდას ფართო გამოყენება აქვს მითიური ელემენტების შემცველ საისტორიო ნაწარმოებთა მიმართ.

დასახელებულ მეცნიერულ ტერმინებს ქართული მასალების მიმართ ჩვენ აღნიშნულ თავისებურებათა მიხედვით ვიყენებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური სიტყვიერების საისტორიო განყოფილება გაერთიანებულია თემატიკური და არა ჟანრობრივი თვალსაზრისით. ხალხიც ამ თვალსაზრისით ასხვავებს თავისი შეშოქმედების ამ სპეციფიკურ უბანს სხვა ჟანრებისა და განყოფილებებისაგან.

საქართველოს ბარში საისტორიო ხასიათის პოეზიის ნიმუშს აღნიშნავენ ტერმინით ლექსი. ხშირად ურთავენ იმ ისტორიული მოვლენის ან პიროვნების სახელწოდებას, რასაც უკავშირებენ მას. მაგალითად, „თამარ მეფის ლექსი“, „არსენას ლექსი“, „მუხუზლას ლექსი“ და სხვა. პროზაული ჟანრის საისტორიო ნაწარმოებებს (გადმოცემებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანეგდოტებს) ზღაპრისაგან განსხვავებით ამბავს, ძველ ამბავს ან ძველებურ ამბავს უწოდებენ. ამით ხაზს უსვამენ მათ სინამდვილესთან—ისტორიულ მოვლენასა ან პიროვნებასთან კავშირს.

საქართველოს მთაში, კერძოდ ხევსურეთში, ლექსს, ისტორიულ პირებსა და მოვლენებზე მათი საგმირო ხასიათის გამო, სიმღერე ეწოდება. პროზაული ჟანრის საისტორიონაწარმოებებს ხევსურეთსა და ფშავში გარკვევით ასხვავებენ ზღაპრისაგან—მათი ტერმინო-

[1] H. Eicken, Geschichte und System der Mittelalterlichen Weltanschauung. Stutthart, 1887, S. 681.

ლოგიით ამბავასაგან და უწოდებენ ანდრეზს[1]. ხევსური მთქმელი ანდრეზს უწოდებს, როგორც მარტივ საგვარეულო ამბავს, ისე შედარებით ვრცელ თქმულებასა და ლეგენდას გამოჩენილ ისტორიულ პირსა, თუ ცნობილ ისტორიულ მოვლენაზე. მათი განმარტებით „ამბავი ტიყუილი ას, ანდრეზ მართალი". რაც არ უნდა ფანტასტიკური იყოს „ანდრეზი", ხევსური მას სინამდვილის დიდი პრეტენზიით გადმოსცემს. ხევსურეთსა და ფშავში იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ ტერმინს ამბავი. ეს ამბავი (ზღაპარი) კი არ არის, არამედ იგივე ანდრეზი. ამბავის გამოყენება იქ ხშირ შემთხვევაში წიგნის ან ბარის გავლენით აიხსნება, ზოგჯერ კი ეს ტერმინი ნაწარმოების ხნოვანობის აღმნიშვნელიცაა. იქაური მთქმელების განმარტებით „ამბავი რომ დაძველდების, ანდრეზი ქნების".

სვანი მთქმელებიც ხაზგასმით ასხვავებენ საისტორიო ნაწარმოებებს ზღაპრებისაგან. ზღაპარი მათი ტერმინოლოგიით ციგინ არის, მაშინ როდესაც გადმოცემა, თქმულება ან ლეგენდა ჯვინელ ჰარაკ'ად ან ჯვინელ ნამბავად იწოდება[2].

როგორც ჩანს, ქართულ ხალხურ ტერმინოლოგიაში აღნიშნულია ფოლკლორის ამ მდიდარი და მრავალფეროვანი განყოფილების სპეციფიკა—მისი ისტორიული საფუძველი და კოლორიტულობა.

ქართული ხალხური სიტყვიერების ამ სპეციფიკური განყოფილების შესწავლისას პირველ რიგში ისმება კლასიფიკაციის საკითხი. შესაძლებელია ჟანრობრივი კლასიფიკაცია: ლექსები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, ანეგდოტები. ასეთი კლასიფიკაციის შემთხვევაში საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ხალხური სიტყვიერების ეს განყოფილება თემატიკური თვალსაზრისითაა გაერთიანებული. ამ განყოფილების თემატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური შემოქმედების განვითარების კანონების გასათვალისწინებლად. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე თემაზე შექმნილია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. ნაწარმოებთა პოეტური ევოლუციის გასათვალისწინებლად აუცილებელია მათში ასახული ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაცია. ჟანრობრივი კლასიფიკაციის შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებდით განმეორებებს, რაც ნაშრომს

[1] დამოწმებულია ჩვენ მიერ ხევსურეთში სამეცნიერო მივლინების დროს 1944 და 1946 წლებში.

[2] დამოწმებულია ჩვენ მიერ ზემო სვანეთში სამეცნიერო მივლინების დროს 1945 წელს.

დაუკარგავდა კომპოზიციურ მთლიანობას. ამის გამო ჩვენ ციკლობრივი კლასიფიკაცია ავირჩიეთ.

ციკლში გაერთიანებულია ნაწარმოებთა გარკვეული წრე თემატიკური, ქრონოლოგიური, კულტურული და გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით. ქართულ სინამდვილეში ამ თვალსაზრისით გამოსავალ პუნქტად არის როგორც ისტორიული მოვლენა ან ფაქტი, ისე პიროვნება. ესენია ნაწარმოებთა პირველი წყაროები, რომელთა გათვალისწინების საფუძველზე აშკარავდება ხალხური შემოქმედების ბევრი თავისებურება, მისი განვითარების კანონები და გზები.

ჩვენ ძირითადად საგმირო ხასიათის ნაწარმოებებს ვეხებით. ამის გამო, რიგი საისტორიო ნაწარმოები კვლევის გარეშე რჩება. მთლიანად ვერც საგმირო ხასიათის ყველა ნაწარმოების გათვალისწინება მოხერხდა, განსაკუთრებით ისეთებისა, რომელნიც ციკლიზაციას არ ექვემდებარებიან. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მათ მნიშვნელობა არ ჰქონდეთ ხალხური სიტყვიერების პრობლემების გასარკვევად. მასალათა არაჩვეულებრივი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამო შემოვიფარგლეთ რამდენიმე დამახასიათებელი ციკლით და საჭირო შემთხვევებში გამოვიყენეთ სხვა დამხმარე მასალებიც.

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებლად არ მივიჩნიეთ აგრეთვე ისტორიული ხასიათის მცირე ჟანრის ნაწარმოებებს (ანდაზებს, გამოცანებს) შევხებოდით.

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესწავლისას ამოვდივართ იმ მასალებიდან, რომელთა რეალური საფუძველი ერცელ ისტორიულ მანძილს მოიცავს— V საუკუნიდან XIX საუკუნემდის, — საქართველოში ახალი ხანის დაწყებამდის. საქართველოს ისტორიის მიხედვით ისინი იყოფა შემდეგ ციკლებად: ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელის, ბახტრიონის, შაჰ-აბასის, ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორისა.

ასეთი ციკლიზაციაც, ცხადია, პირობითია, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ნაწარმოების ცენტრში არ არის დადგენილი ის ისტორიული მოვლენა ან პიროვნება, რომლის სახელსაც ციკლს ვაძლევთ. ეს ითქმის განსაკუთრებით ბახტრიონის, შაჰ-აბასის, ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლებზე. ამ ციკლების ბევრი ნაწარმოების ძირითადი საგანი

არის დადგენილი ისტორიული მოვლენის ან პირის თანამედროვე რომელიმე სახალხო გმირი. ხშირ შემთხვევაში მათ შესახებ საკმარისი რაოდენობითაა შექმნილი ნაწარმოებები და ისინი გარკვეულ ციკლებს შიგნით ერთგვარ ქვეციკლებს წარმოადგენენ. ასეთებია, მაგალითად, ლექსები ზეზვა გაფრინდაულზე—ბახტრიონის ციკლიდან; თქმულებები მამუკა ქალუნდაურზე—ზურაბ ერისთავის ციკლიდან; ლექსები და გადმოცემები მაია წყნეთელზე, თამრო ეაშლოვანელზე და თინა წავკისელზე—ერეკლე მეორის ციკლიდან და მრავალი სხვა. ჩვენ მიერ მიღებული კლასიფიკაციის საფუძველზე სავალდებულოდ არ მივიჩნიეთ მათი ცალკე გამოყოფა, რადგანაც თემატიკური და ქრონოლოგიური თვალსაზრისით ისინი მთლიანობაში არიან გარკვეულ ციკლებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთობის შესახებ არსებული მრავალი ნაწარმოები პირობით თამარის ციკლში შევიტანეთ. თქმულებები შოთა რუსთაველის შესახებ ცალკე ციკლს ჰქმნიან საისტორიო განყოფილებაში. მათ მთლიანად არ ვეხებით, რადგანაც ისინი არ არიან საგმირო ხასიათისა. მართალია, ყველა განხილული თქმულება თამარ მეფის ციკლისა არ არის საგმირო ნაწარმოები, მაგრამ რაკი ეს ციკლი ძირითადად საგმირო ხასიათისაა, თემატიკის სრულად წარმოდგენისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათაც შეეხებოდით.

კვლევის ობიექტად აღებული მასალების დიდი ნაწილი ამოკრებილია არქივებში დაცული კოლექციებიდან, ხალხური სიტყვიერების კრებულებიდან და პერიოდული გამოცემებიდან; ნაწილი უშუალოდ ჩვენ ან ჩვენი კოლეგების მიერაა მოპოვებული; შედარებით მცირე ნაწილი დაცულია ძველ წერილობითს ძეგლებში. ზეპირსიტყვიერების არაჩვეულებრივი სიცოცხლისუნარიანობის მიუხედავად, ცხადია, ბევრი მასალა დაიკარგა შეუკრებლობით. ამას ცხადყოფენ ძველი ცნობები ისეთ ნაწარმოებებზე, რომელთა უშუალო ჩანაწერები არ მოგვეპოვება. შემკრებლობითი მუშაობის გვიან დაწყება არის აგრეთვე იმის მიზეზი, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ ებრძოდნენ ერთიმეორეს ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა შეხედულებანი. არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ ხალხურ შემოქმედებაში ყოველთვის იმარჯვებდნენ და იმარჯვებენ პროგრესული იდეები. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბევრი მასალა ჯერ კიდევ შესაკრებია

და მოსალოდნელია მიგნება ან ჩაწერა არა მხოლოდ ცნობილი სიუჟეტების ახალი ვარიანტებისა, არამედ უცნობი სიუჟეტებისაც. გამორიცხული არ არის ისიც, რომ სრული ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო ჩვენ არა გვაქვს მიგნებული ამა თუ იმ კუთხეში ჩაწერილი ყველა მასალა. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ცუდი მდგომარეობა მაინც არა გვაქვს და შეგროვილი მასალების საფუძველზე საკმარისად ეფინება შუქი ქართული ხალხური სიტყვიერების ერთი სპეციფიკური განყოფილების საკითხებს.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების შემდეგი საკითხები:

1. სოციალური ფუნქცია და შესრულების წესები;

2. განვითარების გზები [ა) ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი ადგილობრივი წარმოშობის ნაწარმოებნი და მათი თემატიკა, ბ) ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავება];

3. პოეტური თავისებურებანი;

4. მთქმელები.

ამ საკითხების შესწავლას მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ფოლკლორის ერთი სპეციფიკური განყოფილების რაობის გასარკვევად, ისე საერთოდ საგმირო ეპოსის განვითარების გასათვალისწინებლად. დასმული საკითხების მიხედვით ქართული მასალების ანალიზს აგრეთვე თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოდ ფოლკლორისტიკაში ხალხური შემოქმედების განვითარების საერთო კანონების დასადგენად.

აღნიშნულ საკითხებს წინ უძღვის წერილობით ძეგლებში დაცული ცნობები საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ და ისტორიოგრაფია. ამ შემთხვევაშიაც საგნის სიფართოვის გამო ძირითადად ვისაზღვრებით კვლევის ობიექტად აღებული ციკლებით..

ძველ წერილობითს ძეგლებში დაცული ცნობები ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ

ძველ წერილობითს ძეგლებში დაცულია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები ან ცნობები მათ შესახებ, რაც მაჩვენებელია ქართული ფოლკლორის ამ განყოფილებისადმი ადრევე არსებული დიდი ლიტერატურულ-ისტორიული ინტერესისა.

რომ არაფერი ვთქვათ ისეთ მასალებზე, როგორიცაა ძველი ქართული საისტორიო გადმოცემა ქართველთა მეფის შვილის აზოსა და სხვების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო „ქართლის ცხოვრების“ გარკვეულ ნაწილს, ხალხური სიტყვიერებისადმი დიდი ისტორიული ინტერესის მაჩვენებელია ძველ წერილობით ძეგლებში შემონახული ჩვენი საკვლევი ციკლების ნაწარმოებები ან ცნობები მათ შესახებ.

ძველი ცნობები ქართულ ფოლკლორზე არ არის სისტემაში მოყვანილი. ხშირ შემთხვევაში არც ასეთი ცნობების ზეპირი ხასიათი ან ნაწარმოების ადრესატის ვინაობა და თარიღია გარკვეული. ამიტომ ზოგჯერ ვჩერდებით ასეთ საკითხებზედაც, რითაც არ გეშორდებით ჩვენი კვლევის პირდაპირ მიზანს.

ზეპირსიტყვიერებისადმი ისტორიული ინტერესით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის აღწერა ატარებს ხალხური ეპოსის კვალს[1]. ეს ძეგლი XI საუკუნეზე გვიანი არ არის[2].

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ჯაბუკ ვახტანგ გორგასლის

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. I, გვ. 131—132; მისივე, ქართველი ერის ისტორია, ნ. I, 1928 წ., გვ. 262 ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, მეორე გამოცემა გვ. 218.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ 117—211; ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი, „ჩვენი მეცნიერება“, № 4—5, გვ. 19.

ოსების წინააღმდეგ გალაშქრებაზე, ოსთა გვირების თარხანისა და ბაყათარის დამარცხებასა და ტყვე ქართველების (მათ შორის ვახტანგის დის მირანდუხტის) განთავისუფლებაზე ღრმა აზრის შემცველი ისტორიული ზღაპარია[1]. ჩვენ წერილობით ძეგლებშიც დაცული[2] „ქართლის ცხოვრების“ ასეთი ცნობა ბოლო დრომდე ცოცხალია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სახით[3].

ხალხურ საგმირო-საისტორიო სიტყვიერებისადმი ადრევე არსებული ინტერესის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთგვარი ისტორიული საფუძვლის მქონე ცნობა ვახტანგ გორგასლის მუხანათური სიკვდილზე. იგი დაცულია არსენ ბერის მიერ გადმოტაფრასებულ წმინდა ნინოს ცხოვრების დანართში „უწყებაჲ თუ მეფე მირიან ანუ სხუანი ნეფენი ქართველნი რომლის ტომისანი იყუნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ეართ“[4]. ამ დანართში ვახტანგ გორგასლის სიკვდილზე ნათქვამია: „მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისა ვისგანმე ზაკუითა“. ამ ცნობის შემცველი ლიტერატურული ძეგლი კორნელი კეკელიძის გამოკვლევით ეკუთვნის XII საუკუნის პირველ ნახევარს[5].

არსებობს მოყვანილი ცნობის უფრო ვრცელი ვარიანტი: „მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ჭუეშე; და აღიპყრა რა

---

[1] В. Б. Пфаф, Материалы для истории осетин, Сборник „Сведения о Кавк. горцах“, т. V, 1871, გვ. 4 და 62.

[2] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941. გვ. 72; თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 50.

[3] გავრცელებული სიმღერა „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“; როგორ შეიქმნა სახელწოდება მეტეხი („მოგზაური“, 1902, № 9—10); ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასლანზე („დროება“, 1885, № 25). პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, ფ. გოგიჩაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქ., 1937 წ., გვ. 563; В. Б. Пфаф, Материалы для ист. осетин, стр. 60 и др.

[4] გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10, ტფილ., 1902 წ., გვ. 46—51.

[5] იქვე, გვ. 48.

[6] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, გამოცემა პირველი, გვ. 320; მისივე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფ. უნ-ტის მოამბე, X, გვ. 325—326.

ჯრმალი თჯსი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე, და მით მოიკლა“ [1].

ცნობის ეს ვარიანტი თ. ჟორდანიას[2], ი ვ. ჯავახიშვილისა [3] და ს. კაკაბაძის [4] მიერ მიჩნეული იყო ისტორიულ დოკუმენტად. კ. კეკელიძის გამოკვლევით იგი არ არის ისტორიული დოკუმენტი და დაცულია არსენის მეტაფრასული შრომისაგან გადაკეთებულ რედაქციაში. ეს გადაკეთებული რედაქცია, კ. კეკელიძის აზრით, XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს [5].

ჩვენი აზრით, ამ ცნობის XII და XIII საუკუნეების ვარიანტებში დაცულია ისტორიული საფუძვლის მქონე ზეპირსიტყვიერი ეპოსის ძეგლი. ასეთი მოსაზრების საფუძველს ზოგიერთი გარემოება გვაძლევს:

ამ ცნობის შესატყვისია ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიის ზღაპრული მოთხრობა ვახტანგ გორგასლის შესახებ. იგი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს [6]. ეს ძეგლი აღნიშნული ცნობისაგან დამოუკიდებლადაც საინტერესოა ადრე ფიქსირებულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა თვალსაზრისით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე შეჩერება.

აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიაში მოთხრობა ვახტანგ გორგასალზე ზეპირგადმოცემაზეა დამყარებული [7]. ფ. გიორგიჯანიძეს, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია საქართველოს უძველეს ისტორიაზე და ვახტანგ

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 50; ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, II, გვ. 166—175.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 50.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ. 1928 წ., გვ. 269.

[4] ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი. გვ. 166—175.

[5] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გამოცემა პირველი, გვ. 320; მისივე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფ. უნ-ტის მოამბე, X, გვ. 326.

[6] ს. კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. II, თბ. 1925., გვ. 199.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1916 წ., გვ. 241—242.

გორგასალი მირიან მეფის შვილი ჰგონებია, თითონვე აღუნიშნავს მისი ისტორიის ზეპირი წყაროები: „აქა ცოტას რასმე ამბავს გაგონებულსა მირიან ჯემწიფისასა და მისი შვილის ვახტანგ გორგასლისას დავწერ, მაგრა წიგნი არ მინახავსო“ [1]. ფარსადან გიორგიჯანიძის მოთხრობით, ვახტანგმა ალაგმა და დააშინა საქართველოს მაოხარი თურქები. თურქებს შეუპყრიათ ვახტანგის მეაბჯრე და უკითხავთ მეფის უძლეველობის მიზეზი. მეაბჯრეს მტრებისთვის უცნობებია: „თავად ნამეტნავად ჯელძლიერი არისო და ფიცხელი და ჩაუქი ცხვიტი არისო და გუნება აქვს გაბედულიო. მამაცობაში მეომართაგან გაუდრეკელი არისო, ქვეითათ და გინდა ცხენს ზედ მოღალვა არ იცისო. ბერმე ჯაჭვის იმედიცა აქვსო, ამით უფრო შეჰბედავსო“. „ქართველნიც გაკვირვებულანო იმ ჯაჭვის სიმაგრესაო, მაგრა ვერა გაუგიათ რაო. გინდა ის ჯაჭვი წყალში იდვას, გინდა ტალახშიგანო სამუდამოთ ეგდოსო, არც ჟანგი მოეკიდებისო და არცა ფერს იცვლისო და არცა სუნი აქვს რკინისაო, მაგრამეო მეფის მრავალჯერ ჩაცმისაგანო ორგნით იღლიაებიო ოფლს წაუხდენიაო, მეფესაც იქიდამენ ერიდებისო“. თურქებს შეურჩევიათ გამობრძმედილი მეომრები, რომელნიც ნადირობისას თავს დასხმიან მეფეს. ბევრი მათგანი მოუკლავს მეფეს, ბევრიც გაუქცევია, მაგრამ გამარჯვებულს ზურგიდან მიპარვია მტრები. „მეფე დაუბრუნდა, შეიქნა ომი და მეფემ სამნი თურქნი მოაკვდინა, მიწევაში მეფეს იღლიას ორი ისარი ჰკრეს და ჯაჭვი გაუტეხეს, ძალსზედ დაჰკოდეს და ისრის მკრელნი თურქნი მეფის ყმებმან დახოცეს და მეფე დაჭრილი უჯარმას მიეიდა და მრავალი წამალიც უყვეს, მაგრამე ურგები იყო წამალი და ამ დაავადებით მიიცვალა“ [2].

ს. კაკაბაძე ამ ფანტასტიკური მოთხრობის წყაროდ თვლის გადამეტაფრასებული წმინდა ნინოს ცხოვრებიდან მომდინარე ცნობას [3]. ასეთ მოსაზრებას თვით ფ. გიორგიჯანიძის ზემოხსენებული განცხადება აბათილებს. ეს რომ ყოფილიყო წყარო გიორგიჯანიძისა, მაშინ მოთხრობაში გორგასლის მკვლელებად თურქები არ იქნებოდნენ გამოყვანილნი. საფიქრებელია, გიორ-

[1] ციტატი ამოღებულია ივ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 252.

[2] საისტორიო მოამბე. ნაწ. II, გვ. 200—201.

[3] იქვე. გვ. 201. ს. კაკაბაძეს ეს VIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტად მიაჩნია.

გიორგიძე იცნობდა ხალხური თქმულების ისეთ ვარიანტს, რომლითაც საბედისწერო ბრძოლა გორგასლისა სპარსელების წინაღმდეგ კი არა, სხვა ხალხის წინააღმდეგ ხდება. ჩვენთვისაც ცნობილია თქმულების ისეთი ვარიანტები, რომლითაც გორგასლის მკვლელი ოსი ან სხვა ხალხის წარმომადგენელია. მიუხედავად ამისა, გიორგიძის შრომაში დაცული მოთხრობა ამაგრებს მოსაზრებას ვახტანგ გორგასლის ღალატით სიკვდილზე XII და XIII საუკუნეების ძეგლებში დაცული ცნობის ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობის შესახებ. საფიქრებელია, რომ გიორგიძე და დასახელებული ძეგლების ავტორები თუ მეტაფრასტები იცნობდნენ ერთი და იმავე თქმულების სხვადასხვა ვარიანტებს.

მოყვანილი ცნობის ვარიანტების ხალხური შემოქმედებიდან მომდინარეობას გვაფიქრებინებს აგრეთვე არსებული გადმოცემები და თქმულებები გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს ვახტანგ გორგასლის შინაური ღალატით სიკვდილის თაობაზე [1].

ზოგადი ცნობა საისტორიო ნაწარმოებების შესახებ აღნიშნული აქვს თამარ მეფის ისტორიკოსს. ის იმოწმებს დიდებული მეფე ქალის შესახებ არსებულ „ყმათა მემროწლეთა“, „მეებნეთა გინა მეჩანგეთა“ და „მენავეთა“ სიმღერებს [2].

საისტორიო ეპოსის შესახებ უძველესი ცნობების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ლეგენდა გელათის ეკლესიის აშენებაზე. იგი შემონახულია ავშანდაძის სიგელის სახელით ცნობილ XV საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლში. ლეგენდა გადმოცემულია ბუნდოვნად. იგი მთლიანი სახითაც არ არის დაცული. მისი ცენტრალური პირის ვინაობაზე ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. მთლიანად მოგვყავს ლეგენდის ტექსტი იმ სახით, როგორც არის დაცული: „ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარის კაცი, დიდად საპასუხური მეფისა, როდესაც აღმაშენებელი გელათს აშენებდა და ეკლესიაც გარდაბოვარდა, საპას და სუთი აქიმი მოასხეს ღა ვერა უშველეს, მაშინღა სხუა

---

[1] ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასლზე („დროება“, 1865 წ., № 25); გორგასლიანის ციხე, („მოამბე“, 1852 წ., № 3); საგულისხმოა აგრეთვე ცისკლიხაციის ჭეშით ეწოდებული მეჩეთის სახელთან დაკავშირებული გადმოცემა, ჩაწ. ბრილი 1939 წ., დაცული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატ. ისტ. ინსტ. ფოლკლორის სექციის არქივში (რიგითი კატალოგის № 18322).

[2] „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოც. გვ. 336.

ერთი აქიმი მოვიდა ყუელას უკანის ბოლოსა. მან ასრე თქუა: „ავშანდაძესა უთქსო თორმეტი ფური ირმის მეწველიო. სხვა ქუეყანასა ზედან არ იშოებოდა, მოიღო ავშანდაძემან. იპირიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი“ [1]. წერილობითი საბუთი, სადაც ეს ლეგენდაა მოთხრობილი, ბროსეს, თ. ჟორდანიას [2] და ივ. ჯავახიშვილს [3] ყალბად მიაჩნიათ. საბუთის დედნის გამომცემლის ექ. თაყაიშვილისა [4] და ს. კაკაბაძის [5] მოსაზრებით იგი ნამდვილი სიგელია. ჩვენ პირველთა მოსაზრებას ვიზიარებთ, მაგრამ ამ შეხთხვევაში ეს არაა მთავარი. ჩვენთვის არსებითია საკითხი, თუ ვისზე მოგვითხრობს ლეგენდა; — ვინ არის ის აღმაშენებელი, რომელიც გელათს აშენებდა, გალავნიდან გადმოვარდა, დაშავდა და ირმის რძით განკურნეს. თ. ჟორდანიას [6], ექ. თაყაიშვილისა [7] და ს. კაკაბაძის [8] მოსაზრებით ლეგენდა დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული. ლეგენდის შინაარსი და მისი შედარება დავით აღმაშენებლის შესახებ არსებულ სხვა ლეგენდებთან დასმულ საკითხს ამ მოსაზრების სასარგებლოო ჭრის. ავშანდაძის სიგლის სახელით ცნობილი ძეგლის მოთხრობაში გაცოყვანილი პირი რომ დავით აღმაშენებელია, ეს ჩვენამდე მოღწეული სხვა ლეგენდებითაც დასტურდება.

ამ ლეგენდების მიხედვით დავით აღმაშენებელი გელათის აშენების მხოლოდ ინიციატორი და ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ მისი უშუალო მონაწილე, ოსტატიც. ერთი ლეგენდით „შეჯდებოდა ჯორზე დავითი, ერთ ქვას გელათის ტაძარს დაადებდა, მეორეს — ჰარტვილისას და მესამეს — სუჯუნისასას“. საქარელი მთქმელის გადმოცემით „გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი ეზარმაზარი ქვა [10]“ და სხვ.

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 1909, გვ. 42—43.

[2] ქრონიკები, II, გვ. 264—265.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926 წ., გვ. 172—174.

[4] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 42,

[5] საისტორიო მოამბე, II, 1924 წ., გვ. 64—65.

[6] ქრონიკები, II, 265.

[7] საქართველოს სიძვ., II, 42.

[8] საისტორიო მოამბე. II, გვ. 65.

[9] „კრებული“, 1898, № 7.

[10] „კრებული“, 1897, № 1.

აღნიშნული ძეგლის მოთხრობაში დარუბანდია მოხსენებული. ბუნდოვანი მოთხრობიდან არ ჩანს, რა კავშირი აქვს გელათის შენებასთან დარუბანდს. ზეპირსიტყვიერებაში ბოლომდე ცოცხალი ლეგენდებით გასაგებია ეს კავშირი. ამ ლეგენდებით, დავით აღმაშენებელმა სამიათასი ქართველით აიღო დარუბანდის სიმაგრე და იქიდან ჩამოტანილი რკინის კარები გელათის მონასტრის გალავანს დაჰკიდა[1].

მოთხრობით, 305 ეჭიმმა ვერ განკურნა დაშავებული აღმაშენებელი. სამასმეექვსემ სამკურნალო საშუალებად ირმის რძე დაასახელა. მანვე მიუთითა ავშანდაძეზე, რომელსაც თორმეტი მეწველი ირემი ჰყოლია. მანამდე ავშანდაძე არ ყოფილა ცნობილი მმართველ წრეებში. როდესაც ექიმმა ირმის რძეზე, როგორც სამკურნალო საშუალებაზე მიუთითა, „ქნეს მოკითხული, შეღონდეს“. ავშანდაძე დაშავებულის განკურნების შემდეგ ხდება „დიდად ნამსახური ნეფისა“.

აღნიშნულ გარემოებათა გამო საეჭვო არ უნდა იყოს ავშანდაძის სიგლის სახელით ცნობილ ძეგლში დაცული ლეგენდის დავით აღმაშენებლის სახელთან კავშირი. ლეგენდა იმდენად პოპულარული ყოფილა XV საუკუნეში, რომ შეუტანიათ ნატყუარ სიგელში, რაც მაჩვენებელია მისდამი ისტორიული ინტერესისა.

თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა ფიქსაციის თვალსაზრისით შეიძლება ინტერეს მოკლებული არ იყოს რუსული თქმულება ივერთა მეფის დინარას შესახებ. საფიქრებელია, თქმულების ავტორს ისტორიულ ცნობებს გარდა გამოყენებული ჰქონდეს ხალხური ნაწარმოებნიც. მკვლევართა მოსაზრებით იგი შექმნილი უნდა იყოს XVI საუკუნეში[2].

ზეპირსიტყვიერებისადმი ისტორიული და პოლიტიკური ინტერესის მაჩვენებელია ქართულ საისტორიო წყაროში დაცული ღრმად პატრიოტული, ბყარი ისტორიული საფუძვლის მქონე ლე-

---

[1] „კრებული“. 1897, № 1. ფოლკლორ. სექც. მას. № 18689.

[2] М. Н. Сперанский, Повесть о Динаре в русской письменности (Извест. Акад. Н. СССР, Отд. русского языка и словесности, т. XXXI გვ. 74—75); ი. ცინცაძე, რუსული თქმულების „დინარას“ საკითხისათვის, ივანალინის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის შრომები, ტ. X, გვ. 91). იასე ცინცაძეს გაანალიზებული აქვს სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებანი ამ თქმულებ ს შესახებ. მისი დასკვნით თქმულება დაწერილი უნდა იყოს იოანე მრის-ხ ე ის მეფობისას, არა უადრეს 1565 წ. (იქვე, გვ. 93).

ვენდა დავით აღმაშენებლის მიერ ქ. ანისის აღებაზე. ისტორიული ცნობით, როდესაც დავით აღმაშენებელმა ალაგმა თურქები, აღადგინა და გააძლიერა ქვეყანა, შეუდგა გარეშე ქვეყნების დაპყრობას. სხვათა შორის 1123 წ. მან თურქებისაგან შევიწროებულ ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნით აიღო სომხეთის დედაქალაქი ანისი[1]. იქ დავით აღმაშენებელმა აღადგინა თურქებისაგან მეჩეთებად ქცეული ეკლესიები[2].

ლეგენდის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა წესი ააგებინა დიდი საყდრის ამშენებლის, ბერძენთა ასულის, დედოფლის კატრონიტეს საფლავისათვის. მეფემ სამჯერ ჩასძახა დედოფალს საფლავში: „გიხ-ნ (გისაროდენ) შენ დედოფალო, რ~ (რამეთუ) იჴსნა ღ-ნ (ღმერთ-მან) საყდარი შ—ი (შენი) უსჯულოთა ჴელთაგან“. ამასა ზედან მკუდარმან საფლავით ჴმა ამოიღო და ღ~თს მადლი მისცა. გაუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა“[3].

ხელნაწერთა კრებული, სადაც ის საისტორიო წყაროა შესული, რომელიც აღნიშნულ ლეგენდას შეიცავს, მისი გამომცემლის ექ. თაყაიშვილის მოსაზრებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის[4]. აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ საისტორიო წყარო, რომელშიაც მოყვანილი ლეგენდაა შესული, სხვადასხვა ძველ თხზულებებიდან ამოკრებილ ცნობებს შეიცავს[5]. საფიქრებელია, ეს ლეგენდაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრინდელი თხზულებიდან იყოს ამოღებული. საინტერესოა, რომ ძველი ძეგლების მიხედვით დასტურდება ამ ლეგენდის ისეთი პატრიოტული ფუნქცია, როგორიც მას გააჩნდა უფრო გვიან, ხალხური შემოქმედებით გატაცების ხანაში[6].

ქართული ხალხური სიტყვიერების ადრე ფიქსირებული ნიმუშებისა თუ მათ შესახებ ცნობების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსისა და

---

[1] ანასეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 220.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1914 წ., გვ. 527.

[3] ექ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ III, გვ. 62—63.

[4] იქვე, გვ. 35.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეორე, გვ 527.

[6] ეს ლეგენდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი დანიშნულებით გამოიყენა თაკო გოგებაშვილმა (იხ. ბუნების კარი, თბ., 1885, გვ. 368).

გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის შრომები. საქართველოს ისტორიის წინასიტყვაობაში „უწყებულება მკითხველთათვის“ ვახუშტი ისტორიულ წყაროთა შორის ასახელებს ზეპირსიტყვიერებასაც [1]. ვახუშტის შრომებში მოიპოვება მდიდარი მასალა ფოლკლორის მრავალფეროვანი ჟანრების ტრადიციისა თუ ისტორიის შესასწავლად. ამ შრომებში დაცულია ცნობები ისეთ ნაწარმოებთა შესახებ, ან თვით ნაწარმოებნი, რომელნიც ზეპირსიტყვიერებაში აღარაა ცოცხალი და არც სხვა წერილობითი ძეგლებითაა დამოწმებული. ვახუშტის, როგორც ეს ცნობილია, ყველაზე დიდი ინტერესი საისტორიო ნაწარმოებთა მიმართ გამოუჩენია.

მას მოცემული აქვს ცნობა ჩვენი საკლესიო ციკლების მშრომელებში ფართო გავრცელებაზე: „გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“ [2]. ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებებიდან ვახუშტის აღნიშნული აქვს გადმოცემა მეტეხის აშენებაზე [3].

დავით აღმაშენებლის ციკლიდან ვახუშტის უკრიტიკოდ აქვს გამოყენებული ისტორიული საფუძვლის მქონე ზემომოყვანილი ლეგენდა ქ. ანისის აღებაზე [4].

საისტორიო ეპოსის ნიმუშებიდან ვახუშტის აღნიშნული აქვს ბოლო დრომდე მრავალ ვარიანტად არსებული მსოფლიო მოტივის შემცველი ლეგენდა მიტოვებული ბავშვის ირმის მიერ გაზრდის შესახებ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტიპიურ ჯადოსნურ ზღაპარს „ირმისას“ [5], ამ ლეგენდის დღემდე ცნობილი ვარიანტები, რომელნიც XIX საუკ. მეორე ნახევრისა და XX საუკ. ჩანაწერებს წარმოადგენენ, თამარ მეფისა და ერეკლე მეორის სახელებთანაა დაკავშირებული [6].

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, მეორე გამოცემა. ხ. ჰიპინაძისა, თბ., 1913, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 4.

[3] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, აღნიშნ. გამოც., გვ. 53. სირამდვილეში, როგორც თვით ვახუშტიც აღნიშნავს, თბილისის მეტეხის ეკლესია ააშენა მეფე დემეტრემ, იქვე.

[4] ვახუშტი, საქ. ისტორია, ნ. I, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 182—183.

[5] ზღაპრები, № 2, ქართველ ქალთა კერძო წრის გამოცემა, თბილისი, 1903 წ., გვ 127.

[6] В. Миллер, Осетинские этюды, ч. III; „დროება“, 1878, № 73; „მოგზაური“, 1901, № 8, 9; „კვალი“, 1893, № 37; Сборн. матер. для опис. местн. и пл. Кавказа, т. 27; ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმ. ხელნაწ. განყ. Н—№№ 2002, 2004; 1943 წ., ჩანაწერი კახეთში; 1944 წ., ხევსურეთში ჩანაწერი და სხვ.

ვახუშტიმ აღნიშნული ლეგენდა გარკვეული ბიოგრაფიული მომენტების გამო გუარამ მამფალის სახელს დაუკავშირა[1]. როგორც ჩანს, ვახუშტისთვის უცნობი ყოფილა ლეგენდის თამარ მეფის სახელთან კავშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა ამის აღნიშვნა ლეგენდის გუარამ მამფალთან დაკავშირებაზე მსჯელობისას. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ვახუშტი საერთოდ დიდი ინტერესით მოჰკიდებია და უხვადაც გამოუყენებია თამარ მეფის ციკლის სხვა ნაწარმოებები.

რაჭის აღწერასთან დაკავშირებით ვახუშტის აღნიშნული აქვს გადმოცემა თამარ მეფის ნაწნავზე[2]. იგივე გადმოცემა ცნობილია აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისა“-ს მიხედვით. თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებებიდან ვახუშტის გამოყენებული აქვს ბოლოსტიკეს ომში ნუქარდინ სულტანზე გამარჯვების ამბებთან დაკავშირებული ლეგენდა[3]. ამ ლეგენდის ვარიანტიც ცნობილია ქართველ მაჰმადიანთა ზეპირსიტყვიერებაში[4]. ამავე ციკლის ლეგენდაზე მიუთითებს ვახუშტი შამქორის ომში გამარჯვების ამბების გადმოცემისას[5]. ეს ლეგენდა ზეპირსიტყვიერებაში აღარაა ცოცხალი და არც სხვა წერილობითი წყაროებითაა ცნობილი.

ვახუშტის მითითებული აქვს აგრეთვე თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ გადმოცემებზე სხვადასხვა ძველ ნაგებობათა შესახებ, როგორიცაა: ქცაის ხრამის მონასტერი პირღებულს[6] და დიდი და მაგარი ციხე ქვემო-ზრამაგას[7]. ზეპირსიტყვიერებისადმი ისტორიული ინტერესის მაჩვენებელია აგრეთვე ოსეთის აღწერისას მის მიერ აღნიშნული გადმოცემები ციხე-კოშკებსა და ეკლესიების შესახებ[8]. ბოლო დრომდე კავკასიის ხალხი ყოველგვარ ძველ ნაგებობას მეტწილად თამარ მეფეს მიაწერს. გარდა ამისა ფართოდაა გავრცელებული ნაწარმოებნი თამარის დიდ საალმშენებლო მოღვაწეობაზე.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 225.

[2] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 161.

[3] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 212.

[4] გ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით თბ. 1911, გვ. 38.

[5] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 208.

[6] ვახუშტი, საქართვ. გეოგრაფია, გვ. 44.

[7] იქვე, გვ. 114.

[8] იქვე, გვ. 111.

შაჰ-აბასის ციკლის ნაწარმოებებიდან ვახუშტის დაუცავს საინტერესო პატრიოტული გადმოცემა. იგი დაკავშირებულია მეფის გიორგი სვიმონისძის მეორის მიერ შაჰ-აბასისადმი ლორეს იძულებით დათმობასთან [1]. გადმოცემა საინტერესოა შაჰ-აბასის ციკლის ნაწარმოებთა ტრადიციის თვალსაზრისით. ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული ამ ციკლის ნაწარმოებნი. საფიქრებელია, რომ საქართველოს დაუძინებელი მტრების შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის მიერ მშვიდობისმოყვარულ მოსახლეობის აკლება და მათ მოწინააღმდეგე ქართველ მამულიშვილთა სულისკვეთება და მოქმედება სათანადოდ იქნებოდა ასახული ხალხურ სიტყვიერებაში. ჩვენამდე მოღწეულ მცირერიცხოვან ჩანაწერებთან ერთად ამას ადასტურებს ვახუშტის მიერ პოლიტიკური ინტერესით გამოყენებული გადმოცემა.

ჩვენი საკვლევი ციკლების გარდა, ვახუშტის გამოყენებული აქვს აგრეთვე მრავალი პატრიოტული ნაწარმოები [2].

ვახუშტის შრომებში გამოყენებული ნაწარმოებები გვიჩვენებენ გამოჩენილი მეცნიერის დიდ ისტორიულსა და პოლიტიკურ ინტერესს ხალხური ეპოსისადმი. ვახუშტის ასეთი ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი აიგივებდა ზეპირსა და წერილობითს წყაროებს. მისი სიტყვებით, ცოდნა „არს ნაყოფი კეთილი“. მას აღნიშნული აქვს ზეპირი ცოდნის ნაკლებ გამძლეობა და ამ მხრივ წერილობითი წყაროების უპირატესობა: „არამედ რაისაგან არს ესე ოდენი კეთილნი, გარნა არს თუ ხსოვნისაგან, არამედ ხსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა ანუ ოთხისა და უფროს ხუთისამდე ნათესავისა, და ამისთჳს ვიხილავთ უმჯობესათ წერილთა“ [3].

საისტორიო ეპოსის შესახებ შედარებით ძველი ცნობების თვალსაზრისით საგულისხმოა იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისა-ში“ თამარ მეფის სამისიონერო მოღვაწეობის დახასიათება: „მოვლო თამარ მეფემან კავკასიის კერძონი და ბრძანა უმაღლესთა მთათა ზედა ეკლესიათა აღმართებად, ეკლესიანი აწ ცა მრავალ არიან ამა ზენოხსენებულთა მთათა შინა და მუნ მცხოვრებნიც აღიარე-

---

[1] ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 52.

[2] კს. სიხარულიძე, ვახუშტი ბატონიშვილი ხალხური შემოქმედების შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IV, გვ. 385—404.

[3] საქ. გეოგრაფია, გვ. 2.

ბენ თამარ მეფისაგან აღშენებასა. და მერე გელაქუნის მთის ეკრძო ახალციხემდინ, მუნცა ყოველთა მაღალთა ადგილთა ეკლესია და ბაღი. ოსთა და ჩერქეზთა უმეტეს დამტკიცებისათვის, და აგრეთვე მუშკულეთს სვანეთსა შინა, რაჭის კერძოსა აღაშენა ეკლესია და მუნ დაასვენა ხატი ღვთისმშობელისა, მოოქვილი ძვირფასად, და მუნ დაჰმოკიდა თმა თვისი ნაწნევი, რომელსა იტყვიან ექვსსა მტკაველსა, და აწ ცა არს მუნ ეკლესიასა შინა. ხოლო სვანნი და გარემო მის მთის ერნი ესრეთ ესენ ღვთისაშობელისა მას ხატსა, რომელ არა ძალუძთ ტყუილად დაფიცება ვისიმე მის ზედა, და უთუოდ აღიარებს დასაფიცებელი უკეთუ შეაგდონ რამე მისგან ნაქმარი უკვე საქმე, და ხადიან იგინიცა დედად ღვთისა ხატსა მას და ეგრეთვე ესენ თმასა მას თამარისასა". ამ შემთხვევაში, როგორც ეს მართებულად აღნიშნა კ. კეკელიძემ, იოანე ბატონიშვილი ისტორიულ ცნობებს გარდა, ემყარება ზეპირსიტყვიერებასაც [1].

საგმირო-საისტორიო მესტვირული სიმღერების შესახებ ძველი ცნობების თვალსაზრისით საინტერესოა ბაგრატ ბატონიშვილის „ახალ ცოთხრობაში" დახასიათება ქართველი ქალის ქრისტინეს [2] გვირობისა. ქრისტინეს გაუწირავს თავი მჭადისჯვართან, 1755 წ. ქართლ-კახეთში ნურსალ-ბეგის მეთაურობით შემოსეულ ლეკთა მარბიელ რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაგრატ ბატონიშვილი ასე ახასიათებს მის გმირობას: „ჰი საკვირველი. ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მჭადის-ჯვრელმან იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკი მოკლა თვისითა ხელითა და რაოდენიმე დაუწვა საფარი ხისა ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოკლეს იგიცა, რომელსაც დღესა ქებას მისსა მოუთხრობენ შაირითა მესტვირენი" [3]. სიმღერა ამ გმირ ქალზე ბოლო დრომდე ცოცხალია ზეპირსიტყვიერებაში [4].

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა (თბილისის უნ-ტის შრომები, XVI, გვ. 106).

[2] ტრ. რ უ ხ ა ძ ე, საბელი მჭადიჯვარელი დედაკაცისა („ლიტერატურა და ხელოვნება", 1945, № 36).

[3] ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედაქ. თბ., 1941, გვ. 50.

[4] ხალხური სიტყვიერება, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ. ნ. I, გვ. 181—182; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გმირი დედაბერი, „კომუნისტი", 1941, № 310; კს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საშინაო ბატონყმობისათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით (ფოლკლორულ მასალათა მიხედვით), 1941, გვ. 27—28.

ქართული ხალხური საისტორიო ეპოსის ადრე ფიქსირებული ძეგლების თვალსაზრისით საინტერესოა ნუზალის ეკლესიის წარწერად წოდებული ლექსი, რომელიც მცირედ განსხვავებული ვარიანტებით სხვადასხვა ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდანაა ცნობილი [1]. მისი ერთი ვარიანტი ნაპოვნი თ. ჟორდანიას მიერ ასეთია;

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,
ჩარჯინიძე, ჯახილანი,
ოს-ბაღათარ, დავით-სოსლან,
ოთხ სამეფოდ . მებრძოლანი,
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ და გიორგი,
მტერთა რისხვით შემხედვარნი;
ჩვენნი ძმანი სამნი ბერნი,—
ისაკ, რომანოზ და ბასილ,—
იქმნენ ქრისტეს კარგნი ყმანი.
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა-მომავალთა,
ოთხის კუთხის ვიწრო გზანი,
კასარზედ სიმაგრე მაქვს და საბაჟო,
აქ მიჭირავს კიდის კარი,
საიქიოს მოიმედე,
სააქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა
ამდონი მაქვს, ვითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ,
ოთხს სამეფოს გაუმკლავდი;
ქართველს ბატონს დაჲ მოვსტაცე.
არ დავაგდე ჩემი გვარი,
მამწვდა ფიცით, მიღალატა,
მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაღათარ წყალსა მიეცა,
აღიკოცა ოსთა ჯარი,
ვინცა ეს ლექსი იბილოთ,
მცირედ ბრძანეთ შენდობანი.

ანაქრონიზმების შემცველმა ამ ლექსმა [2] ადრევე მიიქცია ლიტერატორთა და ისტორიკოსთა ყურადღება. მკვლევართა ერთი

[1] M. Brosset, Pièces diverses relatives à la Géorgie (Journal Asiatique, 1830, p. 305).

А. Головин, Топографическое и статистическое замстки об Осетии, Кавк. календарь, 1854, стр. 450; Сборник, Сведения о Кавк. горцах, ტ. 5, გვ. 60; თ ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 178; „მოამბე" 1903, № 4, გვ. 62; და სხვ.

[2] მისი მიხედვით ჯადაროსი დავით სოსლანის ძმაა. ისტორიაში ცნობილია ოსთა მეფე ჯადაროსი, მამა და არა ძმა დავით სოსლანისა.

ჯგუფის მოსაზრებით ლექსი ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული[1]. მკვლევართა მეორე ჯგუფის მოსაზრებით ლექსის „ქართველი ბატონი“ გიორგი ბრწყინვალეა; „ოს-ბაღათარი“ კი „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი ოსთა მთავარი ბაყათარი[2]. მართებულად პირველი მოსაზრება უნდა ჩაითვალოს. ლექსის ბოლო, როგორც აღნიშნა კ. კეკელიძემ, გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ვახტანგ გორგასლის ოსეთში გალაშქრების შესახებ[3]. დამტკიცებულია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის აღწერა XI საუკუნეზე გვიანი ძეგლი არ არის[4]. ამის გამო მისი ცნობები გიორგი ბრწყინვალესა და XIII—XIV საუკ. ბაყათარ ოსის ამბებს ვერ დაუკავშირდება. ამის გარდა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალია გადმოცემები ვახტანგ გორგასლის მიერ ფიცის გატეხასა და მტრის დამარცხებაზე[5]. ამგვარად ლექსში მოხსენებული „ქართველი ბატონი“ ვახტანგ გორგასალია. რაც შეეხება „ოს-ბაღათარს“, შესაძლებელია მასში შეერთებული იყოს ორი ბაყათარ ოსი — „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი V საუკ. და XIII—XIV საუკ. გმირები.

ეს მხატვრულად მეტად სუსტი ლექსი წმინდა ფოლკლორული არ არის. იგი შექმნილია „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისა და ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური ეპოსის საფუძველზე. მის ავტორს საგმირო-საისტორიო ეპოსისადმი გამოუჩენია პოლიტიკურ-ისტორიული ინტერესი.

---

[1] მოსე ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, „მოამბე“, 1903, № 4, გვ 62; მისივე, საქ. ისტ., ტ. I, გვ. 208—209; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ II. 1924 წ., გვ. 201;

А. Гозовин, Топогр. и статист. заметки об Осетии, Кавк. календарь, 1854, стр. 450.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 178; В. Б. Иф аф, Материалы для истории Осетии, стр. 34—35.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 201.

[4] ივ ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოკ. I, გვ. 117—211; კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი, „ჩვენი მეცნიერება“ № 4—5, გვ. 19.

[5] როგორ შეიქმნა სახელწოდება მეტეხი („მოგზაური“, 1902, №№ 9, 10); ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასლანზედ („დროება“, 1885, № 25) და სხვ.

ჩვენს მიერ აღნიშნულ წერილობითს ძეგლებში დაცული საგ-ძირო-საისტორიო ნაწარმოებები ან ცნობები მათ შესახებ, ცხადია, არ ამოსწურავენ ისტორიოგრაფიის პირველ ნაწილისათვის გასათვალისწინებელ მასალებს. ბევრი მასალა ჯერ კიდევ მისაგნებია. ყოველ შემთხვევაში მოყვანილი მასალებიც ადასტურებენ საგძირო საისტორიო ნაწარმოებებისადმი საქართველოში ადრევე არსებულს დიდ პოლიტიკურ-ისტორიულსა და ესთეტიკურ ინტერესებს.

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ისტორიოგრაფია

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების შეკრება-შესწავლის ისტორიის სრულქმნილად წარმოდგენას აბრკოლებს ორი გარემოება: ქართული ფოლკლორის სრული ბიბლიოგრაფიის უქონლობა და საერთო ისტორიოგრაფიის დაუმუშავებლობა.

ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფიას ჩვენ ორ ძირითად ნაწილად ვყოფთ: პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; მეორე ნაწილი მოიცავს საბჭოთა პერიოდს. საგმირო-საისტორიო ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფიაც ჩვენ ამ პერიოდების მიხედვით ავაგეთ.

1. პირველი ნაწილი ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფიისა ტექსტების სისტემური შეკრება-შესწავლით ხასიათდება. ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების უშუალო ჩანაწერები ცნობილია XIX საუკუნიდან.

ქართულ ხალხურ საგმირო საისტორიო ნაწარმოებთა სისტემური შეკრებისა და შესწავლის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია XIX საუკუნეში ხალხური შემოქმედებისადმი გაზრდილ ინტერესთან. ამ საუკუნის პირველი ნახევარი ძირითადად შემკრებლობითი მუშაობით ხასიათდება. ამგვარ მუშაობას ეწეოდნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი და სხვები [1].

---

[1] მათ მიერ შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები დაცულია ლენინგრადის არქივებში: 1. გამოცანანი ქართულნი, შეკრ. პლ. იოსელიანის მიერ, 1839 წ. თბილისი, (НВ АН СССР, Е 140 Вч 66); 2. დ. ჩუბინაშვილის შეკრ. ქართული ანდაზები და ფრანგულად თარგმნილი მ. ბროსეს მიერ 1839 წ. (იქვე. Е 147, Вг 142); 3. „ანდაზები და გამოცანები", ჩამწ. პ. იოსელიანი. 1839 წ., ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწ. № 48 (201). ეს მასალა პ. იოსელიანს გაუგზავნია ბროსესათვის; 4. „თბილიაის აღებაზედ მესტვირული ლექსი" და ერთი იმერული ზღაპარი შეტანილია 1819 წ. შეკინძულ კრებულში, (НВ АН СССР Е 156, გვ. 127).

ლენინგრადში დაცული ქართული ფოლკლორული ჩანაწერების შესახებ ცნობები მომაწოდა დოც. მიხ. ჩიქოვანმა.

ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების სისტემური შეკრება და შესწავლა მაშინ დაიწყო, როდესაც დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ფოლკლორისტიკის განვითარებაში აღნიშნული იყო ის საფეხურები, რომლებიც რომანტიკულ-მითოლოგიური, სესხების ან მიგრაციისა და ანთროპოლოგიური ანუ თვითჩასახვის თეორიების სახელითაა ცნობილი. XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალი საფეხური იყო. ამ დროს რუსეთის პროგრესიულ დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი განახლების პრინციპებს ჭადაგობდა. ახალი ცხოვრების შექმნის საფუძველს ისინი ხალხში ხედავდნენ. ეს ზრდიდა ინტერესს ხალხური შემოქმედებისადმიც. ამის გამო ქართული ფოლკლორის ნიმუშების სისტემური შეკრებისა და შესწავლის ისტორიის დასაწყისი და მისი გზები არსებითად განსხვავდება დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკის ჩასახვისა და განვითარების საფეხურებისაგან. ლიტ იქ, დასავლეთ ევროპაში, ეროვნული სულის იდეის გამოვლინებით გატაცებული რომანტიკოსები ხალხურ პოეზიაში მხოლოდ წარსულის გამოძახილს ეძებდნენ, აქ, ჩვენში, განახლების პრინციპების მქადაგებელი რეალისტები ხალხურ შემოქმედებაში ხედავდნენ ცოცხალ სინამდვილეს, როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობის შესასწავლ მასალებს. მათი ინტერესები ამ შემთხვევაში ისეთივე იყო, როგორც რუსული ფოლკლორისტიკის იმ პროგრესიული ფრთის წარმომადგენლებისა, რომელნიც ხალხურ შემოქმედებას დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდნენ. მათი შეხედულებანი ხალხურ შემოქმედებაზე რუსული ფოლკლორისტიკის თავისებური ნაკადი იყო. იგი დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკის განვითარების გზებს არ მიყოლებოდა. რუსული ფოლკლორისტიკის ამ ფრთის წარმომადგენლები იყვნენ რევოლუციონერი-დემოკრატები, გამოჩენილი მოაზროვნე და კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი, ნ. ა. დობროლუბოვი, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ნ. ნეკრასოვი და სხვები. ფეოდალურმა და ბურჟუაზიულმა ფოლკლორისტიკამ შეგნებულად მიჩქმალა მათი დამსახურება ამ დარგში. მათი განსაკუთრებული როლი ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში აღინიშნა მხოლოდ საბჭოთა ფოლკლორისტიკაში [1].

[1] М. Азадовский, Добролюбов и русская фольклористика, „Советский фольклор" № 4—5, стр. 21. გადაბეჭდილია წიგნ. „Литература и фольклор", Л. 1938; Ю. М. Соколов, Русский фольклор, 1941, გვ. 96 და სხვები.

რუსული ფოლკლორის სხვა მკვლევარები იმ დროს ძირითადად დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკის განვითარების გზებს მიყვებოდნენ. ქართული ფოლკლორისტიკის საწყისი კი დემოკრატიულ პრინციპებთანაა დაკავშირებული. დიდი რუსი რაზნოჩინელების პროგრესიულ-დემოკრატიულ იდეებზე აღიზარდნენ თერგდალეულები. მათი ძირითადი მიზანი იყო მშრომელი ხალხის სამსახური. ასეთი მიზანი, სხვათა შორის, ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებისა და შესწავლის სტიმულიც იყო.

ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, თითქოს დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკის ძირითად საფეხურებს ერთგვარი გამოხმაურება არ ჰქონოდეს ქართულ სინამდვილეში. გასული საუკუნის ქართულ ფოლკლორისტიკას ისეთი წარმომადგენელიც ყავს, რომელიც სლავიანოფილების იდეების დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგალითად, ვ. კელენჯერიძის ნაშრომში „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო და საესთეტიკო მნიშვნელობა“, პ. კირეევსკისა და მისი ჯგუფის და რევოლუციონურ დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილ თ. ბუსლაევის შეხედულებათა დიდი გავლენით არის დაწერილი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას მკაცრად შეხვდა მაშინდელი ქართული კრიტიკა[1].

აქვე აღსანიშნავია ქართული ფოლკლორის შემკრებ-შემსწავლელთა ცალკეული მოქმედების საკითხის არასათანადოდ დაყენებაც, ზოგ შეხედულებაში კი მისი სრული იგნორირება. ეს გარემოება რომანტიკულ-მითოლოგიური სკოლის გავლენის შედეგი იყო. საერთოდ კი ქართული ფოლკლორის ჰორიზონტალში არც ამ შეხედულებაში იმყოფებოდნენ რომანტიკული იდეების ტყვეობაში. ხშირ შემთხვევაში ისინი ანგარიშს უწევდნენ ხალხურ ნაწარმოებთა შემოქმედთ და არ მისდევდნენ „უპიროვნო პოეზიის“ თეორიას. ამ გარემოებამ ხალხური სიტყვიერების შეკრების პროგრამაშიც იჩინა თავი. 70—80 წლებში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაბეჭდილ და გავრცელებულ პროგრამაში აღნიშნულია: „საჭიროა შევნიშნოთ, რომ თქმული მესტვირე ან მეფანდურეა, ესეც მოსახსენებელია შენიშვნაში. ეს იმიტომ, რომ ხშირად მეფანდურე ან მესტვირე თვითონ სთხზავდა ლექსებსა, ჯერ სახალხო ლექსად არ გადა-

[1] ფილიპე მახარაძე, ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე. თბ., 1897; გ. წერეთელი, ხალხური პოეზია და ბ-ნი კელენჯერიძე, „კვალი“, 1898, № 5; ჰაღარა, სახალხო პოეზია ბ. კელენჯერიძისა, „კვალი“, 1897, № 31.

ქცეულა და მხოლოდ შემდეგ ხანებში ზოგი მათი ლექსი სახალხო ლექსად გადაიქცევა ხოლმე“ [1]. ფოლკლორისტიკის აღნიშნული ბურჟუაზიული თეორიების გავლენას საქართველოში მეტწილად სტიქიური ხასიათი ჰქონდა. არსებითად კი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, ძმები რაზიკაშვილები — ვაჟა, თედო და ბაჩანა, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმეში პროგრესულ-დემოკრატიული იდეებით ხელმძღვანელობდნენ. ხალხური შემოქმედება მათთვის ხალხში პროგრესული იდეების დანერგვის ერთ-ერთი საშუალება იყო. ეროპელ და რუს რომანტიკოსებისა და სლავიანოფილებისაგან განსხვავებით, დიდი რუსი რაზნოჩინელების იდეებზე აღზრდილი ქართველი რეალისტები, როგორც აღვნიშნეთ, ხალხურ სიტყვიერებაში წარსულის გამოძახილთან ერთად თანამედროვეობის ხმასაც გრძნობდნენ. ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსულ „ივერიის“ მოწინავე წერილში მოცემულია მათი ასეთი თვალსაზრისი ხალხურ შემოქმედებაზე: „ივერიაში“ იბეჭდება სხვადასხვა ნაწარმოები სახალხო სიტყვიერებისა, სხვათა შორის ზღაპრებიც, და ამ სახით თანდათან გროვდება მასალა ერის წარსულისა და აწმყო სულიერისა და ზნეობრიივის ვითარების მკვლევართათვის“ [2].

ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლასთან, პროგრესიულ-დემოკრატიული იდეების დანერგვასთან იყო დაკავშირებული ის დიდი დაბრკოლებანი, რაც ქართული ფოლკლორის შემკრებლებს ეღობებოდათ წინ. პროგრესიული იდეების საწინააღმდეგო რეაქციური მოძრაობის შედეგი იყო თედო რაზიკაშვილის შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ცენზურული დევნა; [3] ასეთივე დევნის შედეგი იყო აკაკი წერეთლის მიერ ხალხური სიტყვიერების ფონდის ღაარსებასთან დაკავშირებით „კვალში“ ფულის შემწირველთა სიის გამოქვეყნების შეჩერება; [4] ამავე მიზეზით იყო გამოწვეული სევასტი გაჩეჩილაძის შემკრებლობითი მუშაობის წინააღმდეგ მღვდლების

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ, 1937, გვ. L I.

[2] „ივერია“, 1889, № 134.

[3] ქს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის საკითხები, საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე დაბეჭდილი, გვ. 6 და 23.

[4] ქს. სიხარულიძე, აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება, „აკაკი წერეთელი“, საიუბილეო კრებული, თბ, 1940, გვ. 234.

აბეჭდრება და თვით მთქმელების უნდობლობა მისდამი[1]. ასეთ დაბრკოლებათა მიუხედავად XIX საუკუნის 60—70 წლებიდან ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები სისტემური შეკრებისა და შესწავლის საგანი გახდა. რაც შეეხება საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებს, მათდამი ადრევე არსებული პოლიტიკურ-ისტორიული და ესთეტიკური ინტერესები ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. ქართველ ისტორიკოსებს, ლიტერატორებსა და სხვებს ხალხური სიტყვიერება მიაჩნიათ ისტორიის შესასწავლ წყაროდ. ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ არის რუსული ისტორიული სკოლის მსგავსი მოვლენა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ისტორიულ სკოლას საქართველოში უშუალო მიმდევრები არ ჰყოლია. ხალხური სიტყვიერების ისტორიულ წყაროდ გამოყენებას, როგორც ეს ზემოთ აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

ამ დროის პერიოდული გამოცემებიდან ხალხური სიტყვიერების სხვა დარგის ძეგლებთან ერთად საგმირო-საისტორიო ნაწარმოებების გამოქვეყნებით აღსანიშნავია: „დროება“, „ივერია“, „აკაკის კრებული“, „ჯეჯილი“, „მოგზაური“, „ძველი საქართველო“ და სხვ. რუსულ ენაზე: — „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, და გაზ. „Кавказ“, ფრანგულ ენაზე — Le Caucase Illustre (თბ. 1899—1900 წწ.).

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-შესწავლის საქმეში დიდი როლი ითამაშეს „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და „საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“. ამ საზოგადოებათა ინიციატივით შეკრებილი მასალების ნაწილი დაბეჭდილია როგორც ცალკე კრებულების სახით, ისე დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში; დიდი ნაწილი კი დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში.

XIX საუკუნის 70 წლებში ქართული ფოლკლორის ნიმუშების შეკრების ერთი მთავარი ინიციატორი იყო პეტრე უმიკაშვილი. „პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში“-ო, მართებულად აღნიშნა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა[2]. მის მიერ შეკრებილ მრავალრიცხოვან მასალებში საკ-

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის საკითხები, გვ. 12—12; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბ, 1939, გვ. XXXII—XXXIII.

[2] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნ. I, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბილისი, 1937 წ., გვ. XL—IX.

მაო რაოდენობით არის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები, მათ შორას—ჩვენი საკვლევი ციკლებიდანაც, როგორიცაა—ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელის, ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლები [1]. პეტრე უმიკაშვილი ფოლკლორულ მასალებს კრებდა საქართველოს ყველა კუთხეში. მის მიერ შეგროვილ მასალებში მოიპოვება ქართლში, კახეთში, ხევსურეთში, ხევში, სვანეთში, რაჭაში და გურიაში ჩაწერილი საგმირო-საისტორიო ციკლების ნაწარმოებნი.

შემკრებლობით მუშაობაში პეტრე უმიკაშვილის დიდი ინიციატივის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ უშუალოდ მას უკავშირდებოდნენ ამ საქმის სხვა მესვეურებიც. ისინი მას, როგორც კარგ ორგანიზატორს ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა, აწვდიდნენ საკუთარ ჩანაწერებს. პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში სამი ლექსი ზურაბ ერისთავის ციკლისა და ერთიც—ერეკლე მეორისა, ილია ჭავჭავაძის ჩაწერილია [2]; ერეკლე მეორის ციკლის ლექსების ოთხი ვარიანტი ჩაწერილია პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ [3]; პეტრე უმიკაშვილისათვის მიუწოდებია თამარ მეფის ციკლის საფერხულო სვანური ზეპირსიტყვიერების ცნობილ შემკრებს ბეს. ნიჟარაძეს [4]; პეტრე უმიკაშვილის შეკრებილ მასალებშია აგრეთვე საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი ჩაწერილი ლ. ჩერქეზიშვილის [5], ა. ფერაძის [6], ს. შადურის [7], ბ. ჯაფარიძის [8] და სხვათა მიერ. აღსანიშნავია, რომ გიორგი ქებაძის ნაწარმოებად ცნობილი ლექსის ქართლური ვარიანტი მის ჩამწერს, დარია მამაცაშვილს, გაუგზავნია იაკობ გოგებაშვილისათვის პეტრე უმიკაშვილისათვის გადასაცემად [9].

---

[1] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, გვ. 87 — 125; 368 — 359; 562 — 568; „ივერია", 1898, № 39. „ივერია", 1901, № 256. გადაბეჭდილია აკ. შანიძის ხალხურ პოეზიაში, გვ. 491; „კრებული", 1872, № 8—9. გადაბეჭდილია აკ. შანიძის, ხალხურ პოეზიაში, გვ. 366.

[2] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 89, 91 — 92 93—94, 101.

[3] იქვე, გვ. 565 — 567.

[4] იქვე, გვ. 373.

[5] იქვე, გვ. 564, 600.

[6] იქვე, გვ. 113 — 114.

[7] იქვე, გვ. 105 — 106.

[8] იქვე, გვ. 568.

[9] იქვე, გვ. 566.

პეტრე უმიკაშვილის შეგროვილ მასალებში საკმარისი ოდენობითაა ხალხური სიტყვიერების მოამაგეთა ჩანაწერები, მაგრამ ძირითადი ფონდი ამ მასალებისა უშუალოდ მის ჩანაწერებს წარმოადგენს.

პეტრე უმიკაშვილის შეკრებილი მასალების დიდი ნაწილი აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნული პროგრამის მოთხოვნილებას[1]. ტექსტებში მეტწილად დაცულია დიალექტიზმები. ხშირ შემთხვევაში ისინი მომარაგებულია ისეთი შენიშვნებით, რომელნიც მეტად მნიშვნელოვანია ხალხური სიტყვიერების პრობლემათა შესასწავლად. ტექსტებს, მცირე გამონაკლისს გარდა გააჩნიათ „პასპორტი“, აღნიშნულია — მთქმელი, ჩამწერი, ჩაწერის ადგილი და დრო. ტექსტების „პასპორტიზაციის“ შედეგად საშუალება გვეძლევა ზოგადი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ გასული საუკუნის მთქმელებზე[2]. მის მასალებში ზოგჯერ მთქმელის პროფესიაც არის აღნიშნული[3]. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ხალხური სიტყვიერების ამ უანგარო მოამაგეს სათანადოდ ჰქონია შეგნებული ფოლკლორულ ნაწარმოებთა ვარიანტების მნიშვნელობა. ამას, სხვათა შორის, მის მდიდარ კოლექციაში არსებული ჩვენი საკვლევი ციკლების ნაწარმოებთა ვარიანტებიც ადასტურებენ.

პეტრე უმიკაშვილს ხშირ შემთხვევაში აღნიშნული აქვს სხვადასხვა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებთა თემატიკური მსგავსება[4]. ზოგჯერ მითითებული აქვს ნაწარმოების რეალური საფუძველი. დათუნა გოშტაშვილის შესახებ არსებულ გადმოცემასთან დაკავშირებით მას დაუცავს საინტერესო ცნობები[5]. პეტრე უმიკაშვილი იძლევა აგრეთვე ცნობას ერეკლეს ციკლის ლექსის „აბდულას“, ადრესატის ვინაობაზე[6]. მართალია, ეს ცნობა არ არის ზუსტი,

---

[1] პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი ფიქრობს, რომ ეს პროგრამა პეტრე უმიკაშვილის მიერ უნდა იყოს შედგენილი, (იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. L) ყოველ შემთხვევაში იგი მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე არ იქნება შედგენილი.

[2] პ. უმიკაშვილის საშუალებით ვიცნობით საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელს გიგოლა არჯინაშვილს. მის რეპერტუარში ოთხი ლექსი ერეკლე მეორის ციკლისაა (იხ. ხალხური სიტყვიერება, გვ. 102. 106, 567).

[3] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 565.

[4] ხალხ. სიტყვ., გვ. 563 — 564.

[5] იქვე.

[6] იქვე, 564.

მაგრამ იგი მაინც საგულისხმოა ხალხური ნაწარმოების ისტორიული ფონისადმი მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ დასაბეჭდად დამზადებულ, პ. უმიკაშვილის შეკრებილ პროზაულ ტექსტებს [1]. ვფიქრობთ, მათ შორისაც საკმაო რაოდენობით იქნება საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები სათანადო შენიშვნებით.

პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების თეორეტიკოსი არ ყოფილა. მის მიერ შეკრებილს მასალებს თან დართული შენიშვნებით მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიისათვის. ეს მრავალფეროვანი მასალა და შენიშვნები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის პროგრესიული ნაწილის პრინციპებსა და მეთოდებზე ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმეში.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეებში, რომელთაც ეკუთვნით ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის ინიციატივა, ერთი პირველთაგანი იყო ილია ჭავჭავაძე. ილიას „ივერიის“ მოწინავე წერილები ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის აგიტაციას ეხებოდა [2]. ილია ჭავჭავაძე თვითონ უშუალოდ იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. პროგრესიულ-დემოკრატიული იდეების დანერგვის მიზნით იგი მოხდენილად იყენებდა მათ. მისი უკვდავი ნაწარმოებების („განდეგილი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვები) ეროვნული და სოციალური მოტივები ხშირ შემთხვევაში სწორედ ხალხური სიტყვიერებითაა გამახვილებული. მისი პოლიტიკურ-ისტორიული და ესთეტიკური ინტერესი ხალხურს სიტყვიერებისადმი საისტორიო ნაწარმოებებისადმიც იყო მიმართული. პ. უმიკაშვილის შეკრებილ კოლექციაში, როგორც აღვნიშნეთ, მოიპოვება ილიას მიერ ზუსტი მეცნიერული პრინციპით ჩაწერილი საისტორიო ტექსტებიც. საისტორიო ნაწარმოებებისადმი ესთეტიკური ინტერესის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მიერ მაღალი შეფასება ერეკლე მეორის პოეტური სახისა ლექსში „ვერ გაიგეთა ქართველნო“. მხატვრული სიტყვის დიდმა ოსტატმა გულწრფელი

---

[1] ხალხ. სიტყვიერება, გვ. LIII.

[2] „ივერია“ 1889, № 134 და სხვ.

ღტაცება გამოთქვა ეროვნული გმირის სიმბოლოს — „რკინის კაცის“ გამო[1].

ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო აკაკი წერეთელმა[2]. ამ საქმეში იგი დემოკრატიული იდეებით ხელმძღვანელობდა. ხალხური სიტყვიერების ამ დიდი მოამაგის ყურადღების გარეშე არც საისტორიო ნაწარმოებთა მდიდარი განყოფილება დარჩენილა. აკაკი წერეთლის მიერ ფიქსირებული, განხილული და გადამუშავებულია ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლების ნაწარმოებნი. აკაკის ჟურნალში გამოქვეყნდა სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლების ოთხი გადმოცემა. მათ შორის ერთი მეტად ვრცელი გადმოცემა სოლომონ პირველის შესახებ, მთქმელის შვილის-შვილის, სიკო კანდელაკის ჩანაწერს წარმოადგენს[3]. სამი ტექსტი კი უშუალოდ აკაკის მიერ უნდა იყოს ჩაწერილი[4]. აკ. წერეთლის ინსტრუქციას ხალხური შემოქმედების შეკრებაზე დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. იგი ჩამწერთაგან მოითხოვდა მასალების „უმეტნაკლებოდ ჩაწერას“... ისე, რომ არა თუ კილო და სიტყვა, თითქმის ერთი ასოც არ შეიცვალოს“[5]. მიუხედავად ამისა, მის კრებულში გამოქვეყნებულ ტექსტებს ეტყობათ რედაქტორის ძლიერი ხელი. ყოველთვის ძათ არც სათანადო „პასპორტი“ გააჩნიათ. ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელს ვერ დავსდებთ. მისი ჟურნალი ფართო მკითხველი მასებისათვის განკუთვნილი ორგანო იყო. ასეთ ორგანოში უხერხული იყო დიალექტიზმებისა და მთქმელთა თხრობის მანერისა და ყოველგვარი ნუანსის დაცვა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სტილიზირებული ტექსტების დაბეჭდვისათვისაც კი უსაყვედურებდნენ პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებს[6].

---

[1] „ივერია“, 1898, № 39.

[2] ქს. სიხარულიძე, აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება, კრებული „აკაკი წერეთელი“, 1940, გვ. 230 — 256; გ. სამხარაძე, „აკაკი წერეთელი და ფოლკლორი“, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940. შ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IV.

[3] „აკაკის კრებული“, 1898 № 9.

[4] „აკაკის კრებული“, 1897, № 3; 1898, № 9.

[5] განცხადებასავით, „ცვალი“, 1895, № 6.

[6] საკმარისია მოვიგონოთ ვინმე პედაგოგის საყვედურები აკაკის ჟურნალში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბეჭდვის გამო. (იხ. „უბრალო საუბარი“, „აკაკის კრებული“, 1897, № 2).

აკაკი წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევს ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიულ ფონს. საყურადღებოა მისი ცნობები სოლომონ პირველის შესახებ არსებულ გადმოცემასთან დაკავშირებით. მისი კრებულის „წვრილწვრილი ამბევების“ განყოფილებაში მოთავსებული ეს ცნობები სათაურით „წმინდა გიორგის რაზმი“ საისტორიო ნაწარმოებთა ფიქსაციის თვალსაზრისითაც საინტერესოა. აკაკის აღნიშნული აქვს, რომ იგი შეიცავს „როგორც წერილობით, ისე ზეპირგადმონაცემ ამბევებსაც“ [1].

საისტორიო ნაწარმოებებისადმი აკაკი წერეთელს ესთეტიკური ინტერესებიც ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა გავრცელებული სიმღერის („თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“) შესახებ აკაკის მოსაზრება. თამარ მეფის მოღვაწეობისა და მისი დიადი პიროვნების ასახვის თვალსაზრისით მან ეს ლექსი შავთელის პოემაზე მაღლა დააყენა [2]. ამავე სიმღერის ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული ვარიანტი მან უცვლელად შეიტანა პოემა „გორგასლანში“, რომლითაც შრომის აუცილებლობა იქადაგა. ამავე პოემაში ჰუმანიური იდეების დანერგვის მიზნით გამოყენებულია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ლეგენდები [3].

საისტორიო ნაწარმოებებისადმი აკაკი წერეთლის პოლიტიკური და ესთეტიკური ინტერესების მაჩვენებელია აგრეთვე მისი ლექსი „ლეგენდური“, რომლის წყაროც თამარ მეფის მიერ კასპიის ზღვის დახარკვის შესახებ არსებული ლეგენდაა [4].

ხალხური სიტყვიერების დიდ მოამაგეთა შორის ერთი პირველთაგანი თედო რაზიკაშვილი იყო. ნიჭიერ ფშაველ მთქმელთა შვილი თავის ძმებთან ერთად სიყრმიდანვე ეზიარა ხალხურ სიტყვიერებას და შეიყვარა იგი. საზოგადო ასპარეზზე გამოსულმა კი, მათი შეკრება ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა [5]. თედო რაზიკაშვილი პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელთა ღირსეული თანამებრძოლი იყო. იგი თავისი შემოქმედებითა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებით ტიპიური წარმომადგენელი იყო

---

[1] „აკაკის კრებული“, 1889, IX.

[2] აკაკი ზეპირსიტყვიერების გემო, „კრებული“, 1897 წ. № 1.

[3] აკაკი წერეთელი, ტ. III, პოემები, თბილისი, 1940, გვ. 311—328.

[4] აკაკი წერეთელი, ტ. I, ლექსები, თბ., 1940, გვ. 420 — 421.

[5] იხ. მისი ავტობიოგრაფია, სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, სახელგამი, გვ. 248.

ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა ჩვენში[1]. მის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ნაწილი გამოქვეყნებულია[2], ნაწილი კი დაცულია სხვადასხვა არქივში[3].

თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ მასალებში საკმაო რაოდენობითაა საისტორიო ნაწარმოებები. ისინი ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: — ქართლში, კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში.

თედო რაზიკაშვილის შეკრებილ მასალებში მოიპოვება თამარ მეფის[4], შალვა ახალციხელის[5], ზურაბ ერისთავის[6], ერეკლე მეორისა[7] და სოლომონ მეორის[8] ციკლების ნაწარმოებები.

არც თედო რაზიკაშვილი ყოფილა ხალხური სიტყვიერების თეორეტიკოსი, მაგრამ მისი შეკრებილი მასალების კომენტარებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებანი საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ.

ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოქვეყნების საქმეში თედო რაზიკაშვილმა საქართველოში ისეთივე როლი ითამაშა, როგორც ა. ფ. გილფერდინგმა — რუსეთში. შემკრებლობითი მუშაობით ის იდგა თავისი დროის შესაფერის მეცნიერულ დონეზე.

თედო რაზიკაშვილის გამოქვეყნებულ საისტორიო ტექსტებს ზოგჯერ გააჩნია ვრცელი კომენტარები.

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის საკითხები, გვ. 22 — 23.

[2] თედო რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. I და II, 1909 წ.; „ძველი საქართველოს“ ტომებში; აკ. შანიძე, ხალხური პოეზია და სხვა.

[3] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მეხვეულის ხელნაწერების განყოფილება; საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტ. ინსტიტ. ფოლკლ. სექ. და სხვა.

[4] თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. I, გვ. 163 — 164; ტ. II, გვ. 84; ხალხური სიტყვიერება, ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 177; აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 584—586; „ჯეჯილი“, 1892 წ., № 6.

[5] ხალხ. სიტყვ., ნ. I. ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 361, 373 — 374; აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ 58, 491.

[6] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია. გვ. 3, 4, 7, 309 — 311, 317—319, 322—323.

[7] თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღ.. ტ. II, გვ. 84; ხალხური სიტყვ., ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ. გვ. 178—186, 221, 352, 373—374; აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 19 — 27, 45, 177, 360 — 361, 364 — 365, 380, 505; „კვალი“, 1893 წ., № 22; 1894 წ. № 20; ფოლკლ. სექც. მასალ. №№ 2792—2796.

[8] ხალხური სიტყვიერება, ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 178.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძვლისადმი სერიოზული დამოკიდებულების მაჩვენებელია თედო რაზიკაშვილის კომენტარებში მითითებული ვარიანტები. ერეკლეს მიერ აზატ-ხანის დამარცხებაზე შექმნილი ლექსის კომენტარში მას გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო მოსაზრება საისტორიო ნაწარმოებთა ვარიანტების მნიშვნელობასა და ლექსის ფრაგმენტების გავრცელებაზე: „რას მომდევ, გურჯო ერეკლე...“. ეს ექვსი სტრიქონი მე მაქვს კრებულში ჩაწერილი სრულებით აზრ შეცვლით. იმას რო ყური უგდოს კაცმა, იფიქრებს ნამდვილად, ვითომ აზატ-ხანს ერეკლე გაექციოს და არა« ერეკლეს აზატ-ხანი, ამიტომ ჰმართებს მაძიებელს ერთს რომელსამე ვარიანტს არ ერწმუნოს, ვიდრე ყველა ვარიანტები არ შეადაროს, მომეტებულად რასაკვირველია იმ შემთხვევაში, როცა ლექსი ისტორიულია. ხალხს ძალიან აზიზი გეშოვნება აქვს, მისი ყური ტკბილ ხმოვანებისაა და აღმაფრენით აღმოთქმულ სიტყვის ტრფიალია, თვით დიდი ლექსიდან სწავლობს ძალა-დაუტანებლად იმ ადგილებს, რომელნიც მართლა მარგალიტივით ჩამძივებულნი არიან“. მოყვანილ კომენტარში აღნიშნულია საგმირო-საისტორიო ლექსების მხატვრული ღირებულებაც. თედოს გამოთქმული მოსაზრების საილუსტრაციოდ იქვე მოჰყავს დამოუკიდებლად გავრცელებული ფრაგმენტი „ერეკლემ ცხენი გაჰქუსლა“ [1]. თედო რაზიკაშვილს ყურადღება მიუქცევია საისტორიო ნაწარმოებთა კონტამინაციის მოვლენებისათვისაც. ასეთი მოვლენა მას აღნიშნული აქვს ხევსურული ლექსის „თარეშიდან მოსული შვილების“ კომენტარში: მე მგონი აქედან (გულისხმობს სტრიქონს „ყმა მზირთად გადმოხვეწილი“ ქ. ს.) სრულებით სხვა ლექსია მიბმული, იმიტომ რომ ამ ქვემოთი ლექსის ვარიანტი ბევრია ქართლშიაც და კახეთშიც, მაგრამ რაკი რითმა ერთნაირი აქვს, ამიტომ მთქმელს ეს ორი სხვადასხვა ლექსი ერთი ჰგონებია [2].

მაღალი ჰუმანიური იდეებით იყო ნაკარნახევი ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობა ქართული ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმეში. ვაჟასთვის ხალხური შემოქმედება იყო ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთერთი საშუალება. იგი დიდი ინტერესით ეკიდებოდა კერძოდ საისტორიო ნაწარმოებებსაც. ვაჟას მიერ ფიქ-

---

[1] „კვალი“, 1894, № 20.

[2] ა კ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 58 და 421.

ცირებულია თამარ მეფის[1], ბახტრიონის აღების[2], ზურაბ ერისთავის[3] და ერეკლე მეორის[4] ციკლების ნაწარმოებნი. ვაჟას ჩაწერილ ტექსტების ნაწილს გააჩნია „პასპორტი“. ზოგ შემთხვევაში ტექსტს კომენტარიც ახლავს. ვაჟას აღნიშნული აქვს აგრეთვე კონტამინაციისა და ციკლიზაციის მოვლენები საისტორიო ნაწარმოებთა განყოფილებაში.

საისტორიო ნაწარმოებებს ვაჟამ მიუძღვნა მეტად საინტერესო ფელეტონი. ერეკლე მეორის ციკლის გადმოცემათა შესახებ დაწერილ ფელეტონში მოცემულია მისი საყურადღებო თვალსაზრისი ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიულ ღირებულებაზე. ხალხური ნაწარმოებები უშუალობისა და გულწრფელობის ბრიც ვაჟამ ოფიციალურ ისტორიაზე მაღლა დააყენა[5].

ვაჟას მეორე ფელეტონში მოყვანილია ჭევსურის მიერ შესრულებული ერეკლეს ციკლის ლექსი. იქვე აწერილია ლექსის შესრულების გარემო. ეს ფელეტონი მეტად მნიშვნელოვანია საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის გასათვალისწინებლად[6].

შესანიშნავი წერილი „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“[7], რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჟას შემოქმედების შესასწავლად და საერთოდ ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის გასათვალისწინებლად, საისტორიო ნაწარმოებებსაც ეხება. ფოლკლორის ამ მდიდარ განყოფილებასაც შეეხება წერილში მოცემული თვალსაზრისი ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენების შესახებ. ამავე წერილში ვაჟას ხაზგასმული აქვს მისი ისტორიული და ესთეტიკური ინტერესი ხალხურ ნაწარმოებთა მიმართ. ასეთი ინტერესის მაჩვენებელია, სხვათა შორის, მისი სიტყვები ბახტრიონის აღების ციკლის ლექსების მიმართ: „ჩემზე ეს ზემორე აღნიშნული ხალხური ლექს-თქმულებანი მოქმედობდა განსაკუთრებით „ბახტრიონის“ წერაში და არა რომელიმე მწიგნობრული ამბები“[8].

---

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერ. განყოფ. S — № 5317.

[2] კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., №№ 21, 22, 23. გადაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა III ტომში, გვ 453 — 457.

[3] საქ მუზ ხელნაწ. განყ. S — № 5317.

[4] იქვე; ვაჟა-ფშაველა, ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი („ივერია“, 1902, № 196); მისივე, თიანური ფელეტონი („ივერია“, 1901, № 263).

[5] ვაჟა-ფშაველა, ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი („ივერია“, 1902, № 196).

[6] თიანური ფელეტონი, „ივ.“, 1901, № 263.

[7] ვაჟა-ფშაველა, თხზულ., ტ. III, გვ. 453 — 457.

[8] იქვე, გვ. 455.

ფოლკლორისა და კერძოდ საისტორიო ნაწარმოებებისადმი ვაჟას განსაკუთრებული ინტერესის ასახსნელად მეტად საგულისხმოა ამავე წერილიდან მისი სიტყვები: „თუ მე ნიჭი მაქვს ჭეშმარიტი შეხედულებისა, უეჭველად წარსულის და აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მოძავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია, ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამს, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“.

— იქნება ვგულისხმობდე. — ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, დაინიჭა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მკერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მჭონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი...

ხოლო თავისუფლება ისეთი მცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება[1]. ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ვაჟას მოღვაწეობა საერთოდ და კერძოდ ფოლკლორისტიკაშიც ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული.

ვაჟას აღნიშნული აქვს ხალხური შემოქმედების მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან[2]. ვაჟამ სიტყვიერი ხელოვნების ეს სახე განსაზღვრა, როგორც „ხალხის აზრის“ გამომხატველი[3], და ამით ნათლად გამოხატა რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისი მხატვრულ შემოქმედებაზე[4].

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნ. ხიზანაშვილმა

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. III, გვ. 457.

[2] გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, („ივ.“, 1889, № 7). ფშაველი დედაკაცის ჰდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით („ივერია“, 1889, № 201).

[3] იქვე.

[4] ქს. სიხარულიძე, „ვაჟა-ფშაველა და ქართული ფოლკლორისტიკა“, „ლიტერატურული ძიებანი“, III, გვ. 189—202.

(ურბნელმა). მშობლიური ხალხური სიტყვიერება საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოსულმა ნ. ხიზანაშვილმა მაღალი იდეალების მატარებელ მოწინავე ინტელიგენტებთან ერთად თავის საზრუნავ საგნად გაიხადა[1]. ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ ნაწერებში ძირითადად იგი ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებას შეეხო. ვრცელი მოცულობის ეთნოგრაფიულ წერილში „ფშავ-ხევსურეთი“, ნ. ხიზანაშვილს მოყვანილი აქვს ზურაბ ერისთავის ციკლის ლექსები. მას აღნიშნული აქვს ამ საისტორიო ლექსებში ასახული თავისუფლების მოტრფიალე ხევსურთა სიამაყის გრძნობა[2]. პ. უმიკაშვილის მიმართ წერილში „ხევსურულ პოეზიაზედ“ ნ. ხიზანაშვილმა რატომღაც უარყო ხევსურული პოეზიის ისტორიული ღირებულება: „რადგანაც ძველი ხევსურული პოეზია ერთსა და იმავე საგანს დასტრიალებს და მისი შინაარსი მეტად ვიწრო წრეშია მოთავსებული, ამიტომ საისტორიო თუ სხვაგვარ მასალას ამ პოეზიაში ვერ იპოვნით...“

არც ისტორიულ ლექსებშია რაიმე გამოსადეგი მასალა. პირველად ისაა, რომ ამ ლექსებში ისტორიული ამბავი მოკლედ არის მოხსენებული და თითქმის მთელი ადგილი გმირების სახელებს უჭირავს; მეორედ—ერთი და იგივე ლექსის შინაარსი გადასხვაფერებულია, გარყვნილია“[3]. ნ. ხიზანაშვილის მოსაზრებით ხევსურულ პოეზიას ისიც უკარგავს ისტორიულ ღირებულებას, რომ მასში მეკობარი და ასპინძის ველზე მებრძოლი თანაბრად არიან შექებულნი[4]. ასპინძის ომზე ნათქვამი შესანიშნავი ლექსები ნ. ხიზანაშვილის მოსაზრებით ხევსურთა ტრაბახობისა და ბაქიაობის წიმუშებია[5]. ამავე წერილში ნ. ხიზანაშვილმა უარყო ხევსურების შემოქმედებითი ნიჭი. ხევსურული საგმირო-საისტორიო ლექსების შედარებანი და ეპითეტები მან მდარე ხარისხის პოეტურ ხერხებად მიიჩნია[6]. მისი მოსაზრებით ასეთი პოეტური ხერხებით ხევსურები აზვიადებენ მოვლენებს და უკარგავენ ლექსებს ისტორიულ ღირებულებას: „ხევსურულ პოეზიაში ამ გაზვიადებას მთლად დაუჩრდილავს სიმღერის შინაარსი. აიღეთ თუნდა რომელიმე ლექსი ზურაბ ერისთავის შვილზედ. მოგეხსენებათ, რომ ამ

---

[1] ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას წინასიტყვაობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1940, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 33 და 50.
[3] იქვე, გვ. 118.
[4] იქვე, გვ. 113.
[5] იქვე, გვ. 115—116.
[6] იქვე, გვ. 116—117.

ჭურაბმა დიდი სახსოვარი დასტოვა მთაში. იგი ლამობდა მთის დამოარჩილებას, დამონავებას და ლაღი მთიელი ხომ ამას არ იკადრებდა. რამდენჯერმე მოხდა მკაცრი ბრძოლა, სისხლის ღვრა. ამ ბრძოლის აღწერას რომ დააკვირდეთ და აიღოთ ხევსურული სიმღერა, თუნდა საუკეთესოც, თითქმის მარტო იმას შეიტყობთ, რომ ამან ბასრი ხმალი მოიქნია და იმან კიდევ შავარდენსავით მხარი გაშალაო“ [1]. ნ. ხიზანაშვილს საერთოდ ასეთი მცადრი თვალსაზრისი არ გააჩნია საისტორიო ნაწარმოებთა და კერძოდ ხევსურული პოეზიის ისტორიული ღირებულების შესახებ. ზემოთ დასახელებულ ეთნოგრაფიულ წერილში „ფშავ-ხევსურეთი“, გარკვეული ისტორიული ღირებულების გამო აქვს გამოყენებული ზურაბ ერისთავის ციკლის ლექსები. გარდა ამისა, ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით განიხილა მან ბახტრიონის აღებისა და ზურაბ ერისთავის ციკლების ლექსები საინტერესო წერილებში: „ზეზვა და ბახტრიონის ციხე“ [2] და „ისტორიული ქვალი სახალხო პოეზიისა“ [3]. ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებთა დიდი ისტორიული ღირებულება ნიკო ხიზანაშვილს აღნიშნული აქვს წერილის ქვესათაურშიც: „ნაწყვეტი ჩვენის ისტორიისა“. ნ. ხიზანაშვილს უმართებულოდ მიაჩნია პროფ. ალ. ხახანაშვილის მოსაზრება, თითქოს თუშური გადმოცემა ბახტრიონის აღებაზე XV საუკუნეზე ადრე იყოს შექმნილი [4]. ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებთა ისტორიულ ფონზე განხილვით ნ. ხიზანაშვილმა გააბათილა ასეთი მოსაზრება. ამავე წერილში ნიკო ხიზანაშვილმა ლექსები და გადმოცემები ზეზვა გაფრინდაულის შესახებ ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით მატიანეზე მაღლა დააყენა: „ჩვენი მატიანე არ იხსენიებს ზეზვას, მაგრამ ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატიანეა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“ [5]. მეორე წერილის სათაურშივე ხაზგასმულია ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებთა დიდი ისტორიული ღირებულება. ამ წერილშიაც მთის პოეზიის ნიმუშები განხილულია ისტორიულ ფონზე. ამ შემთხვევაშიც ნ. ხიზანაშვილს აღნიშნული აქვს ზეპირსიტყვიე-

---

[1] ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული წერილები, მასალ. საქ. ეთნოგრ., II, თბ. 1940, გვ. 117.

[2] იქვე, გვ. 119—127.

[3] იქვე, გვ. 128—140.

[4] ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის აღება, „ივერია“, 1888, № 220.

[5] ნ. ხიზანაშვილი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 126.

რების უპირატესობა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებთან შედარებით[1]. ნ. ხიზანაშვილს შეგნებული აქვს საისტორიო ნაწარმოებთა ვარიანტების შედარების მნიშვნელობა. ახალგაზრდა ალ. ხახანაშვილს საპასუხო წერილში „ზეზვა და ბახტრიონის ციხე“ უსაყვედურა საისტორიო ნაწარმოებთა ვარიანტების გაუთვალისწინებლობა. თუმცა თითონ ნ. ხიზანაშვილმა დაუშვა ამ მხრივ შეცდომა, როდესაც იმავე წერილში ალ. ხახანაშვილის მიმართ გამოთქვა საყვედური გადმოცემის უცვლელად ჩაწერის გამო[2].

მიუხედავად ზოგიერთი არასწორი მოსაზრებისა, ნ. ხიზანაშვილი ხალხური სიტყვიერების შესწავლის საქმეში ისევე, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა სფეროში, ღირსეული წარმომადგენელია მისი დროის ქართული ინტელიგენციის პროგრესული ნაწილისა.

საისტორიო ნაწარმოებთა ფიქსაციის თვალსაზრისით საინტერესოა დიმიტრი ჯანაშვილის წერილი „ისტორიული სურათები“. იგი შეიცავს ქართლურს გადმოცემებსა და ლექსებს ერეკლე მეორის თანამედროვე სახალხო გმირი ქალების — მაია წყნეთელის, თინა წავკისელისა და თამრო ვაშლოვანელის შესახებ. იქვე მოყვანილია გადმოცემა პატრიოტ ქიზიყელ ქალზე[3]. როგორც წერილის სათაურიდან ჩანს, დიმიტრი ჯანაშვილი აღნიშნულ ნაწარმოებებს ეხება, როგორც ისტორიის შესასწავლ მასალებს. მიუხედავად მისი ასეთი ინტერესისა, წერილი შეიცავს საინტერესო ცნობებს დასახელებულ ნაწარმოებთა წარმოშობისა და ტრადიციის შესახებ.

საისტორიო ნაწარმოებთა ფიქსაცია-პუბლიკაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა. მის შესანიშნავ სახელმძღვანელოებში ხალხური სიტყვიერების სხვა დარგის ნიმუშებს გარდა შეტანილია საისტორიო ნაწარმოებებიც[4]. იაკობ გოგებაშვილი პროგრესული იდეების დანერგვის მიზნით მოხდენილად იყენებდა სა-

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, იქვე 129—130.

[2] ზეზვა და ბახტრიონის ციხე, იქვე, გვ. 126.

[3] დიმიტრი ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, („ივერია“, 1892 წ., № 12, გვ. 76—90).

[4] ბუნების კარი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, მეხუთე გამოცემა, თბ., 1685, გვ. 342; დედა-ენა, ნ. II, 1907, გვ. 239.

სტორიო ნაწარმოებებს. ამის ნიმუშია პატრიოტულ გადმოცემაზე აგებული მისი შესანიშნავი მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები ფიქსირებული და განხილული აქვს ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს. ნაწილი მის მიერ ჩაწერილი მასალებისა ცალკეა დაბეჭდილი[1]. ნაწილი — კი მეტანილია მის ნაშრომებში საქართველოს ისტორიის შესახებ[2]. ზეპირ ნაწარმოებს მოსე ჯანაშვილი იყენებდა, როგორც ერთ-ერთ ისტორიულ წყაროს. წერილში „ქართველთა მატიანე“ მას „ქართლის ცხოვრების“ ცნობების საილუსტრაციოდ მოყვანილი აქვს სხვადასხვა ციკლის საისტორიო ნაწარმოებნი[3]. ამ წერილში მოსე ჯანაშვილს ხაზგასმით აქვს აღნიშნული ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებთა დიდი ისტორიული ღირებულება: „ქართლის ცხოვრება ამ მტარვალების (ნუგზარ და ზურაბ ერისთავების, ქ. ს.) შესახებ ისე დაწვრილებით არ ლაპარაკობს, როგორც თჳით ხალხი. ფშავ-ხევსურთ ზეპირი გადმოცემა საესეა ამ მამულისა და სამშობლოს მოღალატე კაცების ამბებით“[4]. იქვე მ. ჯანაშვილს მითითებული აქვს ნ. ხიზანაშვილის წერილზე ამ ციკლის შესახებ, რასაც „შვენიერ გამოკვლევას“ უწოდებს[5].

საისტორიო ნაწარმოებთა ფიქსაცია-განხილვისას მ. ჯანაშვილს აღნიშნული აქვს ანაქრონიზმებისა და კონტამინაცია-იქლიზაციის მოვლენები და მათი ისტორიული თუ ფსიქოლოგიური საფუძვლები. ასე, მაგალითად, გავრცელებული სიმღერის „თამარ მეფე და ხონთქარი“-ს შესახებ მ. ჯანაშვილი წერს: „ლექსში მოთხრობილია თამარ მეფეს მიერ ტრაპიზონის არემარის დაპერის

---

[1] ფერია, დედოფალი საქართველოისა, („საქართველოს კალენდარი“, 1890 წ., გვ. 414 — 417); თამარ დედოფალი, („ივერია“, 1890 წ., № 119); თამარ დედოფალი და ალექსანდრე მაკედონელი, („ძველი საქართველო“, ტ. II, განყოფ. მეოთხე, გვ. 218).

[2] მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე („მოამბე“, 1903 წ., № 4); მისივე, საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, თბ., 1894 წ., გვ. 44; მისივე, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1906, გვ. 208 და 222—223; მისივე, თამარ მეფე, გვ. 109.

[3] მოსე ჯანაშვილს ხალხური ლექსების ნიმუშებად მოუყვანია აგრეთვე არსენ იყალთოელის „როს ნაპარმაგევს“ და იოს. დავითაშვილის „საქართველოს დედოფალი“.

[4] „მოამბე“, 1903, № 4, გვ. 72.

[5] იქვე, გვ. 73.

ამბავი, გარნა კეისრის მაგიერ ხალხს უხმარია ხონთქარი"[1]; ინგილოური ლეგენდის მიმართ, რომლითაც შაჰ-აბასი თამარ მეფის წინააღმდეგეა, მ. ჯანაშვილს აღნიშნული აქვს: „ხალხის ფანტაზიას, როგორც ვხედავთ ამ მოხრობიდამ, შაჰ-აბაზი, რომელიც წეფობდა მე-17 საუკუნეში, მაშინდელ კაცად მიუჩნევია, როცა თამარი მეფობდა (1187—1212 წ.). მოთხრობა საყურადღებო უფრო იმითია, რომ გვიჩვენებს დიდს ბრძოლას ქართველებისა და შაჰ-აბაზისას"[2]. მოსე ჯანაშვილს აღნიშნული აქვს აგრეთვე ციკლიზაციის წესით ერთი და იმავე ლეგენდის დაკავშირება ალექსანდრე მაკედონელისა და თამარ მეფის სასელებთან[3].

მოსე ჯანაშვილის მოსაზრებანი სხვადასხვა ციკლის ნაწარმოებთა შესახებ საყურადღებოა მათი რეალური საფუძვლისა და ტრადიციის საკითხების გასათვალისწინებლად.

ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა და შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდეს გასული საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მწერლებმა, ისტორიკოსებმა და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ ხისტემური მეცნიერული შესწავლის საგნად იგი პროფ. ალ. ხახანაშვილმა აქცია. ხალხური სიტყვიერების სხვა დარგის ნაწარმოებებთან ერთად, მის ნაშრომებში მოცემულია ვრცელი მსჯელობანი და ჩამოყალიბებული მოსაზრებანი საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ. ალ. ხახანაშვილი მხოლოდ კაბინეტში არ სწავლობდა ზეპირსიტყვიერებას. მას მეცნიერულ მოღვაწეობაში სათანადო ადგილი ეჭირა საველე მუშაობას. ცნობილია უშუალოდ მის მიერ ჩაწერილი საისტორიო ტექსტებიც. ალ. ხახანაშვილის მიერ უნდა იყოს ჩაწერილი ეპიური ციკლის ნაწარმოებების („ტარიელიანის" და „ამირანიანის") ფრაგმენტებთან ერთად საქართველოდან ჩრდილო-კავკასიაში გატანილი ლექსი ერეკლე მეორის მიერ ახატ-ხანის დამარცხებაზე[4]. ალ. ხახანაშვილმა ჩაიწერა და გამოაქვეყნა თუშური გადმოცემა და ლექსი ბახტრიონის აღების ციკლისა[5]. საკუთარი ჩანა-

---

[1] „ბოამბე", 1903, № 4, გვ. 66.

[2] ე ს ო მ, ფერია, დედოფალი საქართველოისა, „საქართველოს კალენდარი", 1990 წ., გვ 417.

[3] ესომ, თამარ დედოფალი („ივერია", 1890, № 19; „ძველი საქართველო", ტ. II, განყ 4, გვ. 219).

[4] ყიბლარი, („ივერია", 1888 წ., № 131).

[5] „ივერია", 1858 წ., № 220.

წერები საისტორიო ნაწარმოებთა საკმაო რაოდენობით გამოიყენა მან კაპიტალურ ნაშრომში[1]. მის მიერ ჩაწერილ ტექსტებს გააჩნიათ სათანადო „პასპორტი" — ცნობები მთქმელების, ჩაწერის ადგილისა და, ზოგ შემთხვევაში, ჩაწერის დროს შესახებაც. ალ. ხახანაშვილის შესედულებებს საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ ვეცნობით, როგორც პერიოდიკის ფურცლებზე გამოქვეყნებულს წერილებისა და ფელეტონების საშუალებით, ისე — დასახელებულ კაპიტალურ ნაშრომში ხალხური სიტყვიერების შესახებ.

ალ. ხახანაშვილმა რომანტიკულ-მითოლოგიური სკოლის ერთგვარი გავლენით ხალხური სიტყვიერების განვითარებაში აღნიშნა სამი პერიოდი: მითიური, გმირული და ისტორიული. საისტორიო ნაწარმოები მან უკანასკნელ პერიოდში შექმნილად მიიჩნია. მისი სიტყვებით: „მითიურ და გმირულ შინაარსის მოთხრობანი შეიცვალნენ ისტორიულ ლექსებად"[2].

ალ. ხახანაშვილს მოცემული აქვს სხვადასხვა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებთა განსაზღვრა. მისი განმარტებით: „საგას უწოდებენ ისეთ გარდმოცემას, რომლის ფესვი ისტორიული ფაქტია, მაგრამ გადმოცემით განდიდებული, გალამაზებული, გაზვიადებული. საგა ფაქტია, მაგრამ ხშირად იმოსება სასწაულთა თვისებებით". საგის ნიმუშებად ქართული სინამდვილიდან იქვე დასახელებული აქვს „ქართლის ცხოვრების" ცნობები ფარნაოზისა და მირიან მეფეების შესახებ[3]. ალ. ხახანაშვილი ამ ფოლკლორულ ჟანრს იმით ასხვავებს მითისაგან, რომ მასში „დაფარულია ნამდვილი ისტორიული ამბავი". ამიტომ იგი არის „საერო პოლიტიკური გარდმოცემა"[4]. საგისა და სხვა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებთა განმარტება ალ. ხახანაშვილს მოცემული აქვს აგრეთვე ხალხური სიტყვიერების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. მისი კლასიფიკაციით „ხალხის სიტყვიერების ქმნილებას ეკუთვნიან: 1. — ზღაპრები, საგები და ლეგენდები; 2. — გამოცანები; 3. — იგავები და არაკები; 4. — შელოცვანი;

---

[1] А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, Выпуск первый, М. 1895, стр. 61—62 и 231—304.

[2] ალ. ხახანაშვილი, საერო პოეზია („მოამბე", 1894, № 10, გვ. 56 — 58).

[3] ალ. ხახანაშვილი, კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში" („ივერია", 1868, № 218).

[4] ალ. ხახანაშვილი, საერო პოეზია, („მოამბე", 1894, № 10).

5. — გარდაცვლანი და 6. — ლექსები“ [1]. საისტორიო ნაწარმოებთა ჟანრები ამ კლასიფიკაციით შესულია სხვადასხვა ჯგუფში. ალ. ხახანაშვილის განმარტებით პირველი ჯგუფის ნაწარმოებნი (რომელშიაც საგები და ლეგენდები შედიან) „გვიხსნიან ერის ფანტაზიას“; მეხუთე ჯგუფისა (შეიცავს გადმოცემებს) „გვიხსნის მეხსიერებას“ და მეექვსე—კი (შეიცავს ლექსებს)—„უმთავრესად გრძნობას“ [2]. ამგვარად, ალ. ხახანაშვილის განმარტებაში ხაზგასმულია საგების, ლეგენდებისა და გადმოცემების სპეციფიკა. რაც შეეხება ლექსების განმარტებას, თუ მასში იგი მხოლოდ ლირიკის ნიმუშებს არ გულისხმობდა, არ არის ზუსტი. საისტორიო ლექსები გრძნობასთან ერთად ხალხის მეხსიერებასა და ფანტაზიასაც გვიხსნიან.

ალ. ხახანაშვილი იძლევა გეოგრაფიულ სახელწოდებებთან დაკავშირებული ნაწარმოებების განმარტებას [3].

ალ. ხახანაშვილმა გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა წერილი „ქვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში“. იგი დაწერილია პროფ. პატკანოვის საპასუხოდ. პატკანოვმა „ქართლის ცხოვრებაში“ დაინახა სომხური გავლენის ქვალი და უარყო ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიული ღირებულება.

თავის პოლემიკურ წერილში ალ. ხახანაშვილმა დასვა კითხვა: „შეიძლება თუ არა ერის მეხსიერებამ დაიცვას ამბავი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, გადასცეს შთამომავლობას ისტორიული ამბავი ფანტაზიით გაზვიადებული და განდიდებული“. პროფ. პატკანოვის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მან ამ კითხვას დადებითად უპასუხა: „ერის მეხსიერებას შეუძლიან დაიცვას დიდი ხნის განმავლობაში საერო ტრადიცია, წინაპართა შესახებ შესანიშნავი ამბავი და მკრთალი წარმოდგენა მაინც იქონიოს იმათის მოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ“ [4]. ალ. ხახანაშვილი პროფ. პატკანოვის დებულებას უპირისპირებს ვს. მილერის მოსაზრებას „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ზეპირგადმოცემების ისტორიული ღირებულების შესახებ [5]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი

---

[1] ალ. ხახანაშვილი, საერო პოეზია, „მოამბე“, 1894, № 10.

[2] იქვე.

[3] ქვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“ („ივერია“, 1888, № 214).

[4] იქვე, № 242.

[5] იქვე, № 156.

ისტორიული სკოლის მიმდევარი იყოს. ალ ხახანაშვილს გათვალისწინებული აქვს ზეპირი ნაწარმოების ბუნება და მას ისტორიულ დოკუმენტთან არ აიგივეებს. ეს ნათლად ჩანს მისი წერილის დასაწყისიდან [1].

ხალხური ლექსების სოციალური ფუნქციისა და მათი ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით საყურადღებოა ამავე წერილის დასკვნითი ლებულება: „ჩვენს ერს ყოველთვის დიდი ნიჭი გამოუჩენია ლექსების თქმაში და, მაშასადამე, უადგილოა ეჭვი და უარყოფა საერო პოეზიისა და ტრადიციისა „ქართლის ცხოვრებაში“ [2].

ალ. ხახანაშვილი საისტორიო ნაწარმოებთა პატრიოტულ ფუნქციას მათი დიდი ისტორიული ღირებულებით ხსნის. ხალხური პოეზიის ისტორიული და კულტურული ბეჭდვითობის აღნიშვნისას საისტორიო ლექსები მან ასე დაახასიათა: „საერო ლექსები ისტორიული შინაარსით ხალხისთვის არის უკეთესი ისტორიული სახელმძღვანელო და ამიტომაც იგი არის უსაჭიროესი საშუალება ნაციონალური გრძნობის გასამტკიცებლად“ [3].

ალ. ხახანაშვილი შეეხო საისტორიო-სამგლოვიარო პოეზიასაც. მან აღნიშნა გარდაცვლილ მეფეთა და მოღვაწეთა შესახებ ხალხში დარჩენილ ქებათა და გლოვათა დიდი ისტორიული ღირებულება. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული „მგოსანნი გლოვისანი“ მისი აზრით ქმნიდნენ რომაული neniae[4]-ს მსგავს ნაწარმოებებს: „სჩანს გლოვა ლექსად იყო ნათქვამი, როგორც neniae და ამით ადვილდებოდა მისი დახსომება და შთამომავლობისათვის შეუცვლელად გარდაცემა“ [4]. ალ. ხახანაშვილი რომ გაცნობილი ყოფილყო ხევსურული ხძით ნატირალის ტექსტებს, რომელნიც ხშირად მთიბლურ სიმღერადაც კი არის გამოყენებული, უფრო გაბედულ დებულებას წამოაყენებდა გლოვის ტექსტების ლექსითს ფორმაზე.

ალ. ხახანაშვილის ნაშრომებში ფაქტიური მასალების მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე მოცემულია საინტერესო თვალსაზრისი საისტორიო ნაწარმოებთა მნიშვნელოვან საკითხებზე. ალ. ხახანაშვილმა პატარა, საყურადღებო წერილი მიუძღვნა მის მიერ ჩაწერილს ბახტრიონის ციკლის თუშურ გადმოცემასა და ლექსს. გადმოცემა, რომლითაც თუშ-ფშაე-ხევსურებმა ამოქლიტეს თათ-

---

[1] კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“ („ივერია“ 1888, № 135).

[2] იქვე, № 242.

[3] ალ. ხახანაშვილი, საერო პოეზია, მოამბე, 1894, № 10.

[4] იქვე, № 242.

რები მონადირეთა შეურაცხყოფის გამო, ალ. ხახანაშვილმა მიიჩნია XV საუკუნეზე ადრე შექმნილად და შემდეგ გაახლებულად ხალხის წარმოდგენაში[1]. ნ. ხიზანაშვილმა მართებულად გააკრიტიკა ალ. ხახანაშვილის მოსაზრება ღნიშნული გადმოცემის შექმნაზე და დაუკავშირა იგი შაჰ-აბას მეორის დაპყრობითს პოლიტიკას[2]. ნაწარმოებთა პირველი, რეალური საფუძვლის მცდარი ახსნის მიუხედავად, ალ. ხახანაშვილის მოსაზრება კონტამინაცია-ციკლიზაციის მოვლენების შესახებ ბისაღებია.

ფაქტიური მასალების მიმოხილვის საფუძველზე საისტორიო ნაწარმოებთა საკითხების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ვრცელი ნაშრომის „Очерки по истории грузинской словесности“-ს პირველი ნაწილი. ამ ნაშრომში განხილულია ვახტანგ გორგასლის[3], თამარ მეფის[4], შაჰ-აბასის[5], ზურაბ ერისთავის[6] და ერეკლე მეორის[7] ციკლების ნაწარმოებნი. თავისი ნაშრომი ალ ხახანაშვილს დაყოფილი აქვს ხალხური და წიგნური სიტყვიერების განყოფილებებად. ხალხური სიტყვიერების განყოფილებაში საისტორიო ნაწარმოებებიდან განხილულია ლექსები და ანდაზები. ბათთან ერთად გაკვრითაა მოხსენებული მხოლოდ ორიოდე თქმულება თამარ მეფის შესახებ[8]. პროზაული ჟანრის ნაწარმოებნი სათაურით „საისტორიო ლეგენდები“ განხილულია წიგნური სიტყვიერების განყოფილებაში, მაშინ როდესაც მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იქნება ლიტერატურული წარმოშობისა.

აღნიშნულ ნაშრომში ალ. ხახანაშვილი დიდ ადგილს უთმობს ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემას. აქ მაინც საკმაო მასალებია საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ მის თეორიულ მოსაზრებათა გასათვალისწინებლად.

---

[1] ალ. ხახანაშვილი. ბახტრიონის აღება („ივერია“, 1880 წ., № 220)

[2] ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი). ბუზუა და ბახტრიონის ციხე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. II. გვ. 119 — 127.

[3] А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Вып. первый, М. 1895, стр. 61, 294 — 295.

[4] იქვე, გვ. 58 — 63 და 281 — 292.

[5] იქვე, გვ. 299 — 302.

[6] იქვე, გვ. 62.

[7] იქვე, 59 — 61 და 353. ალ. ხახანაშვილს ხალხურად მიაჩნია გ. ფირალიშვილის ხელმოწერილი ლექსი „აღსდეგ, გმირთ გმირო, ნუ გძინავს“, (იქვე, გვ. 59).

[8] Оч., გვ. 61.

ალ. ხახანაშვილის განმარტებით „В исторических песнях воспевается преимущественно царица Тамара и царь Ираклий“ [1]. ასეთი განმარტებით უგულებელყოფილია ქართული ფოლკლორის ამ სპეციფიკური განყოფილების ციკლობრივი და თემატიკური მრავალფეროვნება. ბატონყმობის ამსახველი ნაწარმოებნი, მათ შორის ჩვენი საკვლევი ციკლებიდან ლექსები ზურაბ ერისთავისა და მის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე, ან კიდევ თვით ერეკლე მეორის ციკლიდან ნაწარმოებნი, რომელთა ძირითადი საგნები ერეკლეს თანამედროვე გმირებია და მრ. სხვა, ალ. ხახანაშვილის განმარტებით უგულებელყოფილია. ქართული საისტორიო ლექსების თემატიკაზე ალ. ხახანაშვილის ასეთი შეხედულებით უნდა აიხსნას მის ნაშრომში განსაკუთრებით ერცლად მიმოხილვა თამარ მეფისა და ერეკლე მეორის ციკლების ნაწარმოებებისა.

ხალხური ნაწარმოების ავტორების საკითხში ალ. ხახანაშვილმა გაიმეორა რომანტიკულ-მითოლოგიური სკოლის დებულება. სიტყვიერი ხელოვნების ამ სახის ნაწარმოებს მისი სიტყვებით „ერთპიროვანი ავტორი არასოდეს არ ჰყოლია“ [2]. პრაქტიკული საქმიანობით იგი ამავე საკითხს სულ სხვა პრინციპით უდგებოდა. მან სავსებით გაამართლა ზემოაღნიშნული, ხალხური სიტყვიერების შეკრების პროგრამის მოთხოვნილება მთქმელების საკითხისადმი სერიოზული მოპყრობით. საისტორიო ნაწარმოებთა მიმოხილვისას მას ხშირად მოხსენებული ყავს მთქმელი. ზოგ შემთხვევაში მათი პროფესია და სადაურობაც კი არის აღნიშნული [3]. ალ. ხახანაშვილს აქვს ცდა ლექსის შემქმნელის, პირველი ავტორ-მთქმელის ვინაობის გარკვევისაც. ამ მხრივ საინტერესოა მისი მოსაზრება ერეკლეს გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსის „ვერ გაიგეთა ქართველნო“-ს ავტორზე: „Песня эта сложена женщиной, потому что она оканчивается таким восклицанием: „О, если б я была мужчиною, то одевась бы в кольчугу и первая вонзила бы кинжал в сердце ненавистного врага“ [4]. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არ მივიღოთ ალ. ხახანაშვილის მოსაზრება, მაგრამ იგი მაჩვენებელია ხალხური ნაწარმოების ავტორობის საკითხისადმი

---

[1] Оч., I, გვ. 58.

[2] ალ. ხახანაშვილი, საერო პოეზია, „მოამბე“, 1894, № 10, გვ. 59.

[3] იხ. Оч., I, გვ. 252, 286; ბახტრიონის აღება, („ივ.“, 1888, № 220); ყიზლარი, („ივ.“, 1888, № 131) და სხ.

[4] Оч., I, გვ. 59.

მისი სერიოზული დამოკიდებულებისა. ალ. ხახანაშვილი ხალხური ნაწარმოების ავტორობის საკითხში ფაქტიური მასალების შეკრებისა და მიმოხილვის დროს საესებით ეწინააღმდეგებოდა მის მიერ თეორიულად აღიარებულს რომანტიულ-მითოლოგიური სკოლის დებულებას.

ალ. ხახანაშვილს ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებული აქვს საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძველი. ბატონყმობის ახსახველი ლექსების შესახებ ზოგადი მსჯელობისას მას აღნიშნული აქვს მათი ისტორიული ფონი [1]. მას აღნიშნული აქვს აგრეთვე თურქეთის მიერ ახალციხის შევიწროებასა და ასპინძის ომზე შექმნილი ლექსების რეალური საფუძველი [2].

ალ. ხახანაშვილს ზოგჯერ გაუთვალისწინებია საისტორიო ნაწარმოებთა კონტამინაციის, ციკლიზაციისა და ანაქრონიზმების მოვლენებიც [3].

ალ. ხახანაშვილი შეეხო საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციის საკითხსაც. ხალხური სიტყვიერების წარმოშობისა და განვითარების შესახებ დაწერილ წერილში მან აღნიშნა საისტორიო ნაწარმოებთა ფართო გავრცელება საქართველოში [4]. ხალხური სიტყვიერების ჟანრების სისტემურად განხილვისას ხაზი გაუსვა თამარის ციკლის ნაწარმოებთა ძლიერ ტრადიციას საქართველოში [5].

ალ. ხახანაშვილის კვლევის არეში მნიშვნელოვანია ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები [6]. საისტორიო ნაწარმოებთა მიმართ აღსანიშნავია მისი მოსაზრება ცნობილი რუსი პოეტის ლერმონტოვის ბალადის „თამარის" ფოლკლორული წყაროს შესახებ. ბალადის ადრესატად მან თამარ მეფე მიიჩნია, წყაროდ კი რომელიმე კავკასიური ლეგენდა დიდებულ მეფე ქალზე. მან ეს მოსაზრება პირველად ცალკე წერილში გამოთქვა [7] და შემ-

---

[1] Оч., I, გვ. 62.

[2] იქვე. გვ. 59 — 60

[3] Оч., I. გვ. 287—288. 290—291.

[4] საერო პოეზია, „მოამბე", 18 [illegible], № 10, გვ. 58.
Оч., I, გვ. 61—62.

[5] იხ. მისი „ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი" და „შოთას ვეფხისტყაოსანი", („ივერია" 1890, № 25). ფირდოუსის შაჰნამესა და ქართ. „როსტომიანის" ურთიერთობის შესახებ. იხ. მისი „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში". („ივ[illegible]", 1888).

[6] А. Хаханов, Месхи, „Этнографическое обозрение", кн. X, стр. 36—37.

დეგ თავის კურსშიც გაიმეორა[1]. ალ. ხახანაშვილმა აღნიშნა თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდური მესტვირული სიმღერის გადამუშავება პოეტ ვ. ველიჩკოს მიერ[2]. ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მისი ვარაუდი თამარის ციკლის ლეგენდაზე, რომლითაც მეფისწული მისმა საყვარელმა ნეგრმა დაატყვევა. ლეგენდის შინაარსის გადმოცემისას ალ. ხახანაშვილს ასე აქვს დასმული საკითხი: „Не послужила-ли настоящая легенда материалом отцу истории, Геродоту, когда я он писал свою историю о великом Кире, плепившем единственного сына массагетской царицы ТОМИРИСИ. Само имя „Томириса" очень напоминает грузинский родительный падеж имени „Тамары"—„Тамариса"[3].

ალ. ხახანაშვილს აღნიშნული და შედარებული აქვს საისტორიო ნაწარმოებთა ვარიანტები[4].

ალ. ხახანაშვილმა ხალხური სიტყვიერების შესახებ თეორიული მსჯელობისას ზოგ შემთხვევაში განიცადა რომანტიკულ-მითოლოგიური, სესხებისა და ანთროპოლოგიური თეორიების ერთგვარი გავლენა. მაგრამ იგი ამ თეორიების ტყვეობაში არ იმყოფებოდა. მან თავისი პრაქტიკული საქმიანობით საესებით გამოხატა მისი ეპოქის მოწინავე ინტელიგენციის სულისკვეთება.

საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-გამოქვეყნებითა და შესწავლით დაინტერესებული იყო ზაქარია ჭიჭინაძე. აღსანიშნავია მისი წიგნი „თამარ მეფე ზეპირის ამბებით". იგი მეტწილად შეიცავს ქართველი მაჰმადიანების თქმით ჩაწერილ თამარის ციკლის ნაწარმოებებს[5]. მასვე ზ. მთაწმინდელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული აქვს ერეკლეს ციკლის გადმოცემები[6].

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტები სტილიზირებულია. ხშირ შემთხვევაში ნაწარმოები შემოკლებითაც არის გადმოცემული. ზ. ჭიჭინაძეს მოცემული აქვს მეტად საინტერესო

---

[1] Оч. I, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 63.

[3] Оч., I, გვ. 287.

[4] იქვე, გვ. 63, 283—284, 289, 290, 302.

[5] ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ზეპირის ამბებით, მეოთხე გამოცემა, 1911 წ.

[6] გელა ნათელაშვილი, ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი, („დროება" 1878 წ., № 169); ირაკლი მეფის ბრძოლა ალა-მაჰმად-ხანის მოსვლის დროს საქართველოში („დროება", 1878 წ., № 190).

ცნობები საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციაზე, მათი შექმნისა და გავრცელების პირობებზე, ავტორ-მთქმელებსა და მთქმელებზე. სხვათა შორის მას მოხსენებული ყავს ქართველ მაჰმადიანებში გავრცელებული, თამარის ციკლის ლექსის („ათასი კაბა ყმა ბყავდა“) ავტორი, ქობულეთელი ბეჟანიძე. გადმოცემით იგი თაბარ მეფის მსახურთა შთამომავალი ყოფილა [1]. აღსანიშნავია აგრეთვე მის წიგნში ცალკე გამოყოფილი, მთქმელის ვასილ სიმონისძე თადეიშვილის რეპერტუარი. იგი შეიცავს ექვს ოსურ ლეგენდას თაბარ ბეფისა და დავით სოსლანის შესახებ [2]. მთქმელთა საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე მისი ცნობა გელა ნათელაშვილზე შექმნილი ლექსის ავტორის შესახებ [3].

ზ. ჭიჭინაძეს საისტორიო ნაწარმოებები გადმოცემული აქვს ისტორიულ ფონზე. ზოგ შემთხვევაში მას ვარიანტებს შორის არსებული განსხვავებაც აქვს აღნიშნული [4].

საისტორიო ნაწარმოებთა ისტორიოგრაფიაში აღსანიშნავია ივანე ბუქურაულის ჩაწერილი ბახტრიონის აღებისა და ერეკლე მეორის ციკლების თუშური ლექსები და გადმოცემები საინტერესო შენიშვნებითა და წინასიტყვაობით [5]. მას ჩაწერილი აქვს აგრეთვე ხევსურული ლექსებიც [6]. აღსანიშნავია აგრეთვე ზაქარია ბილანიშვილის ჩაწერილი შალვა ახალციხელისა და ერეკლე მეორის ციკლების კახური ლექსები. ზ. ბილანიშვილის ჩაწერილ ტექსტებს ახლავს შენიშვნები, რომლებშიც საინტერესო მასალებია საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციის გასათვალისწინებლად.

საისტორიო ციკლების ნაწარმოებები შეკრებილი და გამოქვეყნებული აქვთ გ. წერეთელს [7], გლეხ პოეტს იოსებ დავითაშვილს [8], იონა მეუნარგიას [9], თ. მაგმაძეს (ი. ჯუონია [10]), ზაქარია მაისურაძეს.

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ხეჯირის ამბებით, აღნიშნული გამოც., გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 42—47.

[3] „დროება“, 1878 წ., № 169.

[4] ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ხეჯირის ამბებით, გვ. 47—48.

[5] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ. გვ. 60—64; „ივერია“, 1895 წ., №№ 118, 119, 121, 122, 125.

[6] „მოამბე“, 1896 წ., № 11.

[7] „კვალი“, 1895 წ., № 24; საქართვ. ცენტრ. არქივი, გვ. 10, ფ. 114.

[8] „დროება“, 1878 წ., № 149, დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საკ. მუზ. II—1993.

[9] იონა მეუნარგიას უსის წიგნი (იხ. „ნაკვეთები“, ამოკრებილი გახ. „ივერიიდან“ ს ცაიშვილის მიერ, თბ., 1938 წ., „ივერია“, 1890, № 255.

[10] „ძველი საქართველო“, ტ. II, გ-ნყ. 4. გვ. 36—46.

(შაქრო)[1], იური ყაზბეგს[2] და ქართული ფოლკლორის ცნობილ შემკრებლებს: სევასტი გაჩეჩილაძეს[3], ს. მერკვილაძეს[4], ვინმე მესხს[5], დ. ხიზანიშვილს[6], ალ. მირაქიშვილს[7], ნიკო ასათიანსა[8] და სხვებს.

ქართული ფოლკლორის ისტორიოგრაფიის მეორე პერიოდს ეკუთვნის სერგი გორგაძის ქრესტომათიის პირველი გამოცემა. მასში საისტორიო ნაწარმოებების პარალელურად მოყვანილია XIX საუკუნის ლიტერატურის ნიმუშები[9].

ამავე პერიოდს ეკუთვნის ვასილ ბარნოვის ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვ. პირველი. ხალხური სიტყვიერების შესწავლის საქმეში ვასილ ბარნოვმა მითოლოგიური თეორიის დიდი გავლენა განიცადა. ალ. ხახანაშვილის მსგავსად, საისტორიო ნაწარმოებები მან ხალხური სიტყვიერების განვითარების უკანასკნელ საფეხურზე შექმნილად მიიჩნია. მისი მოსაზრებით ხალხურ სიტყვიერებაში საისტორიო ნაწარმოებთა ორი ჯგუფია. პირველი ჯგუფის ნაწარმოებებში, რომელსაც იგი საეროს უწოდებს, გადმოცემულია ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ერეკლე მეორისა და სხვა ციკლების ნაწარმოებთა შინაარსი[10]. მეორე ჯგუფს იგი უწოდებს სამღვთოს და მის ნიშუშებად მოყვანილი აქვს არა საისტორიო, არამედ აპოკრიფული ლიტერატურიდან წარმოშობილი სასულიერო-რელიგიური ხასიათის ნაწარმოებნი. ასეთი გაიგივება საისტორიო და სასულიერო ტექსტებისა მიუღებელია ხალხური შემოქმედების მიმართ არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მაშინდელი თვალსაზრისითაც.

ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფიის მეორე პერიოდში აღსანიშნავია რუს და უცხო საზოგადო მოღვაწეთა

---

[1] „დროება", 1885 წ., № 25.

[2] „Московские ведомости", 1896, № 40.

[3] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ექ. თაყ-ს რედ., გვ. 6—9.

[4] „დროება", 1885, № 35. ინახ. ს ჯანაშიას სახელობის საქ. მუზ. ხელნაწ განყ. H—1994.

[5] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ექ. თაყ-ს რედ., გვ. 414—423.

[6] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, თბ. 1887.

[7] ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნ. განყ. H—1936; ფოლკლ. სექ. № 6281

[8] ხალხ. პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 130, ფოლკლ. სექც. №№ 3527, 5612. 5962, 6045, 6103.

[9] ს გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, 1915 წ.

[10] ვასილ ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვეული პირველი, თბ., 1919, გვ. 64—67.

ინტერესი საისტორიო ნაწარმოებებისადმი. მათი ყურადღების საგანი განსაკუთრებით თამარ მეფის ციკლის ლეგენდებია. სამხრეთ ოსეთში ჩაწერილი ამ ციკლის ერთი ლეგენდა გამოაქვეყნა ვს. ბილერმა[1]. ამავე ციკლის ოსური ლეგენდა ვრცელი შენიშვნებით გამოაქვეყნა აგრეთვე მასწავლებელმა ს. შულგინმა. მასვე ეკუთვნის ეახ ჯანგ გორგასლის ციკლის ლეგენდების საინტერესო შენიშვნები[2].

თამარ მეფის ციკლის ლეგენდებისადმი ინტერესის ზრდაში გარკვეული როლი ითამაშა მ. ლერმონტოვის ბალადამ „თამარი". ბალადის მიხედვით ციურ ანგელოზივით მშვენიერი და დემონივით ბოროტი თამარ მეფე, დარიალის ციხრო ხეობაზე გადაჭდგარ მაღალი კოშკის სარკმლიდან იზიდავდა მგზავრებს; ღამეებს ამ მგზავრებთან ატარებდა და განთიადისას კი მათ უსულო გვამებს ჭრელვარე თერგში ისროდა.

ამ ბალადის წყაროდ მიჩნეულ იქნა თამარ მეფის ციკლის კავკასიური ლეგენდა. თამარ მეფის შესახებ ასეთი შინაარსის ლეგენდის არსებობა პირველად, როგორც აღვნიშნეთ, ალ. ხახანაშვილმა იცარაუდა[3]. თამარ მეფის შესახებ ასეთი ლეგენდის არსებობას გულისხმობდა ვ. სვეტლოვი თავის „Ночи Тамары"-ს შექმნისას[4].

თამარ მეფის ციკლის ლეგენდის ფიქსაციისა და მისდამი ლიტერატურული ინტერესის თვალსაზრისით საინტერესოა ა. გრენის სტატია „В горах Дигорского ущелья (страницы из моих путевых записок)"[5]. ამ სტატიაში მოყვანილია ადგილობრივი სომეხი მეეტლის ნაამბობი ლეგენდა, რომლითაც თამარ მეფემ დარიალის კოშკში ჩაკეტა თავისი უზნეო და. ეს უზნეო ქალი კოშკში იზიდავდა მგზავრებს და ღუპავდა მათ. ამ ლეგენდის მიხედვით ქარის ღრიალი დარიალის ხეობაში ამ ქალისაგან წამებულ კავკასიელთა კვნესა-ტირილია. გრენი მის მიერ ჩაწერილი ლეგენდის ლერმონტოვის ბალადასთან დამოკიდებულების შესახებ წერს: „Я сейчас понял, что тут дело идет о той легенде, которую когда-то слышал

---

[1] Вс. Миллер, Осетинские этюди, часть III, Москва, 1887.

[2] Сборник материалов для описания мест. и пл. Кавказа, т. 27, отд. III.

[3] Эти. обозр., кн. X, стр. 36—37; Оч. I.

[4] В Светлов, Кавказские предания и легенды, СПБ, 1895, стр. 199—230.

[5] Газ. „Россия и Азия", 1897 г. от 7 окт.

Лермонтов и наложил ее стихами. Очевидно, только он ее не понял или передал по своему" [1].

თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებებია განხილული რუსულ ენაზე ზედიზედ გამოქვეყნებულ ორ წერილში: „Царица Тамара в народной легенде и у Лермонтова" [2] და „Еще о царице Тамаре" [3].

ალ. ხახანაშვილის ვარაუდის საფუძველზე, პირველ წერილში ლერმონტოვის ბალადის წყაროდ თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდა არის მიჩნეული. მსოფლიო ფოლკლორის ნიმუშების მიხედვით მოცემულია ცდა ლერმონტოვის ბალადისა და თამარის შესახებ არსებული ლეგენდების შინაარსებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა. მეორე წერილის მიხედვით ლერმონტოვის ბალადის წყაროდ მიჩნეულია ფრანგი მოგზაურის გამბას ნაშრომში გადმოცემული მოხეური ლეგენდა. ამ ლეგენდით დარიალის ძველი კოშკის მფლობელი თავადის ქალი დარია მგზავრებს აიძულებდა მისი სარეცლის გაზიარებას. შემდეგ კი, ვისაც სინანულს შენიშნავდა, თერგში ისროდა [4].

ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებთა ქართული და ოსური ვარიანტები სათანადო შენიშვნებით გადმოცემული აქვს ვ. ბ. პფაფს [5]. ამავე ციკლის, ნუზალის ეკლესიის წარწერად ცნობილ ლექსს თავის წერილში შეეხო ა. გოლოვინი [6].

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებისადმი ინტერესს იჩენდა პოტტო. პოტტოს ისტორიულ ფონზე გადმოცემული აქვს მის მიერ ჩაწერილი ორი ლეგენდა შაჰ-აბასის ციკლისა [7] და ერთიც ერეკლე მეორესი [8].

---

[1] Газ. „Россия и Азия". გრენის მიერ ფიქსირებული ლეგენდის შესატყვისი დასავლეთ საქართველოში ჩაწერილი ლეგენდის დასაწყისი ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწ. განყ. Н—№ 2004.

[2] Кавказ, 1898, №№ 6, 7.

[3] Кавказ, 1898, № 66.

[4] Gamba, Voyage dans la Russie meridionale, II, Paris, 1826, pp. 21 — 22

[5] Материалы для истории осетин, Сборник сведений о Кавк. горцах т. V, 1871, стр. 60.

[6] Топографическое и статистические заметки об Осетии, Кавк. календарь, 1854 г., стр. 450.

[7] Потто, Кавказская война, т. I, вып. I. стр. 245—246 и 255—261.

[8] Памятники времен утверждения русского владычества на Кавказе, под. ред. Потто, вып. I, Тифлис, 1906, стр. 74—75.

ერეკლე მეორის ციკლის ნაწარმოებებისადმი ისტორიული ინტერესი გამოიჩინა ს. ქიშმიშოვმა [1].

საბჭოთა პერიოდის პირველ წლებში დაიბეჭდა თედო ბეგიაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ და სერგი გორგაძის ქრესტომათიის „ჩვენი ძველი წერილობა და ხალხური პოეზიის“ მეოთხე შესწორებული გამოცემა. თედო ბეგიაშვილის წიგნის პირველ ნაწილში ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრისა და ვანყოფილებების მასალებთან ერთად განხილულია საისტორიო ნაწარმოებებიც [2]. ამ ნაშრომში თედო ბეგიაშვილი, ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისს იზიარებს. მისი მოსაზრებითაც საისტორიო ნაწარმოებნი ხალხური სიტყვიერების განვითარების უკანასკნელ საფეხურზეა შექმნილი.

ს. გორგაძის წიგნში ხალხური პოეზია სამ განყოფილებად არის წარმოდგენილი: 1. ბუნების კულტი და ცხოველთა ეპოსი; 2. საგმირო და საისტორიო; 3. ლირიკა. საისტორიო ნაწარმოებნი მის წიგნში საკმაო რაოდენობითაა შეტანილი [3]. მიუხედავად იმისა, რომ ს. გორგაძემ ერთ განყოფილებაში შეათავსა საგმირო და საისტორიო ნაწარმოებნი, მათ შორის მაინც გააელო გარკვეული ზღვარი. ამ მხრივ საინტერესოა მისი მოსაზრება არსენას ლექსის შესახებ: „საგმირო-ისტორიულ ნაწარმოებს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „არსენას ლექსი“ ანუ ვრცელი ხალხური პოემა არსენას შესახებ, რომელიც ეკუთვნის ბატონყმობის ხანის უკანასკნელ პერიოდს, ანუ მეცხრამეტე საუკუნის 30-ან წლებს. ამ პოემას უჭირავს შუა ადგილი საკუთრივ საისტორიო და საგმირო ნაწარმოებთა შორის, რისთვისაც ჩვენ მას ვათავსებთ ამ ორი ჯგუფის ნაწარმოებთა საზღვარზე“ [4]. მართალია, იმ ნაწარმოებთა დაყენება გარკვეულ ისტორიულ მოვლენასთან თუ პირთან, რომელსაც ს. გორგაძე საკუთრივ საგმიროს უწოდებს, მოუხერხებელია, მაგრამ მის მიერ საკუთრივ საისტორიოდ წოდებული ნაწარმოებნი საგმირო. ხასიათით არსენას ლექსისაგან არ განსხვავდებიან. ასეთებია ვახ-

---

[1] С. Кишмишев, Походы Надир-шаха в Герат, Кандагар. Индию, Тифлис, 1889.

[2] თედო ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1925, გვ. 81—96.

[3] სერგი გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეოთხე შესწორებული გამოცემა, თბ., 1925, გვ. 84—98.

[4] იქვე, გვ. 33.

ტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ერეკლე მეორის ციკლების ნაწარმოებნი.

საბჭოთა პერიოდი ქართული ფოლკლორისტიკისა ხასიათდება შეკრებისა და კვლევის არის გაფართოებით. თანამედროვე, საბჭოთა თემებზე შექმნილ ნაწარმოებებთან ერთად დაგროვდა და კვლევის ობიექტად იქცა ტრადიციული ფოლკლორის ისეთი ნიმუშები, რომელთაც წინა პერიოდში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება წარსულში რევოლუციური განწყობილების ამსახველ მასალებისადმი[1].

საბჭოთა პერიოდი ქართული ფოლკლორის ისტორიოგრაფიაში, რომელიც მხოლოდ ორიოდე ათეულ წელს მოიცავს, ხასიათდება პარტიისა და ხელისუფლების დიდი ზრუნვით ამ დარგისადმი. ამ დიდი ზრუნვის შედეგია ხალხური სიტყვიერების დამოუკიდებელ დისციპლინად სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში 1926 წლიდან და სამეცნიერო-საკვლევო ბაზის შექმნა 1932 წელს საქართველოს მუზეუმში ფოლკლორის განყოფილების სახით. ეს განყოფილება 1936 წელს გადატანილ იქნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები ფოლკლორული ნიმუშების შეკრების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ექსპედიციები და მივლინებანი მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, ქართლში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, მთიულეთსა და ხევსურეთში. ექსპედიციებში მონაწილეობენ სპეციალისტი ფოლკლორისტები: მიხ. ჩიქოვანი, ელენე ვირსალაძე, ალ. ღლონტი, თამარ ოქროშიძე, ქს. სიხარულიძე და ახალგაზრდა ნეკნ. მუშაკები და ასპირანტები—ეთერი არჯევანიძე, ქეთ. ბურჯანაძე, აპ. ცანავა და სხვ. ექსპედიციებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლიტერატურის ისტორიკოსებმა აპ. მახარაძემ, ნიკო ტატიშვილმა და სხვებმა. შეკრებილია მრავალრიცხოვანი მასალა, მათ შორის საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი საისტორიო ნაწარმოებები. საისტორიო ნაწარმოებები შეკრიბეს აგრეთვე პერიფერიებში მომუშავე კორესპონდენტებმა—გ. გოგოლაძემ (მესხეთ-ჯავახეთიდან), ვ. პეტრიაშვილმა (კახეთიდან) და სხვებმა. საკმაო

[1] იხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. ფირალის ეპოსი გურიაში, „მარქსისტული ენათმეცნიერების ათვის", 1934 წ.; ალ. ღლონტი, ჯუღული ფოლკლორი, თბ., 1937 და სხვები.

რაოდენობით შეკრიბეს მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების თანამშრომლებმაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო საბეურნეო გაზეთის „კოლექტივიზაციის“ დიდი ინიციატივა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების საქმეში. ზოთა რუსთაველის საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებით 1936 წელს გაზეთის რედაქციამ ხალხური შემოქმედების შესაგროვებლად ჩაწყო დიდი პოეტის სახელობის კულტურული ლაშქრობა. რედაქციამ გარს შეწოიკრიბა კვალიფიციური შემკრებ-ჩამწერნი და დააგროვა ბრავალრიცხოვანი მასალა ხალხური სიტყვიერებისა. ნაწილი ამ მასალებისა 1936 წელს აკაკი ჭყონიას წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოიცა ცალკე წიგნებად სახელწოდებით „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა“. „საუნჯის“ ტომებში სხვა ხასიათისა და ჟანრების მასალებთან ერთად დაბეჭდილია საისტორიო ნაწარმოებები—თამარ ბეფის, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლებისა. საკმაო რაოდენობითაა დაბეჭდილი აგრეთვე ბატონყმობისა და სხვა ისტორიული მოვლენების ამსახველი ლექსები[1].

დიდი ამაგი ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება-გამოქვეყნებისა და შესწავლის საქმეს დასდო აკად. აკაკი შანიძემ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1923—24 წლებში გამოქვეყნდა ბესარიონ გაბურის ხევსური მასალები, რეპერტუარი აკაკი შანიძის მიერ 1914 წელს გამოვლინებული ნიჭიერი ხევსური ავტორ-მთქმელისა. ეს მასალები საკუთრივ ბესარიონ გაბურის ნაწარმოებებს გარდა შეიცავს ტრადიციული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. მათ შორის არის ბახტრიონის აღების, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლების ნაწარმოებები[2]. აკად. ა. შანიძის წინასიტყვაობა ამ მასალებისა და დახასიათება ბესარიონ გაბურის შემოქმედებისა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართველ მთქმელთა შესწავლის საქმეში. 1931 წელს გამოვიდა აკ. შანიძის მონუმენტური წიგნი „ქართული ხალხური პოეზია“. იგი შეიცავს როგორც პერიოდიკაში გამოქვეყნებულსა და არქივებში დაცულს სხვადასხვა პირების შეკრებილს, ისევე უშუალოდ მის მიერ ზუსტი მეცნიერული პრინციპით ჩაწერილ-

[1] საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ I, თბ., 1936 წ., გვ 336 და ტ. III, გვ 18, 27, 29, 34, 66, 69, 139, 189.

[2] ქართული საენათმეცნიერო სახოგადოების წელიწდეული, I—II, 1923—1924, თბ, გვ. 158, 160--161, 203, 234—235, 240.

ხევსურული პოეზიის ნიმუშებს. მათ შორის დიდი რაოდენობითაა ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლების ნაწარმოებები[1]. ამავე წიგნითაა ცნობილი აგრეთვე ერთი ფრაგმენტული ლექსი ვახტანგ გორგასალზე[2]. აკ. შანიძის წიგნი მომარაგებულია სანიმუშო მეცნიერული აპარატურით. წიგნში ჩართულ მეტად საყურადღებო შენიშვნებში გარკვეულია ბევრი საისტორიო ნაწარმოების რეალური საფუძველი და ანაქრონიზმებისა და კონტამინაციის მოვლენები.

საბჭოთა პერიოდის ქართული ფოლკლორის ისტორიოგრაფიაში აღსანიშნავია აგრეთვე აკ. შანიძის, ვარლამ თოფურიას და უერი გუჯეჯიანის მიერ შეკრებილი და ქართულად თარგმნილი სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. პირველი წიგნი შეიცავს თამარ მეფის შესახებ აუსებულ სიმღერებსა და გადმოცემას[3].

ქართული ფოლკლორის პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილმა. მისი დაუზარებელი შრომის შედეგად გახდა ძველთველთა ფართო მასისათვის ხელმისაწვდომი პეტრე უმიკაშვილის შეგროვილი ხალხური სიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშები. ფილიპე გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობითა და რედაქციით გამოცემულ კრებულში საისტორიო ლექსები ცალკე განყოფილების სახით აღის წარმოდგენილი. ლექსები მომარაგებულია შემკრებ-ჩამწერთა და რედაქტორის საინტერესო შენიშვნებით[4]. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფ. გოგიჩაიშვილის წინასიტყვაობას. ამ წინასიტყვაობაში დახასიათებულია ის გარემო, რომელშიაც პ. უმიკაშვილსა და მის თანამედროვეებს უხდებოდათ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება.

ბახტრიონის აღების, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლების ნაწარმოებები ისტორიულ ფონზე განხილული აქვს სერგი მაკალათიას თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებში[5]. საკულ-

---

[1] აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1931, გვ 1—11. 298—332, 17—27, 45, 358—380.

[2] იქვე, გვ. 79.

[3] სვანური პოეზია, I, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართ. ფილიალის გამომც., თბილისი, 1939 წ., გვ. 2—5 და 362—363.

[4] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ., I, გვ. 87—134; 561—567.

[5] სერგი მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933 წ., გვ. 23—26 და 31—36; მისივე, ფშავი, თბ., 1934 წ., გვ. 20—27; მისივე, ხევსურეთი, თბ.., 1935 წ., გვ. 28—33 და 40—44; მისივე, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938 წ., გვ. 128—134.

ტო ადგილ-სამლოცველოებსა და მათთან დაკავშირებულ რიტუალების აღწერისას მას მოყვანილი აქვს რელიგიური ხასიათის სიმღერა თამარ მეფის შესახებ[1]. თამარ მეფის, ბახტრიონის, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე ბეორის ციკლების ლექსებს საკმაო რაოდენობით შეიცავენ აგრეთვე მის მიერ შეკრებილი თუშური პოეზიის ნიმუშები[2].

თამარ მეფის ციკლის გადმოცემებს შეიცავს პროფ. ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ჰანური ტექსტები, თარგმნილი ქართულად აკად. არნოლდ ჩიქობავას მიერ[3]. ამ გადმოცემათა რეალური საფუძვლები ესა ერთი მაჟ განის ანაქრონიზმი (თამარ მეფის მოწინააღმდეგეთ XVI საუკუნის თურქი დამპყრობელის გამოყვანა) ახსნა აკად. არნ. ჩიქობავამ[4].

საისტორიო ნაწარმოებებს შეიცავენ ვერა ბარდაველიძის ნაწროები. მათში საინტერესო ცნობებია ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის შესახებ[5].

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ნიმუშები შეტანილია მიხ. ჩიქოვანის მიერ შედგენილ ქრე ტომათიაში[6]. ასეთივე ხასიათის მაირები დაბეჭდილია და თემატიკური და ენობრივი თვალსაზრისით განსილულია ალ. ღლონტის ნაშრომში „ქართული მაირები[7].

ხალხური სიტყვიერების სხვა ხასიათის ნაწარმოებებთან ერთად საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები განმარტებითი ბარათებით დაბეჭდა თედო ბეგიაშვილმა[8].

---

[1] სერგი მაკალათია, ფშავი, გვ. 209.

[2] მისივე, თუშური ლექსები, თბ., 1937 წ., გვ. 12—13; 16—18; 25—26; 105

[3] პროფ. ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, თბ.. 1937. გვ. 7.

[4] არნოლდ ჩიქობავა, პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჰასურის მეცნიერული შესწავლა, იქვე, გვ 31—33.

[5] ვერა ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი I. სსრ კავშირის ხელნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომც., თბ., I, 1938; მისივე, იერის ფშაველებში, ენიმკის მოამბე. XI. თბ., 1941 წ.

[6] ხალხური სიტყვიერება. საშუალო სკოლის VIII კლასისათვის. შედგენილი მიხ. ჩიქოვანის მიერ, თბილისი 1940, გვ. 37—43.

[7] ალ. ღლონტი, ქართული ქაირები, საქ. მხარეთმცოდნეობის საზოგად., თბილისი, 1941 გვ. 55—56, 126, 165—169.

[8] თედო ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, სტალინის სახელობის თბ. სახ. უნ-ტის დაუსწრებელი პედ. სექტორის გამომც. თბ., 1941, გვ. 47—55, 193—199.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სააგიტაციო-პოლიტიკურ დანიშნულებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დიდი სამამულო ომის წლებში. გამოქვეყნდა მეცნიერულ-პოპულარული წერილები და ბროშურები ხალხურ შემოქმედებაში ასახულ სახელოვან წინაპართა თავდადებაზე სამშობლოსათვის ბრძოლებში. აღსანიშნავია ამ მხრივ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული, პოეტისა და მკვლევარის აკად. გიორგი ლეონიძის წერილები: „ზეზვა გაფრინდაული—სახალხო გმირი“ [1], „შალვა შაველგო“ [2] და „გმირი დედაბერი“ [3]. ამ მეტად საინტერესო წერილებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშები განხილულია ისტორიულ ფონზე. ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები ილუსტრირებულია ხალხური ტექსტებით. საყურადღებოა აგრეთვე საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების მიერ გამოცემული სოლ. ცაიშვილის ორი ბროშურა: „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“ და „თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში“. ბროშურებს დართული აქვს ხალხური ტექსტები [4]. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ წითელარმიელთა ბიბლიოთეკისათვის გამოსცა ლუბა ბოჟორიშვილის „ბახტრიონის გმირები“ და ქს. სიხარულიძის „თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში“. პირველში ისტორიულ ფონზე ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებებია განხილული [5], მეორეში—თამარ მეფისა [6]. სამამულო ომის წლებში ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის შესწავლისა და მისი თანამედროვეობასთან დაკავშირების მიზნით გამოქვეყნდა აგრეთვე ქს. სიხარულიძის წერილი „ქართველი ხალხის უძლეველი გმირი ვახტანგ გორგასალი“ [7] და ბროშურა „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“ [8].

---

[1] „კომუნისტი“, 1941 წ., № 225.

[2] „კომუნისტი“, 1941 წ., № 260.

[3] „კომუნისტი“, 1941 წ., № 310.

[4] სოლ. ცაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, თბილისი, 1942; მისივე, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943.

[5] ლ. ბოჟორიშვილი, ბახტრიონის გმირები, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1943

[6] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, საქ. სსრ მეცნ. აკად გამ., თბ., 1943.

[7] „ლიტერატურული საქართველო“, 1942 წ., № 20.

[8] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით (ფოლკლ. მასალათა მიხედვით), სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამომც., თბ., 1942.

საისტორიო ნაწარმოებთა ციკლებია განხილული სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებულ წერილებში როგორიცაა, ელისო აბრამიშვილის „ზურაბ ერისთავის სახე ფოლკლორში“ [1] და რუსუდან ფუთურიძის „ციხე ბახტრიონის აღება“[2]. საგმირო-საისტორიო ლექსების მოკლე მიმოხილვა მოცემულია მიხ. ჩიქოვანის წიგნში „ქართული ფოლკლორი“ [3].

ქართულ სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, რუსულ ისტორიულ სკოლას უშუალო მიმდევრები არ ყოლია. ამიტომ ქართული ფოლკლორისტიკის საბჭოთა პერიოდის დასაწყისს არც ის ვულგარული სოციოლოგიზმი ახასიათებდა, რასაც რუსეთში პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კამერულ თეატრში დემიან ბედნის პიესის „ბოგატირების“ დადგმის შესახებ გამოქვეყნებული ხელოვნების კომიტეტის დადგენილებით [4].

ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებისა და შესწავლის საქმეში საბჭოთა ფოლკლორისტების ძირითადი სახელმძღვანელოა დიდი სტალინის თეორეტიული დებულებანი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ [5] და ისტორიული სიტყვა წარმოთქმული კრემლში 1938 წ. 17 მაისს უმაღლესი სკოლების მუშაკთა მიმართ [6]. ქართველი საბჭოთა ფოლკლორისტები მიისწრაფიან ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ, რომელიც დიდი სტალინის სიტყვებით “... не отгораживается от народа, не держит себя вдали от народа, а готова служить народу, готова передать народу все завоевания науки, которая обслуживает народ не по принуждению, а добровольно, с охотой“ [7].

საბჭოთა პერიოდი ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიოგრაფიაში ხასიათდება მკვლევართა მისწრაფებით, რომ ნაწარ-

---

[1] სტუდ. სამეცნიერო შრომების კრებული, II, სტალინის სახელობის თბ. სახ უნ-ტის გამოც., 1944, გვ. 51—61.

[2] იქვე გვ. 107—116.

[3] მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, სახელგამი, 1946, გვ. 347—350.

[4] О пьесе „Богатыри“ Демьяна Бедного. Постановление Комитета по делам искусств при Совнаркоме Союза ССР, „Правда“, № 313 от 14 ноября 1936 г.

[5] ი სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1935, გვ. 505.

[6] И. В. Сталин, Речь на приеме в Кремле работников высшей школы 17 мая 1938 г.. „Правда“ № 136 от 19 мая 1938 г.

[7] იქვე.

მოვბნი შესწავლილ იქნას მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ლიტერატორების, ფოლკლორისტების, ენათმეცნიერების, ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ საისტორიო ნაწარმოებთა შესწავლა სწორედ მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის თეორიის საფუძველზე წარმოებს. საბჭოთა ფოლკლორისტიკის ძირითადი ამოცანები განსაზღვრულია საკ. კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის დადგენილებით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ამხ. ჟდანოვის მოხსენებით „ჟურნალების «ზვეზდასა» და «ლენინგრადის» შესახებ".

— —

I

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფენქცია და შესრულების წესები

უძველესი წარმოშობის ქართული სიტყვიერი ხელოვნება განვითარდა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში. პირველყოფილი გუნდური ხელოვნებიდან გამონაყოფი ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვანი ჟანრები და განყოფილებანი თავისებურად ეხმარებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ისტორიის გრძელ მანძილზე, მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა სოციალურ ფენაში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ. ამ მხრივ ხალხური სიტყვიერების თითოეული ჟანრი თუ განყოფილება მეტნაკლებად თავისებურია. ხალხური სიტყვიერების საგმირო-საისტორიო განყოფილება, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, გაერთიანებულია არა ჟანრობრივი თვალსაზრისით, არამედ თემატიკურით, უფრო ზუსტად—მისი რეალური საფუძვლის თვალსაზრისით. რეალური საფუძვლისა და მასზე შემუშავებული, აგრეთვე თავის დროზე ადგილას აღნიშნული ტერმინოლოგიის გარდა, ამ განყოფილების თავისებურების მაჩვენებელია მისი სოციალური ფუნქციაც. ეს უკანასკნელი ძირითადად ნაწარმოებთა რეალური საფუძვლითა და თემატიკით არის განსაზღვრული. სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა და კლასობრივ საზოგადოებაში ამასთან ერთად კლასობრივი თვითშეგნება არის მსაზღვრელი ქართული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ყოველგვარი ფუნქციისა.

თავისებურია აგრეთვე საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესრულების ზოგიერთი წესიც.

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიცია, შეიძლება ითქვას, ისევე ხნოვანია, როგორც ჩვენი ქვეყნის წარსული. სხვადასხვა ჟანრის საგმირო ნაწარმოებთა პროტოტიპი ისევე, როგორც ხალხური სიტყვიერების ზოგი სხვა ჟანრისა და

განყოფილებისა, ჯერ კიდევ წინაისტორიულ ხანაში უნდა ეიგულისხმოთ. შორეული წარსულის დამახასიათებელი საგვარეულო სიმღერები მათი სოციალური ფუნქციით საისტორიო ნაწარმოებთა პროტოტიპები იყვნენ.

ქართული ხალხური სიტყვიერების განვითარების გრძელი მანძილი ისე მრავალფეროვანია, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორია. ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვანი წარსული და მხატვრული შემოქმედების უძველესი ტრადიცია აქვს. ქართული ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა მსგავსად, საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები და მათი შესრულების წესები შეიცავენ ნიშნებს სიტყვიერი ხელოვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურისას. გუნდური მოქმედებიდან გამოყოფილი სიმღერები საგვარეულო გადმოცემებზე მიჩნეული იყო ერთგვარ ისტორიულ ხსოვნად. არსებული ფაქტიური მასალები ცხადყოფენ ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მჭიდრო კავშირს წარსულში საწესჩვეულებო გუნდურ მოქმედებასთან. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ქართული ხალხური სიტყვიერების ამ მდიდარი განყოფილების ზოგი ჟანრის ნაწარმოებთა ხასიათი და შესრულების წესები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მრავალმხრივ საყურადღებო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბოლო დრომდე გავრცელებული საფერხულო სიმღერები. საფერხულო სიმღერა სახალხო დღესასწაულის ელემენტი იყო. მას ხშირად გარკვეული სარიტუალო-საკულტო ხასიათიც კი ჰქონდა. ქართული ფერხულები და მასთან დაკავშირებული სიმჭიდრები მდიდარ მასალას იძლევიან საგმირო საისტორიო ნაწარმოებთა თუ მათი პროტოტიპის უძველესი ხასიათისა და ფუნქციის დასადგენად. ამდენადვე ისინი საინტერესო არიან საგმირო ეპოსის წარმოშობისა და განვითარების საკითხისათვის.

მრავალი ფაქტიური მასალით დასტურდება საქართველოში სახალხო რიტუალებში საფერხულო სიმღერების დიდი როლი. მეტწილად ისინი ღვთაებათა და გაღმერთებულ გმირთა დიდებას წარმოადგენენ. ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძეს ქართველი ტომების უძველესი რელიგიის დადგენის მიზნით მდიდარი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე გარკვეული აქვს მათი ხასიათი და დიდი ადგილი სახატო რიტუალის შესრულებაში[1]. მასვე აღნიშ-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი I.

წული აქვს ამ საფერხულოთა უაღრესად პრაქტიკული ხასიათი[1].

ჩვენ მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ სახალხო რიტუალებთან დაკავშირებულ ღვთაებათა სადიდებელ ჰიმნებში საგმირო საქმეების გამო მოხსენებული არიან ისტორიული პირები. განსაკუთრებით საინტერესოა უძველეს თქმულებაზე აგებული ფშავ-ხევსურული საფერხულო „იაჯსარი“. იგი ფშავ-ხევსურების ძველ წარმართულ სალოცავ იაჯსართანაა დაკავშირებული. სასიმღეროს შინაარსია ხატების—კოპალესა და იაჯსარის დევებთან ბრძოლა. მის მრავალ ვარიანტში კოპალეს, იაჯსარისა, წმინდა გიორგისა და სხვა „ხთიშვილთა“ შორის იხსენიება თამარ მეფეც, რაც წარმართული ხასიათის ტექსტს ქრისტიანულ ელფერს აძლევს[2]. ეს საფერხულო ბოლო დრომდე სახატო რიტუალის ერთერთი ელემენტი იყო. აკ. შანიძის შენიშვნით „სიმღერე გავრცელებულია როგორც ხევსურეთში, ისე, განსაკუთრებით, ფშავში. იაჯსრობა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდება, უმთავრესად შუაფხოში იციან“. აკ. შანიძეს იაჯსრობის საინტერესო აღწერისას აღნიშნული აქვს მასში ფერხისას როლი: „ცხრა ივლისს ხალხი იქვე შეექცეოდა სმა-ჭამასა და ქეიფს. ნაშუადღევს კი გაემართა მარცხენა კარატისაკენ, რომელიც არაგვის მარცხენა მხარეს იმყოფება, მთაზე... ხალხი ბლომად იყო მოგროვილი. დააბეს ფერხული (ფერჴისა)“[3]. იაჯსარის საფერხულოს ერთი ვარიანტი ჩაწერილია აკ. შანიძის მიერ თამარ მეფის ხატობაში, ფერჴისას შესრულების მომენტში[4].

თამარ მეფის ხსენება იაჯსარის საფერხულოში დასახელებულ ღვთაებათა შორის უფრო ახალი მოვლენაა, ვიდრე თვით ფერხული და მისი სასიმღერო, მაგრამ იგი შემთხვევითი არ არის. ეს მოვლენა მეტად საინტერესოა როგორც საერთოდ საგმირო ეპოსის, ისე საკუთრივ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის თვალსაზრისით. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული დიდებული მეფე ქალი[5] საქართველოს მთაში

---

[1] ვ. ბარდავჴელიძე, აღმოს. საქართ. ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. მასალები საქარ. ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი I, გვ. 9.

[2] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ 223—224; 576—586.

[3] იქვე, გვ. 575.

[4] იქვე, გვ. 579—580.

[5] ეს საკითხი ერთ დროს კამათის საგანი იყო. იხ. გ. ხელიძის წერილი დაბეჭდილი „Духовн. вести. Экзарх“. 1895, № 3 და საპასუხო წერილები: ალ. ხახანაშვილი, თამარის სახელის შესახებ, „ივერია“, 1895, № 75; გ. საძაგელოვ-ივერიელი, თამარ დიდი და მისი სახელწოდება, „ივერია“, 1895, № 116.

ალოცავად იქცა[1]. სწორედ ამის გამო იაჭსრობის საფერხულოში სინამდვილის სიმბოლიური განსახიერებით შეივდა მისი გმირული სახე. ეს არის კანონზომიერი კონტამინაციის ნიმუში. იაჭსარის საფერხულოს ერთ ვარიანტში თამარ მეფე ასეა მოხსენებული:

შვიდი წლის ქალი თამარი
მეფედ თქვეს დედოფალია,
ზღვის პირზე შავიყარენით,
შაგვექნა საომარია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანნა წყალნია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გადმოსცილდეს ცვარია.
შიგ ააშენა სიონი,
დაადგა ოქროს ჯვარია.
სახელი თამარ მეფისა
ზედ დააწერა გვარია.
ურჯულოთი და თათართი
ყველას სარწმუნომე არია[2].

მეტად საინტერესოა აგრეთვე ივრის ფშაველი ხატის მსახურების მიერ თამარის ხატში ლაშარობასთან დაკავშირებული საფერხულო. იგი იაჭსარის საფერხულოს მოყვანილი ნაწილისა და კუთხური ხასიათის ლაშარის ჯვრის ლექსის კონტამინაციის ნიმუშია. ეს სასიმღერო ერთერთი საუკეთესო ნიმუშია ძველი საკულტო ფუნქციის მქონე ისეთი საისტორიო ნაწარმოებისა, რომელშიაც სიმბოლიურად ასახულია თამარის ძლევამოსილება,—მისი დროს საქართველოს საზღვრების გაფართოება და გამაგრება. ამავე დროს იგი მაჩვენებელია საქართველოში ბოლო დრომდე შერჩენილი თამარ მეფის კულტისა[3]. თამარ მეფე და სხვა გმირები და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები არა მხოლოდ იხსენებიან საფერხულოებში, ხშირ შემთხვევაში მათი პირდაპირი საგნე-

---

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. III; ივ. ბუქურაული, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, „მოამბე", 1898, № 4, 5; ვაჟა-ფშაველა, საიდან წარმოსდგა ლაშარობა. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ. S-5317; А. Хахапашвили, Тушины, Этногр. обозр., кн. II; ვერა ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, ენიმკის მოამბე, № 11, გვ. 128.

[2] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 582. ვარიანტები იხ. იქვე, გვ. 223—224 და 576—586.

[3] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, ენიმკის მოამბე, XI, გვ. 131—133.

ბია. საქართველოში უძველესი ხანიდან არსებული გმირის კულტის დამადასტურებელ ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის გასათვალისწინებლად. მსგავსი სოციალური ფუნქცია გააჩნდათ ზღაპრებს, გამოცანებს და ხალხური სიტყვიერების სხვა ტრადიციულ ჟანრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები განსხვავდებიან ზღაპრებისაგან. უკანასკნელთა მიმართ ძნელდება დადგენა იმისა, ესა თუ ის ტექსტი რატომ იქცა სარიტუალო წესების ელემენტად. რაც შეეხება საისტორიო ნაწარმოებებს, მათში ასახული პატრიოტული გრძნობისა და კლასობრივი თვითშეგნების მიხედვით ყოველთვის შესაძლებელი ხდება საკულტო ფუნქციის მიზეზის გარკვევა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სარიტუალო ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მასთან დაკავშირებით პოეზიის განვითარების სხვადასხვაგვარ საფეხურს ახასიათებს. მასში იგრძნობა უკლასო საზოგადოების ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება—ბრძოლა ბუნებასთან და ამავე დროს განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების დროის მშრომელი მასის შემოქმედებითი ძალა, სულისკვეთება, ბრძოლის ჰეროიკა და სხვა. ეს არის სწორედ ქართული ფოლკლორის ერთერთი თავისებურება, რაც, სხვათა შორის, მკვეთრად ვლინდება საფერხულო საისტორიო სასიმღეროებშიც. ჩვენამდე მოღწეული ტექსტების დიდი ნაწილი ძლიერ ტრანსფორმირებულია, ან მთლიანად გვიან ხანაშია შექმნილი, მაგრამ სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ტიპი სასიმღეროსი შორეული წარსულიდანაა მიღებული.

საგმირო-საისტორიო სასიმღეროებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით ცნობილია ლექსები თამარ მეფეზე. ბუნებრივია, რომ სადიდებელ ჰიმნებად იქცნენ სიმღერები მეფე ქალზე, რომელსაც ღირსეულად ეპყრა ხელში გაერთიანებული საქართველოს ძლევამოსილების სკიპტრა.

ცნობილია იავსარისა და ლაშარის ჯვრის ზემოაღნიშნული საფერხულოების მეტად გავრცელებული, ეპიტაფიის ხასიათის ვარიანტი, დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით — „თამარ დედოფალი ვიყავ“. იგი, როგორც ჩანს, ხევში ფერხულის დროს სრულდებოდა წმინდა სამების დღეობაზე [1].

[1] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, გვ. 562.

ბოლო დრომდე სვანური დღესასწაულების გარკვეული რიტუალების ელემენტი იყო მხატვრული სიტყვისა და ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუში „თამარ დედოფალი“. ამ საფერხულოს ერთი ვარიანტი ასეთია:

ო, სიხარულო თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა ხუჭუჭი,
თვალები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა,
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
უნაგირი გედგა ოქ, მოქედილი,
აღვირი გედვა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფალო, თამარო,
ყველაზე უკეთეს თამარს [1].

ამ სიმღერაში ჩანს თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქის დამახასიათებელი დეტალების ცოდნა და შემომქმედის საკმაოდ კარგი მხატვრული ალღო. ამავე დროს იგი შესრულების არქაული წესით საისტორიო ნაწარმოებთა სარიტუალო ფუნქციის მატარებელია.

სახალხო რიტუალების ელემენტი იყო თამარის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის თურქ-ოსმალების წინააღმდეგ საომარი მზადების ამსახველი არქაული რიტმისა და კილოს გავრცელებული საფერხულო სიმღერა:

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ აღმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა [2].

---

[1] სვანური პოეზია შეკრებილი და თარგმნილი ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის მიერ, სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქართვ. ფილ. გამომც., თბ., 1939. გვ. 3.

[2] საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახელ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის მასალა. რიგითი კატალოგის № 12888. ვარიანტები იხ: იქვე, № 13224; პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ. გვ. 87; ბ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, „მოამბე“, 1903 წ., № 4.

რაჭაში, გადმონაშთის სახით არსებული დღესასწაულების დროს, ბოლო დრომდე ასრულებენ ფერხულში გაერცელებულ ოთხსტრიქონიან სიმღერას „თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“ [1]. ჩვენი აზრით, წარმოშობით ეს სიმღერა ვახტანგ გორგასალთან არის დაკავშირებული და ასახავს მის მიერ საქართველოს შაოხარ ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვას. შემდეგ კი იგი ხალხური შემოქმედების წესის თანახმად იქცა აგრეთვე თამარ მეფის ძლევამოსილებისა და სიფაქიზის ამსახველად. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თამარის სახელთან დაკავშირებული ვარიანტები მეტწილად ოთხსტრიქონიანია; ვახტანგზე კი გავრცელებულია ექვსსტრიქონიანი სიმღერა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

უკანასკნელი ორი სტრიქონი სწორედ ვახტანგის მოღვაწეობისთვისაა დამახასიათებელი. თამარის ბრწყინვალე ეპოქიდან ხალხური სიტყვიერების თემად იქცა უფრო დიდი ისტორიული მოვლენები. ზემოთ მოყვანილი სასიმღეროებიც სწორედ მთლიანი და ძლიერი საქართველოს ჰიმნებია. ვახტანგის მეფობისას კი, როდესაც ქართველი ხალხი შეეწროებული იყო გარეშე მტრებისაგან, ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვაც აღსანიშნავი მოვლენა იქნებოდა. ვახტანგ გორგასალი ცდილობდა აელაგმა მოძალადე სპარსელები და მათი მოკავშირე ქართველი მთავრები და დიდი აზნაურები. იგი ხალხის დამცველად გამოდიოდა. ამის გამო ხალხმა ზებუნებრივად წარმოიდგინა იგი. როდესაც ჰიმიად შერქმეულმა ნიჰიერმა კახელმა მთქმელმა ზაქარია მაისურაძეს გორგასლის შესახებ არსებული გადმოცემა უამბო, შიგ მოყვანილი სიმღერის ვარიანტი ასე ჩაურთო: „ჩვენ ეხლაცა ვმღერით ხოლმე: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ესმოდა რეკაო“. ჩამწერის შენიშვნით: „ჩვენი ხალხის რწმენით ცაში ყოველ ცისმარე დღე სამჯერ ირეკება ზარი: ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა. ვინც წმინდაა, იმას ესმის

[1] ცნობები მომაწოდეს 1945 წ. დეკემბერში სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1 კურსის რაჭველმა სტუდენტებმა: ლილი გამყრელიძემ, ქეთევან გიორგობიანმა და ნორა ხიდეშელმა.

ხოლმე ეს რეკაო"[1]. ხალხის ასეთი რწმენის შეცნეგია, რომ აღნიშნული სიმღერის ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული ვარიანტებიც საკულტო სასიმღეროდ ქცეულა და იქიდან რაჭაში თამარის სახელთან დაკავშირებულ ვარიანტებთან ერთად ხატობა-დღეობებში სრულდებოდა[2].

საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი სარიტუალო ფუნქციისა და საგმირო ეპოსის განვითარების თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ფერხულში შესასრულებელი სასიმღეროს ადრესატი არის შალვა ახალციხელი—სახელოვანი გმირი თამარის ბრწყინვალე ეპოქისა. ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ იქნება მსჯელობა. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა სიმღერა ერეკლე მეორის ვაჟზე ლევან ბატონიშვილზე—გმირი მამის ღირსეულ მემკვიდრეზე, რომელმაც სიჭაბუკეშივე ისახელა თავი სამხედრო ნიჭითა და გამპრიახობით. მისი ხელმძღვანელობით ერეკლე მეორის მიერ დაწესებული მორიგე ლაშქარი იცავდა მშრომელ მოსახლეობას ლეკთა მოთარეშე რაზმებისაგან. გმირი ბატონიშვილი უდროოდ დაიღუპა. მასზე გავრცელებულ სიმღერათაგან საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ფუნქციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი საყურადღებო ვარიანტი, ამსახველი XVIII საუკ. მეორე ნახევრის აფორიაქებული საქართველოს ვითარებისა. იგი საფერხულო უნდა ყოფილიყო მისი დასაწყისის მიხედვით: „პირველად ღმერთი ვახსენოთ, ეგ უფრო დიდებულია"[3]. საგულისხმოა სიმღერის ასეთი დასაწყისის გამო ჩამწერის შენიშვნა: „ასე იწყებენ ხოლმე, როცა ფშავში ფერხისას მღერიან"[4].

არსებობს ფერხულში შესასრულებელი სასიმღეროები გვარის ან თემის ღირსეულ წარმომადგენლებზე. საგმირო ეპოსის განვითარებისა და საისტორიო ნაწარმოებთა ძველი ფუნქციის გასათვალისწინებლად ბათაც აქვთ ერთგვარი მნიშვნელობა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სვანური საფერხულო „ბეთქილი", რის შესახებაც ქვემოთ იქნება მსჯელობა.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის მაჩვენებელია აგრეთვე საფერხულოები ისტორიულ მოვლენებზე.

---

[1] „დროება", 1865, № 25.

[2] ცნობები მომაწოდეს დასახელებულმა რაჭველმა სტუდენტებმა.

[3] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 24—25.

[4] იქვე, გვ. 375.

ქართველი ხალხის შორეული წარსულის გმირული ეპიზოდები არაქაული სასიმღეროების თემაა. ასეთია, მაგალითად, რაჭაში ბოლო დრომდე გავრცელებული, ქართველების ოს-დვალთა მრავალრიცხოვან ლაშქართან ბრძოლის ამსახველი, შესანიშნავი სასიმღერო—ნიმუში სათუთი პოეტური გემოვნებისა:

მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი,
თეთრი ფთი-ნი,
ბოლო—წითელი,
—ქელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი,
სულამ დვალელი,
ფეიქომერი.
—ომი შეიქნა
ჭალაქის თავსა
გამთენიასა,
გათენებასა,
მზის ამოსვლასა.
—ქნევა ხმალისა,
ძგერა შუბისა,
შუბის ნალეწი
ზეცას ცვიოდა,
ჩამოსცვიოდა,
—ხმალი ორპირი
სისხლში სცურავდა,
ჯაფარ გაიქცა,
სვეტი წაიქცა,
სვეტი ოქროსი.
—ჯაფარ, ვერ მიხვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულ ამბავსა,
მწუანე ქოშებსა,
წითელ კაბასა.
—ჩვენი რა იქნენ
მოციქულები?
—უკან მოდიან
დაღალულები.
—ქვე რა მოაქვთ?
—ტანი ლაშქრითა,
თავი გოდრითა,
წვრილი წელები
ხელ-კალათითა [1].

[1] ხალხური პოეზია, 1934, გვ. 81—82

ტექსტში მოხსენებული სახელი ჯაფარი კავკასიაში არაბობის ხანის შემდეგი მოვლენაა, მაგრამ ამით ვერ გაირკვევა ლექსის შექმნის თარიღი. შესაძლებელია, ეს სახელი გვიან დაერთო სიმღერას. ტექსტის უფრო გვიან ხანაში შექმნაც რომ დადასტურდეს, სასიმღერო მაინც მისი შესრულების წესის, რიტმისა და კილოს მიხედვით საისტორიო ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილის ძველი ფუნქციის მაჩვენებელია. სარიტუალო წესებში შესული მტრის დამარცხების ასეთი საზეიმო სიმღერები გამოხატავდნენ ხალხის გარკვეულ რწმენას. ამავე დროს ისინი თანამედროვეებზე ახდენდნენ დიდ საგმირო შთაგონებას.

საფერხულო სიმღერები კლასთა ბრძოლის საშუალებადაც იყო გამოყენებული. რაჭაში ბოლო დრომდე ფერხულის შესრულების დროს მღეროდნენ ლექსს სახალხო გმირის ზვიადა ლობჟანიძის მეთაურობით შეთქმული ღებელების მიერ მებატონე არეშიძეთა ამოწყვეტის შესახებ[1].

ხატობა-დღეობებთან პროზაული ჟანრის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებიც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ვერა ბარდაველიძის ცნობით, ლაშარობაზე მომღერალმა ფანდურზე დაძახილ ლექსს თამარის შესახებ არსებული ლეგენდა მოაყოლა[2]. ამ გარემოებაზე ჩვენ ზლაპრის სოციალურ ფუნქციასთან დაკავშირებით მივუთითეთ[3]. დამატებით აღვნიშნავთ, რომ აქ უბრალო ასოციაციასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ ასეთი ხასიათის ნაწარმოებთა შესრულების ტრადიციასთან.

* * *

ლექსებში „ხთიშვილთა“ შესახებ არის ისტორიული პირის ავად ხსენებაც, რასაც გარკვეული ისტორიული საფუძველი აქვს. ასეთია, მაგალითად, ზურაბ ერისთავის ციკლში შესული, საქართველოს მთაში გავრცელებული ლექსი ლაშარის ჯვარზე. მისი ერთერთი თუშური ვარიანტი ასეთია:

ბრძანებდა ლაშარის ჯვარი
—ცას მე ვარ ოქროს შიბითა,
ხმელ-გორში მედგა ბერ მუხა,

---

[1] ს. მაკალათია, მთის რაჭა, სახელგამი, 1930 წ, გვ. 20—24.

[2] ვერა ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში, ენიმკის მოამბე, XI.

[3] ქს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის სოციალური ფუნქციისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944.

ზედ დავდიოდი კიბითა.
ბევრი ეცადა ვაჟკაცი,
ვერვინ დამბედა შიშითა.
რჯულძაღლმა ერისთვიანმა
გადმოშიბრუნა ძირითა.
ამოსწყდეს ერისთვიანნი
თავის ქალ-ვაჟიშვილითა [1].

მთაში გავრცელებულ უძველეს თქმულებას ბერმუხისა თუ ალვის ხის შესახებ, რაზედაც თითქოს მიბმული ყოფილა ოქროს შიბი, რომელიც წმინდა ხეზე უწმინდური ცხოველის მოკვლის გამო ცაში აფრენილა, დაკავშირებია საქართველოს მთის მშრომელების სისხლისმსმელი ფეოდალის, XVII საუკუნის არაგვის ერისთავის ზურაბის სახელი. ზურაბ ერისთავმა მოინდომა მისი მამის ნუგზარის პოლიტიკის განხორციელება—მთის მშრომელთა დახარკვა. თავისუფლებისმოყვარე მთიელები არ დამორჩილდნენ, და იმართებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ზურაბი მზაკვრულ ხერხსაც მიმართავდა. მან ღალატით დახოცა ნადიმზე მიწვეული რჩეული ხევსური ვაჟკაცები, ამისთვის იგი მთის პოეზიაში წყევლა-კრულვითაა მოხსენებული [2]. მისი ხსენება მოყვანილ ტექსტშიც მთის მშრომელების მისდამი განწყობილების მაჩვენებელია. ასეთი კონტაბინაციით ხალხს ზურაბ ერისთავი გამოუყვანია წმინდა ხის შემგინებლად—ღვთის მგმობად, და უძველესი თქმულება უკცევია გვიანი ხანის გამწვავებულ კლასთა ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებად.

თქმულება ბერმუხაზე გვხვდება სხვა, აგრეთვე არქაულ ლექსში, როგორიცაა „იამბე ციხის ნაშალო“ [3], მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა საისტორიო ლექსის უძველესი ფუნქციის მაჩვენებელი მოყვანილი ლექსი ლაშარის ჯვარზე.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ძველ ფუნქციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე ხევსურეთში სარიტუალო ნადიმის დროს ფანდურის აკომპანემენტზე საგმირო სიმღერების შესრულება. ამ სიმღერებს ხშირ შემთხვევაში დასტურები ასრულებენ. მეტწილად ასეთი სიმღერის საგანია საგმირო საქმეებით ცნობილი რომელიმე კუთხის ან გვარის წარმომადგენელი. ეს სიმღერები შინაარსეულადაც საინტერესოა საზოგადოებრივი ცხოვრების განვი-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ჭართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მას. საქართ. ეთნოგრ., ნ. I, გვ. 43. არის უფრო ადრე ფიქსირებული ვარიანტებიც.

[2] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 7.

[3] ხალხური პოეზია, 1934, გვ. 83.

-თარების ადრინდელი საფეხურის ასახვის თვალსაზრისით. მათში მოცემული იდეა გმირის სიყვარულისა, ძველი გვაროვნული წყობილების დამახასიათებელი სამშობლოს სიყვარულის იდეაა. მის სოციალურ ფუნქციასაც ეს იდეა საზღვრავს.

80 წლის მოხუცი ხევსურის გერგეტელის (შერქმეული სახელია არხოტიონ გიორგი ოჩიაურისა) ცნობით, ახიელი ვაჟკაცი, ქისტებთან ბრძოლაში დაღუპული უშიშა ოჩიაური სარიტუალო ნადიმში ჩოქით ფანდურზე შესრულებულ სიმღერაში ასე იხსენიება:

ჰიმლის კლდეს ხყეფდა ყორანი,
ერთი უძახებს სხვასაო;
უშიშა არ მოგვაკლებდა
სახრავად ქისტის ძვალსაო [1].

გერგეტელის ცნობით, ხევსურები სარიტუალო ნადიმზე ფანდურის აკომპანემენტზე ასრულებენ აგრეთვე შემდეგ სიმღერეს:

სიკუდილმ თქუ, არ დავიჯერებ,
ნაბძანებს ვიქამ ხვთისასა,
ზენ უბანს მავაწმედიებ
ნაწურსა გრილის მთისასა.
მავხკლევდი კანჯარუასა [2]
ყარაულს ზენუბნისასა,
უშიშას ოჩიაურსა [3]
მგლებურ მჯამელსა მტრისასა,
აქუათ ქასას [4] მავხკლევდი
შაორდენს მაღლის მთისასა,
ალიათ ბაბღის [5] მავხკვლევდი
დამღუპავს ღილოღლებისასა [6].

მოყვანილი მაგალითები და სხვა მათი მსგავსი ტექსტები მხოლოდ სარიტუალო ნადიმის დროს არ სრულდება. დასმულ საკითხთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ სარიტუალო

---

[1] ჩაწერილი ჩვენ მიერ ხევსურეთში, ს. ახიელაში 1944 წლის 2 აგვისტოს. მთქმელის გადმოცემით, როდესაც უშიშა ოჩიაური შოუკლავთ ქისტებს, მისი გული ორსული ქისტის ჭალისთვის უპმევიათ—ასეთი ვაჟკაცი დაიბადებაო.

[2] კანჯარუა ციასკარაული-ხევსური ვაჟკაცი.

[3] ზემოთ მოყვანილ ლექსში მოხსენებული ახიელი ვაჟკაცი.

[4] ახიელი ვაჟკაცი.

[5] აგრეთვე ახიელი ვაჟკაცი, გვარად ჯაბუშანური.

[6] ჩაწერილი ჩვენ მიერ ხევსურეთში, ს. ახიელაში 1944 წ. 2 აგვისტოს გერგეტელის თქმით.

ფუნქციას შეეხეთ. ეერა ბარდაველიძეს აღნიშნული აქვს ამ. ხასიათის სიმღერათა მნიშვნელობა საგმირო პოეზიის წარმოშობის საკითხისათვის. მასვე მოცემული აქვს მათი დახასიათება, რაც საყურადღებოა საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციისა და შესრულების წესების თვალსაზრისით: „არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი ხევსურული სასიმღერო ლექსებისა. რომლებსაც ამღერებდნენ ფანდურზე ცალ მუხლზე ჩოჩით დასტურები ხატის დარბაზში რიტუალური პურობის დროს. ეს სასიმღეროები საგმირო სასიათის ლექსებს წარმოადგენენ. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან ამა თუ იმ ხევსურის მიერ შესრულებული საგმირო საქმეები. ხევსურის ძველი რწმენით, ხატი თავის ყმებს თვით ეხმარება მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში, მათ წინ მიუძღვის, ან დასახმარებლად თავის „ლაშქარ მწევართ“ დაადევნებს; ხატს ესიამოვნება და ეამაყება, როდესაც მას „კაი ყმანი“ ჰყავსო. ამიტომ საგმირო ხასიათის სასიმღეროები ხატში განკუთვნილი იყო იმ „ხთიშვილის გასართობად, სასიამოვნებლად და გულის მოსაგებლად, რომლის სახელობისაც იყო ესა თუ ის ხატი“ [1].

სიმღერები ქართული სახალხო-სარიტუალო დღესასწაულების აუცილებელი ელემენტები იყვნენ. შეიძლება ითქვას, ამ დღესასწაულებსა და მასთან დაკავშირებულ სიმღერებს ხალხისთვის ისეთივე მაორგანიზებელი დანიშნულება ჰქონდა, როგორც რეინის დღესასწაულზე შესრულებულ სიმღერებს, რის შესახებაც ფრ. ენგელსმა აღნიშნა: „О, рейнский музыкальный праздник — чудесный праздник!... На музыкальном празднестве почти все хотят больше, чем слушать, дать себя послушать. Сплошное веселье, пестрая непринужденная жизнь, свежесть наслаждения, каких в другом месте пришлось бы долго искать. Всюду радостные, благожелательные лица, дружелюбие и сердечность ко всем участникам всеобщей радости. Как несколько часов, протекают эти три дня торжества под пенье, шутки и вино. И на утро четвертого дня, когда вся радость исчерпана и настает время прощаться, опять уже радуются в надежде на следующий год, условливаются на этот счет, и каждый, все еще ра-

---

[1] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. I, გვ. 9.

достло настроенный и вновь оживший, идет своим путем и к своей повседневной работе" [1].

* * *

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი სოციალური ფუნქციის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ სამგლოვიარო წესებსა და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერ შემოქმედებას—ბოთქმას.

ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა გენეზისის, კერძოდ სამგლოვიარო წესებთან მათი უძველესი კავშირის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სვანური საფერხულო „ბეთქილ" ან „ბეთქენ". მისი ადრესატი სვანი მონადირე ბეთქილი თუ ბეთქენია. ჩვენ იგი მითიური ელფერით შემოსილ რეალურ გმირად მიგვაჩნია. იგი მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაშია ცნობილი. სვანების თქმულებით მას გაწყრომია ღვთაება დალი და დაღუპულა კლდეზე, რომელსაც მიუთითებენ მულახ-მუჟალის აღმოსავლეთით, მწვერვალთეთნულდის კვარცხლბეკთან. გოდება ბეთქილზე სვანური ფერხულის სასიმღეროა. ეს გოდება-სასიმღერო პირველად ალბათ გარკვეული გვარის საკუთრება თუ იყო. ამდენად საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით იგი დამახასიათებელია უფრო ადრინდელი საფეხურის—გვაროვნული წყობის, ვიდრე სიმღერები ცნობილ ისტორიულ პირებზე, დიდ ეროვნულ გმირებზე—თამარ მეფეზე, ვახტანგ გორგასალსა და სხვებზე. აღსანიშნავია, რომ დღესაც ზემო-სვანეთში ამ საფერხულოს კარგ მცოდნედ მულახელებს თელიან [2]. ჩვენთვის ცნობილია ამ საფერხულოს რამდენიმე ვარიანტი [3]. ყველა მათგანი ნამდვილი სამგლოვიარო გოდება-მოთქმაა. მისი ერთი ვარიანტი სამგლოვიარო ჰანგით შეასრულეს რომთულ ხერგიანმა და მისმა მეუღლემ მარიამმა. ისინი ახალგაზრდობისას სვანეთში განთქმული მომღერალ-მოცეკვაეები იყვნენ [4].

ტექსტს ამბობდა მარიამი. აღსანიშნავია, რომ მან ხანდაზმულობის გამო იუხერხულა ისეთი საფერხულოების სიმღერით შესრულება,

[1] Фр. Энгельс, Рейнские праздества, сочинения, т. II, 1929, стр. 226—228.

[2] 1945 წ. მთქმელმა, იფარელმა ილარიონ პირველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბეთქილს" ყველაზე კარგად მულახელები ასრულებენო.

[3] სამი დაბეჭდილია, იხ. სვანური პოეზია, გვ. 280—283; ორი ჩაწერილია ჩვენ მიერ 1945 წ. ბ/ხ. სვანეთში.

[4] ჩაწერილია ჩვენ მიერ მესტიაში (ს. ლანჩვალი), 1945 წ. აგვისტოში.

რომელთაც მოთქმის ხასიათი არა აქვთ. ასე, მაგალითად, მან უარი გვითხრა „თამარ დედოფლის“ სიმღერით შესრულებაზე. „ბეთქენი“ კი შეასრულა, როგორც ნამდვილი გოდება, ცრემლების ღვრითა და გულამოსკვნილი ტირილით. ეს საფერხულო სვანეთში ბოლო დრომდე სრულდებოდა ყოველგვარ რელიგიურ დღესასწაულებზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი პირველად დაკავშირებული იყო სამგლოვიარო წესებთან. საფერხულოს სამგლოვიარო ჰანგსა და თვით ტექსტში მოცემული სამგლოვიარო წესების აწერასთან ერთად ამას ადასტურებს მისი ზოგი ვარიანტის მოთქმა-გოდების დამახასიათებელი დასაწყისი:

„ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდაო!
ბაილ ილბა, ილბა ბაილ“ [1].

ან კიდევ: „საბრალო, მეთქი საცოდავო“ [2]. ეს საფერხულო თავისი სამგლოვიარო ჰანგით, ტექსტის ხასიათითა და შესრულების წესით ისეთივეა, როგორც საქართველოს ზოგ კუთხეში ბოლო დრომდე შერჩენილი გუნდური დატირება. ასე, მაგალითად, გრემისხეველმა (ქართლი, დუშეთის რ.) ქალებმა ვერ იმოთქმეს თავიანთი მიცვალებულები ქალთა გუნდის „ბანის“ გარეშე. ქალთა „ბანის“ აყოლებით დედამ ასე დაიწყო შვილზე მოთქმა:

„და, და, და, შვილო,
დედა მოუკვდეს ჩემს მარუსასა“,

ამას მოაყოლა გარდაცვლილის ცხოვრების, ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბები [3].

საისტორიო ნაწარმოებთა ერთი ნაწილის მოთქმა-გოდებასთან კავშირისა და საერთოდ სამგლოვიარო წესებიდან მომდინარეობის საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სიმღერა „შალვა-შავლეგო“. ამ სიმღერის შედარებით ვრცელი კახური ვარიანტი, ჩაწერილია ქართული ფოლკლორის ცნობილი შემკრების ზ. ბილანიშვილის მიერ [4].

ზ. ბილანიშვილმა ამ საგმირო-პატრიოტულ სიმღერას ასეთი შენიშვნა დაურთო: „ამ ლექსს მე-70 და 80 წლებში ხშირად მღეროდნენ გარე-კახეთში. იმღერება ორპირად ფერხულის ხმაზე. ყოველ მუხლის (რვა მარცვლის) შემდეგ დასძახიან:

[1] „სვანური პოეზია“, გვ. 281.
[2] იქვე, გვ. 285.
[3] ჩაწერილი ჩვენ მიერ 1939 წ. ს. გრემისხევში ექსპედიციაში ყოფნისას.
[4] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ. გვ. 113—114.

შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო.
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო [1].

ახალ ჩაწერილი ვარიანტის მთქმელის შენიშვნითაც ამ სიმღერას „ფერხულში იტყოდნენ ხოლმე" [2]. სიმღერის სხვა ვარიანტების რიტმი, კილოცა და მისამღერებიც ადასტურებენ, რომ ის საფერხულოა [3]. ფერხულში შესასრულებელ ამ საგმირო-პატრიოტულ სასიმღეროს სამგლოვიარო გოდების ხასიათი აქვს. დროთა ვითარებაში ტრადიციულ სიმღერად ქცეული და საკმაოდ ტრანსფორმირებული მისი იმერული ვარიანტი დედის მოთქმაა მტრებთან ბრძოლაში დაღუპულ გმირ შვილზე:

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
დიდ მინდორში ფენიაო, შავლეგო,
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
გულხადარას აცვიაო, შავლეგო,
ის შენი კარგი ჩეკმებიც, შავლეგო,
გულხადარას აცვიაო, შავლეგო,
ის შენი ქამარ-ხანჯალი, შავლეგო,
გულხადარას არტყიაო, შავლეგო [4].

ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს სასიმღეროში მისი ადრინდელი ფუნქციის კვალი. ეს სასიმღერო წარმოშობით უდაოდ სამგლოვიარო წესებთან დაკავშირებული გოდება იყო. სასიმღეროს სამგლოვიარო ხასიათისა და მისი შესრულების წესის გამო საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი ადრესატის ვინაობის გარკვევის საკითხი.

ზ. ბილანიშვილის შენიშვნით „ხალხმა შალვაზე მხოლოდ ის იცის, რომ უწინ გმირი ყოფილა, სახელად შალვა და ერთს გმირ თურქს ებრძოლაო [5]. ამ მცირე და ზოგადი შენიშვნიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ხალხს უკვე აღარ სცოდნია, ვინ იყო ის გმირი, რომლის სახელი და მოღვაწეობა სადიდებელ ჰიმნად იქცა. სცოდნიათ ხოლოდ, რომ იგი „უწინ", ე. ი. ძველად, წარსულში იყო. რაც შეეხება ცნობას, რომ შალვა „ერთ გმირ თურქს ებრძოლაო", არ შეეფერება არსებული ვარიანტის შინაარსს. სიმღე-

[1] ხალეული სიტ. ნ. I ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 114.
რუსთაველის სახ. ქართ ლიტ. ისტ. ინსტ. ფოლკლ. სექციის, მასალა № 22099.
[2] პ. უ ჩ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხ. სიტყვ, გვ. 369; ფოლკლ. სექციის მას. № 22059 9140 და სხვა.
[3] ფოლკლ. სექციის მასალა № 9140.
[4] ხალეური სიტყვ., ნ. I, ე. თაყაიშვილის რედ., გვ. 374.

ჩის მიხედვით გმირი შალვა და მისი ძმა ივანე იბრძოდნენ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ, რომელმაც ერთი ვარიანტით:

... დააგდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად
—მტკვარი და ალაზანია;
ბალახი საძოვნელადა
თრიალეთისა მთანია.
ავლაბრის ბახარს ჩამოხდა,
ადგილი უებარია,
დასცა და დახცა კარავი
სეტი ოქროსი მყავრია[1].

შალვას მტრების მრავალრიცხოვნობას აღნიშნავენ სიმღერის სხვა ვარიანტებიც[2].

საგულისხმო მოსაზრება შალვა-შავლეგოს ვარიანტებზე გამოთქვა გიორგი ლეონიძემ. ტექსტში დაცული რეალიების მიხედვით ლიტერატურაში პირველად მან გაარკვია სასიმღეროს ადრესატის ვინაობა: „თუ „ქართლის ცხოვრებას“ გადავხედავთ, საეჭვო არ იქნება დავასკვნათ, რომ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შეუნახავს ღეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის გმირი შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე, რომელთაც თავისი ქველი გმირობით ადიდეს თამარის მეფობა[3]. სასიმღეროს ვარიანტების შედარება შალვა და ივანე ახალციხელების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებთან ასაბუთებს გამოთქმულ ნოსაზრებას[4].

შალვა და ივანე ახალციხელები თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქის სახელოვანი გმირებია. სამშობლოსათვის ბრძოლებში მათ ბევრჯერ ისახელეს თავი. ცნობილ შამქორის ომში, როდესაც ქართველებს ბრწყინვალე გამარჯვება ერგოთ ნრავალრიცხოვან მტრის ჯარებთან ბრძოლაში, უამრავ ნადავლთან ერთად ქართველებმა ხელთ იგდეს უძლეველობის ნიშანი „დროშაჲ იგი ხალიფაჲსი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან“[4]. ახალციხელებს ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობა ეპირათ. 1206 წელს, როდესაც თამარ მეფემ თურქებს წაართვა ქ. კარი, „დაუტევა კარის მცველად ახალ-

---

[1] ხალხური სიტყვ., ნ. I, ე. თაყაიშვილის რედ., გვ. 373.
[2] იქვე, გვ. 114.
[3] გ. ლეონიძე, შალვა-შავლეგო, „კომუნისტი“, 1941, № 260.
[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 109.

ციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ეჯიბობაჲ და ამირთა-ამირობაჲ“ [1].

ხალხურ სიმღერებში გმირ შალვას გარეგნობა ასეა აწერილი: „შაელეგ იყო კარგი ბიჭი, კარგი გორათ აგებული“ [2]. ისტორიკოსის ცნობით „ახალციხელნი შალვა და ივანე, ახოვან იყუნეს და წყობათა შინა სახელოვანნი“ [3].

ხალხური სიმღერის ვარიანტებით გმირ შალვას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ცხენი წაქცევია, სადაც „ვიწრო სავლელი გზანია“, „ვიწროსა და ავს ალაგსა“ [4]; ან კიდევ „დიდი კანაოს პირსაო“ [5], თუ „ნაკვალევსა გუთნისასა [6]“. „შალვას ცხენი წამოექცა“. ზემოთ მოყვანილი ვარიანტითაც, როდესაც იგი მის ძმა ივანესთან ერთად ებრძოდა შემოსეულ მრავალრიცხოვან მტერს, რომელმაც „დასცა და დასცა კარავი [7]“.

ისტორიკოსის ცნობითაც, შალვა და ივანე ახალციხელებს სამშობლოსათვის თავგანწირულ ბრძოლებში ორჯერ მოუკლეს ცხენები. ერთხელ—თამარის მეფობისას, 1204 წელს ცნობილ ბოლოსტიკეს ომში, როდესაც ქართველებს ბრწყინვალე გამარჯვება ერგოთ მრისხანე ნუქარდინ სულტანის მრავალრიცხოვან ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში [8]; მეორედ—იმ საბედისწერო ბრძოლაში, როდესაც უმკლავდებოდნენ რუსუდანის მეფობისას შემოსეულს, თათართაგან ძლეულ ხვარაზმის შაჰის ჯალალედინის მრავალრიცხოვან ჯარს. ამ უთანასწორო ბრძოლამ იმსხვერპლა სამშობლოსათვის თავდადებული, შინაური შუღლითა და ღალატით განწირული გმირები. ივანე ქვით ჩაქოლეს გარნისის კლდეში, შალვა შეიპყრეს და ერთი წლის შემდეგ სჯულზე მტკიცედ დგომისათვის აწამეს. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ხალხის პირველ მარცხს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში ისტორიკოსი ასე აგვიწერს: „... და ვითარ განგრძელდა ომი, ორთავე ძმათა ახალციხელთა დაუჭოცეს ცხენნი, და ქვეითნი მჭნედ იბრძოდეს, და მოისრნეს ორგნითვე ურიცხვნი,

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 124.

[2] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ე. თ-ს რედ., გვ. 374.

[3] „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოც., გვ. 350.

[4] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ე. თ-ს რედ., გვ. 113—114 და 373—374.

[5] ფოტოკლ. სექც. მას. № 22042.

[6] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 368.

[7] ხალხ. სიტყვ., ნ. I, ე. თ-ის რედ. გვ. 373.

[8] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 127.

და უმეტეს თორელნი: და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ჯრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა, მაშინ იელტოდეს ქართუელნი: ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა, სიმრავლესა ფრიადისა მიერ, და იქანე, გარნისისა კლდეთა შინა შელტოლვილი, ზენაკერძო. მოტევებულითა ქვითა მოიკლა მუნ: ხოლო შალვა წარიდგინა სულტან ჯალალდინის წინაშე"[1]. როგორც აღნიშნა გ. ლეონიძემ, ხალხურ პოეზიაში ასახულია ეს მწარე სინამდვილე. უდაოდ ქართველთა ამ თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდი შენახულა ფერხულის სასიმღეროს ვარიანტებში. ერთი მათგანი ასეთია:

შავლეგ ჩამოხტა
შავსა გრილოსა,
ომი მოგვიხდა,
ომი, რა ომი.
ლეშის ნაკუწი
ხორად დგებოდა,
სისხლის ნაღვარი
ზღვას ერეოდა,
შუბის ნამტვრევი
მცასა ხვდებოდა[2];

სიმღერის ზოგი ვარიანტით შალვა საქართველოს მაოხარ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლია. ცხადია, ეს ანაქრონიზმია ხალხური შემოქმედების ბუნებით გამოწვეული. სასიმღეროს საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობაზე გადატანისას ხალხმა ნუქარდინ სულტანისა და ჯალალედინის ლაშქრები შემდეგ ქართველი მოსახლეობის მაწიოკებელ ლეკებად წარმოიდგინა. ასეთივე ანაქრონიზმია, როგორც აღნიშნა გ. ლეონიძემ, შავლეგოს სიმღერის ერთ ვარიანტში დემურ ყეენის ხსენებაც[3].

ამგვარად, შალვა-შავლეგო, ეს მრავალმხრივ საყურადღებო სასიმღერო, გარკვეულ ეპოქასა და ისტორიულ პირთანაა დაკავშირებული.

შალვა ახალციხელი ხალხის გადმოცემით არა მარტო „ვაჟკაცი ქამარ-ხანჯლით შეჯედილი" და „კარგი ბიჭი" იყო, „კარგი გორათ აგებული", არამედ მაღალი ზნეობით დაჯილდოებულიც. ერთ ლექსში ხალხს უდიდესი სიყვარულითა და მოხდენილი პოეტური ხერხე-

---

[1] „ქართლის ცხოვრება", ბროსეს გამოც., გვ. 350—351.
[2] ფოლკლ. სექც. მასალ. № 22059.
[3] „კომუნისტი", 1941 წ., № 260.

ბით მოუცია სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლისა და უანგარო მეგობრის სახე[1].

შალვა ახალციხელი ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა[2]; ხალხმა კი თანამედროვეთა გოდება ღალატით დაღუპულ მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებულ სახელოვან პატრიოტ გმირზე სადიდებელ ჰიმნად აქცია და სადღესასწაულო რიტუალებში შეიტანა. ამიტომ ამ სასიმღეროს განსაკუთრებული ზნიშენელობა აქვს საგმირო ეპოსის, კერძოდ საისტორიო ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილის გენეზისისა, მათი სამგლოვიარო წესებთან კავშირისა და აგრინდელი სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით. „ბეთქილისაგან“ განსხვავებით ეს სასიმღერო გოდებაა არა ერთი რომელიმე თემის ან გვარის წარმომადგენელზე, არამედ გაერთიანებული მძლავრი ქვეყნის სახელოვან გმირზე. მასში ასახული იდეა საშობლოს სიყვარულისა დამახასიათებელია საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო გვიანი საფეხურისთვის. მიუხედავად ასეთი სხვაობისა შესოულების წესითა და ხასიათით, ორივე ნაწარმოები ერთგვარია. ორივე დამახასიათებელია პოეზიის განვითარების ერთი უადრესი საფეხუოისათვის და გვაცნობს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილის ძველ ფუნქციას.

* * *

მთელი რიგი საისტორიო საფერხულოები და სხვა სარიტუალო ტექსტები ქართული ხალხური სიტყვიერების თავისებურების მაჩვენებელია. მოყვანილი ნიმუშები უაღრესად არქაულიცაა, შეიცავენ პირველყოფილი ხელოვნების ნიშნებს და ამავე დროს ხასიათდებიან მდიდარი შინაარსითა და მაღალი მხატვრული ფორმით. ეს ნაწარმოებნი, ქართული მხატვრული სიტყვის საუკეთესო ნიმუშები, პროდუქტებია მათ შემქმნელთა არა მხოლოდ ჭეშმარიტი შემოქმედებითი უნარისა, არამედ გარკვეულ ეპოქათა კარგად ცოდნისაც. მათ ამჩნევიათ კვალი შემქმნელთა და შემსრულებელთა გარკვეული რწმენისაც. ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა მოყვანილი ნიმუშებისა და მსგავსი მასალების უპირატესობა სხვა ხალხის მასალებთან შედარებით იმაშია, რომ მხატვრული სიტყვის ამ საუკეთესო ნიმუშებმა ბოლომდე შეინარჩუნეს პოეზიის განვითარების სხვა-

[1] „კომუნისტი“, 1941 წ., № 260.

[2] ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 531—541.

დასხვა საფეხურისა და უძველესი სოციალური ფუნქციის ნიშნები. ისინი დამახასიათებელია პოეზიის განვითარების იმ საფეხურებისათვის და ატარებენ კვალს ისეთი სოციალური ფუნქციისა, რომელთა შესახებ ფოლკლორის ისტორიასთან დაკავშირებით პროფ. ნ. პ. ანდრეევმა აღნიშნა: „В древнейшие времена, еще в период доклассового общества, они (ფოლკლორული ნაწარმ., ე. ს.) являлись отражением запросов и интересов первобытного человечества в его суровой борьбе с природой. Позднее в них проявлялась великая творческая мощь народных масс, чаяния и ожидания трудового народа, героика его борьбы, его радости и страдания, его любовь и ненависть“ [1]. მოყვანილი ფაქტები, მაჩვენებელი საქართველოს ზოგ კუთხეში შერჩენილი საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ძველი ფუნქციისა, წარსულის გადმონაშთია. საქართველოში დღეს ფერხულს გამოცლილი აქვს სარიტუალო ფუნქცია; ან კიდევ—ფერხულის ტრადიციული სასიმღეროები სრულად ახალ ფუნქციას ასრულებენ. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც საფერხულო ტექსტები სრულდება ჩვეულებრივი წვეულებისა და ლხინის დროსაც [2]. ფერხულის შესრულება ჩვეულებრივი ლხინის დროს შედარებით ახალი მოვლენაა. იგი არ არის კანონზომიერების გარეშე და მაჩვენებელია ხალხური შეჯოჭვედების ტრადიციის ცვალებადობისა; კერძოდ—საფერხულო სიმღერის გარკვეულ წესზე მოწყვეტისა და პოეზიის სხვა სახის ლირიკულ თუ ლიროეპიკულ ნიმუშებთან ფუნქციურად გაიგივებისა.

* * *

საისტორიო ნაწარმოებთა შესრულების უძველეს წესთან დაკავშირებით საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება. იქ, სადაც ბოლომდე შენარჩუნებულა ფერხულის ტრადიცია, მისი მონაწილე მთქმელები ვერ ახერხებენ ტექსტის სიმღერისაგან დამოუკიდებლად შესრულებას. ასე, მაგალითად, 80 წლის მესტიელმა მარიამ ნიგურიანძა-ხერგიანძამ, რომელიც ახალგაზრდობაში ფერხულის საუკე-

[1] Н. Андреев, Фольклор и его история, Русский фольклор, изд. 2-е, 1938, გვ. 5.

[2] ცნობები მოგვაწოდეს მესტიელმა ანტონ ხერგიანმა და ჰადიშელმა გიორგი ავალიანმა 1945 წ. ზემო სვანეთში ექსპედიციაში ყოფნისას. იგივე ცნობები დაგვიდასტურა სტალინის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ. სტუდენტმა ციცინო ნაველრიანმა, სვანური ზეპირსიტყვიერების ნიჭიერმა მთქმელმა.

თესო მონაწილე ყოფილა—ცნობილი მომღერალი და მოცეკვავე, ჩაგვაწერინა, მხოლოდ დასაწყისი ზემოთ მოყვანილი თამარ დედოფლის საფერხულოსი. ზღაპრების, ლექსებისა და ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრის ნაწარმოებთა ნიჭიერმა მთქმელმა ვერ შესძლო საფერხულო ტექსტის სიმღერის გარეშე შესრულება. სიმღერაზე კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უარი გვითხრა—„მოხუცი ვარო". შემსრულებლის ასაკის გარდა აქ საყურადღებოა ტექსტის სიმღერასთან დამოკიდებულება. საფერხულო ტექ-ტების სიმღერის გარეშე შესრულება გაუძნელდათ სხვა მთქმელებსაც. მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ნიჭიერმა ჰადიშელმა მთქმელმა გიორგი ავალიანმაც ვერ შესძლო თამარის საფერხულოს სიმღერის გარეშე შესრულება[1]. ეს გარემოება შემთხვევითი არ არის და მეტად საგულისხმოა საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ტრადიციისა და პოეზიის განვითარების თვალსაზრისით. იგი დამახასიათებელია პოეზიის განვითარების იმ უძველესი საფეხურისათვის, როდესაც ტექსტს დამხმარე როლი ჰქონდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მელოდიასთან.

საისტორიო ნაწარმოებები ბოლო დრომდე მჭიდროდაა დაკავშირებული სიმღერასთან. ცნობილია მათი შესრულება სტვირის, ფანდურისა თუ სხვა ხალხური მუსიკალური საკრავების აკომპანემენტზე, მათი სხვადასხვაგვარი ფუნქციით. შესრულების ასეთი წესი მხოლოდ საისტორიო ნაწარმოებთა სპეციფიკა არ არის. იგი დამახასიათებელია ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებისთვისაც.

საისტორიო ნაწარმოებთა, კერძოდ საგმირო ეპოსის გარკვეული ნაწილის გენეზისისა და ტრადიციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ლექსები გამოჩენილ ისტორიულ პირებისა თუ სახალხო გმირების გარდაცვალებაზე. ეს ლექსები არ არის და არც ყოფილა საფერხულო, უველა მათგანი არც იმღერება. ისინი სამგლოვიარო გოდების ტრადიციაზე არიან შექმნილნი. მათი დანიშნულება გარდაცვლილის დატირებაა. თავის მხრივ ეს ლექსები შუქს ფენენ საისტორიო ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილის ტრადიციის, გენეზისისა და შესრულების წესების საკითხებს.

თუ ზემოთ განხილული მასალები საყურადღებოა საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი სარიტუალო ფუნქციის ნიშნების შენარჩუნებით, ამ ნაწარმოებებში ასეთი ფუნქციის კვალი აღარ ჩანს. ასეთი

---

[1] გიორგი ავალიანისაგან მასალები ჩავიწერეთ 28 აგვისტოს 1945 წ. ადიშში, ლამარიობას.

ნაწარმოები შეიძლება გმირის გარდაცვალების შემდეგ, გაცილებით უფრო გვიან იყოს შექმნილი, მაგრამ გოდების ტიპი გლოვის ტრადიციიდან მოდის. ასეთი გოდება-ლექსებით მდიდარია ყველა ხალხის პოეზია. სხვა ხალხის მასალათა შორის ყურადღებას იპყრობს ნეტად თავისებური, არქაული წარმოშობის ირლანდური ეპოსის კუხულინის ანუ ულადის ციკლის ნაწარმოებები. ისინი დაკავშირებული არიან ისტორიულ-ლეგენდარული ირლანდელი გმირის კუხულინის სახელთან. ა. ა. სმირნოვის მოსაზრებით „Образ Кухулина имеет по всей вероятности, историческую основу, рано обросшую мифическими элементами“ [1].

კუხულინის ციკლის ნაწარმოებები გმირებზე გოდების შესანიშნავ ნიმუშებს შეიცავენ. ასეთია, მაგალითად, ტრაგიზმით სავსე კუხულინის მოთქმანი მისი ხელით დაღუპულ სიყრმის მეგობარ ფერდიადზე, რომელიც ზვარაკი ქალის მედბის ბოროტმა მომღერლებმა მოაჯადოვეს და აამხედრეს ძმობილის წინააღმდეგ. კუხულინმა გრძნობა დაკარგა, როდესაც იხილა მისი ხელით დაცემული მეგობარი. შემდეგ კი ცხარე ცრემლებით დაიტირა იგი. ერთერთი ნიშნუში მისი გოდებისა ასეთია:

О Фердиад, ты пал жертвой вероломства!
Была горькой встреча наша последняя!
Вот, нынче ты мертв, я же остался жив,
Будет вечной тоска разлуки вечной!
Когда мы были с тобою вместе
Там, у Скатах, Уатах и Айфе.
Казалось нам—вовеки-веков
Дружбе нашей конца не будет.
Мила мне алость твоя благородная,
Мил твой прекрасный, совершенный образ.
Милы твои очи синие, ясные.
Мила твоя мудрость и речь складная.
Не ходил еще в бой, рассекая кожу,
Не распалялся еще боевым пылом.
Не носил щита на плечах широких.
Тебе подобный, о красный сын Дамана!
Никогда не встречал я на поле битвы
С той поры, как пал единый сын Айфе,
Тебе подобного в подвигах, ратных,—
Не сыскал я такого, о Фердиад, доныне.

[1] А. А. Смирнов, Древний ирландский эпос, Ирландские саги, Academia, 1929, გვ. 52.

Финдабайр, дочь королевы Медб,
Со всею дивною красою своей,
Была для тебя, о Фердиад, не больше,
Чем ветка ивы на холме песчаном![1].

ამავე ციკლიდან საინტერესოა გოდება თვით ამ ლეგენდარული ირლანდიელი გმირის კუხულინის სიკვდილზე, რომლის შექმნაზედაც თვით საგაშიჲ ცნობა: „კენფაილადმა, აილილის შვილმა შექმნა სიმღერაო“[2]. · აკად. ი. სოკოლოვმა საისტორიო ნაწარმოებთა განხილვისას, პეტრე პირველის გარდაცვალებაზე შექმნილ ლექსთან დაკავშირებით ასეთ სიმღერებს მართებულად უწოდა нестиплачи[3]. ლექსი პეტრე პირველის გარდაცვალებაზე უაღრესად საინტერესოა საგლოვიარო გოდების ტრადიციაზე შექმნილი პოეზიის თვალსაზრისით. იგი მართლაც ნამდვილი ძოთქმაა. მოგვყავს ნაწყვეტი:

„Вы подуйте с гор, ветры буйные,
Разнесите с небес снежки белые,
Расталкните ветры, бел горюч камень,
Распатайте-ка мать сыру землю
Вы на все четыре стороны.
Расколите, ветры, гробову доску,
Разверните вы золоту парчу,
Распахните вы бел-тонкой саван!
Уж ты встань, проснись, православный царь,
Православный царь, Петр Алексеевич!
Подними ты свою буйную головушку,
Посмотри на свою силушку:
Твоя силушка во строю стоит,
Во строю стоит—не шелехнется,
По-военному она обучается;
На войну она отлучается“[4].

—პეტრე პირველი პროფესიულმა მოტირალებმა დაიტირეს[5]. იქნებ ეს ლექსიც გლოვის ზარიდან მოსდევს რუსულ ხალხურ პოეზიას.

---

[1] Ирландские саги, Academia, 1933, стр. 167—168.

[2] იქვე, გვ. 218.

აილილის შესახებ კომენტარში აღნიშნულია: Бард, умерший, согласно хроникам, в 678 или 679 г. н. э. გვ. 348.

[3] Ю. Соколов, Русский фольклор, 1941, стр. 279.

[4] П. В. Киреевский, Песни, вып. 8, стр. 280.

[5] Н. Андреев, Фольклор и его история, Русский фольклор, 2-е изд., стр., 17.

არა ერთი და ორი პოეზიის ნიმუშის დასახელება შეიძლება ქართული ხალხური სიტყვიერებიდან, რომელიც ცნობილი ისტორიული პირისა თუ სახალხო გმირის გარდაცვალებას ეხება და აშკარად სამგლოვიარო გოდების ტრადიციაზეა შექმნილი. მათი პირველადი ფუნქცია გარდაცვლილის დატირებაა. ასეთი ფუნქციის აშკარა კვალი ამჩნევია იმ ლექსებს, რომელნიც წარმოადგენენ თამარ მეფეზე გლოვას საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარჩინებულთა მიერ [1]. ერთი ასეთი ხასიათის ლექსი, რომელიც კახთა გლოვას წარმოადგენს, პ. ლარაძეს მიეწერება [2]. ვფიქრობთ, დანარჩენებიც მასვე ან სხვა რომელიმე განათლებულ პირს ეკუთვნის, რადგანაც მათი ენა ბეჭდვითობრულია, ისინი მაინც საყურადღებო არიან საისტორიო ნაწარმოებთა სამგლოვიარო ფუნქციის თვალსაზრისით. მათში მდიდარი მასალაა ქართული სამგლოვიარო წესებისა და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი ხელოვნების შესახებ. საისტორიო ნაწარმოებთა ფუნქციისა და შესრულების წესის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ერთ მათგანში დაცული ცნობა თამარ მეფის ფანდურით დატირებაზე:

„მოსთქიან ხმასა მთიულნი,
ფანდურით საწყლად ტირიან“ [3].

მოგვყავს ამავე ლექსის ნაწყვეტი, როგორც ნიმუში საყვარელ გმირთან უკანასკნელი გამოთხოვებისა:

მშვიდობით დიდო მეფეო.
მშვიდობით გმირად მბრძოლოდა,
მშვიდობით ერთგულთ მოწყალევ,
მშვიდობით ობლად მხრდეელოდა,
მშვიდობით ბრძენო სიტყვითა,
მშვიდობით მტერთა მკელელოდა,
ვით გესალმებით, არ ვიცით,
სად გაქვთ საცხოვრად ბოლოდა.
რად ესალმებით, მოყმენო,
ურთიერთს ეუბნებოდეს,
თან წაგვიყვანე ბატონო,

---

[1] „ჯვალი“ №№ 22—24, 1895.

[2] „საქართვ. ძველი თავგადასავალი“, გვ. 130—198.

[3] მიცვალებულის ჩონგურის აკომპანემენტზე დატირების წესი ბოლო დრომდეა შემორჩენილი სამეგრელოში (ცნობა მოგვაწოდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ. I კ. სტეფენტმა. ცხაკაიას რ. მცხოვრებმა როდონაიამ).

გული შენთანა გყვებოდეს,
იქნება მარტოს მტერი გხვდეს,
თუშთ ხმა არ გეყურებოდეს,
ჩვენთვის სირცხვილ არს ფშავ-ხევსურთ,
რომე არ შენთან კვდებოდეს.
მშვიდობით თუშთა იმედო,
მშვიდობით ფშ ველთ მყვაროდა,
მშვიდობით ხევსურთ საუნჯევ,
მშვიდობით მტეოთა მზაროდა,
მშვიდობით არაგველთ სძალო,
მშვიდობით ჭანელთა მძღვაროდა,
ერთობლივ ქართველ ერისა
მეცხვარ-მწყემსთ-წინამძღვაროდა [1].

საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით ასეთივე მნიშვნელობისაა გ. ფირალიშვილის ხელმოწერილი ლექსი ერეკლე მეფის გარდაცვალებაზე: „აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია" [2]. გ. ფირალიშვილის ავტორობის დადასტურებაც არ უარყოფს ლექსის ტიპის სამგლოვიარო ტრადიციიდან მომდინარეობას. ერეკლე მეორეს ორმოცი დღის განმავლობაში მოთქმითა და ზარით დასტიროდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობა დაუცავს თეიმურაზ ბატონიშვილს: „ხოლო დღესა ორმოცსა ესენა გვამი მეფისა ირაკლისა თელავს, რამეთუ მოვიდოდიან კახეთით, ქართლით, და ყოველთაგან სამეფოთა მისთა დედაწულითურთ მცხოვრებნი და ჰყოფდეს იგინი გოდებასა და ტყებასა დიდსა გვამსა ზედა მისსა, ყოველნი თვითოეულნი მცხოვრებნი გვარნი, მცხოვრებნი ქართველნი კავკასიის მთათაგანნი და თათართაგან საქართველოჲსთა და სხვათა ყოველთა ადგილებთაგან მოვიდოდიან და ჰყოფდენ გოდებასა წესისაებრ მათისა..." .

„... დასვენეს გვამი იგი და იტირეს მუნ ხმითა მოთქმითა და ზარითა თქჳს თქმითა [3] ხოლო მოვიდა დედაკაცი ვინმე ქიზიყის მცხოვრებთაგანი ქვრივ-მოხუცებულებისა ასაკსა მოწევნილი. თუმცა იყო იგი მდაბიოთა ერისთაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთაგან და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა, იწყო ამან ჴმითა მაღლითა ტირილი, ესეთისა შესაბამისა სიტყვებითა ტირილსა მას

[1] „ცნობის ფურცელი" № 22—24, 1895.

[2] ქართული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II.

[3] ზარის თქმა არის ძველი საქართველოს ჩუეულებისამებრ გალობისა სახელი ტირილის ხმაზედა შეწყობილი (შენ. ავტორისაა).

შინა მიიღებდა თგთეულთა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფის მიერ ქმნილთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს, გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედაკაცმან ესრეთ შესწბაწისი სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა. ვინაჲდგან ძველი არს ჩვეულება, რომელნი რომელნიცა გვამნი მამრთა ანუ მდედრთაგანნი ჩინებულთაგან კარისათ არიან, და ანუ სხვანი შემეცნებულნი კარსა მეფისასა, აღარჩევენ მათ და იგი შესაბამად მეფის გუამისა ჰყოფენ ტირილსა ესე გვარითა ჴმითა; რომელიცა დიდსა შინა ლმობიერებასა მოიყუანს მსმენელთა და წარმოუთხრობენ თვითოეულად მათ ღირს სახსოვართა და საქმეთა მოწყალებასა და კაცთმოყუარებასა მეფისათა. თუმცაღა მრავალთა იტირეს გვამი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა, ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიც იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი და მეორე ქერიე იგი ქიზიყელი, რომელიცა წინარე მოვიხსენეთ...“[1].

საფიქრებელია,“ ქიზიყელი ქვრივი მოხუცი ქალის „შესაბამისი სიტყვებით დატირება“ ტრადიციულ ტექსტადაც იქცა.

ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსებით მდიდარია ქართული საგმირო-საისტორიო პოეზია. ზოგი მათგანი ნამდვილი მოთქმა-დატირებაა და შესაძლებელია წარმოშობით ამ დიდი ეროვნული გმირის გლოვის ზართანაც იყოს დაკავშირებული. მოთქმისა თუ დატირების ფუნქციის ნიშნების მატარებლად მიგვაჩნია საქართველოს მთაში მრავალ ვარიანტად არსებული ლექსი:

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგეხსნათ რკინის კარიო,
მხე ჩაგვივიდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო,
მთვარე დაბნელდა, გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშიო...
ატირდნენ წვრილნი ვარსკლავნი,

---

[1] მოხსრება ქალაქისა თბილისისა სპარსეთის ყაენის ყაჯარის აღა-მაჰმადხანისაგან. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. S—191, თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორია, ნაწილი მეორე, პარიზი 1833, რვ 15. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაზე მიგვითითა დოც. ტრ. რუხაძემ.

ცამაც დაშალა ნაჭიო:
აღარ გვყავს ნეფე ერეკლე,
არც იმის ნაომარიო,
არ გვიფრიალებს დროშები,
არცა სჭეხს ზარბაზანიო.
—ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა,
გაუხმეს ეხის ტარია,
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა აჩის განაყარია,
შვილებს დაუჯდო ბეგთარი
ფხა-სის'ლიანი ხმალია:
—სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მიეძრენ და მოეძრენ ხლვანია,
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქის მეიდანია..
—მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა,
უნთია კელაპტარიო,
შიგა წევს ნეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარიო,
ატირდა ერეკლეს ცოლი,
იმერეთ ნეფის ქალიო:
—ეს ჩემი თვალნი რასა ჰგვან,—
მოლრუბლულნია ცნიო,
მალი-მალ ისე დასწვიმენ,
როგორც ნიაღვარ-წყალნიო;
ეს ჩემი გული რასა ჰგვან,—
ცხენთა ნაგალი ნალია,
ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგეპასნათ რკინის კარია.
იმისა სანეფოპედა
იცილებიან სხვანია.
ვაჟიც მჭნა, ქალი არ ვიყო,
თავზე არ მესხნან თმან ა,
ტანზე ჩამაცვა ბეგთარი
საჭირო საომარია,
მაშინ ის გაიგებოდა,
ვისიც გასპრიდა ხმალია,
რა მალე ვინადირებდი,
შორით გეპირა თვალია[1].

საფიქრებელია, ეს ლექსი დიდი გმირის გლოვის ზარიდან შერჩა ხალხურ პოეზიას და ზეპირი ტრადიციის შედეგად დროთა ვითარებაში სახე იცვალა. გლოვის ტრადიციაზე შექმნილი ასეთი ლექ-

[1] ხალხური პოეზია, 1934, გვ. 216—217.

სები საქმაო რაოდენობით გვხვდება თემის გმირებზედაც. ბევრ მათგანს მითიური ელფერი აქვს. ასეთია, მაგალითად, მთაში გავრცელებული ლექსი ხოგაის მინდის სიკვდილზე, რომელშიც ადამიანებისა და ბუნების სამგლოვიარო პროცესი მდიდარი ხალხური სიმბოლიკითაა მოცემული. იგი ბრწყინვალე ნიმუშია ხალხის ტირილისა სახელოვან გმირზე:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა პეჭდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩაშოდიოდა ვარსკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სულ მზრებით იხოშებოდა.
მაღლის პიუხის ნადირი
სატირლად ემხადებოდა,
ცხენი იმისი ტირილი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა,
ცოლი იმისი ბუჩავი
სულ შავად იმოსებოდა,
დედის იმიჯას საბრალოს
ტირილს აღარა ჰქადებოდა,
მამა იმისი საბრალო
თმა-წვერით იხოშებოდა[1].

სამგლოვიარო ტრადიციაზე უნდა იყოს შექმნილი ქართული საგმირო პოეზიის საუკეთესო ნიმუში გმირის კულტის, კერძოდ ვაჟკაცის უკვდავების რწმენის მაჩვენებელი ლექსი „ვაჟკაცსა თავის სიკვდილი თავი მძინარე ჰგონია“, რომელიც შემდეგ სახალხო გმირის აფრასიონ მერკვილაძის სახელს დაუკავშირდა.

გარდაცვლილ გმირთა ხსოვნის უკვდავყოფის დანიშნულების თვალსაზრისით საინტერესოა ზოგიერთი ნიმუში გურული ფირალის ეპოსისა. თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირების—დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძის, ნიკოლოზ მეხუზლას და სხვათა სიკვდილზე შექმნილ ლექსებს[2], მათი

---

[1] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები.

[2] მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, 1934, გვ. 109—141; ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, 1937, გვ. 78—109; ან. ხინთიბიძე, გურული ფირალები, თბ., 1938 წ.

ხსოვნის პატივისცემის აღსანიშნავად ბოლო დრომდე დამღერის გურული ახალგაზრდობა გიტარის აკომპანიმენტზე. ეს ლექსები უშუალოდ სამგლოვიარო ზარიდან არ ჰომდინარეობენ. მათ ასრულებენ გარდაცვლილ გმირთა ხსოვნის პატივისცემის მიზნით და ამდენად ფუნქციურად უახლოვდებიან მოყვანილ ლექსებს პეტრე პირველის, თამარ მეფისა და ერეკლე მეორის შესახებ. ასეთ ლექსებს მეტწილად დაღუპულ მებრძოლთა მახლობელი პირები ჰქმნიდნენ. ასე, მაგალითად, ალ. ღლონტის ცნობით, დათიკო შევარდნაძის შესახებ არსებული ლექსი „დაეცვიწყარო დათიკო“ შეუთხზავთ ამხანაგებს დათიკო შევარდნაძის ღალატით დაღუპვის გამო [1].

საისტორიო ნაწარმოებთა სამგლოვიარო ტრადიციასთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღების ღირსია ხალხური ლექსები მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ლ ე ნ ი ნ ი ს გარდაცვალებაზე. საბჭოთა ფოლკლორი უმდიდრეს მასალას იძლევა ეპოსის წარმოშობის, განვითარებისა და სოციალური ფუნქციის შესასწავლად. ჩვენ უშუალო მოწმენი ვართ იმ დიადი ისტორიული მოვლენებისა, რაც განსხმაურებას პოულობს ხალხურ პოეზიაშიც. მაგრამ ამჟამად ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს არ ვეხებით. ლენინის გარდაცვალებაზე შექმნილი მრავალრიცხოვანი ლექსები, მძლავრი შენაკადი საბჭოთა ფოლკლორისა, გოდების ტრადიციაზეა შექმნილი. სამგლოვიარო წესებისა და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედების მიმართ აკად. იური სოკოლოვმა მართებულად აღნიშნა: „Причеты—это один из тех жанров традиционного фольклора, который получил дальнейшее развитие в нашем советском народном творчестве“ [2]. ამის ნიმუშად მან დაასახელა ნიჟიერი ქალის ბელომორსკელი მთქმელის მართა კრჟუკოვას გოდება ლენინზე „Каменна Москва вся пролилакала“ და მორდოველი მთქმელი ქალის ე. კრივოშეევას „Плач о Кирове“. საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მ. კრჟუკოვას ლენინზე გოდების შექმნის გარემო. პროფ. მ. აზადოვსკის ცნობით, მ. კრჟუკოვამ ეს გოდება მავზოლეუმში შექმნა [3]. ნიჟიერი მთქმელი მიიწვიეს მოსკოვში, შეიყვანეს მავზოლეუმში, მაგრამ მან დუმილით შემოუარა ლენინის ცხედარს. შემდეგ წაიყვანეს ლენინის მუზეუმში და როდესაც აც-

[1] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, გვ. 205.

[2] Ю. С о к о л о в, Русский фольклор, стр. 181.

[3] 1938 წ. ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსზე წაკითხული ლექციიდან.

ნობდნენ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოითხოვა ისევ მავზოლეის დათვალიერება. თხოვნა აუსრულეს და მან მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი იქვე გულწრფელად დაიტირა [1].

ლენინის გარდაცვალებაზე შექმნილი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით მდიდარია ქართული ხალხური სიტყვიერებაც. ესენია ქართველი ხალხის წრფელი გოდება მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის გარდაცვალებით გამოწვეული. მათგან ბევრი მოთქმა-დატირების საუკეთესო ნიმუშია. ასე, მაგალითად, აშკარა გლოვის დანიშნულების მატარებელია გავრცელებული ლექსი:

მოულოდნელად დაგვიდგა
სამგლოვიარო ხანაო,
დაბნელდა მთელი ქვეყანა,
შავი ჩაიცვა ცამაო.
კიდევ იელვა, იქუხა,
ცეცხლები გადმოყარაო,
თითქოს გლოვობის ამბავი
ცამაც კი მოგვიტანაო.
გახშირდა რადიოები,
ტელეფონები თანაო,
რუჟეთით ამბავ მოსულა:
ლენინი გარდიცვალაო.
იქნებ მოტყუვდა რადიო,
სიტყვა ვერ მოიტანაო?
მაღალსა მთასა ხეებმა
ტოტები დაიხარაო.
ფრინველთ შესწყვიტეს გალობა,
იმათაც იგრძნეს განაო,
ვაჯლაზ, მომკვდარა ლენინი,
თავისუფლების მამაო.
ნეტავ რა დედამ გაგზარდა,
რა პირმა გითხრა ნანაო,
იმ დასაქცევმა სიკვდილმა
რაღა შენ წაგიყვანაო [2].

რევოლუციამდელ მოთქმა-სიმღერებისაგან განსხვავებით დიდ გულისტკივილთან ერთად ამ წრფელ გოდებებში ისმის ხალხის იმე-

---

[1] Творчество народов СССР, стр. 52—55. გადაბეჭდილია, Н. Андреев, Русский фольклор, 1938, стр. 632—635.

[2] ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში, დ. ბენაშვილის რედ., თბილისი, 1939, გვ. 44—45.

დიანი ხმა, რადგანაც ლენინის საქმეს ღირსეულად აგრძელებს და ავითარებს დიდი სტალინი. სიკვდილზე ტრადიციული შეხედულების ამსახველი ლექსის მთქმელი ასე დატირის დიდ ბელადს:

სიკვდილმა ჩამოიარა,
ლენინს მიადგა კარზედა,
—სულეთს ჩამომყე გმირთ-გმირო,
განთქმულო ქვეყანაზედა.
იქ დაგასვენებ დაღლილსა,
არვინ შეგხვდება გზახედა,
მე დაგიყუჩებ ტკივილებს
ბურჯუებისა ჯავრზედა.
აქ რჩება ჯუღაიშვილი,
იცოცხლოს ქვეყანაზედა,
ის ამოიყრის შენს ჯავრსა,
მთელ ქვეყნის ბურჯუაზედა [1].

ლენინის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსები, მოტივებისა და იდეური სხვაობის მიუხედავად, ფუნქციურად მსგავსია ზემოთ მოყვანილი ლექსებისა თამარ მეფის, ერეკლე მეორისა და სხვა გმირების გარდაცვალებაზე. პოეზიის ეს ნიმუშები მოთქმის ტრადიციაზეა შექმნილი და გვაცნობენ მხატვრული ნაწარმოების როლს ისტორიული ხსოვნის განმტკიცებაში.

* * *

სოციალური ფუნქციისა და შესრულების წესებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საისტორიო ნაწარმოებები მსგავსად ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებისა, თან ახლავს მშრომელი ხალხის საქმიანობას. გამოჩენილი პირების ცხოვრება და მოღვაწეობა შრომის სიმღერების თემაცაა. საისტორიო ნაწარმოებთა ასეთი ფუნქციის თვალსაზრისით მდიდარ მასალას იძლევა საბჭოთა ფოლკლორი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის სიმღერები, რომლებიც უშუალოდ შრომის პროცესის დროს სრულდება. ისინი საინტერესო არიან ასეთი ფუნქციის მატარებელ ტრადიციულ საისტორიო ნაწარმოებთა შინაარსისა და ხასიათის გასათვალისწინებლად. საბჭოთა შრომის სიმღერების უსაყვარლესი თემა ბედნიერი ცხოვრების შემოქმედის დიდი სტალინის სახეა. ამ მხრივ საყურადღებოა გავრცელებული სასიმღერო შაირი:

[1] ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში, დ. ჩენაშვილის რედ., თბილისი, 1939, გვ. 53.

სამი კეცი თბილი მჭადი
შევატანე მწვანილსაო;
კოლექტივი გაძლიერდა,
ვენაცვალე სტალინსაო.

ალ. ღლონტის ცნობით, ამ შაირს „საკოლმეურნეო ცხოვრების გენიალურ შემომქმედს დიდ სტალინს ველზე გასული კოლმეურნეები უძღვნიან“ [1]. მისივე ცნობით ველზე გასული გურული კოლმეურნეები მღერიან აგრეთვე შაირს:

ლაითურში ჩაი დავრგით
და ურეკში მანდალინა,
ვენაცვალე სტალინის ხელს
კოლექტივში მოგვცა ბინა [2].

რაც შეეხება ტრადიციულ საისტორიო ნაწარმოებებს, მათ ასეთ ფუნქციაზე მოიპოვება მასალები. თამარ ნეფის მოლვაწეობით შთაგონებული ყოფილან არა მარტო „მეებნენი გინა მეჩანგენი“, არამედ მისი თანამედროვე „ყმანი მემროწლენი“ და „მენაველნიც“. ისტორიკოსის ცნობით „ყმანი მემროწლენი, განპებასა შიხა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა ბუსიკობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა. თამარის ქებათა იტყოდიან“ [3]. სამწუხაროდ, იმ დროს ფოლკლორულ მასალათა შეუკრებლობის გამო, ჩვენ არ ვიცნობთ შრომის სიმღერად გამოყენებულ „ყმათა მემროწლეთა“ და „მენავეთა“ მიერ თამარ მეფეზე შექმნილ ტექსტებს. საბჭოთა შრომის სიმღერების ხასიათი და თვით ისტორიკოსის ცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისინი ეხმაურებოდნენ იმ დიად ისტორიულ მოვლენებს, რისთვისაც დიდებული მეფე ქალი სამართლიანად იმსახურებდა მაწვრალთა „ქებათა მელექსეობას“.

ტრადიციულ საისტორიო ნაწარმოებთა ასეთი ფუნქცია ახალმოპოვებული მასალებითაც დასტურდება. ასე, მაგალითად, 1939 წლის ჩანაწერის მიხედვით, შიგნით კახეთში შალვა-შავლეგოს სიმღერის ერთი ვარიანტი შრომის, კერძოდ თოხნური სიძღერაა [4].

[1] ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, სახ. უნ-ტის გამომც., თბილისი, 1937, გვ. 6.

[2] იქვე.

[3] „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოცემა, გვ. 336.

[4] ფოლკლ. სექ. მას. № 22042.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ საფერხულო სიმღერების წესზე მოწყვეტის პროცესი, მათთვის სოციალური ფუნქციის გამოცლის გამო. შესაძლებელია, შავლეგოს სიმღერის თოხნურად გამოყენებაც ამ პროცესის ამსახველი იყოს, მაგრამ აქედან ვერ დავასკვნით, თითქოს საისტორიო ნაწარმოებთა შესრულება შრომის დროს ახალი მოვლენა იყოს. ასეთი ფუნქცია საისტორიო ნაწარმოებებს შორეული წარსულიდან გააჩნია. რაც შეეხება შიგნით კახეთში შავლეგოს სიმღერის საფერხულო ფუნქციის გაქრობას, ჩვენს პირობებში ასეთი მოვლენა ბუნებრივია. ბუნებრივია ისიც, რომ დღეს იქვე ამ სიმღერას შეუძენია თუ შეუნარჩუნებია ნეორე ფუნქცია, რომელიც შრომის სიმღერის ხასიათის გამო უკვდავია.

* * *

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები სამხედრო-სალაშქრო ფუნქციითაც ხასიათდება. საისტორიო-საგმირო ნაწარმოების ასეთ ფუნქციას ადასტურებს სიმღერები დიდ სტალინსა და მის უახლოეს თანამებრძოლებზე, რომელსაც ასრულებდნენ დიდ სამამულო ომში მიმავალი წითელარმიელები და მეზღვაურები. ეს სიმღერები შთამაგონებელი იყო სამშობლოს დამცველ საბჭოთა მებრძოლებისათვის.

ტრადიციულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთაგან ასეთი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო გავრცელებული სიმღერა „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა". მას, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო დრომდე ასრულებენ რაჭაში ფერხულის დროს. ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე ამ სიმღერის ისეთი ჰანგი, ტაქტი და რიტმი, რაც მის სალაშქრო ფუნქციას უნდა გვიჩვენებდეს[1]. სალაშქრო ფუნქციის დამახასიათებელი უნდა იყოს მისი მისამღერი ყოველი ორი სტრიქონის შემდეგ:

რაშო ო რერა, რაშო და,
რაშო ო რერა, რაშო და,
რაშო ო რერა, რაშო ორერა,
რაშო ო-რე—რა!

---

[1] ამის შესახებ საუბარი გვქონდა კომპოზიტორ დ. არაყიშვილთან, რომელიც დაკვეთანხმა ჩვენს მოსაზრებაში.

ბუნებრივია, რომ ჩვენი დიდი წინაპრის ვახტანგ გორგასლის შახე შთამაგონებელი იქნებოდა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ხალხისათვის. წიგნის გავლენასთან ერთად (მხედველობაში გვაქვს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“) ამითაც აიხსნება მისი გავრცელება დასავლეთ საქართველოშიც[1], მაშინ, როდესაც ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებთა გავრცელების არე აღმოსავლეთი საქართველოა. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სალაშქრო ფუნქციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ცნობილი ნიჭიერი ავტორ-მთქმელის ბესარიონ გაბურის გადმოცემა „მობილიზაცია არხვატში“. იგი ეხება 1914 წელს მსოფლიო ომში ხევსურთა მობილიზაციას. მობილიზაცია თვით ბესარიონ გაბურსაც შეეხო. მას გადმოცემული აქვს შთაბეჭდილება, რომელიც არხოტივნებზე მოახდინა როშკოლი ჩალხიას მოტანილმა ცნობამ ნასალდათართა ომში გაწვევის შესახებ: „ვინც ნასალდათარ ვაქცე უვა იმათ ჯალაფობამ, დაიწყეს ტირილ-წკმუტუნი, ხალხ ერთუცში მახვდ, მაგრამ ვინც ნასალდათრებ ჭორწილში ვართ (არხოტივნები ქორწილში ყოფილიყვნენ, როდესაც ჩალხიას ცნობა მიეტანა, ქ. ს) კარგად გადაკრულები ორთ, ჩვენ რას დავზდევთ, ომი იყოს, გინდ არ. ჩვენ ისრევ გავაჭშირეთ სმა, ვეუბნებით ერთუცს: „ომში წასვლა თუ გვეღირს, სხვა რა გვინდ. არც ხამნი ორთ ომისან არხოტიონნი: ეს ყველამ იცის, რო ქისტებს და არხოტივნებს სრუ ომი გვოქვ ერთუცში. ეს ბეწიკუა-ჩალხიაიც ძალიან დავათვერით, გავლმართეთ, წავიდ შინ. უთხარით: „ხვალ ხამავალთ, ისრ უთხრიდ ჩაფრებს, რო მადიანავ“.

მობილიზებულთა ახლობელ-ნათესავებთან გამოთხოვების მომენტს ბესარიონ გაბური ასე გადმოგვცემს: „ახლა ავდეგით, ავისხით იარაღი და გავემართენით. ჩამოგვყვ სოფლის ქალი და კაცი ტირილ წკმუტუნით, გვეუბნებიან: „საწყლებო, თავის ფეჭითაც სიკვდილში მიზდით“. მე ბატარა ძმისწული ქალი მყავ, ის ჩამომეკიდ ჩოჩის კალთას, ტირის და მეუბნების: „ჩემო ბიძიაო, ნუ წახვალ“. მე უთხარ: „წუხრ იქავ მაოლ, ჯევსურეთ[2] მიოლ“.— „მატყუებ“— მეუბნებიას: ჯევსურეთ კი არ, ომში მიხოლ“. მემრ დედას ეძახს:

[1] ალ. ღლონტი, ქართული შაირები, გვ. 167; ჩემი მასალებიდან. ჩაწერილი ჩემი ძმის შ.ლევა სიხარულიძის მიერ 1914 წელს. გურიაში ეს სიმღერა სამხედრო ჰანგით მეც ხშირად გამიგონია ბავშვობისას. იქვე ამავე ჰანგით მას ასრულებენ სკოლაშიაც — ქ. ს.

[2] არხიტოვნები მხოლოდ პირაქეთ მხარეს უწოდებენ ხევსურეთს.

„ჩემო დედაო, დაიკმარათ, ბიძიას ნუ გაუშობთ“. მემრ დედამაც უთხრა: „წუხრ იქავ მაოს, ომში არ მიევა“. ეგრ ტყუებით ძლივ დავიგდები ძმისწული ქალი. ახლა მოიღა სოფელმა არაყები, კიდე დაგვიწყეს სმევა არაყისა. ამ არაყის სმის დროს მოვიდ ბებერი მინდია და გვითხრ: „უნცროსებო, არა გინდათ, ნუ გასტყდებით. ომში წასვლა ვაშკაცს ჯორწილი უნდ ეგონოს. ხო გაგიგონავთ ძველების ნათქვამი, ნეფე ერეკლე რო დაიბარებდ ჯევსურთ, რაჭელ სიხარულით წავიდოდით.. თუ არა გაგიგონავთ, მე გეტყვით ერთს.. ერეკლემ რომ დაიბარნ მშაელ-ჯევსურნი და თუშნი ქალაქში საომრად

„ღმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო,
„დალევა ბაგრატიონთა, დაქცევა კმელეთისაო.
„გავარდა ალექსანდრეი, „ჯარ მინდა დაღისტნისაო“,
„კევსურეთ კაცი გაიგდა, „თავი დაძვირდა ყმისაო“.
„კევსურებ ნახალიხრები ერთმანეცს არ უცდისაო.
„არაგვზე ჩამოდიოდა ჯარი ქორ-შავარდნისაო.
„ერთეცის დადგა პირდაპირ ჯარი ორისა ძმისაო,
„ბუაზე ჩაფრებ უდიან, არას აძლევენ პირსაო,
„შიბნეს სადამ ვაჟები, ელვა დგა თოფებისაო,
„ნეფე გიორგი ბატონი, შაიბძოლების ღთითაო.
„თუშებმ დაჰიკეს ცხენები, კოცა არ უკვირს მტრისაო..
„აჩქარდა კევსურთ შვილები, ელვა დჯას ჩაჩქნებისაო.
„ის კირჩლა ბაბურაული ხეზვას მიხყვების მკრითაო,
„კირჩლაიმც ენაცვალების გაფრინდაულის შვილსაო.
„სახელის მოყვარული ას, თავს არ არიდებს პირსაო“.
„თოთიას ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო,
„თავზე ნაბურსა ჩაჩქანსა ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
„მაგას ვეშაგურს ვინ ეტყვის, ვინ გარმაავლებს პირსაო?
„ჯურდღელიძეთა თოთიას ნაჭრევ აღონება მკრისაო“.

„აი ესრ უომებავ წინათ! ჭირ მოგპარასთ მინდიამ, ნუ გასტყდებით. ვაშკაცს გატეხა არ გამაადგების“. ამ მინდიას სიტყვებმ ჩვენ ძალიან გული გაგვიკეთ, უთხარით: „აბა ძინდიავ, რაიც ღმერთს შაუჭდების, ჩვენს საცდელს კი ვაცდით“, და მემრ გამავემშვიდობენით ყველას და წამავედით[1]“. შოყვანილი ამონაწერი საგმირო-საისტორიო ნაწარმოების სალაშქრო ფუნქციის ნათელი მაგალითია.

[1] წელიწდეული. გვ. 200—203. აქ არას ვიტყვით მინდიას ნათქვამი ლექსის კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენებზე. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილთა სამეფო ტახტზე ცილობის ამსახველი ლექსი მინდიასა და თვით ბესარიონ გაბურსაც ერეკლეს სახელთან დაკავშირებულ სხვა ლექსებთან („ჯარს ეძახს ბატონიშვილი“, „გავარდა ბატონიშვილი“ და სხვა) გაუგივებიათ.

* * *

ისტორიული ხსოვნის განმტკიცება—დიადი წარსულის შოგონება და მისი დაკავშირება თანამედროვეობასთან, აწმყოს დიდება. სოციალური უკუღმართობის დაგმობა და სხვა, უველა ჟანრის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ძიზ-ნდასახულებაა შორეული წარსულიდან დღემდე. კ. მარქსმა ფრ. ენგელსისადმი წერილში „იგორის ლაშქრობასთან" დაკავშირებით აღნიშნა ხალხური სიტყვიერების სააგიტაციო-პოლიტიკური დანიშნულება: „Смысл поэмы—призыв русских князей к единению как раз перед нашествием монголов". ამავე წერილში კ. მარქსს აღნიშნული აქვს ჩეხური საგმირო სიმღერის სააგიტაციო დანიშნულება[1]. ამგვარი სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის გამო ინარჩუნებს ხალხისთვის დიდ მნიშვნელობას საკმირო-საისტორიო ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, სიტყვიერი ხელოვნების ამ სახეს უველაზე მეტად ახასიათებს ფრიდრიხ ენგელსის მიერ სახალხო წიგნის მაღალი შეფასება: „Народная книга имеет своей задачей развлечь крестьянина, когда, утомленный, он возвращается со своей тяжелой дневной работы, позабавить его, оживить, заставить его забыть свой тягостный труд, превратить его каменистое поле в благоухающий сад; она имеет своей задачей обратить мастерскую ремесленника и жалкий чердак замученного подмастерья в мир поэзии, в золотой дворец, а его ядреную красотку представить в виде дивнопрекрасной принцессы, но она имеет также задачей... прояснить его нравственное чувство, заставить его осознать свою силу, свое право, свою свободу, пробудить его мужество, его любовь к отечеству"[2]. ხალხური შემოქმედების პოლიტიკური დანიშნულება არა შხოლოდ აღნიშნა ფრ. ენგელსმა, ამავე მიზნით თითონვე ოსტატურად გამოიყენა მისი ნიმუშები. კ. მარქსისადმი წერილში ჰესისა და ლიბკნეხტის შეცდომებთან დაკავშირებით ფრ. ენგელსი სწერს: „Я посылаю им маленькую датскую народную песню о Тидмане, которого старик убивает на народном собрании за то, что он налагает на крес-

[1] Письмо К. Маркса Ф. Энгельсу от 5 марта 1856 г. соч. т. XXII, стр. 122—123.

[2] Ф. Энгельс, Немецкие народные книги, К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. II. 1929, стр. 26.

тьяи позые подати. Это революционно и все же не наказуемо, и прежде всего это направлено против феодального дворянства" [1].

სიმღერის როლი უკულტურო ხალხისათვის ისტორიული ხსოვნის განმტკიცებაში პოლ ლაფარგმა ასე განსაზღვრა: „Пение песни — единственное средство знакомое некультурным народам и применяемое ими, чтобы сохранить результаты ежедневного опыта и поддерживать память о выдающихся событиях; и, чтобы лучше запечатлеть эту песню в своей памяти, они сопровождают ее равномерными движениями, танцем" [2]. სიმღერის ასეთი დანიშნულება უკულტურო მოდგმებში მაჩვენებელია საერთოდ საისტორიო ნაწარმოებთა პროტოტიპის როლისა პირველყოფილ ხელოვნებაში. მკვეთრი პოლიტიკური ფუნქცია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებმა შეიძინა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაღალ საფეხურზე; ასეთი ფუნქცია გააჩნია მას მდიდარი ლიტერატურის მქონე კულტურულ ხალხებშიც კი. ისტორიულ მოგონებას ემსახურებოდნენ ზემოთ მოყვანილი უძველესი ხასიათის სარიტუალო სასიმღერო თუ ისე წარსათქმელი ტექსტები; ამავე მიზნით იქცნენ სამგლოვიარო წესებთან დაკავშირებული გოდებანი ტრადიციულ ნაწარმოებებად და ამავე მიზნით სრულდებოდა და სრულდება საგმირო-პატრიოტული ან სოციალური უკუღმართობის ამსახველი ლექსები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებნი სხვადასხვაგვარ გარემოში. თანამედროვეობასთან დაკავშირებით წარსულის მოგონება და აწმყოს მნიშვნელოვან მოვლენათა გამოხმაურება პატრიოტული გრძნობისა და კლასობრივი თვითშეგნების გაღრმავება, ეს არის ძველიც და ამაყე დროს ახალი, ყველაზე მყარი, შეიძლება ითქვას, სპეციფიკური სოციალური ფუნქცია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა, რა თქმა უნდა, თავისებურად გააზრებული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა სოციალურ ფენაში. განსხვავებით ზღაპრებისა, გამოცანებისა და სხვებისაგან, სინამდვილის პრეტენზიით მოთხრობილი გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები იშვიათად თუ ყოფილა უბრალო გართობის საშუალებად. გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ ზოგი საგმირო პატრიოტული შაი-

[1] Письмо Ф. Энгельса К. Марксу от 27 января 1865 г., соч, т. XXIII, стр. 231.

[2] П. Лафарг, Свадебные песни и обычай, „Очерки по истории культуры", изд. „Московский рабочий", 1926, стр. 51.

რის ან ზემოთ აღნიშნული სარიტუალო ფუნქცია-გამოცლილი საფერხულოების შესრულება წვეულებასა და ჩვეულებრივი ლხინის დროს. მაგრამ მათი შესრულებაც შემთხვევითი არ არის და ნაკარნახევია ამ ნაწარმოებთა სოციალურ-პოლიტიკური, პატრიოტული ფუნქციით. ეს სპეციფიკური სოციალური ფუნქცია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა, როგორც აღვნიშნეთ, თემატიკითაა განსაზღვრული. თავისებური თემატიკა და სოციალური ფუნქცია არის საფუძველი ხალხური სიტყვიერების მეცნიერული კლასიფიკაციის დროს საისტორიო ნაწარმოებთა გამოყოფისას. ეს თავისებურება იჩენს თავს აგრეთვე, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ხალხურ ტერმინოლოგიაშიც. ქართველი მთქმელები კარგად გრძნობენ და ხაზგასმითაც[1] აღნიშნავენ ხალხური სიტყვიერების ამ განყოფილების თემატიკურსა და ფუნქციურ თავისებურებას. — „ამბავია ტიყუილი ას, ანდრეზ მართალიო“. ასე უპირისპირებენ ხევსური მთქმელები ზღაპრებსა და საისტორიო ნაწარმოებებს[2]. „მე ციგინებს[3] ყურს არ ვუგდებო“, ამაყად აცხადებენ საისტორიო ნაწარმოებთა ტიპიური მთქმელი სვანები[3]. მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ყველა ჟანრის ნაწარმოებთა მთქმელებიც ჩემს შეკითხვაზე საისტორიო ნაწარმოებთა მიშართ — ეს ციგინია თუ არაო — მკაცრად პასუხობდნენ: „ამას ციგინს რა უგავს, ჯვინელ ჰარაკ ან ჯვინელ ნამბაე[4] არისო“.

ქართული ხალხური სიტყვიერების ტრადიციაზე სისტემური დაკვირვება ახალი საქმეა. მიუხედავად ამისა, საკმაო რაოდენობით მოიპოვება მასალები მაჩვენებელი საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სოციალურ-პოლიტიკური, პატრიოტული ფუნქციისა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული საისტორიო მესტვირული

---

[1] ასე განასხვავებს ზღაპრები და საისტორიო ნაწარმოებები კირჩლა წიკლაურმა (ნისლაურთ კირჩლამ) ს. ანღიდან: გერგეტელმა (გიორგი ოჩიაურმა) ს. ახიელადან და სხვებმა, როდესაც 1944 წ. მათგან არხოტში ვიწერდი ფოლკლორულ მასალებს, ქ. ს.

[2] ციგინ — ზღაპარი სვანურად.

[3] ასეთი პასუხი მივიღეთ სვანი მთქმელებისაგან — ანტონ ბერგიანისგან. ილარიონ პირველისგან, გიგო შუკვანისგან და სხვებისგან, როდესაც მათგან 1945 წ. ზაფხულში ვიწერდით ფოლკლორულ მასალებს და ვთხოვეთ ეამბნათ ზღაპრებიც. ქ. ს.

[4] ჯვინელ ჰარაკ — ძველი ამბავი.

[5] ასე გვიპასუხეს 1945 წ. ზაფხულში სვანეთში ყოფნისას მთქმელებმა ემზა ჭუჭუჭიანმა, გიორგი ავალიანმა და სხვებმა, ქ. ს.

სიმღერები. მესტვირეთა ქების საგნად იყვნენ გამოჩენილი ისტორიული პირები, სახალხო გმირები და მნიშვნელოვანი მოვლენები. ცნობილია მესტვირული სიმღერა თამარ მეფეზე. ამ სიმღერით, რომლის ვარიანტები პროზაულ ლეგენდებადაც საკმაოდ გავრცელებულია, თამარმა მისთვის თავჯაწყრილი ჰაბუკის სინანულის ნიშნად ააგო გორის ციხე[1]. ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე მესტვირული სიმღერა ქართველ სახალხო გმირ ქალ ქრისტინეზე, რომელმაც თავი ისახელა ქართლ-კახეთში შემოსეულ ლეკთა მარბიელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში[2]; ეს სიმღერა, რომლითაც გმირ ქართველ ქალს ისტორიკოსის ცნობით „ქებასა მისსა მოუთხრობდნენ მესტვირენი“, საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სპეციფიკური, სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის მაჩვენებელია:

ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი შაიღება.
თუ გორის ციხე ავიღეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება.
მჭადის-ჯვარს რომ მივატანეთ,
საქმე მაშინ გაჭირდება...
იქ ოქ ბებერმა საქმე ჭქნა,
ის არ ჭკნია სხვასაო,—
ორი ბელადი მოგვიკლა
მთელ შეყოილ დაღისტანსაო,
მესამე რომ გამოვიდა,—
დახე ამ ჭკუამცდარსაო,
ესროლა თავის მაჟარი,
ბაარტყა შუა ძვალსაო,
იმისი ჯამა-ქელეხი
ბჭადის-ჯვარს ედო თავსაო,
ღმერთო, აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო[3].

---

[1] А. Хаханов, Очерки, вып. I, стр. 62—63. ვარიანტები ლეგენდად იხ. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფ. Н-№ 1994; „Кавказ“, 1887 117, 118; Сборн. мат. для опис. мест. и пл. Кавказа, т. 32 და სხვ.

[2] გ. ლეონიძე, გმირი დედაბერი, „კომუნისტი“,—1941, № 310; ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით (ფოლკლორულ მასალათა მიხედვით), გვ. 27—28.

[3] ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ., ნ. I, გვ. 181—182.

მესტვირულია მეტად პოპულარული, უცნობი ავტორის ლექსი სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გმირ არსენა ოძელაშვილზე. ამ ლექსის შესრულების წესი ქ-ს შესავალშივეა აღნიშნული:

შაირ სიტყვითა მესტვირემ
ღმერთი მაღალი ახსენა:
—ღმერთმა მოგცეს გამარჯვება
ოძელაშვილო არსენა...

მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა აგრეთვე ლექსი აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებაზე. ლენინგრადში დაცული ხელნაწერების კრებულში იგი ასე აროის დასათაურებული: „თბილისის აღებაზედ მესტვირული ლექსი“ [1].

ზემოთ აღვნიშნეთ ხსოვნის განმტკიცების მიზნით საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესრულება—ფანდურზე, ჩონგურზე და სხვა საკრავებზე. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის, მისი პატრიოტული იდეისა და შესრულების წესის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ვაჟა-ფშაველას „თიანური ფელეტონი“—თვითმპყრობელური რეჟიმით უკმაყოფილო ხევსურებს რჩევა-დარიგებისათვის ვაჟასთან თიანეთში გაუგზავნიათ ჩალხია. ვაჟას გულთბილად მიუღია ხევსური სტუმარი. არსებული წყობილებით უკმაყოფილო ჩალხიას ეროვნული გრძნობის გამოსახატავად ფანდურზე დაუმღერებია შთამაგონებელი ლექსი ერეკლე მეორეზე. ვაჟას შესანიშნავად აქვს მოცემული ამ საგმირო-საისტორიო ლექსის შესრულების გარემო. „ბევრი ვისაუბრეთ, ბევრი ავიღეთ-დავიღეთ... ვიარეთ, ვიარეთ და ცხონებული ერეკლეს დროზედ მივედით. როცა ერთი ორი-სამი არაყი გადავაკრეინე ჩალხიას, მაშინ სტუმარმა ფანდურიც მომკითხა. თხოვნა რა თქმა უნდა ავუსრულე. მოაწყო სიმები, ფანდურის მუცელზე ჩალხიას საცერულს „ნახერხულოს“ გაუდიოდა ჩხაკა ჩხაკი.

—უთხარი რამ ჩალხიავ, შევთხოვე.

—არაგვი ვეტყვიო და სთქვა და დაიწყო კიდევაც ფანდურზე მღერა, სრულიად გადაავიწყდა გულის დარდები, რაც აქამდე აწუხებდა და რაზედაც ასე გულხმიარულად მელაპარაკებოდა:

---

[1] НВ АН СССР, 156, стр. 127

ერეკლე ატირდა, ვაჟებო:
„აღარავინ ას ჩემიო,
„ბევრ მყვანდა აზნაურები,
„ყველაც ყოფილ მტერიო.
„ლევან ქიზიყში მამიკლეს,
„ხევსურნო, ბატონი თქვენიო.
„ფშაველო თანდილაშვილო,
„ენაიმც მაგჭრა გძელიო:
„ხახათ მწარია მაჰპარე,
„ღამე ავლიე ბნელიო,
„პარელთან ჩამაიყვანე,
„გამააცვალე ფერიო.
„გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
„წინ-წინ ღალატი შენიო,
„შენ შამიყარე ლაშქარი,
„მთის ხალხი დასწვი ჩემიო"
ბარაქალ, ხევსურთ შვილებო,
მეფე გყავთ მადლობელიო;
თქვენ არ დაუტყდით თათრებსა,
შამაუქციეთ ხელიო.
თქვენებს ნახოცსა თათრებსა
ჰალას ათრევდის მგელიო.
მინდოდავ ჩალხურიშვილო,
ვინ არი შენი ფერიო.
სომეხა ამხანაგი გყავ.
მტერს აადინა მტვერიო.

ამ სიტყვებს დაჰგმინავდა და დაჰკვნესოდა ჩალხია ფანდურს, ჰერიცა სახლისა გმინავდა, სარკმლიდამ მომჩინარი მაღალი მთა მდუმარებდა. კედელზე დაკიდებული აბჯარი და თვით ჩალხიას დაშნაც არას იტყოდენ. ცეცხლთან მიმჯდარიყო კატა და თვალებ მილულული თბებოდა" [1].

ხევსურეთში ბოლო დრომდე ცნობილია ერეკლეს კულტი. საისტორიო ნაწარმოებია ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ გასულ საუკუნეში, აწმყოთი უკმაყოფილო ხევსურმა სიმღერით ადიდა თავისი დიდი წინაპარი — ერეკლე მეორე. ეს არ არის შეზარხოშებულის ჩვეულებრივი სალხინო სიმღერა; იგი დიადი წარსულით შთაგონების ნათელი მაგალითია.

ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორის შემკრების ივანე ბუქურაულის ცნობა თუშეთში ერეკლე მეორის

[1] ეკატერინე გოგოჭური, თიანური ფოლეტონი, „ივერია", 1901, № 262.

ციკლის ნაწარმოებთა ტრადიციაზე: „საქართველოს არც ერთ მეფეზედ არ დარჩენილა იმდენი თქმულებანი თუშებში, როგორც ერეკლე მეორეზედ. აღმოსავლეთის გმირი, ერეკლე, ჯერაკ ცოცხალია თუშების ხსოვნაში. არა ერთხელ მეჯლისში კახურით აღფრთოვანებული თუშის ოცნება მოიგონებს საყვარელის მეფის სახელს; არა ერთხელ შირაქის მინდვრებზედ ოდნავ მიმქრალ ცეცხლის პირას აღტაცებით უამბობს თვისს ახალგაზრდა მოძმეებს მოხუცებული თუში მეფის გმირობას, რომ სამარადისოდ დარჩეს მისი სახელი აღფრთოვანებულ ლამპრად მათს გულში. არა ერთხელ ჩონგურის ჯღარუნს მოჰყვება გამგმირავი ხმა გოდებისა, რომელსაც თითქოს გულიც ზევით მიჰყვება“ [1].

ზეპირსიტყვიერება ხალხისთვის წარსულის შესასწავლი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალება იყო. ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა გატაცებით ისმენდა მოხუცებისაგან გამოჩენილი გმირებისა თუ მტრების შესახებ ამბებს და ამგვარად ეცნობოდა სამშობლოს ავ-კარგს. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ასეთი სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესო მასალა მოიპოვება თვით ფოლკლორულ ძეგლებშიც. ამ მხრივ საყურადღებოა მთიულური ლექსი ახალგაზრდობის თხოვნით მოხუცის მეფეწარსულის მოგონებაზე. ლექსი მოგვყავს მთლიანად:

დაჯექ, დათოლე პაპაო,
ძველი რამ გეკოდინება,
თუ კარგ რაშეებს გვიამბობ,
ცოემლები დაგვედინება.
გვითხარი, ვინ მაგვაწუხა,
ვინ გაგვიბედა გინება.
ვინ იყო რომ მოგვივარდათ,
მთიულთ მოსპობა ინება.
ჩვენი ხუცესიც ვერ დაათვლის,
რაც საქმე გადაგვხედია,
ბევრჯელ დაგვეცნენ თათრები,
ლეკების ჯარი დიდია.
მაგრამ დაგვფარეს სალოცავთ,
იმათი მადლი დიდია.
ეს ჩვენი მთა და მამული
ხურგზედ ისევ ჩვენ გვკიდია.
ბევრს ვაფშეკინეთ ფეხები,
არაგვში გადაუძახეთ,

---

[1] ივ. ბუკურაული, თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე მეორის შესახებ, „ივერია“, 1895, № 118.

ჩაკვდიო ბილწო თათარო,
ცოცხალ-მკვდარს ზევით დავძახეთ.
სულ მოერწყით, არაგვის პირნი,
იმ უჯულოთა სისხლითა,
ზოგი ტყვედ წამოვიყვანეთ,
ზოგი გარბოდენ შიშითა.
კარგით, დამეხსენთ, ბალღებო,
ნუღარ მაგონებთ ძველ ამბებს,
ვაჰმე, ჩვენ ძველსა დევ-გმირებს
და დიდ ბატონსა ერეკლეს.
რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,
როცა ერეკლე გაგვშორდა,
მთიულნი, თუშ, ფშავ, ხევსურნი,
როცა მას ცრემლით აბკობდა [1].

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციისა და შესრულების გარემოს თვალსაზრისით საგულისხმოა ზაქარია მაისურაძის ფელეტონი. მასში აწერილია ვახტანგ გორგასალზე არსებული თქმულებისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ გადმოცემის შესრულების გარემო.

გადმოცემა ალექსანდრე ბატონიშვილზე მთქმელს უამბია, როგორც უშუალო მონაწილეს იმ ბრძოლისა, რომელიც ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ მოხდა თათრებსა და რუსებს შორის (მთქმელი რუსის ჯარში ყოფილა).

განსაკუთრებით საინტერესოა ვახტანგ გორგასალზე არსებული თქმულების შესრულების გარემო. მთქმელს იგი მაშინ უთქვამს, როდესაც მგზავრებს ბოჭორმის მთიდან უჯარმის ციხის ნანგრევები დაუნახავთ. მას ასე დაუწყია თქმულება: „ამ არე-მარეზედ, რომელიც ამ სიმაღლიდამ მოჩანს, უცხოერია საქართველოს მეფეს გორგასლანს. ა იმ დახვრეტილ მთას რომ ვხედავთ, ის ყოფილა მისი სასახლე, ნანგრევები აგერ ესლაც მოჩანს. ქვემოდ რუსის ყაზარმებიან რომ ნანგრევებია, ეს კიდევ მეფის სანადირო ყოფილა. ჯარმაც ხომ ჩანს, ის კიდევ ქალაქი ყოფილა. ეს სიმაღლე, რაზედაც ჩვენა ვართ, მაგარი ციხე ყოფილა... მართლაცა და, აბა გაიხედეთ, რომელ სიმაღლეზე გინდათ, რომ ციხისა და ან საყდრის ნანგრევი არ იყოს მომდგარი. აი, ამ ადგილიდამ განაგებდა ჩვენი მეფე ქართლ-კახეთსა“. ამას მოსდევს თქმულება გორგასლის მიერ საქართველოს მტრების დამარცხებაზე. მისი ცოლის გუთნის-დედასთან გამიჯნურებაზე და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში

[1] „მოგზაური“, 1901 წ., № 11.

ცოლის ღალატით ვახტანგის სიკვდილზე[1]. ვახტანგ გორგასლის გმირობით შთაგონებულმა მთქმელმა თავისი განწყობილება მსმენელებსაც გადასდო, რის შედეგადაც დაიწერა დასახელებული საყურადღებო ფელეტონი.

ასეთია ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქცია და შესრულების წესები ისტორიულად. უძველესი ულტრა-პრაქტიკული დანიშნულების, ყოველდღიური გამოცდილებისა და მნიშვნელოვან მოვლენათა დასახსომებელი სიმღერები, ისტორიის გრძელ მანძილზე მხატერულ ძეგლებად იქცნენ. ამ ძეგლებს ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად ყოველთვის ჰქონდათ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურთა შესაფერისი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი როლი. სიმღერებში ასახული წინაპართა გმირული საქმეები ყოველთვის დიდ შთაგონებას ახდენდა ახალ თაობებზე. ეს სიმღერები უმტკიცებდა მათ რწმენას უკეთესი მომავლის შექმნისას. საგმირო-საისტორიო სიმღერების გენეზისი და მათი პირველფეროვანი ფუნქცია და დიდი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესანიშნავად განსაზღვრა ილია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილში“ „მკვნესარზე მდგომი მოხუცებულის“ სიტყვებით:

წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!.
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში ალარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ პაპუკთა ყრმათა
ხმლის ტარზე ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერებს რა ისმენს მხცოვანი,
სიბერით ქამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი საბელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა ჭმღერებს შვილსა
ტკბილისა ხვითა ამ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—
იმატოებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იძღერს ქალწული,
გმირს მოიკონებს და გამხნევდება.—
ყოველი იმღერს და სხვა მორჩილი
გმირი იმ მღერით დაიბადება[2].

---

[1] შ ა ქ რ ო, ხალხური ჩამოცემა ვახტანგ გორგასალზე და ბერიკაცის ნაამბობი ალექსანდრე ბატონიშვილზე, „დროება“, 1885, № 25.

[2] ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, ი.ბ., 1937 წ., გვ. 129.

II

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების განვითარების გზები

ფოლკლორის მრავალფეროვან ჟანრებსა და განყოფილებებს შორის ზეპირსიტყვიერი ხელოვნების განვითარების გზები ყველაზე რელიეფურად საისტორიო ნაწარმოებებში ჩანს. ქართულ საისტორიო ნაწარმოებების შექმნის პირობების გათვალისწინებას თავის მხრივ მნიშვნელობა აქვს ხალხური სიტყვიერების განვითარების საერთო კანონების დასადგენად. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი მომენტი: 1) ისტორიულ მოვლენებსა და პირებთან დაკავშირებით ზეხალი სიუჟეტების შექმნა; 2) ადრევე შექმნილი ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების დაკავშირება კონკრეტულ მოვლენებსა და რეალურ პირებთან. პირველი გზით შექმნილ ნაწარმოებებს მეტწილად ადგილობრივი ხასიათი აქვს; ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების მაგალითებში კი არაიშვიათია საერთაშორისო ხასიათის ნაწარმოებნიც. ორივე შემთხვევაში ტექსტების ევოლუციის მნიშვნელოვანი ფაქტორია კონტამინაციის მოვლენები. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში აღსანიშნავია აგრეთვე ლიტერატურული გზით მიღებული ნაწარმოებები.

სამივე გზით შექმნილი ნაწარმოებები უაღრესად კოლორიტულია.

1. ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი ნაწარმოებნი. მათი თემატიკა.

ქართული ხალხური სიტყვიერების საგმირო-საისტორიო განყოფილების ძირითად ფონდს ადგილობრივი წარმოშობის ნაწარმოებნი შეადგენენ. ეს ნაწარმოებნი ისტორიული პირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ან კონკრეტული ფაქტის თავისებურ მხატვრულ გამოვლენას წარმოადგენენ. ამით აიხსნება მათი კოლორი-

ტულობა და ხშირ შემთხვევაში ეიწრო ლოკალური ხასიათი. მათი ისტორიულ ფონზე განხილვა ციკლობრივად, თითოეული ციკლის თემატიკის აღნიშვნით, იძლევა შესაძლებლობას ხალხური სიტყვიერების ერთი მდიდარი განყოფილების წარმოშობა-განვითარების გათვალისწინებისა. ასეთი გზით შესაძლებელი ხდება აგრეთვე საერთოდ ზეპირი ნაწარმოების ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის დადგენა. კვლევის ობიექტად აღებული ციკლების ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებებიდან სანიმუშოდ მოგვყავს ისეთები, რომელნიც თემატიკისა თუ შემოქმედებითი პროცესის მიხედვით თავისებურებას იჩენენ და ამით შუქს ფენენ ხალხური შემოქმედების განვითარების კანონებს.

ლექსები, გადმოცემები და თქმულებები ვახტანგ გორგასალზე

ვახტანგ გორგასლის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ძირითადი თემაა გორგასლის მიერ საქართველოს მაოხარ ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვა. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებნი ერთგვარ დასაბუთებას ისტორიკოსის ცნობაში პოულობენ. ისტორიკოსის ცნობით, როდესაც ვახტანგ გორგასალი ათი წლის იყო, ოსებმა ააოხრეს ქართლი, შემუსრეს კასპი, წაიყვანეს ტყვედ მრავალი ქართველი, მათ შორის ვახტანგის და სამი წლის მირანდუხტი. როდესაც ვახტანგი ხუთმეტი წლის გახდა, სამშობლოს განთავისუფლების მიზნით გაილაშქრა ოსებზე. ამ ბრძოლაში ჰაბუკ მეფემ საკუთარი ისრით გაგმირა მტრის ბანაკიდან სახელოვანი გმირები — თარხანი და უძლეველად ცნობილი ბაყათარი. ისტორიკოსს აწერილი აქვს ვახტანგისა და ბაყათარის შეხვედრა მდინარის მოპირდაპირე ნაპირებზე, ბაყათარის გამოსვლა მდინარეზე და ხელჩართულ ბრძოლაში ვახტანგის სახელოვანი გამარჯვება. ვახტანგს გაუთავისუფლებია ტყვე ქართველები და ოსთაგან გატაცებული მირანდუხტი [1].

[1] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 94 — 96. 101 — 102. ოსთაგან ვახტანგის დის გატაცებისა და ვახტანგის მიერ ოსების დამორჩილების ამბებს სხვა წერილობითს ძეგლებშიაც ვხვდებით. არსენ ბერის მიერ გადამეტაფრასებული წვინდა ნინოს ცხოვრებიდან მომდინარე ცნობით, გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი... შექმნა კარნი ოვსეთისანი" და სხვა (იხ. თ. ჟორდანია. ქრონიკები, I, გვ. 50). ვახუშტის აღწერილობით „კასპს ზეით, წლევის მთაში არის სტეფანწმიდის მონასტერი... მას ზეით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი" (ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, აღნიშნული გამოცემა, გვ. 72).

ხალხურ სიტყვიერებაში თავისებურადაა აწერილი ეს მოვლენები. ისტორიკოსის ცნობებთან განსაკუთრებით ახლოსაა ერთი თქმულება. ამ თქმულებით, ვახტანგის ბავშვობისას ქართლს დასცემია ბაყათარ ოსი და გაუტაცნია მისი დაი. ვახტანგს ეს ამბავი გვიან გაუგია ტოლ-ამხანაგებისაგან. მკირე ასაკის მიუხედავად არ შემდრკალა და დაუწყია სამხედრო მზადება. საომრად გამოუწვევია ბაყათარი. მოწინააღმდეგენი მდინარის მოპირდაპირე ნაპირებზე დდგარან. ბაყათარს ფიცი ჩამოურთმევია ვახტანგისათვის, რომ მდინარეზე გასვლამდე არ ესროდა ისარს. ვახტანგს გაუტეხია ფიცი და ვიდრე ბაყათარი მდინარეზე გამოვიდოდა, შიგ იღლიაში უტყორცნია ისარი. ბაყათარის გვამი მტკრის ტალღებს გაუქანებია. გადმოკემით, ამის შემდეგ „გადრკა ოსის ჯარი. ვახტანგი კვალდაკვალ მიჰყვა მათ, შევიდა ოსეთში, დაიპყრო იგი და გაანთავისუფლა დაო". თქმულება დეტალებშიც კი ააშკარავებს ბის გენეტიკურ კავშირს ისტორიკოსის ცნობებთან. აღნიშნულის გარდა ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ბაყათარ ოსის დახასიათება. ისტორიკოსის დახასიათებით, ბაყათარი „იყო გოლიათი, და რათგან დაიწყო მკედრობად, ვერვის დაედგნეს მისთვის ბრძოლასა შინა. და ბოესრა ყოველი მბრძოლი მისი". ამასვე იმეორებს თქმულების მიხედვით დის წერილი გორგასლისადმი: „ბაყათარი, ძმაო, გოლიათი კაცია, მას ბევრი ფალავანი გამოუსალმებია ამ წუთისოფლისათვის და უმჯობესია შენს განზრახვას თავი დაანებოვო". ამ თქმულებით, გორგასლის მიერ ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვა საბაბი იყო მეტეხისა და სხვა ეკლესიების აშენებისა. თქმულება იძლევა სახელწოდება „მეტეხის" ხალხურ ეტიმოლოგიას. რადგანაც ვახტანგმა ფიცი გატეხა და წყალზე გამოსვლამდე სტყორცნა ბაყათარს ისარი, მოსანანიებლად აგო ხუთი ტაძარი: წილკნისა, სიონი (თბილისში), ერთაწმიდისა, სამთავისისა და მათ შუა მეტეხი, რომელსაც ეს სახელი უწოდა ნიშნად იმისა, რომ აქ მე ვტეხე ფიცი[1].

---

[1] „მოგზაური", 1902 წ., № 9 — 10. აღსანიშნავია, რომ თქმულება ნაწილობრივ ამითაც ეთანხმება ისტორიულ ცნობას მეტეხის აშენება მართლაც ვახტანგს მიეწერება. ვახუშტის აღწერილობით „აქ მტკვრის კიდეს არს მონასტერი ჯოვლად წმიდისა, გუნებათიანი, დიდი მეტეხი, კეთილშენი გორგასლისჯან" (ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, გვ. 56). დანარჩენი ეკლესიების აშენების ვახტანგის სახელთან დაკავშირება ანაქრონიზმია. ზოკი მათკანი უფრო ადრეა აშენებული (იქვე გვ. 63 და ანასეული ქართლის ცხ., გვ. 85). წილკნის ეკლესიის აშენება მიეწერება ნირიანის ძეს ბაქარს, ზოგი კი უფრო გვიანაა აშენებული (ვახუშტი, საქ. გეოგრ., გვ. 53 — 56, 72).

ამ თქმულების ვარიანტი ექვთიმე წერეთლისაგან გაუგონია პეტრე უმიკაშვილს, რის გამოც მოკლედ შენიშნავს: „ქართველ ბატონს ფიცის ტეხისათვის სანი საყდარი აუშენებია: მეტეხი (მე ვსტეხი), წილკანი (წილ ვკარი) და სამთავისი [1].

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. ბ. პფაფის მიერ ფიქსირებული გადმოცემების ვარიანტები. ვ. ბ. პფაფს გაუგონია ოსური გადმოცემა, რომლითაც ბაყათარ ოსს გაუტაცია ქართველი მეფის (ზოგი ვარიანტით ეახტანგის, ზოკით თეიმურაზის) დაი. ქართველ მეფეს განუზრახავს შურისძიება. თითქოს შერიგებისა და გატაცებულ დაზე დაქორწინების მიზნით მოუწვევია ბაყათარი მცხეთაში. ბაყათარი დარწმუნებული ყოფილა, რომ ქართველი მეფე ზეიმით შეხვდებოდა მას და მცირერიცხოვანი ამალით მოსულა მცხეთაში. არაგვის ნაპირას მას დახვედრია შეიარაღებული მეფე. მიახლოებია თუ არა ბაყათარი ნაპირს, მეფეს ისრით გაუგმირავს იგი. გვამი არაგვს წაუღია. პფაფს ეს თქმულება საქართველოში, კ. მცხეთაშიც გაუგონია. გამყოლ მედუქნეს მცხეთაში ციხეთის უჩვენებია ქვა, რომელზედაც თითქოს მეფე იდგა — ბაყათარის მოლოდინში [2].

არსებობს აგრეთვე ოსური გადმოცემის ისეთი ვარიანტი, რომლითაც ბაყათარ ოსი შებმია თათრის ხანს. ამ ვარიანტით მდინარეზე გასვლისას თათრის ხანს მოუკლავს ბაყათარ ოსი [3]. გადმოცემის თათრის ხანის პროტოტიპი ეახტანგ გორგასალია. გადმოცემის ჩამწერი ს. შულგინი აღნიშნულ ამბავს უკავშირებს გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსთა ალაგვის ამბებს. მისი აზრით გადმოცემის წყარო ოსურია [4]. ასეთი მოსაზრება ჩვენთვის მიუღებელია. შესაძლებელია, გადმოცემა მსგავსად ნუზალის ეკლესიის წარწერად ცნობილი ლექსისა, აერთებდეს ორ ბაყათარს — „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი V საუკუნის გოლიათსა და XIII-XIV საუკ. ოსთა სახალხო გმირს. ყოველ შემთხვევაში მისი წყარო ქართულია, კერძოდ, გორგასლის შესახებ არსებული ზემოთ მოყვანილი ისტორიული ცნობა და თქმულებები, რომელთა მიხედვით ეახტანგმა მდინარის პირას შებმისას ღალატით მოკლა ბაყათარ ოსი.

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, წ. 1, გვ. 563.

[2] Б. П. Пфаф, Материалы для истории осетин. Сборник сведений о кавк. горцах. т. V, 1871 г., стр. 60.

[3] Сборник материалов для оп. жести. и пл. Кавказа, т. 27, стр. 42 — 44

[4] იქვე, გვ. 46 — 48.

საფიქრებელია, თქმულების ოსური ვარიანტებიდან იყოს შემოსული ქართულ ვარიანტებში ვახტანგ გორგასლის ვერაგული მოქმედება. ყოველ შემთხვევაში ეს მოტივი ვახტანგისადმი არაკეთილად განწყობილ ტომში ან სოციალურ გარემოში უნდა იყოს შექმნილი. მასში იგრძნობა ტენდენცია ძლევამოსილი გმირის სახის დაჩრდილვისა, მაგრამ ამ მოტივის შემცველი ვარიანტები ისევ ჩვენამდე მოღწეული, რომ ააშკარავებენ პროგრესული იდეების გამარჯვებას ხალხურ შემოქმედებაში.

ვახტანგ გორგასლის მიერ ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვაზე შექმნილი ანაქრონიზმების შემცველი ზემოთ განხილული ნუზალის ეკლესიის წარწერად ცნობილი ლექსიც. ამავე თემაზეა შექმნილი აგრეთვე „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, თუმცა ადგილობრივი წარმოშობის ეს მეტად გავრცელებული სიმღერა საერთაშორისო მოტივსაც შეიცავს.

შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საყურადღებოა ზემოთ მოყვანილი, ისტორიულ ცნობებთან დაახლოებული თქმულების ვარიანტი, რომელიც მეორე დამოუკიდებელ თემაზე, გორგასლის ღალატით სიკვდილზე შექმნილ ნაწარმოებებთანაა დაკავშირებული. ამ ვარიანტით, ვახტანგ გორგასალი „ჯერ თოთხმეტი წლისა ყოფილიყო, რომ ერთი ხელმწიფე შეჰბრძოლებოდა; მოდი, ხალხნუ დავხოცთ და მეფეებმა გამოვსინჯოთ ერთმანეთია, — ეთქოსხვათა ხემწიფეს. სირცხვილი იყო ვაჟკაცს უკან დაეხია, როცა საფალავნოდ ითხოვდენ და საქართველოს მეფეც გასულიყო; მხლებლებს ეთქოთ მეფისათვის: ეგ გმირია, გამოცდილი და სახელგანთქმული ფალავანიო. გაჯობებს, თუ მოტყუებით არ დაიმორჩილეო. მეფეს ჯერ არ ექნა, მაგრამ ბოლოს გაეტეხა თავისი სიტყვა და როცა საბრძოლველად მეიდანზე გამოსულიყვნენ, დაეძახა სხვის მეფისთვის: „ეგ რა ვაჟკაცობაა, რომ მაგდენი მშველელი უკან მოგდევსო“ — „ბეჩავსაც უკან მიეხედნა და ამ დროს გორგასლანს შვილდისარი შიგ კისერში-კი ეკრა“ [1]. ამ ვარიანტის მთქმელმა აღარ იცის ბაყათარ ოსის სახელი და იგი „სხვათა ხელმწიფედ“ გამოუყვანია. ზემოთ მოყვანილ ვარიანტთან შედარებით ამ თქმულებაში, დროთა ვითარებაში სხვა მხრივაც გამკრთალებულია ისტორიკოსის ცნობების შესატყვისი ადგილები. ასე, მაგალითად, მთქმელმა არ იცის ჩრდილო-კავკასიელთა მიერ საქართველოს აოხრებისა და გორგასლის დის გატაცების ამბავი. ვახტანგ გორგას-

[1] „დროება“, 1865 წ., № 25.

ლის მტერთან შებმა მოწინააღმდეგეთა ღონის გასინჯვითაა დასაბუთებული. საერთოდ კი გორგასლის მიერ ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვის ამსახველი თქმულების ვარიანტის კონტამინაციის წესით სხვა თქმულებასთან დაკავშირება მთქმელის გარკვეული მორალისა და ეთიკის მაჩვენებელია. მთქმელს დამოუკიდებელ თემაზე შექმნილი თქმულება ვახტანგის ღალატით დაღუპვის ასახსნელად გამოუყენებია. ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის დახასიათება ამ თქმულების მიხედვით ასე იწყება: „თავისიენ სიტყვა გაუტეხია და იმიტომ ბოლო კარგა ვერ მოსულია“.

გვხვდება კონტამინაციის მეორე შემთხვევა. ამ ვარიანტით, ოსების წინააღმდეგ ბრძოლის ამბავი კიდევ უფრო დაშორებულია წერილობითი ძეგლების ცნობებს. ამ შემთხვევაშიც ოსების წინააღმდეგ ბრძოლის ამბავი ვახტანგის ღალატით დაღუპვის მიზეზია, მაგრამ იგი სიტყვის გატეხით არ არის მოტივირებული. ამ თქმულებით, ვახტანგ გორგასალი ცხოვრობდა უჯარმის ციხეში „თავის ცოლითა და ყმებით მშვიდად და არხეინად, რადგანაც მტრები ისე აღარ ეფიქრებოდა. ისინი დამარცხებულნი ჰყვანდნენ. მხოლოდ შორიდან კი შურით უყურებდნენ მის კეთილ ცხოვრებას და ელოდებოდნენ მოხერხებულს შემთხვევას, რათა სამაგიერო მოეწყოთ წინანდლის მარცხისთვის. ერთი ოსის მთავარი, რომელსაც გული ძალიან ჰქონდა ნატკენი ვახტანგისაგან, მალმალე მოვიდოდა ციხის ახლო-მახლოებში, უდარაჯებდა და ცდილობდა, როგორმე მოეკლა ვახტანგი, მაგრამ ვერაფერს აწყობდა. პირიქით, თითონ დიდის ზარალით ბრუნდებოდა შინ, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა გააწყო რა. პირისპირაც შეჰხვედრია, როცა ვახტანგს თავის ცხენი წყალზედ მიჰყოლებია; ჩუმად ჩასაფრებულსაც უცდია ბედი, მაგრამ ამაოდ. ბევრი ცდისა და ნადირობის შემდეგ გადასწყვეტია ხერხი ეხმარა და საწადელისათვის ისე მიეღწია. ეგრეც მოიქცა. ოს წინადვე კარგად იცნობდა ვახტანგის ცოლსა; ისინი მეზობელნი ყოვნენ და ერთმანეთიც უყვარდათ, მხოლოდ ერთმანეთს კი ვერ ჭკუთვნოდნენ, რადგან ძლიერმა მეფემ საქართველოისმა — ვახტანგმა წამოიყვანა ის თავის ცოლად. ეს იყო მიზეზი და საბუთი მთავარისათვის, რომ შური ეძია, მეფის მოკვლა სდომებოდა და საყვარლის მოტაცება. ამიტომ ძალით რომ ვერას გახდა, ეს ხერხი ეხმარა: ადგა, ჩისწერა თავის საყვარელ არსებას წერილი, რომელშიაც, რასაკვირველია, ჯერ უცხადებდა სიყვარულს და მერე ატყობინებდა, რომ მას ჰსურს მისი გატაცება, მაგრამ ვერ მოუხერ-

ხებია, რადგანაც ვახტანგის ციხე შეუვალია. შემდეგ სთხოვდა ესწავლებინა რამე ხერხი, რომ იმისი ქმარი გამოესალმებინა სიცოცხლისათვის და თითონ ქალი კი წაეყვანა თავისთან. ბოლოში ბოაწერა, რომ აქვე ახლოს ვარ და პასუხს მალე ველი. დაკეცა ეს წერილი, შეაბა ისარს და გაისროლა ქალის ოთახის ფანჯრისკენ. ისარი მართლაც შეიჭრა ვახტანგის ცოლის ოთახში. ქალმა შეხედა, ისარს ქაღალდი აბია. შეხსნა, წაიკითხა, ჯერ კი შეყოყმანდა, ქმრის გაცემა და ღალატი არ უნდოდა. მაგრამ ბოლოს სიყვარულმა დასძლია...“ [1]

ჩანს, ამ ნაწარმოების მთქმელს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებზე და ისინი დაუკავშირებია უკვე ხანში შესულ საქართველოს მეფის ირანელების წინააღმდეგ უკანასკნელ, საბედისწერო ბრძოლასთან. ამ ნაწარმოების ოსის მთავარი, ზემოთ მოყვანილი თქმულებისა და ისტორიული ცნობის ბაყათარ ოსია, საცილობელი ქალის პროტოტიპი იმავე ძეგლების მირანდუხტია. ამგვარად, ეს ტექსტი, ერთ-ერთი ნათელი მაგალითია დროთა ვითარებაში ხალხური ნაწარმოების გარკვეული რეალური საფუძვლიდან დაშორებისა. ხალხურ ნაწარმოებში ერთხელ რეალისტურად შესული ისტორიული ცნობის ასე შეცვლა ტექსტის კანონზომიერი განვითარების მაჩვენებელია.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ი. ყაზბეგის მიერ ფიქსირებული ჩერქეზული ლეგენდა. ვახტანგ გორგასლის სახელთან კონტამინაციის წესით დაკავშირებული სურამის ციხის ლეგენდის ფაბულა ტრადიციულია, მაგრამ ქართველი მეფის ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი ქართულ ზეპირ და წერილობითს წყაროებში დაცულს ჩრდილოეთ კავკასიელთა ალაგვის ამბავს ეხმაურება [2].

ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებთა თემატიკიდან ყურადღებას იპყრობს ქართველი მეფის საბედისწერო ბრძოლა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა საფუძველი V — VI საუკ. ქართლის ვითარებაშია. ამ თქმულებებში მოხსენებულ ჩვენი ქვეყნის მტრებად სპარსელები უნდა ვიგულისხმოთ. ცნობილია, რომ სახელოვანმა ქართლის მეფემ მთელი თავისი ძალ-ღონე და პოლიტიკური თუ სამხედრო უნარი ამიერ-კავ-

---

[1] „გორგასლანის ციხე“, „მოგზაური“, 1901 წ., № 3.

[2] Черкесские предания, „Московские ведомости“, 1856. № 40.

კასიის ქვეყნებიდან სპარსელების გაძევების სურვილის განხორციელებას მოახმარა [1]. ამ ვითარების ამსახველი ნაწარმოებნი ადგილობრივი წარმოშობისაა. კახელი მოქმედის გადმოცემით ვახტანგ გორგასალი მაშინ დაიღუპა ღალატით. როდესაც „დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას“ [2]. ქართველი მთქმელი „დიდძალ ურჯულოში“ უდაოდ სპარსთა მრავალრიცხოვან ჯარებს გულისხმობდა. ამ გადმოცემის მეორე, ბერეთვე კახური ვარიანტით, როგორც ვნახეთ, გორგასლის მტერი ისთა მთავარია [3]. მთქმელს, როგორც აღვნიშნეთ, გაუერთიანებია ორი მომენტი ვახტანგის ბრძოლებიდან: ერთი სიჭაბუკის ხანისა ჩრდილო კავკასიელებთან და მეორეც საბედისწერო ბრძოლა — სპარსელების წინააღმდეგ. ფ. გიორგიჯანიძის ზეპირულ მოხსრობაში კი სპარსელების ნაცვლად თურქებია მოხსენებული [4]. ნაწარმოების ასეთი ტრანსფორმაცია გარკვეული ისტორიული მოვლენებითაა გაპირობებული. ამ შემთხვევაში იგი გორგასლის შემდეგდროინდელი, თურქთა დაპყრობითი პოლიტიკის შედეგია.

აღსანიშნავია, რომ საბედისწერო ბრძოლის ადგილს, ივრის ხვობასა და უჯარმის მიდამოებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და ისტორიული წყაროები [5], ერთგვარად მიუთითებენ. სხვა მხრივაც საგრძნობია ისტორიული ცნობებისა და ფოლკლორული ნიმუშების გენეტიკური კავშირი. ამ საკითხზე და საერთოდ დასახელებული ნაწარმოებების ცოცხალ ტრადიციაზე საგანგებოდ შევჩერდებით ტრადიციულ მოტივებთან დაკავშირებით, რადგანაც ისინი ასეთებს შეიცავენ.

საკმაოდ ვრცელ კახურ გადმოცემაში ყურადღებას იპყრობს ისტორიული საფუძვლის მქონე ერთი საგმირო ხასიათის მოტივი. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს ირანელებთან ერთად ვახტანგ გორგასლის სახელოვანი ლაშქრობა ინდოეთში, ინდოეთის დახარკვა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 109.

[2] ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასლანზე, „დროება“, 1883 წ., № 25.

[3] გორგასლანის ციხე, „მოგზაური“, 1901, № 3.

[4] ს. კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ. 200 — 201.

[5] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 133; ს. კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, გვ. 201.

და დიდძალი ნადავლის წამოღება [1]. კახურ გადმოცემაში ეს ამბავი ვახტანგ გორგასლის პირად ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ამ გადმოცემით გორგასალი „ქართველი ჯარებით ინდოეთს წაბრძანებულიყო სადავლაოდ". მაშინ იგი უჯარმის სასახლეში დატოვებულს უზნეო მეუღლეს გუთნისდედაში გაუცვლია [2].

ხალხური პოეზიის დამახასიათებელი სისადავით იძლევა გორგასლის გმირულ სახეს ფრაგმენტული ხევსურული ლექსი:

პირდაპირ შამავხედევდი
ციხის გალავნის პირსაო,
ნეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უპეხებავ გმირსაო [3].

აკად. აკ. შანიძის შენიშვნით „თუ აქ მოხსენებული გორგასლამ მეხუთე საუკუნის გორგასალია (ანუ გორგასარი), მაშინ ეს ნაწყვეტი ერთი უძველესი ლექსის ნაშთად უნდა ჩავთვალოთ და იგი ქართული მეტრიკის ისტორიისათვის ძვირფასი მონაპოვარი ჩქნება" [4]. ჩვენის აზრით ამ ლექსით თავისუფლების მოტრფიალე ხევსურმა წარსულის ქარტეხილს გადარჩენილ ციხის გალავანთან დაკავშირებით სწორედ ვახტანგ გორგასლის მშვილდის ძალა შეაქო.

ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებთა თემატიკაში აღსანიშნავია ქვეყნის მშენებლობაზე ზრუნვა. მხედველობაში გვაქვს გადმოცემა ვახტან გორგასლის მიერ თბილისის აშენებაზე. ამ გადმოცემის საფუძველი ისტორიული სინამდვილეა. ისტორიკოსის ცნობით, როდესაც ვახტანგს მოციქული მოუვიდა ირანთა მეფისაგან ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად (რასაც შედეგად მოყვა ბრძოლა ირანელებთან), მაშინ „ვახტანგ მეფე აშენებნ ქალაქსა ტფილისისა, საფუძველი ოდენ დაედვა" [5].

ბრძოლა ირანელებთან ვახტანგისთვის საბედისწერო გამოდგა, ქალაქის აშენება დაუმთავრებია მის ძეს დაჩის [6]. ჭიმიას ნაამბობ კახურ გადმოცემაში ეს ისტორიული ფაქტი მოტივის სახითაა შესული. ამ გადმოცემით ვახტანგ გორგასალს „საყდრები ბევრი

---

[1] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 127.
[2] „დროება", 1885, № 25.
[3] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 79.
[4] იქვე, გვ. 455.
[5] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 136.
[6] იქვე, გვ. 141.

უშენებია, ქალაქიც იმას გაუკეთებია“ [1]. მთქმელი აქ თბილისს გულისხმობს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი დღესაც საქართველოს დედაქალაქს აღნიშნავენ სიტყვით ქალაქი [2]. განსაკუთრებით საყურადღებოა გადმოცემა, რომლის ძირითადი საგანი ვახტანგის მიერ თბილისის აშენებაა. გორგასლის მოღვაწეობის დახასიათების მიზნით იგი მ. ჯანაშვილს თავის „საქართველოს ისტორიაში“ შემდეგი სახით შეუტანია: „ის ადგილი, სადაც ეხლა თბილისია მოშენებული, წინეთ იყო მოკუღი დიდის უტეხარის ტყით. ამ ტყეში ერთხელ მოინადირა ვახტანგმა, ააფრინეს ხოხობი, რომელსაც მეფემ გამოადევნა თავისი ქორი და მერე თითონაც ცხენის ჭენებით დაედევნა. მივიდნენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი, ჩაცვივნულან წყალში და მოხარშულან. მეფეს ძალიან მოეწონა ეს წყალი და მისი მიდამო. მალე დაიწყო აქ ქალაქის შენება, რომელსაც ამ თბილი წყლების გამო დაერქვა „თბილისი“ [3]. გადმოცემა სისწორით იძლევა ქალაქის სახელწოდების ეტიმოლოგიას. ქალაქის საფუძვლის ჩაყრის მიზეზს ხალხი იმ გარემოებით ხსნის, რომ მეფეს მოსწონებია თბილი წყალი და მისი მიდამო. თუ რა მიზეზით მოხდა ქალაქის საფუძვლის ჩაყრა, ამის შესახებ, როგორც აღნიშნა აკად. ს. ჯანაშიამ, ფაქტიური მასალა არ შენახულა. პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებით „დიდი როლი უნდა ეთამაშნა ტფილისის მდებარეობასაც“ [4], გადმოცემის მიხედვით თბილი წყლის მიდამოების მოწონება მეფის მიერ შესაძლებელია გულისხმობდეს სწორედ პოლიტიკურსა და სტრატეგიულს მოსაზრებას ქალაქის საფუძვლის ჩაყრისას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ V — VI საუკ. საქართველოს ისტორიის ამბებთან დაკავშირებული ვახტანგ გორგასლის ციკლის ლექსების, გადმოცემებისა და თქმულებების თემატიკა ძირითადად საგმირო ამბებითაა განსაზღვრული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯაუკუნეთა გრძელი მანძილის გამოვლით ნაწარმოებებში ასახულ ისტორიულ ფაქტებს კონტამინაცია-ანაქრონიზმებისა და ზეპირ-

---

[1] „დროება“, 1885, № 25.

[2] ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1927 წ.ბელგამი, გვ. 9.

[3] მ. ჯანაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1884, გვ. 44.

[4] სიმონ ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, სახ. უნ-ტის გამომც., თბ., 1935 წ., გვ. 10.

სიტყვაურებს სხვა სპეციფიკური მოვლენების გამო კონკრეტულობა დაკარგვიათ და ზოგადი სახე მიუღიათ.

ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები დავით აღმაშენებელზე

დავით აღმაშენებლის ცხოვრების თემატიკა იმ სამხედრო ძლიერებითა და დიდი მშენებლობითაა განსაზღვრული, რომელიც დავითის დროის საქართველოში იყო.

გარეშე მტრების ალაგმვაა ძირითადი თემა დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღებაზე დარსებული ღრმად პატრიოტული ლეგენდისა[1]. ამ ლეგენდას, როგორც აღვნიშნეთ, მყარი ისტორიული საფუძველი აქვს.

მეორე ძირითადი თემა დავით აღმაშენებლის ცხოვრების ნაწარმოებთათვის არის ის დიდი მშენებლობა, რომელიც დავითის მოღვაწეობას ახასიათებს. ამ ხერხივ საინტერესოა ავშანდაძის სიგელის სახელით ცნობილი XV საუკ. ძეგლში დაცული ლეგენდა გელათის აშენებაზე. ეს ადგილობრივი წარმოშობის ლეგენდა მთლიანი სახით არ არის შემონახული და ამიტომ არ იძლევა შემოქმედებითი პროცესის შესახებ მსჯელობის საშუალებას.

დავით აღმაშენებლის ომებს გარეშე მტრების წინააღმდეგ და მის დიდ სააღმშენებლო მოღვაწეობას ასახავენ აგრეთვე ტრადიციული სიუჟეტის მქონე ფანტასტიკური ლეგენდები[2]. მათ ცალკე შევეხებით.

ხალხურად იყო მიჩნეული[3] ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა, რომელშიც დახასიათებულია საქართველოს მეფის ძლევამოსილება. მისი დღემდე ცნობილი, ყველაზე ძველი, სრული სახით დაცული ვარიანტი ასეთია:

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნ. 1, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 182 — 183; ექ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, „ძველი საქართველო", ტ. II, განყ. III, გვ. 62 — 63; ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისგან, თბ., 1885 წ., გვ. 368.

[2] ლეგენდა დავით აღმაშენებელზე, „კრებული". 1897 წ. № 1 — დაცულია აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. II— 1994; დავით აღმაშენებელის ჯოხი, „კრებული", 1893, № 7, განყ. III; თქმულება დავით აღმაშენებელზედ, ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. II — 2026; დავით აღმაშენებელის ჯოხი, რუსთაველის ინსტიტ. ფოლკლ. სექც. მას. № 13535.

[3] დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, II, 1863, გვ. 149; მ. ჯანაშვილი. ქართველთა მატიანე, „მოამბე", 1903 წ., № 4 და სხვები.

როს ნაჭარმაგევს მეფენი
შვიდნივე პურად დამესხნეს,
რუსნი (თურკნი), სპარსნი და ალანნი
საშხლეართა იქით გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა შიგან ჩამესხნეს,
და აწ ამისსა მოკმედსა
კელნი გულზედა დამესხნეს [1].

ეს ლექსი თამარ მეფის ეპიტაფიადაც იყო მიჩნეული [2]. ჩვენთვის ცნობილია ამ ლექსის რვა ვარიანტი [3]. XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლის, კელმწიფის კარის გარიგების აღმოჩენამ ცხადყო, რომ მისი ავტორი დაკით აღმაშენებლის თანამედროვე ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელია [4]. აღნიშნულ ძეგლში, სამწუხაროდ, ლექსის მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია დაცული, რომელიც საკმაოდ განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი
თორმეტნი პურად ჩაესხნენს".

შესაძლებელია, შემდეგი დროის ხელნაწერებსა და გამოცემებში დაცული ვარიანტების სხვა სტრიქონებიც ასევე შეცვლილი სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ეს გარემოება ამ ლექსს საინტერესოდ ხდის ფოლკლორისტიკისათვისაც, თუმცა მისი ავტორი დღეს უკვე ცნობილია. ასეთი ცვლილება ცოცხალი ხალხური ლექსის სისადავეს მოკლებული ნაწარმოებისა, მოწმობს მისი ხელნაწერის სახით გარდა, ზეპირად გავრცელებასაც. შესაძლებელია, არსენ იყალთოელის ნაწარმოები პირველად ოთხტაეპოვანი კი არა, უფრო ვრცელი იყო. ხალხური სიტყვიერების განვითარების გზების თვალსაზრისით

---

[1] თ. ჯორდანია, ქრონიკები, II, გვ. 52.

[2] იქვე: „ცისკარი", 1852 წ.

[3] აღნიშნულს გარდა ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. S — 3668: ექ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920 წ., გვ. 38; იქვე გვ. 12; საქართველოს ძველი თავგადასავალი.

[4] ექ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, გვ 12. ეს ლექსი, მიუხედავად მისი ავტორის აღმოჩენისა, თამარ მეფის შესახებ არსებული ხალხური სიტყვიერების კრებულში შეიტანა ს. ცაიშვილმა შემდეგი შენიშვნით: „ამ თქმულებას დავით აღმაშენებელსაც მიაწერენო. იხ. ს. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ, 1943, გვ. 76.

:ნეტად საგულისხმოა ექ. თაყაიშვილის შენიშვნა აღნიშნული ლექსის მიმართ: „კარის გარიგება გვამცნევს, რომ ლექსი ეკუთვნის არსენ იყალთოელს და ჩვენ ნება გვაქვს და საბუთი ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ მრავალი დაკარგული ავტორების ნაწარმოები უნდა ჰქონდეს ხალხურ პოეზიას ნაწყვეტებად შენახული“ [1]. ეს საერთოდ მართებული მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებელზე არსებული მეორე ლექსის მიმართ. მასში შესანიშნავადაა აწერილი საქართველოს მეფის მრავალმხრივი ღვაწლი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ ლექსის უფრო ვრცელი ვარიანტი ასეთია:

გიამბობ სიჟრიადესა
დავითის აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა განმგესა,
წყობასა სპარახენთასა.
მაღლით განცდასა, ქუენასა
ლალვათა აღნაგზენთასა.
და ქუელთა საქმეთა ურიცხუთა
გლახაკთად მინაფენთასა.
გითხრობ წმინდათა ადგილთა
ნიჭთა მათ მოსახსენთასა.
ვინა მიიღო საზომი
უთუალავთა მათ ძღუენთასა,
ხიდთა, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ, კვლავ ნაყენთასა,
და იყო დიდი სიმრავლე
განარკუთა, თქმულთა ბრძენთასა.
მკურნალთ კადოდის სულისა
და კორცთ შეჭმელთა სენთასა,
მოწლედ სწყალობდის მოძღუართა
ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჰაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა,
და სთესდის მადლსა და სიბრძნესა,
სულმნთებდთა აღმაფრენასა [2].

ეს ოცდაოთხ სტრიქონიანი ლექსი მთქმელსა თუ ჩამწერს მართებულად ასე დაუსათაურებია: „ძველი ლექსი დავით აღმაშენებელ-

---

[1] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, კულმწიფის კარის გარიგება, გვ. 38.

[2] ჩაწერილი ი. ჭ—ს მიერ. ნიკოლოზ დადიანის თქმით, „მოგზაური“, 1902 წ., № 1.

ზე“. ცნობილია ამ ლექსის მესხური, უფრო მოკლე 14 სტრიქონიანი ვარიანტი [1]. იგი ლექსის ზეპირი ტრადიციის მაჩვენებელია. ლექსი აშკარად წიგნური წარმოშობისაა. იგი შეიცავს XI — XII საუკუნეების რეალიებს, გაქვავებულ სიტყვებსა და ფორმებს. როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, ლექსში დაცულია ისეთი სიტყვები და ფორმები, რაც მხოლოდ XI — XII საუკ. ძეგლებში გვხვდება. მოსაზრება, რომ ლექსი XII საუკუნეშია შექმნილი, მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენი დიდი წინაპრის შესანიშნავი დახასიათება მოწმობს, რომ ლექსის ავტორი განათლებული პირია. ლექსი წყობითა და სტილით არსენ იყალთოელის ზემოთ მოყვანილი ეპიტაფიის მსგავსია. ყველა ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ლექსის ავტორიც დავით აღმაშენებლის თანამედროვე ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი უნდა იყოს. ლიტერატორების, ფოლკლორისტებისა და ისტორიკოსების კვლევა-ძიების შედეგად მოსალოდნელია ეს ჰიპოთეზა დებულებად იქცეს.

თემატიკის საგმირო ხასიათითა და ნაწარმოებთა რეალურ საფუძველთან დამოკიდებულებით, დავით აღმაშენებლის ციკლი არსებითად ისეთივეა, როგორც ვახტანგ გორგასლისა. მართალია ამ ორი ციკლის ნაწარმოებთა რეალურ საფუძვლებს შორის ექვსი საუკუნე ძევს, მაგრამ XIX — XX საუკუნეთა მთქმელებისთვის დავით აღმაშენებლის ეპოქაც შორეული წარსულია. რვა-ცხრა საუკუნე ვრცელი ისტორიული მანძილია ზეპირსიტყვიერების განვითარებაში. იგი სავსებით საკმარისია ნაწარმოებში ასახულ კონკრეტულ ფაქტთა განზოგადოებისათვის.

ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები თამარ მეფის შესახებ

თამარ მეფის ციკლის ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, „შთაგონებულია საქართველოს ბრწყინვალე ეპოქით, ხალხის თვითშეგნებითა და

---

[1] ჩაწერილი ალ. მირაქიშვილის მიერ, ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. H — 1926, ან ფოლკლ. სექც. № 3281. თითქმის უცვლელად იმეორებს ამ ვარიანტს რამდენიმე წლის წინ ჯავახეთში, ს. საროში ჩაწერილი ვარიანტი. იხ. ხალხ. პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 238.

ამეცნიერ, პოლიტიკური ძლიერების, კულტურისა და მშვიდობიანი შემოქმედების იდეით“ [1]. ამ ციკლის ნაწარმოებთა მრავალფეროვანი თემატიკა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქითაა განსაზღვრული. XII — XIII საუკუნეებში საქართველოს გამოსვლა მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლები გარეშე მტრების წინააღმდეგ, თამარის მეფობისას დიდი მშვიდობიანობა საქართველოში, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ერთიერთობა, თამარის პიროვნება და მისი ცხოვრების დასასრული, თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა აქტუალური თემებია. აღნიშნულ თემებზე არსებულ ზოგ ნაწარმოებთა სიუჟეტები ტრადიციულია. ისინი, როგორც ამას თავის ადგილას ვნახავთ, გარკვეულ ისტორიულ-ნაციონალურ ნიადაგზე დაკავშირებიათ თამარის სახელს. ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის სიუჟეტები კი ტრადიციული მოტივების მიუხედავად, ადგილობრივი წარმოშობისაა. საქართველოს მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოსვლის ამსახველია ნაწარმოებნი, რომელთა მიხედვით თამარი მსოფლიოს მპყრობელია; ან — მისი მოხარკეა ისპაანი, სტამბოლი, არზრუმი და სხვა ქალაქები; — რომელთა მიხედვითაც, მისი შიშით ძრწოდნენ თათრები, სპარსელები და სხვები. ჩვენ მითითებული გვაქვს ამ თემაზე შექმნილ ინგილოურ [2], მესხურ [3] და სხვა კუთხის ნაწარმოებებზე [4], მითითებული გვაქვს აგრეთვე ამავე თემაზე შექმნილ მეტად გავრცელებული ეპიტაფიის ხასიათის ლექსზე „თამარ დედოფალი ვიყავ“, რომელიც ადგილობრივი ხასიათისაა [5]. ამ ციკლის მრავალი ნაწარმოების წყაროა ქართველი ხალხის მრავალრიცხოვანი გმირული ბრძოლები თამარის მეფობისას (შამქორის ომი, ბოლოსტიკეს ომი, ბრძოლა არდებილს, გალაშქრება ირანს და მრავალი სხვა). ამ ბრძოლების ამსახველია სვანური თქმულება გაძევებული გიორგი რუსის მიერ

---

[1] ჯ. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 4.

[2] ფერია, დედოფალი საქართველოისა, „საქართველოს კალენდარი“, 1890, 414 — 415.

[3] ლეგენდა თამარ მეფეზე, „მოგზაური“, 1901 წ., № 8, 9.

[4] ჯ. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 6 — 7.

[5] იქვე, გვ. 7.

საქართველოში შემოყვანილი ჯარების დაშარცხებაზე;[1] ნესხური გაღმოცემა ყიზილბაშების დამარცხებაზე[2] და მრავალი სხვა[3].

ამავე თემაზე არსებულ ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებებიდან შემოქმედებითი პროცესისა თუ ტექსტის ევოლუციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ერთი ლეგენდა. ბოლოსტიკეს ომში ნუკარდინ სულთანზე ქართველების გამარჯვების აზბეჰთან დაკავშირებით ვახუშტის მოყვანილი აქვს მისი ვარიანტი: „კვალად ესეცა თქმულ არს: მოყვანებული დიდებული სულტანისა წინაშე თამარისა დაცა და იღვლარჭნოდა, ვითარცა გველი და შეყუჟმნილი; ამისთვის განიყვანეს გარე. რა იქცნა ბართლგონიერ, ჰკითხვიდნენ, რასათვის ჰყოფდა ეგრეთ: ხოლო ივი იტყოდა, „როჟელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩვენ ზედა და აწცა შავშინდი მის მიერ". ხოლო დროსა მას იყო მთავარ ანგელოსის მისაილის სახე თავსა ზედა თამარისასა მკიდარე; ამით იუწყეს მისმიერობა და შესწირეს უმეტეს მადლობა ღმერთსა"[4]. არსებობს ამ ლეგენდის მეორე ვარიანტი, ფიქსირებული ერთი საუკუნის შემდეგ. ივი ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა შემდეგი სახით: „თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდა, ომში ქრისტიანებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ, პყრობილი თამარ მეფეს მიჰგვარეს, როცა პყრობილი თამარ მეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბათ შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო:

— მიშველეთ, მიშველეთ.

იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს: — რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა.

— მე მისი შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხმლით ამოღებული კაცი უელის და იმ გალესილ ხმალს სულ აქეთ-იქით ატრიალებს მტრის წინააღმდეგ[5].

როგორც ამ ორი ვარიანტის შედარებიდან ჩანს, ლეგენდაში ასახულ კონკრეტულ მოვლენას ერთი საუკუნის შემდეგ ზოგადი სახე მიუღია. XX საუკუნის დასაწყისში ფიქსირებული ვარიანტით ცნობილ ბოლოსტიკეს ომის ნაცვლად ზოგადად ოსმალებთან ბრძო-

---

[1] ფოლკლორის სექციის მასალა, № 8110.

[2] ფოლკ. სექციის მასალა, № 9036.

[3] ქს. სიხარულიძე. თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 9 — 13.

[4] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, აღნიშნ. გამოც., გვ. 212.

[5] ზ. ჭიჭინაძე. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ხეპირის ცნობებით, ნეოთხე გამოცემა, თბილისი, 1911 წ., გვ. 38.

ლაა აღნიშნული. ტექსტის რეალური საფუძვლიდან თანდათანობით დაშორების მაჩვენებელია აგრეთვე ახალ ვარიანტში დიდებულის როლში თვით სულთანის გამოყვანა.

ამ ორი ვარიანტის შედარებისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. პირველ ვარიანტში მკვეთრად ჩანს მთქმელის ქრისტიანული იდეოლოგია. ქართველების ნუქარდინ სულთანზე გამარჯვება არა მხოლოდ აგრესორის, არამედ ქრისტიანების მიერ მაჰმადიანების დამარცხებას ნიშნავს. ამ ვარიანტით მთავარანგელოზის სახის ხილვისას მტერი აშკარად აღიარებს „მან ჰყო ძლევა ესე ჩვენ ზედაო“ და ამიტომაც მაჰმადიანებმა „იუწყეს მისმიერობა“. XX საუკუნის დასაწყისში ფიქსირებულ ვარიანტში კი მაჰმადიანი ქართველი მთქმელის მიერ შერბილებულია სარწმუნოებრივი ბრძოლის იდეა. ამით აიხსნება მთავარანგელოზის სახის შეცვლა ხმლიანი კაცის ზმანებით. ამის გამო, ამ ვარიანტით მტრების მიერ არც ქრისტიანთა „მისმიერობაა“ უწყებული. ამ ლეგენდის ვარიანტების შედარება ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მხოლოდ საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაზე, არამედ საერთოდ ხალხური ნაწარმოების ცვალებადობაზე, მის გაახლებასა და მარად შემოქმედებით უნარიანობაზე.

აღნიშნულ თემაზე შექმნილი ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებთაგან საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობა-განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე თქმულება. ამ თქმულებით, თამარმა შეუღლებაზე უარი უთხრა სპარსთა (ზოგი ვარიანტით არაბთა) უძლიერეს შაჰს, რომლის სკიპტრასაც მთელი მსოფლიო ემორჩილებოდა. მძვინვარე შაჰი მრავალრიცხოვანი სპარსელებით შემოიჭრა საქართველოში. მტერმა ალყა შემოარტყა ციხეს, რომელშიაც თამარი იყო გამაგრებული. თავხედმა შაჰმა შეურაცხყოფის მიზნით ტიკით ღვინო გაუგზავნა ალყაშემორტყმულ ხანქართველოს მეფეს, ნიშნად იმისა, რომ არ განიცდიდა სასმისის ნაკლებობას. თამარმა შაჰს გაუგზავნა თევზი — ცოცხალი, და თანაც საშინლად ააღელვა იგი მოხდენილი პასუხით: „დიდი ხანია მეფეს არ უგემნია მისი საყვარელი კერძი. იქნებ ცოცხალმა გაუღვიძოს ტკბილი მოგონება სამშობლოზე და მოისურვოს ჩქარა გაბრუნება გირკანის მოქნილ ტალღებისაკენო“ [1]. ამგვარად, თამარმა გააფრთხილა აგრესორი, რომ დაეტოვებინა საქართველო.

[1] А. Хаханов, Очерки, I, стр. 286—287.

ეს თქმულება თამარ მეფის ციკლში საკმაოდ გვიან, ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნის შემდეგაა შესული. მისი წყაროა ვახუშტის მიერ მოთხრობილი, XV — XVI ს. საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ფეოდალების გაძლიერების დამახასიათებელი ერთი ეპიზოდი. კერძოდ, ბაგრატის მიერ მუხრანის ციხის აშენება და ამ ციხეზე ავ-გიორგის გარშემორტყმა. ვახუშტის მოთხრობით, „ავ--გიორგი მოვიდა სპითა თეისითა და მიადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს სამ თთუჳ და შეამჯირეა ფრიად ბაგრატ. მაშინ ავ-გიორგიმ წარუვლინა ღვინო ლიტრითა ბაგრატს: „ხარ ძე მეფისა და არს ჟამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აწ იქმიე“. ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავ-გიორგის იგი და ჰროუთხრა: სამ თთუჳ მყოფობ ქსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამეთუ ცოცხალი არს“. გაჰკეირდა ავ-გიორგი და ჰგონა საზრდოთა სიმრავლე, უკუნიქცა“ [1]. ზემოთ მოყვანილ ხალხურ ნაწარმოებში ეს ამბები თამარ მეფის და სპარსეთის შაჰის სახელებთანაა დაკავშირებული. ამგვარი კონტამინაციით მთქმელებს შეუქმნიათ თქმულება, რომელიც თამარ მეფის ეპოქაში სპარსთა ძალადობის ასახვით აშკარა ანაქრონიზმს შეიცავს. სინამდვილის განხორციელების თვალსაზრისით საქართველოს გარეშე მტრებთან ბრძოლის თემაზე შექმნილ თამარის ციკლის ნაწარმოებებში ამ თქმულებას ერთგვარი დისონანსი შეაქვს.

თამარ მეფის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ბრძოლას სამშობლოს მტრების წინააღმდეგ უკავშირდება აგრეთვე ადგილობრივი ხასიათის თქმულება, რომელიც იძლევა „ნაქოშარის“ ხალხურ ეტიმოლოგიას. ნაქოშარის სახელწოდებით ცნობილია კონუსისებური ბორცვები რიონის გასწვრივ, ქუთაისიდან შავ ზღვამდე. არქეოლოგთა მოსაზრებით ეს ბორცვები უძველეს დროში საქარავნო გზის მაჩვენებელი იყო კავკასიის უღელტეხილის გაყოლებით [2]. ხალხს ამ უძველესი ბორცვების წარმოშობა ირანის ძლიერი შაჰის წინააღმდეგ თამარ მეფის ბრძოლასთან დაუკავშირებია. იმერული თქმულებით თამარ მეფეს თან ახლდა ქვეითი და ცხენოსანი ქალთა ლაშქარი. ერთხელ მას ომი გამოუცხადა ირანის ძლიერმა შაჰმა. თამარმა შეკრიბა ქალთა ლაშქარი და მტრის შესახვედრად გაემართა ზღვის მიმართულებით. წვიმიანი

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 26.

[2] А. Хаханов, Очерки, I, стр. 257.

ამინდები იყო. მებრძოლი ქალები დასვენებისას იცილებდნენ მაღალ ქოშებზე მიკრულ ტალახს, რომელიც მათ სიარულს უშლიდა. ქალთა ლაშქარი ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ ქოშებიდან ჩამოცლილი ტალახით ბორცვები გაჩენილა. ამ ბორცვებს „ნაქოშარი“ ეწოდა [1].

ჩვენ აღნიშნული გვაქვს საქართველოს გარეშე მტრებთან ბრძოლებისა და თამარ მეფის ძლევამოსილების ამსახველი სხვა ნაწარმოებებიც: თამარ მეფისა და შაჰ-აბასის ბრძოლის ამსახველი ანაქრონიზმის შემცველი ინგლისური თქმულება [2]; გადმოცემა მურვან-ყრუს დამარცხებაზე [3]; საფერხულო სიმღერა „თამარ მეფე და ხონთქარი“ და სხვები [4]. ყველა ეს ნაწარმოები ადგილობრივი ხასიათისაა და ფსიქოლოგიურად გამართლებული კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენებით ქართული სინამდვილის განსახიერებას წარმოადგენს.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებებიდან ყურადღების ღირსია კონტამინაციის ერთი მაგალითი, ნიმუში სულ სხვადასხვა ხასიათის ზეპირ ნაწარმოებთა შეერთებისა. საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის გათვალისწინებისას ჩვენ მოვიყვანეთ სვანური საფერხულო, რომელიც იძლევა ულამაზეს მეფე ქალის მებრძოლ სახეს. არსებობს ამ საფერხულოს ასეთი ვარიანტიც:

თამარ დედოფალო, თამარ,
ულეჩაქოდ წასულო სამამამთილოში, თამარ,
თამარ დედოფალო, „
ჟაერანგოთ წასულო სამამამთილოში, „
ქვედაკაბა არ (გაგყვა) სამამამთილოში, „
კაბა არ (გაგყვა) სამამამთილოში, „
ფეხსაცმელებიც („ქალამნებიც“) „
არ (გაგყვა) სამამამთილოში, „
ცხენი არ გაგყვა სამამამთილოში, „
ურაგირიც არ (გაგყვა) სამამამთილოში, „
აღვირი არ (გაგყვა) სამამამთილოში. „
ლეჩაქი გეხურა ყველაზე კარგი, „
პერანგი გეცვა ყველაზე კარგი, „

[1] А. Хаханов, Очерки, გვ. 287 — 288.
[2] „საქართველოს კალენდარი“, 1890 წ., 414 — 415.
[3] ფოლკლ. სექც. მას. № 9008.
[4] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 12 — 15.

ქვედა კაბა გეცვა ყველაზე კარგი, თამარ,
კაბა გეცვა ყველაზე კარგი,
ფეხსაცმელები გეცვა ყველაზე კარგი,
ცხენი გყავდა ყველაზე კარგი, „
უნაგირი გედგა, ოქ, მოქედილი, „
აღვირი გედგა, ოქ მოოქრილი. თამარ [1].

ამ ვარიანტში ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისით ერთგვარ გაუგებრობას იწვევს თამარ დედოფლის სამამთილოში წასვლა უქვედაკაბოთ, უკაბოთ, უფეხსაცმელოთ და სხვა. სამამამთილოში ასე პატივაყრილი წასვლის ამბავი ეკუთვნის სულ სხვა ნაწარმოებს, რომელიც მთქმელს ალბათ მისი ერთი ვარიანტის ადრესატის სახელის თამარისა და მისი სამოსელის აღწერის გამო ასოციაციით თამარ დედოფლის შესახებ არსებულ საფერხულოსთან დაუკავშირებია. ცნობილია სვანური საყოფაცხოვრებო ამებეური ფორმის სიმღერა:

— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
ენებურად წასულო ქმარეულთას!
— არა, არა, საბრალოო დედავ,
ნებით წავედი ქმარეულთას.
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
უურვათოთ წასულო ქმარეულთას!
— არა, არა, საბრალო დედავ,
ცხრა ხარი ურვათად მოგვცეს,
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
უფეხსაცმელოდ წასულო ქმარეულთას!
— არა, არა, საბრალო დედავ,
ფეხსაცმელებად მეცვა ჩექმები.
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
უპერანგოთ წასულო ქმარეულთას!
— არა, არა, საბრალო დედავ,
პერანგი მეცვა წითელი.
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
უკაბოდ წასულო ქმარეულთას!
— არა, არა, საბრალო დედავ,
კაბა მეცვა ატლასისა.
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
ულეჩაქოდ წასულო ქმარეულთას!
— ულეჩაქოდ კი არა, საბრალო დედავ,
ლეჩაკი მეხურა აბრეშუმისა.

---

[1] ჩაწერა ე. თ ო ფ უ რ ი ა მ იფარში კესა პირველის თქმით 1 სექტ. 1926 წ., „სვანური პოეზია", გვ 5.

— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
ჭმარი გძულს ჩემს თამარს!
— არა, არა, საბრალო დედავ,
ჭმარი მყავდა სავეთის თავადი.
— დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
შენი გული მოხარშული პინჭარი(ვითაა)
ჭმრის სიძულვილით.
დედაისი, დედაისი, თამარ ჩემო,
ჭმრის სიძულვილით მო, წყალში გადავარდი!
— დედავ, დედავ, დამაცალე („დამანებე")
ჭმარეულთას (ყოფნა [1] I.)

ამ სიმღერის თამარს არაფერი აქვს საერთო თამარ მეფესთან. საინტერესოა ამ სიმღერის მეორე ვარიანტიც, სადაც თამარი აღარ იხსენიება [2]. საეჭვო არ არის, რომ ზემოთ მოყვანილი საფერხულოს გაუგებარი მოტივი, თამარ მეფის შესახებ არსებული საფერხულოსა და ამ საყოფიერო სიმღერის კონტამინაციის შედეგია. ტექსტის ამგვარი განვითარებით საგრძნობლად გამქრალებულია ის ისტორიული სინამდვილე, რომელიც თამარის საფერხულოს პირველი წყაროა.

ადგილობრივი ხასიათისაა ამ ციკლის ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, რომლებშიც თავისებურად ასახულია ის დიდი მშენებლობა, რაც თამარის დროს საქართველოში იყო [3]. ბევრი მათგანი ამა თუ იმ ნაგებობისა ან გეოგრაფიულ სახელწოდებათა ხალხურ ეტიმოლოგიას იძლევა. საინტერესოა ვარძიის აშენებასთან დაკავშირებული ნაწარმოებები [4]. ერთი მესხეთში ჩაწერილი თქმულება სათაურით „აქ ვარ ძია" მონასტრის სახელწოდების ხალხურ ეტიმოლოგიას იძლევა: „ერთხელ თამარი როცა პატარა გოგო იყო, ბიძამისმა წამოიყვანა და მიიყვანა დღევანდელი ვარძიის ალაგას. იქვე გაუშვა თამარი კლდეებთან. თითონ კი ნადირობდა. როცა ნადირობიდან დაბრუნდა, ნახა, რომ თამარი იქ აღარ იყო, თურმე ასულიყო და კლდეებში თამაშობდა. ბიძას შეეშინდა, ხვარსად გადავარდაო და დაიწყო ძახილი: „გოგო თამარ სადა ხარო". თურმე

---

[1] ჩაწერა მ. გუჯეჯიანმა ხალდეში ბექა გასვიანის თქმით 13 აგვისტოს 1936 წ., იქვე გვ. 175.

[2] იქვე, გვ. 161.

[3] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 16 — 23.

[4] იქვე, გვ. 17 — 18.

თამარმა გაიგონა ბიძის ხმა და უპასუხა: „აქ ვარ ძიაო“. მერე როცა თამარი ხუნწიფე გახდა და იმ კლდეში საყდარი გააკეთა, უს სახელი დაარქვაო“ [1].

ადგილობრივი ხასიათი აქვს მშენებლობასთან დაკავშირებულ, გავრცელებულ ფანტასტიკურ ლეგენდას გორის ციხისა თუ გორის-ჯვარის აშენებაზე. ამ ლეგენდით, გორისჯვარი თუ გორისციხე თამარმა მისთვის თავგანწირული ჰაბუკის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად ააგო (ზოგი ვარიანტით გააჩინა). ლეგენდის ერთი ვარიანტი, ჩაწერილი იოსებ დავითაშვილის მიერ, „გორისჯვარის“ ასეთ ეტიმოლოგიას იძლევა. თამარის ქორის გამოსაყვანად ადიდებულ მტკვარში შეცურებული ჰაბუკი მეფის სურვილის თანახმად დაიხრჩო. თამარს შეეშინა, ჰაბუკს ისეთი რამ არ ეთხოვა ჯილდოთ, რის გაცემაც არ შეიძლებოდა. ამიტომ ისურვა მისი დახრჩობა. შემდეგ თამარს დაენანა ჰაბუკი და ბრძანება გასცა: „— გადით, ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაადგით, რომ იმ ადგილს მივაგნოთ; მე მსურს ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ იმ ეკლესიას „ქორის ჯვარი“ ერქმევაო. მართლაც იქ ეკლესია ააგო, რომელსაც ეხლა „ქორის ჯვარს“ ეძახიანო“ [2].

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, გეოგრაფიული სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე გადმოცემა ალვანზე [3].

მშენებლობის თემაზე არსებული ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებებია გამოყენებული თამარის სამისიონერო მოღვაწეობის აწერისას იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისაში“. მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა მიხედვით საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძველ ნაგებობათა, ქალაქების, სოფლებისა და სხვების თამარის სახელთან დაკავშირება, როგორც აღვნიშნეთ, „გამართლებულია ისტორიით და თამარის დროს განვითარებული დიდი მშენებლობის სინამდვილით“ [4].

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 13 530.

[2] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების განყ. I-i — 1991.

[3] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 21.

[4] იქვე, გვ. 23.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებები, რომელნიც საქართველოს „ოქროს ხანის“ ორი დიდი პიროვნების — თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთობას ასახავს, ჩვენ ამ ციკლში შევიტანეთ. შეიძლება ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა განყოფილებაში დამოუკიდებელ ციკლადაც გამოიყოს ქართული პოეზიის უმაღლესი მწვერვალის — შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ნაწარმოებები. ჩვენ თუ მაინც თამარ მეფის ციკლს ვუერთებთ მას, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი შოთას პიროვნებასა და შემოქმედებას მჭიდროდ აკავშირებს საამაყო ქართველ-ქალთან. დიადი ეპოქის ორი დიდი ადამიანი — თამარ მეფე და შოთა რუსთაველი ამ ნაწარმოებთა განუყრელი საგნებია. მათი ურთიერთობა ლექსებში, გადმოცემებსა და თქმულებებში ისტორიული და ფანტასტიკური ამბების ჩვეულებრივი შერევითაა მოცემული. არსებობს თქმულებები, რომელთა მიხედვით ფართო განათლების მქონე შოთა რუსთაველი სამეფო კარზე მსახურობდა. მესხური თქმულებით, თამარ მეფემ სამსახურში მიიწვია ათინაში აღზრდილი შოთა [1]; მეორე თქმულებით, შოთა, თამარის კარზე მყოფთა შორის, ყველაზე მეტად განათლებული პირი იყო [2]; მესამე გადმოცემით, შოთა რუსთაველი თამარის ვეზირი იყო [3]. ზეპირსიტყვიერების ასეთ ცნობას ზოგი ისტორიკოსიც ეთანხმება. მოსე ჯანაშვილის მოსაზრებით, თამარ მეფის მახლობელი კარის კაცი შოთა, რუსთავის ერისთავი და მოლარე ან მეჭურჭლეთუხუცესი იყო [4]. გადმოცემებით, თქმულებებითა და ლეგენდებით შოთა რუსთაველი თამარ მეფეზე იყო გამიჯნურებული. ზოგი ვარიანტით თამარიც თანაუგრძნობდა მას [5].

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს მოსაზრება შოთას თამარისადმი ასეთ დამოკიდებულებაზე. ასეთი

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 12998.

[2] იქვე, № 13008.

[3] იქვე, № 13049.

[4] „ტრიბუნა“, 1923 წ., № 449.

[5] ფოლკლ. სექც. მას. № 12997, 12999, 13001, 13005, 13049, 13057.
იხ. კს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 31 — 33.

მოსაზრება აკად. ნიკო მარსაც აქვს გამოთქმული [1]; ნ. გულაკის სიტყვებითაც „რუსთაველი დიდებული მეფისადმი ღრმა გრძნობით იყო გამსჭვალული [2]. აღნიშნულ ხალხურ ნაწარმოებთა მიმართ მართებულია აკად. კორნელი კეკელიძის მოსაზრება: „ასეთია ეს პოეტური ლეგენდები, რომელთა რიცხვს დღესაც კი ავსებს ხალხი, და არა მარტო ხალხი, არამედ ზოგიერთი მკვლევარი „მეცნიერული" ბიოგრაფიის სახით [3].

არსებობს გადმოცემები, რომლებითაც შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების ცალკეული სტროფების შექმნა თამარისა და შოთას ურთიერთობითაა ახსნილი [4]. ხალხურ ნაწარმოებში თამარისა და შოთას ურთიერთობა ყოველთვის ტრფობის საფუძველზე არ არის მოცემული. ერთი თქმულებით, დაობლებული და-ძმა — თამარი და შოთა — ერთად აშენებენ ვარძიას [5]. უკანასკნელ წლებში ჩაწერილ მესხურ ლექსშიც ერთადაა მოცემული ერთი ეპოქის ამ ორი შესანიშნავი ადამიანის ღვაწლის დახასიათება [6].

თამარისა და შოთას ურთიერთობაზე შექმნილ ნაწარმოებიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გადმოცემა, რომლითაც გავრცელებული ეპიტაფიის ხასიათის ლექსის შექმნა მათი ახლო ურთიერთობითაა ახსნილი. ამ გადმოცემით თამარმა ეს ლექსი მაშინ წარმოთქვა, როდესაც რუსთაველმა სთხოვა „როგორც დედოფალს რაიმე დაეტოვებია ძვირფასი საუნჯე" [7].

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთობაზე შექმნილ ნაწარმოებთა მიმართ ვიმეორებთ ჩვენს მიერ ერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას: „ქართველმა ხალხმა ზეპირად იცოდა „ვეფხის ტყაო-

---

[1] Н. Я. Марр, Древнегрузинские одописцы, (Тексты и разыскания. Кн. IV, стр. 58).

[2] Н. Гузак, О Барсовой коже Руставели — Сборник мат. для описания мест. ив. Кавказа, т. IV, стр. 134.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941 წ., გვ. 123 — 124.

[4] ფოლკ. სექც. მას. №№ 13010, 13041, 13045.
იხ. ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 33 — 34.

[5] ფოლკ. სექც. მას. № 13528.

[6] ფოლკლ. სექც. მას. № 11440; ქ. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 34.

[7] მიხ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხის-ტყაოსანი.

სანი". იცოდა ისიც, რომ დიდებული მგოსანი დიდი თამარის თანამედროვე იყო და სრულიად ბუნებრივად დაუკავშირა ერთი-მეორეს ბრწყინვალე ეპოქის ორი დიდი წარმომადგენელი" [1].

ლექსებში, გადმოცემებში, თქმულებებსა და ლეგენდებში საინტერესოდაა ასახული თამარ მეფის ნათელი პიროვნება — სათნოება, გულუხვობა, შრომის მოყვარეობა და სხვა. ამ ნაწარმოებთა მეტი წილი ადგილობრივი ხასიათისაა. ისინი გენეტიურ კავშირშია თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ცნობებთან და ერთგვარად ეხმაურებიან შავთელისა და ჩახრუხაძის პოეზიას [2].

ადგილობრივი ხასიათისაა უაღრესად პატრიოტული ნაწარმოებები თამარ მეფის გარდაცვალებასა და დაკრძალვის ადგილზე [3].

თამარ მეფის ნათელი პიროვნებისა და მისი ცხოვრების დასასრულის ამსახველ ნაწარმოებებში ყურადღებას იპყრობს ლიტერატურული გზით წარმოშობილი ლექსი. იგი მეტად საინტერესოა საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ერთი გზის და მისი ლიტერატურული წყაროს გასათვალისწინებლად. მხედველობაში გვაქვს იოსებ დავითაშვილის გახალხურებული ლექსის „საქართველოს დედოფალის" ვარიანტები. იოსებ დავითაშვილის ლექსის ავტოგრაფი დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებში (H—1994). იგი დართული აქვს გადმოცემებისა და ძველებური ამბების მიხედვით დიდუბის ეკლესიის შესახებ დაწერილ ფელეტონს. ამ ფელეტონში ი. დავითაშვილი დიდუბის ეკლესიის შესახებ შენიშნავს: „იმის აშენებასაც ყველასგან დაუეწყარს თამარ დედოფალს მიაწერს ჩვენი ხალხი და ზოგიერთი ჩვენი მეისტორიენიც. ამბობენ, რომ თამარ დედოფლის მეორე ქმართან — დავით სოსლანთან ქორწილი ამ ეკლესიაში იყოვო; და ამისთვის მომყავს ეს მცირე ლექსი".

საგულისხმოა საქ. მუზეუმის იმავე ხელნაწერებში დაცული, რომელიღაც რედაქციის შენიშვნა დასახელებულ ლექსის:ადმი: „ეს ლექსი ბ-ნი ი. დავითაშვილისა (აწ განსვენებულის) ზოგიერთ ქართულ გამოცემებში იბეჭდება დღესაც, როგორც ხალხური. აი,

---

[1] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 34 — 35
[2] იქვე, გვ. 23 — 30.
[3] იქვე, გვ. 35 — 37.

რამდენად შესწავლილია ჩვენში მწერლობა და საერო სიტყვიერება. რედ".

ზეპირი ტრადიციის შედეგად ტექსტის ტრანსფორმაციის გასათვალისწინებლად მოგვყავს ი. დავითაშვილის ლექსი:

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა — თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი
დიდებაში იქორწინა,
სადაც რომ საყდარი არი.
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჯარი;
ასი სული ცხვარი დაჰკლა
და ორასი ნიშა ხარი;
ლურჯი სუფრა გაუშალა,
თითქმის იყო ასი მხარი;
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვით ქებული,
დილის ცისკარი, სად არი?
ის მნათობი — ქვეყნიერი,
მკვდარიც ვერ ვპოვეთ სად არი! [1]

ამ ლექსის ხალხურ ვარიანტებს საკმაოდ ფართო გავრცელება აქვს. ჩვენთვის ცნობილია მისი ცხრა ვარიანტი, ჩაწერილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში [2]. მათ შორის ზოგი დავითაშვილის ლექსისა და გავრცელებული ეპიტაფიის ხასიათის ლექსის კონტამინაციის ნიმუშია. ამათგან დავითაშვილის ლექსი ყველაზე ვრცლად სვანურ ვარიანტშია დაცული:

საქართველოს დედოფალი
სიმშვენიერით ამოვსილი,
ამომავალ მზის დარითა,

---

[1] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, სახელგამი, თბ., 1927 წ., გვ. 212.

[2] სვანური პოეზია, გვ. 362; „ივერია", 1890 წ., № 119. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H — 2026; ფოლკლ. სექ. კ. მას. №№ 5717. 5957 7905, 18293, 21656.

დავით სისონის ჰეუღლე,
რომელმაც უშვენა მაარი.
დიდ უბანში იქორწილა,
სადაც რო ეკლესიებია;
ნადიმობა გადიხადა,
თავის ჯარები შეიწვია.
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გადუშალა,
თითქმის იყო ასი მხარი;
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვით და — ქებული,
დილის ცისკარის სადარი.
მეომრობებსა ქვეყნებსა
მკვდარი ვერ პოვეს, სად არი.
„მე ვიყავ თამარ დედოფალი,
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში ჩავყარე სამნეჩი,
ხმელეთი შიგნი ჩავიგდე,
ქაჯებს დავარქვი ნიჯარი.
ისპანს ხარჯი ავიღე...
ამდენი ქველის მომკმედმა, რო მოვკვდი,
ცხრა ადლი ტილო წავიღე [1].

სვანი მთქმელის მიერ ეპიტაფიის ხასიათის ტრადიციული ნაწარმოები გამოყენებულია დავითაშვილის ლექსის დასასრულის გავრცელების მიზნით. თვით დავითაშვილის ლექსიც, რომელსაც ამ კონტამინაციის ნიმუშში წამყვანი როლი აქვს, ნაწილობრივ შეცვლილია. სოსლანის ნაცვლად სისონია ნათქვამი; დიდუბეში ნაცვლად — დიდ უბანში და სხვა. შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საინტერესოა დავითაშვილის სტრიქონის „დილის ცისკარი, სად არი“-ს ასე შეცვლა: „დილის ცისკარის სადარი“.

რაჭულ ვარიანტში, რომელიც აგრეთვე კონტამინაციის ნიმუშია, ი. დავითაშვილის 20 სტრიქონიდან ექვსია შესული და ისიც შეცვლილი სახით:

მე ვარ მეფე დედოფალი
საქართველოს დედა ქალი,
დავით სოსლანის მეუღლე.
დიდუბეში ვიქორწინე.

[1] სვანური პოეზია, გვ. 262.

ასი ათული ცხვარი დავკალ
და ორასი ნიშა ხარი.
იქეც მოუქნიე ხმალი,
ქაჯეთის ციხე ავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ხელათ მოვიგდე,
ქაჯეთს დავადე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე.
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღეო [1].

ამ ვარიანტში დავითაშვილის ლექსის გახალხურებული სტრიქონები შესავალის შთაბეჭდილებას ტოვებს. წამყვანი როლი ეპიტაფიის ხასიათის ტრადიციულ ხალხურ ლექსს აქვს. ამით აიხსნება რაჭველი მთქმელის მიერ დავითაშვილის სტრიქონების პირველ პირში გადატანა.

კონტამინაციის ნიმუშებიდან ყველაზე მოკლე ქახური ვარიანტია:

საქართველოს დედოფალი
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით იშოვნა
ამომავალი მხის თვალი.
თამარ დედოფალი ვიყავ,
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში მიჯნები ჩავყარე,
ხმელეთი გვერდზე მოიგდე [2].

ლექსის განვითარება ამ შემთხვევაში არ არის ბუნებრივი. აქ ლიტერატურული და ხალხური ნაწარმოებები თითქოს მექანიკურადაა შეერთებული და არ ტოვებს ისეთი ბუნებრივი კონტამინაციის შთაბეჭდილებას, როგორც სვანური და რაჭული ვარიანტები. ჩანს, მთქმელს ჯერ კიდევ ვერ შეუდუღებია სათანადოდ ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები. ასეთი სუსტი კონტამინაციაც საინტერესოა ხალხური ნაწარმოების განვითარების გასათვალისწინებლად. ქახური ვარიანტი მნიშვნელოვანია ტექსტის ევოლუციის თვალსაზრისით. საინტერესოა მასში დავითაშვილის სტრიქონების შეცვლა:

„...სიმშვენიერით მოსილი
ამომავალი მხის დარი...“

---

[1] ჩაწერილი ქე. რაჭაში 1914 წ იოელ მაისურაძის მიერ. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H — 2026.

[2] ჩაწერილი ყვარლის რაიონში, ს. ალვატში 1943 წ. ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ. ხელნაწერი მოგვაწოდა ჩამწერმა. ქ. ს.

შდრ.

„...სიშვენიერით იშოვნა
ამომავალი მზის თვალი...“.

ეს მოვლენა სიტყვებისა და ფრაზის მექანიკური შეცვლა კი არ არის, არამედ — ახალი შემოქმედებითი პროცესი.

ი. დავითაშვილის ლექსის იმ ვარიანტებში, რომელნიც კონტამინაციის ნიმუშებს არ წარმოადგენენ, მეტწილად არაფერია ნათქვამი თამარ მეფის გარდაცვალებასა და დაკრძალვის ადგილზე. ისინი საქართველოს დედოფლის ქორწინებასა და ღვაწლს გადმოგვცემენ [1].

ი. დავითაშვილის ლექსის ხალხური ვარიანტების მნიშვნელობა დიდია არა მარტო საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობისა და განვითარების გზების შესასწავლად, არამედ — საერთოდ ზეპირ-სიტყვიერების არაჩვეულებრივი დინამიურობის გასათვალისწინებლად. ეს ვარიანტები ნათელი მაგალითებია ზეპირ ნაწარმოებებში ტრადიციულისა და ინდივიდუალურის ოსტატურად შერწყმისა.

განხილული მასალებით არ განისაზღვრება თამარ მეფის ციკლის ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებები. შეიძლებოდა მაგალითების გაზრდა, მაგრამ აღნიშნულითაც ნათელი უნდა იყოს საკითხი ამ ციკლის ერთი ჯგუფის ნაწარმოებთა წარმოშობისა და განვითარების გზისა.

ამ ციკლში ყველაზე მეტი რაოდენობითაა შესული მითიური და წარმართული ხასიათის ნაწარმოებები. მათ პერსონაჟებს შემდეგ შეენაცვლა ისტორიული თამარი. ამიტომაა, რომ მისი მხატვრული სახე უამრავი მსოფლიო პარალელების მქონეა, მაგრამ ისინი საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების მეორე გზას გვიჩვენებენ, რაზედაც თავის ადგილას იქნება საუბარი.

შალვა ახალციხელის ციკლი. შალვა ახალციხელის ციკლის ნაწარმოებთა თემატიკაზე აქ აღარ შევჩერდებით. საისტორიო ნაწარმოებთა სოციალური ფუნქციის გათვალისწინებისას განვიხილეთ ისინი მათი ადრესატის ვინაობის დადგენის მიზნით. შალვა ახალციხელის თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ყველა ნაწარმოები ადგილობრივი ხასიათისაა. მათთვისაც, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელია კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენები.

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. №№ 18293, 21656 და სხვ.

შაჰ-აბასის ციკლის ნაწარმოებნი. ადგილობრივი ხასიათისაა შაჰ-აბასის ციკლის ჩვენამდე მოღწეული ყველა ნაწარმოები. მათი თემატიკა განსაზღვრულია მწარე სინამდვილით. შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის ჯარების საქართველოში შემოსვლითა და კახელი მოსახლეობის აწიოკებით. მეტად საინტერესოა პოტტოს მიერ ფიქსირებული ლეგენდა, რომელიც შაჰ-აბასის დაბადებასთანაა დაკავშირებული. ამ ლეგენდით, საქართველოს დაუძინებელი მტრის დაბადება ხალხს ბუნების სტიქიამ ამცნო. უმნიშვნელო, მეტად მცირე მიწისძვრა კახეთში მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს, რომელიც თელავშიც კი არ ყოფილა საგრძნობი, ხალხის ფანტაზიას გაუძლიერებია და შაჰ-აბას პირველის დაბადებასთან დაუკავშირებია.

ამ თქმულებით, მშვიდსა და წუნარ საღამოს, მონადირეებითა და მცველებით გარშემორტყმული კახეთის მეფე წმინდა გიორგის მონასტრის ახლოს მიდიოდა. ზურნა აყრუებდა მთებსა და ტყეებს; აზარფეშა გადადიოდა ხელიდან ხელში. მონასტრიდან გამოსულ მოხუცთა სალამს არავინ არ აქცევდა ყურადღებას. უცბად გაისმა საშინელი გუგუნი, მიწა შეიძრა და ასწლოვანი შენობები მონასტრისა ხმაურით დაინგრა. მეფის ამალა შეძრწუნდა. მეფე და მისი მხლებლები მძიმედ დაშავდნენ. შეშფოთებული ხალხი გაეშურა მეფის შესახვედრად, მაგრამ მთიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა და თელავის ცაზე ჩამოწოლილმა შავმა ღრუბლებმა ისინი ისევ სახლებისკენ დააბრუნა. ამ დროს გაისმა მრისხანე, მამხილებელი ხმა სალოსისა: „თავადნო, ნაცვალნო და ხალხო! თქვენ თვალწინ მიწასთან გასწორდა ქრისტიანთა დიდებული ტაძარი. საუკუნეთა ქარიშხალს გაუძლო მისმა შუბლმა და ახლა კი, მშვიდი დღის მიწურულში, წუნარ საღამო ჟამს დაემხო იგი. ჭეშმარიტად, ეს არის ნიშანი ჩვენზე მოვლენილი უბედურებისა. ჩვენმა უსამართლობამ ტაძართა სიმაღლეს გადააჭარბა. სწორედ ამ წუთში, ერანში დაიბადა ქურუმი, რომელიც მოვა ჩვენი თავისუფლების დასათრგუნად. მისი გზა ჩვენი სისხლით წითლად შეიღებება. იტირეთ ქართველებო! — შაჰ-აბასი დაიბადა“ [1].

ამავე ციკლის მეორე ნაწარმოები შაჰ-აბას პირველის მიერ კახეთის აოხრებასთანაა დაკავშირებული. მასში ასახულია ქართველი ხალხის ძლიერი პროტესტი დამპყრობელი უხეში ძალისადმი. ჩვენთვის ცნობილია ამ ლეგენდის ლიტერატურულად დამუშავე-

[1] П о т т о, Кавказская война, т. I, вып. I, стр. 245 — 246.

პული ვარიანტები. ამ შემთხვევაში მას ვიხილავთ მ. ჯანაშვილის დაწერილი მოთხრობის მიხედვით. ამ ლეგენდით, ქართველ მოსახლეობას ავიწროებს თელავის ახლოს დაბანაკებული, შაჰ-აბასის მიერ კახეთის მმართველად დანიშნული ალავერდი-ხან, ყიზილბაშთა ცხენოსანი ჯარის ხელმძღვანელი. ლეგენდაში მოხსენებულია სახელოვანი ქართველი გმირები — ქართლელი შიო და მისი მეუღლე, კახელი ქალი, ულამაზესი ხორეშანა. საქართველოს მეფემ ერანში შაჰ-აბასთან ელჩად გაგზავნა შიო საჩუქრებით. ზვიადმა შაჰმა შეურაცხყო ქართველი მამულიშვილი. მიირთვა საქართველოს მეფის გაგზავნილი ვაშლი, შუბი ჩასცა მიწას, ჩააბნია შიგ ვაშლის თესლები და მოციქულს ამაყად უთხრა: „სალამი მოახსენე შენს მეფესა და უთხარი, რომ მანამ ამ კურკებით წვალკოტი არ გაშენდება და მე იმ წვალკოტის ხეხილის ნაყოფს არ ვიგემებ, მანამ თქვენი ქვეყნიდან არ გამოვალ; იქ მძინავს უფრო მშვიდად, ვიდრე აქ — სპარსეთში“. შაჰის თავხედობით აღელვებულმა მამულიშვილმა გადაწყვიტა შეეწირა მამულისათვის პირადი ბედნიერება, სიყვარული — ახლად შეუღლებული ხორეშანა. მან აიძულა კლდესავით მტკიცე კახელი ქალი, მშვენიერი ხორეშანა დაახლოებოდა ალავერდი-ხანს შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენების მიზნით. ხორეშანამ შეასრულა დავალება, ალავერდი-ხანს ჩამოართვა შაჰისადმი ღალატის ფიცი. ალავერდი-ხანმა განიზრახა ფიცის გატეხა. როდესაც მცხეთიდან ქართველი ჯარი გამოვიდა, მან შაჰის საშველად იწყო მზადება. ხორეშანამ გადაწყვიტა, მოღალატე მძინარე ხანისათვის თავი მოეკვეთა. ხორეშანას ესიზმრა ჭაღარა მოხუცი, რომელმაც აკურთხა იგი და თანაც დაარიგა: — „უტევე შენს განძრახულობას, შენ, უკეთესო ასულო ივერიისავ, ნუ მოჰკლავ ალავერდი-ხანს, რამეთუ იგი მოწოდებულ არს მოსახდენელად დიდის საქმისა: მისი სიცოცხლე იხსნის სამშობლოს, მისი სიკვდილი აღადგენს ნგრეულ-ნაოხარ სავანეს, რომელსაც მე დავსტირი მრავალსა ჟამსა. შენს მძიმესა და დიდს მსხვერპლს გააბრწყინვებს კურთხევა ეკლესიისა“. მოჩვენებამ დაარიგა ხორეშანა, მოეთხოვა ხანისთვის ნანადირევის ხორცი. ხანი სანადიროდ გაემართა წმინდა გიორგის სავანისაკენ. კაკაბს მრუტია მიმინო. კაკაბი მლოცავი მწირის კალთას შეეფარა. ხანმა უბრძანა მწირს გამოეფრთხო კაკაბი. მწირმა არ მიაქცია ყურადღება ხანის მუქარას. მრისხანე ხანმა ხანჯალი მოუქნია მწირს; ხანჯალი მოხვდა თეთრ წვერს, ხანი შეიმუსრა და ცხენიდან გადმოვარდა. ხელი, რომელშიც ხან-

ჯალი ეჭირა, შეახმა. თეთრწვერა მოხუცმა განკურნა ხანი იმ პირობით, რომ მის ხელს ამსახურებდა საქართველოს. ამის შემდეგ ბლაველრდი-ხანმა თავისი ლაშქარი შაჰის წინააღმდეგ აამხედრა და მუსრი გაავლო ყიზილბაშებს. ბრძოლაში დაიღუპა შიო. იგი დაიტირა სამხედრო ტანსაცმლითა და იარაღით შეჭურვილმა ხორეშანამ. დაჭრილი ალაველრდი კი მოინათლა და დაქორწინდა ხორეშანაზე [1].

ლეგენდის მიხედვით კახელებმა დიდი მსხვერპლის გაღებით გაიმარჯვეს ყიზილბაშებზე. ასეთი შინაარსი ლეგენდისა თითქოს არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. სინამდვილეში შაჰ-აბასმა შესძლო მისი ხელისუფლების განმტკიცება საქართველოში, მაგრამ მან ვერ შესძლო ქართველებში ჩაეკლა ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. მან ააოხრა კახეთი, მაგრამ მისი გავლენის ხანა მთებში გახიზნულ მაღალიშვილთა მრავალი აჯანყებითაა ცნობილი. მან ბევრი ქართველი მოაშორა მშობლიურ კუთხეს და ერანში გადაასახლა, მაგრამ ვერ ჩაკლა მათში მარად მომქმედი, შეპრძოლი სული. ხალხს არ უნდოდა ეცნო დამპყრობელთა ძალაუფლება. ქართველ მაღალიშვილთა ასეთი სულისკვეთება დაედო საფუძვლად ლეგენდას. ამიტომაც მისი მიხედვით, სამშობლოს უდიდესი სიყვარულით შთაგონებულმა ქართველმა მებრძოლებმა დაამარცხეს მტერი. ამ სულისკვეთებას თუ გავითვალისწინებთ, ლეგენდის შინაარსი ისტორიული სინამდვილის პოეტური განსახიერებაა.

ვახუშტის მიერ დაცული ამავე ციკლის გადმოცემის თემაც ქართველი ხალხის პროტესტია შაჰ-აბას მეორის დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ [2].

შაჰ-აბასის ციკლის ჩვენთვის ცნობილ ნაწარმოებთა ტექსტები საგრძნობლად შეკვეცილი და რედაქტირებულია. ამის გამო მკვლევარს საშუალება არ ეძლევა მათი ევოლუციის გათვალისწინებისა. შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით, ისინი მაინც საინტერესონი არიან, როგორც სინამდვილის მხატვრულად განსახიერების ნიმუშები.

---

[1] „ივერია", 1887 წ., № 91; Потто, Кавк. война, т. I, стр. 255—261; ეს ლეგენდა მ. ჯანაშვილის მოთხრობის მიხედვით გალექსა დ. ნინოწმინდელმა. ამავე ლეგენდის მიხედვით არის დაწერილი შიო არაგვისპირელის პიესა „შიო თავადი".

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, აღნიშნ. გამოკემა, გვ. 52.

შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველია აგრეთვე ის ანაქრონიზმების შემცველი ლეგენდები, რომელნიც თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ.

ადგილობრივი ხასიათისაა მთლიანად ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებები. ეს ციკლი თემატიკურად არ არის ისე მრავალფეროვანი, როგორც მაგალითად ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვა ციკლის ნაწარმოებნი. ეს ბუნებრივიცაა. ამ ციკლის ნაწარმოებნი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას ასახავენ, მაშინ როდესაც დასახელებული ციკლები ვრცელს ისტორიულ მასშტაბთან არიან დაკავშირებულნი და მრავალგვარი საყურადღებო მოვლენის მხატვრულ ასახვას წარმოადგენენ. ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებთა ერთადერთი ძირითადი თემა ბახტრიონის აღებაა.

შაჰ-აბას პირველის მიერ ერთხელ სისხლისგან დაცლილ კახეთს არა ნაკლებ დაუძინებელ მტრად მოევლინა შაჰ-აბას მეორე. მან საშინლად აოხრა ეს მშვენიერი კუთხე და თავისუფლების მოტრფიალე ხალხის დამონების მიზნით დაიწყო შიგ თურქმენ-თათრების ჩამოსახლება. თავისი პოლიტიკის განმტკიცების უზრუნველსაყოფად ააშენებინა ბახტრიონისა და ალავერდის ციხე-სიმაგრეები. კახეთში ჩამოსახლებულ ელებს ენება მოჰქონდათ არა მარტო კახელებისათვის, არამედ თუშ-ფშავ-ხევსურებისთვისაც. ამიტომ იყო, რომ სპარსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზატორებს: არაგვის ერისთავ ზაალს, ქსნის ერისთავ შალვას და მის ძმას ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს მიემხრნენ თუშ-ფშავ-ხევსურნიც. აჯანყებულთა მიზანი და მათი მოქმედების შედეგიც მოხდენილად განსაზღვრა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა: „ეს აჯანყება ორ მთავარ მიზანს ისახავდა: კახეთის გაწმენდას ჩამოსახლებული თურქმანებისაგან და ქვეყნის განთავისუფლებას სპარსელთა ბატონობისაგან. პირველი მიზანი უახლოესი იყო. აქ აჯანყების ყველა მონაწილე, თავადი თუ გლეხი, მთიელი თუ ბარელი, თანაბრად დაინტერესებული იყო და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა სრულ გამარჯვებამდე ყველასათვის უდავო იყო. მეორე მიზანი უფრო შორეული იყო და აჯანყებულთა ფეოდალურ ნაწილში მის შესახებ ერთსულოვნობაც არ არსებობდა“ [1]. აჯანყებულებმა

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, აღნიშნული გამოც., გვ. 350.

აიღეს მტრის სიმაგრეები — ბახტრიონი და ალავერდი, გააქციეს კახეთის მმართველად დანიშნული სელიმ-ხანი და ამოწყვიტეს მრავალრიცხოვანი თათრები. აჯანყებულებს შაჰ-აბას მეორისაგან წამება ხვდათ წილად, რის მიზეზიც უდავოდ საბოლოო მიზნის სიშორე იყო. ბახტრიონისა და ალავერდის ციხეების აღება ქართველი ხალხის სამშობლოსათვის ბრძოლების ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ხალხის მეხსიერებას ამ გმირულ ეპიზოდზე შემოუნახავს ისეთი ცნობები, რაც საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება. ამ გმირული ეპიზოდის ამსახველი ნაწარმოებები მიუხედავად მათი საერთო ძირითადი თემისა, შინაარსეულად ერთფეროვანი არ არის. ამ ციკლის ნაწარმოებთა პირდაპირი საგნებია: მტრის გეგმა კახეთის აოხრებასა და შიგ ელების ჩასახლებაზე; საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის აოხრება მტრის მიერ; კახელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების მზადება დამპყრობლებზე თავდასხმისათვის; თათრების ამოწყვეტა ქართველი მებრძოლებისაგან და უხეში ძალის მიერ აჯანყების მეთაურთა დასჯა. ყველა ამასთან დაკავშირებით ზეპირსიტყვიერებაში მოხსენებულია ბრძოლის მონაწილე გმირები, რომელთა სახელებიც ისტორიაში არ გვხვდება. ასეთებია: თუშები — ზეზვა გაფრინდაული — ფუნჩაიშვილი, საღირიშვილი, შველა შველაიძე; ხევსურები — ხოშარეული და ნადირა; ფშაველი — გოგოლაური.

მრავალ ვარიანტად არსებულ ლექსში ასეა გადმოცემული ზვიადი მტრის გეგმა საქართველოს ერთი მშვენიერი კუთხის გაჩანაგებისა:

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას გავსჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო [1].

მშობლიური კუთხის მტრისგან აოხრებას გულისტკივილით აღნიშნავს კახელი მთქმელი:

... საწყლად სანახავი არის,
მკვდარზე აწყვია მკვდარია [2].

ამავე ლექსის მიხედვით ეს გარემოება არის მიზეზი მტრის წინააღმდეგ მთის ხალხთა აჯანყებისა:

---

[1] ხალხური სიტყვიერება, წ. I, ექ. თაყაიშვილის რედაქტ., გვ. 60.

[2] ფოლკლ. სექციის მას. № 18 173.

ყველანი ამას ამბობენ,
კახეთი გასაჭირშია,
ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას
ცეცხლმოდებულსა პირშია.
კახელნი ვერ გაიხარვენ
ურჯულო თათრის ხელშია,
ისინიც ჩვენებრ არიან,
ჩვენ ძმებ არიან ცეცხლშია [1].

თუშური გადმოცემით, მთის ხალხთა აჯანყების უშუალო მიზეზი თათრებისგან თუში მონადირეების შეურაცხყოფა იყო. გადმოცემის ეს მოტივიც სინამდვილის ანარეკლია. იგი კახეთში ჩასახლებული ელების მიერ მთის ხალხის შევიწროებას ასახავს. ამ თქმულებით თათრების საქციელი მონადირეებისადმი თუშებს მთელი თემის შეურაცხყოფად მიუღიათ. მათ აუმხედრებიათ ფშავ-ხევსურებიც, გაუგზავნიათ ელჩები კახეთის მეფესთან და შეუდგენიათ მტერზე თავდასხმის გეგმა. აჯანყებულები ნაქერალას მთაზე შეკრებილან. ცხენები უკუღმა დაუჭედიათ მტრის დარაჯებისათვის გზის აბნევის მიზნით [2].

ლექსებშიც ასეევა აღნიშნული ქართველი მებრძოლების შეკრების ადგილი და მტრისათვის გზის არევა:

... ჯერ შუალამე არ ქნილა,
ნაქერალს გროვდებიანო [3];
... უკუღმ დაუჭედოთ ცხენები,
დავამალვინოთ კვალიო [4].

პოეზიაში ასახულია შურისძიებით ანთებული ქართველი მებრძოლების მუქარა ბახტრიონის ციხისთავად დანიშნულ სულთან არდალანელისადმი:

— გარეთ გამოდი სულთანო,
თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
გამოგიყვანენ ძალზედა [5];
ბახტრიონს სულთნის ციხეო,
ცაქდის აგიშვეს ალია;

[1] ფოლკლ. სექციის მას. № 18173.
[2] ხალხური სიტყვიერება, ნ. I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 61 — 63.
[3] იქვე, გვ. 60
[4] იქვე, გვ. 61.
[5] იქვე.

კარხედ გამოდი სულთანო,
ჩვენ დიდი გვმართებს ვალია;
ამ თექიანმა თუშებმა
არ შეგარჩინეთ ჯავრია... [1]

ასეევა ასახული მებრძოლების მზადება თავდასხმისათვის და ბრისადმი მუქარა ფშაურ ლექსშიც [2].

ხალხური ლექსების მიხედვით ქართველი მებრძოლების დიდი იმედი მტერზე თავდასხმის მზადებისას თუშთა ბელადი — ზეზვა გაფრინდაული და მისი ლურჯა ყოფილა:

— ზეზვავ შენ გაფრინდაულო,
ლურჯასა გიქებდიანო.

კახელი მთქმელი სიყვარულით იხსენიებს თათრების წინააღდეგ ამხედრებულ თუშთა ბელადს:

მათი სარდალი ზეზვაი,
აბჯარი ჰშვენის ტანზედა [3].

ფშაურ პოეზიაში სათანადოდ არის ასახული უდრეკი ფუნჩაიშვილის მზადება თანამებრძოლთა იმედის გასამართლებლად — მშობლიური კუთხის განსათავისუფლებლად:

კახეთში ფუნჩაიშვილი
აკეთებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,
ლიტრა ქერს აჰშევს ცხენსაო.
— დავემწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო,
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრაე,
დღეს დავაყენებ ცხელსაო,
თავსაც იქ დავდებ ჰაღარსა.
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო [4].

მთის სახალხო პოეტები გმირის პირითვე აგვიწერენ მეორე თუში მებრძოლის მამაცობას მტერზე თავდასხმისას:

მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მხედავთ ტალავერზედა,
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა,

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 124.

[2] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ 56.

[3] ფოლკლ. სექც. № 18 173.

[4] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 4.

ათ თუ ვერ მოვკალ ხმალდახმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა [1].

ხალხური ლექსების მიხედვით მესამე თუშ გმირს შველა შველაიძესაც მონაწილეობა მიუღია მტერზე თავდასხმის მზადებაში [2].

ზოგი ვარიანტით გმირულ პირობას საღირიშვილი კი არა, შველა შველაიძე იძლევა:

— შველამა შველაიძემა
პანკის გატეხა წყალიო.
საგათენებლოდ დაეცა
ბახტრიონ გალავანზეო,
— თუ შვიდ არ მოვკლა ხმალდახმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზეო [3].

ასეთივე კონტამინაციის ნიმუშია აგრეთვე ფშაური ლექსი, რომლითაც მტერზე თავდასხმის წინ გოგოლაური იძლევა ბახტრიონის გალავანზე პირველად გადასვლის პირობას. ასეთ პირობას ზემოთ აღნიშნული ლექსით საღირიშვილიც იძლევა:

— ბიჯი ვარ გოგოლაური,
რას მყურობ ტალავერზედა,
წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა;
ხმლითა ვცემ თათრის ბელადსა,
ზედ მივალ ფალავანზედა [4].

ბახტრიონის ციხეში პირველად შესვლა თუშური გადმოცემით ზეზვას მიეწერება.

მტერზე თავდასხმის მზადების ამსახველ ლექსებში იხსენიება აგრეთვე ხევსური ხოშურაული. ხევსურული ლექსით იგი მტრისადმი შურისძიებითაა ანთებული. ამ ლექსის მიხედვით, როდესაც საომრად გამზადებულ ლაშქარს თუშთა ბელადმა გაფრინდაულმა მიმართა: „კევსურნი ნუ მოდიანო“, შეურაცხყოფილმა ხოშურაულმა უპასუხა:

— დაბრუნვა არ მწადიანო,
გზანი მეც ვიცი, კევსურნო,
საც თუშებ ლაშქრობდიანო;

---

[1] ა კ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 326.
[2] ფოლკლ. სექც. № 3 172.
[3] ი ქ ვ ე, № 3 174.
[4] ვაჟა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულ. ტ. III, გვ. 454.
დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშ. ლექსები, გვ. 55.

მუჭარა იყვას, ზეზვაო,
საც კარავს იცემდიანო [1].

აღნიშნული თუშური გადმოცემით, აჯანყებულმა თუშ-ფშავ-ხევსურებმა ამოწყვიტეს თათრები. მათი ხელმძღვანელი ზეზვა იყო. მან ბახტრიონის მიუვალ ციხეზე ასასვლელად გააკეთა პალოები და ისინი ჩაილაგა ჩოხის კალთაში. შემდეგ, როდესაც ბახტრიონის ციხესთან მივიდნენ, ციხის კედლებში ჩაასო პალოები და ავიდა ზედ. გადახტა, დაბოცა დარაჯები, და გააღო ციხის კარები. ციხეში შესულ თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარს იქამდის უჭლეტია თათრები, ვიდრე დახოცილების გროვაში ერთი თათრის გვამი არ აყირავებულა. ალვანის მინდორს, სადაც თუშ-ფშავ-ხევსურებმა თათრები ამოწყვიტეს, „გაწყვეტილა“ ეწოდება [2].

პოეზიაშიც სათანადოდაა აღბეჭდილი თათრების ამოწყვეტა და ქახეთის განთავისუფლება ჩამოსახლებული ელებისაგან:

ალთეს და ჩალთეს თათრები,
წითლად ჩადიოდ წყალიო;
ალვანში ციხეს აგებენ
ხოჯა თათრისა ძვლისაო.
ლიბოდ უგდებენ გალოსა
ნაწვრეტის ფრანკულისიო.
დაგაგდებინეს ალვანი,
თუშთ არის საკუთარიო [3].

აჯანყებულთა გამარჯვების ამსახველ ლექსებში სათანადოდაა აღნიშნული დასახელებული გმირების უშუალო მონაწილეობა თათრების გაჟლეტაში. ქახური ლექსის მიხედვით ზეზვა გაფრინდაული აოხრებული ქახეთის ნახვით საშინლად აღშფოთებულა და გააფთრებით მივარდნილა მტერზე:

... რა ესა ნახა ზეზვამა,
თათარს მივარდა ცხენითა,
ხმალი ჰკრა, თავი მოჰკვეთა,
დღე დაუღამა ბნელითა. [4]

ფშაურ პოეზიაში სახელოვანი მებრძოლის პირითვეა გადმოცემული მისი არაჩვეულებრივი სიმამაცე და გმირობა ალვანის ველზე:

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 9.
[2] ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყ-ის რედ., წ. I, გვ. 61 — 63.
[3] იქვე, გვ. 61.
[4] ფოლკლ. სექც. № 18 173.

ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
— თორშეტი მოვკალ ამითა;
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის ძვალითა;
მჯელსა დავცვითე კბილები,
ტურას ლოყები ჭამითა [1].

ბახტრიონისა და ალავერდის აღებაში ზეზვა გაფრინდაულის ხელმძღვანელი როლის აღმნიშვნელია ერთი მეტად საყურადღებო გადმოცემა. ამ გადმოცემით, ციხეების აღებისათვის მეფეს განუზრახავს მთიელების დასაჩუქრება მიწებით. თუშებს უთხოვიათ იმოდენა ფართობი, რასაც მათი ბელადის ცხენი ერთხელ შემოურბენდა. ზეზვას ცხენს დიდი მანძილი შემოურბენია, მაგრამ დაღლილი იქვე მომკვდარა. ცხენი დიდი პატივისცემით დაუსაფლავებიათ. კახეთში — ალვანსა და ალავერდს შორის ბოლო დრომდე აჩვენებენ „ზეზვაის ცხენის საფლავს“, რომელიც სალოცავად ითვლებოდა. მთის ხალხი — თუშ-ფშავ-ხევსურები იქ ისე არ გაიელიდნენ, რომ ცხენიდან არ ჩამომხტარიყვნენ და ცხენისა და მისი სახელოვანი მხედრის შესანდობარი არ შეესვათ. ეს ჩვეულება მაჩვენებელია საქართველოში უძველესი დროიდან არსებული გმირის კულტისა.

ერთი ფშაური ლექსით ზეზვას გმირობას აღტაცებაში მოუყვანია მისი თანამებრძოლი ხევსური — ხოშარეული:

იტყოდა ხოშარეული:
— ორი თუ ჯობდეს ზეზვასა,
გამაგდებინეთ მკლავია;
ზეზვაი გაფრინდაული
კაი ვაჟკაცი არია... [2]

ვაჟა-ფშაველამ ბახტრიონის აღების სახელოვანი გმირების ჩამოთვლისას სწორედ ამ ხოშარეულზე თქვა:

... მეოთხე ხოშარეული
არწივი მბარ-კვერიანი [3].

ხალხური ლექსის მიხედვით ბახტრიონის ბრძოლაში მას ხმალი გატეხია:

---

[1] დ. ჩიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 54.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. III, გვ. 200.
[3] იქვე, გვ. 202.

კმალ ხოშარაულს გაუტყდა,
კევსურნ სხვას გამეცელიანო [1].

ხევსურულ ლექსში ბრძოლის მომენტის აწერისას საგანგებოდაა აღნიშნული აგრეთვე ნადირას მამაცობა:

... ნადირაის კმლის ნატეხნი
კარავის ბოლოს სჩრიანო.

ხევსურ მოლექსეს იგი თუშ-ფშავ-ხევსურთა შეერთებული ლაშქრის წინამძღოლის, თუშების განთქმული ბელადის ზეზვას მეტოქედაც კი გამოუყვანია:

— ტყუილად იკლავ ზეზვაო,
სახელზედ თუშო თავსაო:
კევსურმ ნადირამ გაჯობა.
ნეიფზე ამტვრევს კმალსაო [2].

ამ ლექსში იგრძნობა ერთგვარი კუთხური ტენდენცია, რაც ამ ციკლის სხვა ნაწარმოებშიკ არის. პატრიოტი მთქმელები ცდილობენ ბრძოლის აწერისას თავიანთი კუთხის გმირებს მიაწერონ უპირატესობა და უფრო სახელიანი გამოიყვანონ. ფშაველი პოეტი ასე აწერს ბახტრიონის აღებას:

ფშაველნი, უკვენ ხევსურნი,
ბახტრიონს გადადიანო:
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა.
თუშებიც ჩამოდიანო, —
სად ეყარენით. თუშებო.
სადიაცენო — თქმიანო!? [3]

საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას შენიშვნა ასეთი ტენდენციის შემცველ ამ ციკლის ლექსების წარმოშობასა და ხასიათზე: „ეს ლექსები ფშავშია გაგონილი და, როგორც კილო ამტკიცებს, ფშაურ ნიადაგზეა აღმოცენებული და ადვილად შესაძლებელია ფშაველებს

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 328. ˚ხალხური ლექსისეს მოტივი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს „ბახტრიონში".

„... გულ-რკინას ხოშარეულსა
შუა გადუტყდა ხმალია". ვაჟა ფშაველა, ტ. III, გვ. 200.

[2] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 323.

[3] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 53.

თავი თუშებზე და ხევსურებზე სახელოვნად ჰყვანდეს დასურათებული" [1].

ხევსური პოეტი კი ბრძოლის აწერისას უგულებელყოფს ფშაველებისა და თუშების გმირობას და მტრის დამარცხებაში პირველობას თავის კუთხის გმირებს ნიაწერს:

მშავლებ ჯღან ბელიანები
კევსურთ მეგუდეთ ხყვანდიანო.
ბახტრიონს სულთქმის [2] ციხე დგას,
კევსურებ კარავს ჰრიანო.
ნადირაის კმლის ნამტვრევი
კარავის კარში ხყრიანო.
გაიქცა თათრის ელები,
თუშებ მემრ მოვიდიანო,
დიაც-ყმაწვილის კალოსა
ცხენებით ლეწევდიანო [3].

თუშური ლექსი „ბახტრიონის აღება თუშთაგან", როგორც ეს მისი სათაურიდანაც ჩანს, მხოლოდ თუშებს მიაწერს მტრის დამარცხებას [4]. ასეთი ტენდენციის შედეგია ზემოთ აღნიშნული კონტამინაციის მოვლენები — რომ ერთი და იგივე მოქმედება — ბახტრიონის ციხეში პირველად შესვლა, სხვადასხვა ლექსით, სხვადასხვა კუთხის გმირებს მიეწერება. ასეთ კუთხურ ტენდენციას გარკვეული როლი აქვს ბახტრიონის ბრძოლის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა განვითარებაში. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი საერთოდ დამახასიათებელი იყოს ამ ციკლისათვის. ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებთა უმეტესობა ასახავს მთის ხალხის შეერთებული ძალით მოქმედებას საერთო მტრის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, მეორე ხევსური პოეტი დიდი სიყვარულით იხსენიებს თუშთა ბელადს გაფრინდაულს:

ჰირსამც მავხპარავ ხეხვასა,
გაფრინდაულის შვილსაო.
საც ომში დაეტანების,
მარცხენ-მარჯვენა ჰრისაო.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულ. ტ. III. გვ. 455.
[2] ლექსის პირველ ვარიანტში უნდა ყოფილიყო „სულთნის", ჭ. ს.
[3] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 9.
[4] ხალხ. სიტყვიერება, ე. თ-ს რედაკ., ნ. I, გვ. 60 — 61.

სადაც არ სტანავ ხეხვაი,
ლაშქარი ცედად დისაო [1].

კახურ ლექსში ხაზგასმულია მთის ხალხის ერთსულოვნად გალაშქრება მტრის წინააღმდეგ [2].

საერთო მტრის წინააღმდეგ მთისა და ბარის ხალხის შეერთებული ძალით გამოსვლა აღნიშნა ვაჟამ „ბახტრიონის“ ფოლკლორულ წყაროებთან დაკავშირებით: „ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდნენ, არ ინდობდნენ, აბა ჟამად შეერთდნენ, ერთსულოვნობა გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაპირვების დღეს“. ვაჟამ მოხდენილად შენიშნა, რომ მთის ხალხმა ერთსულოვანი მოქმედებით საერთო მტრის წინააღმდეგ განახორციელა მუდარა გავრცელებული ხალხური ლექსისა:

თუშნო, ფშაველნო. ხევსურნო,
ლაშქარი გავახიაროთ;
ერთმანეთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავახიანოთ [3].

ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებებში ყურადღებას იპყრობს მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლექსი მტრების ციერ ზეზვა გაფრინდაულის მოტყუებით შეპყრობაზე, მისი ერთი საინტერესო ვარიანტი ჩაწერილია აკ. შანიძის მიერ [4]. ლექსში ისტორიული სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა ივანე ბუქურაულის კომენტარი, მის მიერ ჩაწერილი თუშური ვარიანტისადმი: „როგორც ამ ლექსიდანა სჩანს, თუშების გმირი, ლაშქრის წინამძღოლი — ზეზვა გაფრინდაული მოტყუებით დაუჭერიათ სპარსელებს და ჩამოუყვანიათ ძუღებილ ცხენით ტფილისში. ეჭვს გარეშეა, რომ ამასაც ის ბედი ეწეოდა, რა ბედიც ეწია ქსნის ერისთაველებს შალვას და ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, ე. ი. წამება. თუმცა ქართული მატიანე არას მოგვითხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის, რადგანაც ქართველი მემატიანენი, როგორც საზოგადოდ სხვა ხალხისა, მხოლოდ მეფეებზე და თავად-

---

[1] აკ. შანიძე ხალხ. პოეზია, გვ. 327.

[2] ფოლკ. სექც. მას. № 18 173.

[3] ვ. ა-ფშაველა, ტ. III, გვ. 455.

[4] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 328 — 329.

აზნაურობაზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას იშვიათად აქცევდნენ [1].

ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებებში, როგორც ამას საგნობრივი გაზხილვა ადასტურებს, საკმაოდ რელიეფურად ჩანს მათი შექმნის პირველი წყარო. ამ ციკლისთვის, როგორც ვნახეთ, უცხო არ არის ზეპირსიტყვიერების ისეთი მოვლენები, რაც დროთა ვითარებაში ამკრთალებს ნაწარმოების რეალურ საფუძველს. მასში გვხვდება კონტამინაციის შემთხვევები, მაგრამ ანაქრონიზმისა და ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების მოვლენები მისთვის დამახასიათებელი არ არის. ეს გარემოება მას ასხვავებს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვა უფრო ფართო გავრცელების არის მქონე ციკლებისაგან. ნაწარმოებთა განვითარების ასეთ თავისებურებას ჩვენ ამ ციკლის რეალური საფუძვლის ხნოვანობითა და მისი შედარებით ვიწრო ლოკალიზაციით ვხსნით.

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ც ი კ ლ ი. საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობისა და განვითარების გზების გასათვალისწინებლად მეტად მნიშვნელოვანია ზურაბ ერისთავის ციკლის ადგილობრივი ხასიათის ნაწარმოებებიც. მთის მშრომელებში დღემდე დაუვიწყარია სახელი ზურაბისა, იმ ნუგზარ ერისთავის შვილისა, რომელმაც დაიმორჩილა თავისუფლების მოტრფიალე მთიულეთი. ისტორიკოსის სიტყვებით მას „მთიულნი ერჩდნენ მცირედ". ხალხმა კი მისი სახელი ასე შემოინახა: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო". მტარვალობით შვილიც არ ჩამოუვარდებოდა მამას. ზურაბმა მიიღო ერისთავობა. ბაზალეთიდან გააძევა საკუთარი ძმა ბაადური და მთიულეთი და ხევი თავის სათარეშოდ გაიხადა [2]. ამის შემდეგ ზურაბს დაუწყია ფშავ-ხევსურეთში ლაშქრობა მათი დახარკვის მიზნით. მთის შვილებმა ქედი არ მოუხარეს გაუმაძღარ ერისთავს და გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მეტად საინტერესო ისტორიულ ფონზე, გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლაზეა შექმნილი მთის მდიდარი ხალხური სიტყვიერება, რომელიც ზურაბ ერისთავის ციკლში შედის. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები იძლევიან ნათელ წარმოდგენას იმ დიდ წინააღმდეგობაზე, რაც მთის მშრომელებმა ზურაბის მუხანათურ პოლიტიკას

[1] ხალხური სიტყვიერება, ეკ. თაყაიშვილის რედ. ნ. I, გვ. 64.

[2] П. И о с е л и а н и, Описание гор. Душети, Тбилиси, 1860 г., стр. 37.

გაუწიეს. ამ ციკლის ნაწარმოებებს დიდი ისტორიული ღირებულება აქვს. მათში ზედმიწევნითაა გადმოცემული მთიელთა თავგანწირული ბრძოლები თავისუფლებისათვის. დასახელებულია ის ადგილები, სადაც მათ მოუხდათ შეტაკება სისხლის მსმელი ერისთავის რაზმებთან. ისტორიაში არ არის აღნიშნული ხალხურ ნაწარმოებებში მოხსენებული სახელები ამ ბრძოლების მონაწილე გვირებისა. რა თქმა უნდა, ისტორიულ სინამდვილის ასახვისას არც ეს ციკლია დაზღვეული ძველ ნაწარმოებთა გაახლებისა თუ შემდეგ შექმნილთა კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენებისაგან.

გიორგი სააკაძის თანამედროვე ზურაბ ერისთავი განთქმული მხედართმთავარი იყო, რაც აღნიშნულია ხალხურ პოეზიაში:

ზურაბისთანა ბატონი
ვინღა გამოვა ხმლიანი,
განჯა მირანა ამტვრივა,
დღესაც კი სახელი არი [1].

ეს შესანიშნავი სარდალი მთქმელის სიტყვებით:

ისპაანამდი გაითქვა,
ყეენთან გაიზარდაო... [2]

სამწუხაროდ, ზურაბ ერისთავმა თავისი ვაჟკაცობა მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენა და ეს გარემოება ნათლად აისახა ხალხურ სიტყვიერებაში. მეორე სინამდვილით — ზურაბ ერისთავის მიერ მთის მშრომელთა აწიოკებითაა განსაზღვრული ამ ციკლის ნაწარმოებთა თემატიკა. მისი ერთ ერთი ძირითადი თემა ზურაბის ხევსურეთში გალაშქრებაა. ამ თემაზეა შექმნილი ლექსები: „ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე", „ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს", „წეროონი", „უტი", „ღალატით დახოცა ხევსურებისა" და სხვები. როდესაც ზურაბი პირველად ხევსურეთს დასცემია, დიდი ბრძოლა გაჩაღებულა ფშაველისა და ხევსურეთის არაგვის შესართავთან [3]. ორწყალის ომში ზურაბის ლაშქარი სასტიკად დაუმარცხებიათ ფშავ-ხევსურებს. ლექსის მიხედვით:

ერისთვის ახნაურებსა
ყორნებ პწკლით ეზიდებისა [4].

---

[1] კ უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 88.

[2] იქვე, გვ. 89.

[3] ნ. ხიზანაშვილი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 131.

[4] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 3.

ხალხურ პოეზიაში მოხსენებულია ამ ბრძოლის მონაწილენი. ასეთები ყოფილან ლიქოკელი გმირები სომეხა და მინდოდა. ამავე ბრძოლაში თავი უსახელებიათ იანვარ წოწკორაულსა და ელიზბარ ფოცხვერიშვილს. მთქმელი იხსენიებს ბრძოლაში დაღუპულებსაც:

... იოფას დაუბარებაც:
„ჩემი ნუღარ აქვ ლოდინი.
მე. დ სარუმს, მაგის ბუკესსა,
ორწყალში გვიდგას ლოგინი [1].

იგივე ბრძოლა ასახულია სხვა ლექსებშიც, როგორიცაა, მაგალითად, „ომი აკუშოს“ [2] და სხვები.

ერთი ლექსიდან ჩანს, რომ სისხლის მსმელი ერისთავი მრავალრიცხოვანი ლაშქრით დასხმია თავს ხევსურებს, მაგრამ ფშავ-ხევსურეთის გმირებს სასტიკად დაუმარცხებიათ მოძალადე მტერი. ლექსში იხსენიება ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები [3].

ეს ლექსი მრავალ ვარიანტად არის ცნობილი. ზოგი მათგანი მოძრაობისა და გარკვეული ეპოქის მოთხოვნილების შედეგად საკმაოდ ტრანსფორმირებულია. ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებული ნაწარმოების ვარიაციისა და საერთოდ ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოძრაობისა და ცვალებადობის თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი ვარიანტი:

დუქეთ იყრება ლაშქარი,
არ სწვდების წვიმის ცვარია,
ცხენთა არ ეყვის საძოვრად
თრიალეთურნი მთანია,
მხედართ არ ეყვის სასმელად
ბახალეთურნი ტბანია.
საკვებურეთოდ დაიძრა,
არ ერგებიან გზანია.
გაიგა კევსურთ შკილებმა,
მაშინ გალესეს კმალია,
გადაწყეს ტყვია-წამალნი,
თოფს გამეცვალეს ტალია,
შეუკრეს ჟინვანის კიდი,
არ დაანებეს გზანია.

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 3.
[2] იქვე, გვ. 2.
[3] იქვე, გვ. 1—2.

ღამით თუ გასჭრეს რჯულებმა,
გამოდის სისხლის წყალია.
დილას ასტეხეს სროლაი,
თოფებს გადასდის ალიო,
გამაგრდით, კევსურთ შვილებო,
მოგივათ ფშაელის ჯარიო.
მესამე დილას მოვიდა
ფშავით არწივის ჯარიო.
წინ უდგას ბეკურაული,
შეჰყვირნებს, როგორც კარიო:
„ჩვენ ვერ გავიგით ხანხედა,
კევსურნო, თქვენი ბრალიო".
„ეხლა თქვენ იცით, ფშაველებო".
ბრძანებს ლაშარის ჯუარიო.

ამ ვარიანტს მეტად საგულისხმო შენიშვნა გაუკეთა აკად. აკაკი შანიძემ: „როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ დასაწყისი უდგება სხვა ვარიანტებს, თორემ ბოლოში სულ სხვაა რაღაც. Г-ს (ამ ნიშნით აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ტუქსიშვილი ვ., ქ. ს.) ეს ლექსი ხევსურულებში აქვს შეტანილი, მაგრამ ჩანს კი, რომ ლექსის მეორე ნაწილი (თუ იგი მართლაც ზურაბის ლაშქრობას ეხება და არა სხვა რამეს, როგორც ამას რუსების ხსენება გვაფიქრებინებს მე-8 ტაეპში), ფშაურია წარმოშობით, რადგანაც ფშაური თვალსაზრისია შიგ გატარებული" [1].

ხევსურეთში შესეული ზურაბის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალმა გმირმა ისახელა თავი. ეს გმირები მთის პოეზიის საგნად იქცნენ. ამის საუკეთესო ნიმუშია სიმღერა ქიჩბარაულზე [2].

საგმირო პოეზიის საგნად ქცეულა აგრეთვე ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლი პრელა ნადირიშვილიც [3].

ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ხევსურულ პოეზიაში დიდი სიყვარულით არის მოხსენებული მამუკა ქალუნდაური. თქმულებით მას ერთბაშად მოუკლავს მტრის ლაშქრიდან 12 კაცი. მეთორმეტის გვამი აყირავებულა და ამის გამო შეუჩერებია მტრის ჟლეტა. ხალხურ სიტყვიერებაში ამ გმირის სახე მითიური

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 302.
[2] იქვე, გვ. 4.
[3] იქვე, გვ. 4—5.

ელფერითაა მოცემული [1]. ხალხს მამუკა ღვთის კაცად მიუჩნევია და ანის გამო მისი საფლავიც სალოცავად გაუხდია [2].

ლექსებიდან და თქმულებებიდან ჩანს, რომ ზურაბმა თავის მრავალრიცხოვანი ლაშქრით ვერ შესძლო თავისუფლებისმოყვარე ხევსურების დამორჩილება. ამ გარემოების ამსახველ ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს მოკლე ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომლის ერთი ხევსურული ვარიანტი ასეთია:

ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა [3].

ამ ლექსის მრავალ ვარიანტიდან, როგორც აკ. შანიძემ აღნიშნა, ზურაბი მხოლოდ მოყვანილ ტექსტში იხსენიება. მისი ერთი მთიულური ვარიანტი ასეთია:

მთიულეთია, ბატონო,
ვერ გაგიძლებ ქვეითობასო;
გაგიწვრილდება კისერი,
ვერ იქამ ერისთობასო [4].

ქალმის-წვერასა (ა. კობაიძე) და ს. მაკალათიას მოსაზრებით ლექსი შექმნილია ზურაბ ერისთავის შთამომავალ ჯიმშერ ერისთავზე, რომელმაც მთიულ-მოხევეებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა [5]. თითქმის ასეთ მოსაზრებას იზიარებს აკ. შანიძეც [6]. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ლექსი, რომელიც სრულიად კანონზომიერად შესულა ზურაბ ერისთავის ციკლში და გამხდარა ნათელი ამსახველი გარკვეული გარემოებისა, განსაკუთრებით საინტერესოა საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობა-განვითარების თვალსაზრისით.

ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებებიდან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საგულისხმოა ლექსი „ღალატით დაკოცა კევსურებისა". ზურაბს ძალით რომ ვერ დაუმორჩილებია ხევსურები,

---

[1] წელიწდეული, გვ. 158 — 159.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 134.

[3] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 1.

[4] იქვე. გვ. 298.

[5] „ივერია". 1902 № 124; ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 29 — 30.

[6] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 298.

ვერაგული ხერხისთვის მიუმართავს, რისთვისაც იგი ხალხის წყევლის საგნად ქცეულა:

სევდამც მაგზვდების, ზურაბო,
დაგლეჯდამს სისბლის წყალია,
თრუსოს აწიენ კევსურნი,
კელით არჩიენ ყმანია;
გაატეხინე დოლეთი:
„ფარა მალალეთ, ცხვარია“.
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი,
დანდობით გასქერ თავია [1].
რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ
კევსურნი — დ. შენნი ყმანია.
თითოს კი დაჯიკანქვედეს
ფცრს ქვეშ ნაწურთნი ყმანია [2].

ლექსში „ღალატით დაკოცა კევსურებისა“ იხსენიება ვერაგულად მოკლული მშაველა ჯინჭარაული, სამნა მქედელი და ღერენა ტაბალუკისძე. ცოცხალი გადარჩენილა ალუდი ალექსაური. მას ნოუკლავს ზურაბის პირის მეღვინე [3]. ეს ლექსი მრავალ ვარიანტად არსებობს. ყველა მათგანი საინტერესოა ხალხური სიტყვიერების ცოცხალი ტრადიციის თვალსაზრისით. მოგვყავს ერთი, მეტად მოკლე ფშაური ვარიანტი:

ზურაბმ აიფრო ჭეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედანი:
ბევრისა კარი დაჯარა,
ბევრისა ისევ მღე არი:
ბევრისა დედა ატირა,
ბევრისა ცოლი თმიანი [4].

ზურაბ ერისთავის სახელთან დაკავშირებით ამ ვარიანტის მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია შექმნილი. ოთხი ბოლო სტრიქონი ნაწილია სრულიად დამოუკიდებელი, სიკვდილზე ხალხის შეხედულების ამსახველი გავრცელებული ლექსისა „სიკვდილმ თქვა ზღვა-ზღვა წამოვალ“ [5]. ეს ერთ-ერთი მეტად მოხდენილი კონტაქი-

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. გვ. 7 — 8.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 6 — 7.
[4] იქვე. გვ. 319.
[5] ხალხ. პოეზია, ქუთაისი, 1934. გვ. 269.

ნაციის ნიმუშია, რომლითაც ხალხს ზურაბ ერისთავი სიკვდილთან გაუიგივებია და ამით ზედმიწევნით აუსახავს მისი მუხანათობა.

ზურაბის ხევსურეთში გალაშქრებაზე მრავალი ლექსი და თქმულებაა შექმნილი. ბაბო ლიქოკელის გადმოცემით „ზურაბს რატიშვილს სამჯერ დაულაშქრავ კევსურეთი მეშვიდ-მეშვიდეს წელს და ვერ გაუტეხავ კევსურეთი“ [1]. აკ. შანიძის საფუძვლიანი შენიშვნით „რა წლებში ხდებოდა ეს ლაშქრობანი, არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ რამდენად მართალია, რომ ინტერვალი ომებს შორის შვიდ-შვიდი წელი იყო. ცხადი კია, რომ ხევსურების აწიოკება ზურაბის მიერ რამოდენიმეჯერ მომხდარა 1620 წლის ახლო. ზურაბის მოკვლა სიმამრის მიერ, რომელზედაც მოგვითხრობს „სიმღერე“ № 20, 1629 წელს მოხდაო“ [2]. აღნიშნულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა მეტი წილი წარმოშობით ხევსურული უნდა იყოს, თუმცა მათი ვარიანტები, როგორც თავის ადგილას ვნახავთ, საქართველოს მთის სხვა კუთხეებშიც გვხვდება. ამ ნაწარმოებთა ხევსურული ვარიანტები უფრო მთლიანი ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებენ, ზუსტად ასახელებენ ბრძოლების ადგილებს, მებრძოლ გმირებს და სხვა დეტალებს. საინტერესოა ამ მხრივ აკ. შანიძის შენიშვნა ხევსური ლექსის ერთი თუშური ვარიანტისადმი: „ეს გახლავს თუშური ვარიანტი. როგორც ვხედავთ, მშვენივრად გამართული ხევსურული ლექსი თუშეთში გადასვლისას (რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი სახელების შესახებ) ტეხნიკური მხრითაც ძალიან დაზიანებულა“ [3]. ეს შენიშვნა მეტად საგულისხმოა საერთოდ საისტორიო ნაწარმოებთა ადგილობრივი ხასიათის გასათვალისწინებლად.

ზურაბ ერისთავის მიერ ხევსურების აწიოკებასთანაა დაკავშირებული მთიულური საგვარეულო გადმოცემა „გუდამაყარში წიკლაურები და ბექაურები“. ამ გადმოცემით „ზურაბმა რომ შეაწუხა ხევსურები თავისი ჯარით, მაშვინ გადმოვარდა ორი ძმანი ამ ხეობაზე, ერთს ერქვა სახელად ბექა, ერთს — წიკვა. წიკვა უფრო ძლიერი იყო ბექაზე ღონით და ბექაკი უღონო. ბექას ჯავრი მოსდიოდა თავის ძმაზე და ყოველთვის მტრობდა. ერთხელ ხატში ყოფნის დროს მოუვიდათ ჩხუბი და შემდეგ ასე გადასწყვიტეს:

---

[1] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 298.

[2] იქვე, გვ. 298 — 299.

[3] იქვე, გვ. 303.

„გავკვეთოთ ძაღლი შუაზე და ეშორდეთ ერთმანეთსო“. გაჰკვეთეს ძაღლი და სთქვეს: „ერთმანეთის ჭალიმც გერგებიაო“. ამ ორი კაცისაგან წარმოიშვა ეს ორი გვარი [1].

ზურაბ ერისთავი ფშავსაც უტევდა. ეს გარემოებაც ასახულია ხალხურ პოეზიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ხევსურული ლექსი:

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
კევსურეთისა, ფშავისა.
კევსურეთ პორმეშავისა,
პორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომლის მარტიასა,
კვალ-სისხლიანის ვაჟისა [2].

ამ ლექსის ფშაურ ვარიანტში მოყვანილ ტექსტთან შედარებით ხევსურული თვალსაზრისი გამკრთალებულია:

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ზენ მთისა, ქვემოდ ბარისა,
კევსურეთს პორმეშავისა,
ფშავში ლაშარის ჯვარისა,
თიანეთს ჰავჰავაძისა,
გაუმაძღარის ღორისა [3].

ეს ვარიანტი საგულისხმოა აგრეთვე კონტამინაციის მოვლენებითაც, რაზედაც პირველად აკ. შანიძემ მიუთითა. მისი უკანასკნელი სტრიქონები წარმოშობით ისეთ ნაწარმოებს ეკუთვნის, რომელიც არც შედის ამ ციკლში. მისი ერთი, ხევსურეთში ჩაწერილი ვარიანტი, რომელიც აკ. შანიძის მოსაზრებით იქაური არც უნდა იყოს, ასეთია:

თურმან ორ ფაფარანელი,
კითხვა ვერ ვიცი გვარისა,
კორკი დაეწვი და მაღარო,
ეინვან ჯავრი მაქვ ორისა,
თიანეთ ჰავჰავაძისა,
გაუმაძღარის ღორისა [4].

---

[1] ჩაწერილი ელ. ვირსალაძის მიერ მთიულეთში, გუდამაყრის თემში, ს. ჩოხში მიხა ჩოხელის თქმით, 12 აგვისტო, 1934 წ.

[2] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 5.

[3] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, „იკერია“, 1897, № 140. გადმობეჭდილია აკ. შანიძის მიერ, ხალხური პოეზია, გვ. 314.

[4] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 262. იხ. იქვე, შენიშვნები, გვ. 492.

მართებულად აღნიშნა ნ. ხიზანაშვილმა, რომ ზურაბ ერისთავის მიერ ფშაველთა შევიწროებას ასახავს ლეგენდა და მასთან დაკავშირებული ლექსი ბერმუხაზე. ამ ლეგენდითა და ლექსით ერისთავმა უწმინდური ცხოველის საშუალებით შეურაცხყო წმინდა ხე [1]. ლეგენდა წმინდა ხეზე, რომელზედაც თითქოს მიბმული იყო ზეციდან ჩამოსული ოქროს შიბი, ჩვენ XVII საუკუნეში ან შემდეგ ხანაში შექმნილად არ მიგვაჩნია. იგი გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი. XVII საუკუნეში ან შემდეგ მთის მშრომელებს მასთან დაუკავშირებიათ ზურაბ ერისთავის სახელი და ამგვარად გამოუხატავთ მისდამი დიდი სიძულვილი.

ამ ციკლის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ძირითადი თემა ზურაბის მოკვლის ამბავია. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ გაძლიერებული ერისთავი მისმა სიმამრმა თეიმურაზ ბეფემ საფურცლეს მოაკვლევინა [2]. ნ. ხიზანაშვილს განხილული აქვს ამ ამბის ამსახველი ლექსები [3]. ზურაბის საფურცლეს მიწვევა სიმამრის მიერ მოტყუებით, ქეიფი და მძინარის მოკვლა ელუმ თოლუმიშვილის, საგინაშვილის, ბარამ ბატონისა და სხვების მიერ დაწვრილებით არის გადმოცემული ლექსში „ზურაბის მოკვლა“ [4].

ზურაბის მკვლელობაში თეიმურაზ მეფის ინიციატივას აღნიშნავს აგრეთვე მეორე ლექსის ხევსურული ვარიანტი:

ზურაბო ერისთვი'ს შვილო,
შვიდსამც წელსაც ხარ სნეული,
მეშვიდეს წელსაც მოხკვდები
სიმამრის კელ-მორეული [5].

ამ ლექსის ფშაური ვარიანტით ზურაბის მკვლელობის ინიციატივა ფშაელებს ეკუთვნით:

ზურაბო ერისთვის შვილო,
შვიდსამც წელსა ხარ სნეული,

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 135 — 136.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 69; ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, აღნ. გამოც. გვ. 346.

[3] ნ. ხიზანაშვილი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიაში, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 137 — 140.

[4] აკ. შანიძე, ხალხ. პ., გვ. 8, 320 — 322.

[5] იქვე, გვ. 9.

გულსამც მოკვხვდების ისარი,
ფშავლების გამოსრეული [1].

ფშაურ პოეზიაში უყურადღებოდ არც ის გარემოებაა დატოვებული, რომ თეიმურაზმა ზურაბის ქვრივი იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიათხოვა:

თემურაზ ჩაეუბნების
იმერეთ მეუის შვილსაო:
„თუ ზურაბს მახკლავ, ქალს მოგცემ,
მონა არ დაგეემს ცხვირსაო“ [2].

მეორე ლექსში ისმის ზურაბის ქვრივის ჩივილი იმერეთში გათხოვების გამო:

იმერეთს რად გამათხოვე,
თეიმურაზ, ჩემო მამაო;
ჯამა მომწყინდა ღომისა,
ვაჭმე, კახური ყანაო [3].

ზურაბ ერისთვის ციკლი მეტად მნიშვნელოვანია ხალხური ტექსტების ევოლუციის გასათვალისწინებლად. მასში ნათლად ჩანს საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობა-განვითარების პირობები და მათი ვარიაციის უნარი. ამ ციკლში გვხვდება ძველ ნაწარმოებთა გაახლებისა და შემდეგ შექმნილთა ზურაბის სახელთან დაკავშირების მაგალითები. ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ციკლების ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, ზურაბის სახელთან დაკავშირებულ ლექსებს, გადმოცემებსა და თქმულებებს ახასიათებს მოვლენათა კონკრეტიზაცია და პერსონაჟების სიმრავლე. მეტწილად ნაწარმოებში რამდენიმე გმირის მოქმედება არის ასახული. ამ ციკლის ნაწარმოებთა რეალური საფუძველი არც ისე შორეულ წარსულშია. ამით აიხსნება მისი თავისებურებაც. მთქმელებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ მოვლენის განზოგადება. ასეთი თავისებურების მიზეზი ამ ციკლის შედარებით ვიწრო ლოკალობაც არის.

---

[1] აკ. შანიძე, ხალხ. პ., გვ. 323.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 140.

ერეკლე მეორის ციკლი

განსაკუთრებული თემატიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება ერეკლე მეორის ციკლი.

მომძლავრებული ლეკიანობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლეს მრავალრიცხოვანი ბრძოლები შინაურ და გარეშე მტრებთან საქართველოს გაერთიანების მიზნით, რეაქციონერ თავადთა წინააღმდეგობა, ბატონყმობის გამწვავება, გლეხების პროტესტი აყრა-გაქცევით, ერეკლეს ზრუნვა მშრომელი ხალხისათვის, მორიგე ლაშქრის დაწესება, საჯარეო ორიენტაციის საკითხი, ერეკლეს გარდაცვალება, ბატონიშვილების ცილობა სამეფო ტახტზე, საქართველოს რუსეთთან შეერთება, ერეკლეს ნათელი პიროვნება და სხ., ამ ციკლის ნაწარმოებთა აქტუალური თემებია.

ლექსებსა და გადმოცემებში რეალისტურადაა ასახული ლეკთა მარბიელი რაზმებისაგან ქართველი მოსახლეობის აწიოკება-გაძარცვა, ტყვედ წაყვანა, გაყიდვა და სხვა. ჭურდულ თავდასხმებს გარდა ხალხურ სიტყვიერებაში ასახულია ის დიდი ლაშქრობანი, რომელთა შედეგიც იყო: 1746 წ. ქართველების მიერ ლეკთა მარბიელი რაზმების დამარცხება, თრუსოს დაწვა და გათავხედებული ოსების ალაგმვა; 1751 წელს ომი ჰარ-ბელაქნისა და შაქი-შირვანის ხანის წინააღმდეგ; 1754—1756 წლებში ომი მჭადიჯვარს და ყვარლის აღება; 1785 წელს ხუნძახის ბატონის ომარ-ხანის მიერ კახეთის დარბევა [1].

1746 წლის ომი საგანია ხევსურული ლექსებისა: „ჯარს ეძახს ბატონიშვილი“, „თრუსოს ჩავიდეს კევსურნი“ და „ერეკლე ბატონიშვილი ას ღთისგან დაელათიანი“. ხევსურული სიმღერები განსაკუთრებით საინტერესოა ომის მონაწილე, ისტორიის მიერ უგულებელყოფილი სახალხო გმირების ხსენებითა და პოეტური დახასიათებით [2].

1751 წელს შაქი-შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის თვალთმაქცობის შედეგად ლეკებისა და შაქი-შირვანის შეერთებულმა ჯარებმა პირველი დამარცხება განაცდევინეს თეიმურაზისა და ერეკლეს ჯარებს. ამ ისტორიული ფაქტის ამსახველი უნდა იყოს გავრცელებული

---

[1] კს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, გვ. 25—28.

[2] იქვე, გვ. 11—15.

ლექსი დათუნა გოშტაშვილსა თუ ბოშტაშვილზე, როშელიც ჩვენ ქრწანისის ომის ამსახველად მივიჩნიეთ [1]. ამ ლექსის ერთი ვარიანტის ჩამწერის ცნობით, როდესაც ბრძოლაში მეფეს ცხენი მოუკლეს, პირველად თავი გაუწირავს დათუნა ქვეპირიშვილს და მიურთმევია ცხენი. ეს ცხენი მეფეს ალაზანში დახრჩობია და მეორედ მისთვის ცხენი დათუნა ბოშტაშვილს (მაჩაბელს) მიუგვრია. ჩამწერის აზრით, ლექსი შექმნილია ქვეპირიშვილზე, რომელიც თავგანწირვისათვის დაუსაჩუქრებია დედოფალს. მისივე ცნობით ამ ბრძოლაში თავი გაუწირავს გამოჩენილ მცურაეს, რომელსაც მეფე გამოუყვანია ალაზნიდან [2]. ვარიანტების უმრავლესობაში ბოშტაშვილი თუ გოშტაშვილი იხსენიება [3]. შესაძლებელია, ხალხმა ორი ერთი და იმავე სახელწოდების გმირი ერთგვარი თავგანწირვისათვის პოეტურ შემოქმედებაში გააერთიანა. ასეა თუ ისე, ლექსის საფუძველი კონკრეტული ისტორიული მოვლენაა.

1752 წელს ახატ-ხანზე გამარჯვებულმა ქართველებმა შური იძიეს აჯი-ჩალაბზე. ერეკლე მეორემ დაქირავებული ჩრდილო-კავკასიელებით—ჩერქეზებითა და სხვებით დაამარცხა თვალთმაქცი ტეიმური. ამაზე უნდა იყოს ნათქვამი:

გამიბძანდა კახი მეფე,
თან გამოჰყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩარგასი,
დარახმული რაზის ჯარი,
ჯერ კი იხვარეს თოფები,
შამრე ამოილეს ხმალი [4].

მუჰადისჯვრის ომისა და ყვარლის აღების ამსახველი ლექსები ძირითადად სწორად იძლევიან ისტორიული მოვლენის ინტერპრეტაციას. ხუნძახის მფლობელის ნურსალ-ბეგის დამარცხება ქართველების მიერ არის თემა ლექსებისა: „ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა“ [5] და

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, გვ 46.

[2] „ივერია“, 1890, № 255.

[3] ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედ., ნ. 1, გვ. 112; ფოლკლ. სექც. მას 2849 და სხვ.

[4] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 106.

[5] „ხალხური სიტყვ.“, ნ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 180; ფოლკლ. სექციის არიგ. კატ., № 28 45.

„ნიკომა სთქვა სარდალი ვარ“ [1]. ჯანასკნელ ლექსში ასახულია მჭადისჯვრის ომის მონაწილე, ისტორიაში ცნობილი ბებერი ქალის გმირობა [2].

ლეკთა მარაბიელი რაზმების ქურდული თავდასხმები მრავალი ლექსისა და გადმოცემის საგანი გამხდარა. ისინი ასახავენ ერეკლეს, მისი ვაჟი ლევანისა და სხვა ქვეყნის გამოჩენილი ერთგული რაინდებისა და სახალხო გმირების მოქმედებას. ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდია დაცული გელა ნათელაშვილის შესახებ არსებულ გადმოცემაში [3]. გელა ნათელაშვილი ბაბალეთელი გლეხი ყოფილა. მისი, როგორც მებრძოლის, სახელი განთქმული ყოფილა არა მარტო საქართველოში, არამედ ლეკებსა და ირანელებშიც. იგი მეფის ერთგული ყოფილა. მას ყოლია საკუთარი რაზმი და საჭირო შემთხვევაში იცავდა ქვეყანას მტრისაგან, იხსნიდა გატაცებულ ტყვეებსა და სხვა. ერთხელ, როდესაც ქართლს შემოსევია ლეკის ჯარი, ერეკლეს უცნობებია მისთვის და ისიც თავისი მებრძოლებით დაბანაკებულა მცხეთის ზემოთ ს. ნატახტრის გვერდზე. ნტერს ზეაღამისას მძინარე რაზმისათვის ალყა შემოურტყამს. გელა ამ დროს მოკლულ ირემს ატყავებდა. უშიშარი და მოხერხებული გელა არ შემდრკალა და მრისხანეთ შეუყვირია: „—ვინა ხართ, აბა, აქ მოდით, სულ ამ ღორის ხორცით მოგთხუპნითო“. ლეკებს ირემი ღორი ჰგონებიათ და უკუქცეულან. მეორე დილით გელას თავისი მებრძოლებით მუსრი გაუვლია ბჭრისთვის და ტყვეებითა და ნადავლით მეფეს წარსდგომია. მას გაუთავისუფლებია დიღმის მინდორზე ლეკებისგან დატყვევებული მეცხვარეები. მასვე უბრძოლია მანგლისში ღოთარეშე ლეკების წინააღმდეგ, სადაც მძიმედ დაჭრილა. ამ სახალხო გმირზე ლექსიც დარჩენილა, რომლის თემაც აგრეთვე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებია [4].

ლეკთა მარბიელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაა ასახული გადმოცემაში ტურა ქაიხოსროზე. ქაიხოსრო ვაჩნაძე ერეკლეს თანამებრძოლი ყოფილა. ტურა მისთვის მტრებს შეურქმევიათ, რადგანაც მათ რაზმში იგი მოხერხებულად დაძვრებოდა. გადმოცემით, ლეკის

---

[1] „ხალხური სიტყვ.“, ნ. 1,ეკ. თაყაიშვილის რედ., გვ. 181.

[2] ნურსალ-ბეგზე არსებული ლექსების შესახებ იხ ქს. სახარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, გვ. 25 — 28

[3] ზ. მთაწმინდელი, გელა ნათელაშვილი ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი, „დროება“, 1878, № 169; ან ს. ჯანაშიას სახ. საქ სახ მუზ. ხელ ნაწ. განყ. H—1993.

[4] იქვე.

ქალები მტირალ ბავშვებს მისი სახელით აშინებდნენ და აჩუმებდნენ: „დაჩუმდი შვილო, თორემ ტურა ქაიხოსრო მოვა“ [1].

ლეკთა თარეშსა და ერეკლეს თანამებრძოლი გმირების თავგანწირვაზე მოგვითხრობენ ლექსები და გადმოცემები გმირ ქალებზე—მაია წყნეთელზე, თინა წავკისელსა და თამრო ვაშლოვანელზე [2]. გადმოცემით, მაია წყნეთელს—მათე ყაჩაღს—თვით ერეკლე მეფე დაუხსნია მტრის თავდასხმისაგან. თამრო ვაშლოვანელის რაზმს დაუმარცხებია მოთარეშე ლეკები, რაც ასე გაულექსავს ხალხს:

ლეკები სულ გადავრეკეთ
მთვარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა
ჯანგიანი ხმალითაო,
ჩვენცა თამროსა გავყევით,
გვიკვირდა სულ თავადაო,
ლეკები სულ გადავრეკეთ,
ვარბენინეთ სხვა გზითაო.

დაღესტნელებისა და ჭარ-ბელაქნელი ლეკების თავდასხმა საქართველოზე და მათი უკუქცევა ერეკლეს მიერ არის თემა მესხური ლექსისა „დაღისტანი შეიყარა“ [3].

სახალხო გმირების მიერ ლეკთა მარბიელი რაზმებისგან ქვეყნის დაცვა და გატაცებული ქალების დახსნა გადმოცემულია თუშურ ლექსში „წაროს იყრება თუშები“. გმირ დილოიძეს ასე მიმართავენ მისი თანამებრძოლები:

„ჩავიდეთ ჭარ-ბელაქანში,
შავზვეროთ ლეკის შვილები“.

ლექსის მიხედვით დილოიძის რაზმები

„დღე-ღამე ყარაულობენ,
ლეკებს უსხედან გზახედა“.

ისინი თავს დაესხნენ მოთარეშე ლეკებს, გაანთავისუფლეს მოტაცებული ქართველი ქალები და მეფეს მოახსენეს:

---

[1] ს. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე, ტურა ქაიხოსრო. „დროება“, 1885, № 35; ან ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—1991.

[2] დიმ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1882 № 12; ალ. გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გმირი ქალი მათე ყაჩაღად წოდებული. „საქართველო“ 9115 წ. № 102, 103, 104.

[3] ხალხ. სიტყვიერება, წ. I, ეკ. თაყაიშვილის რედ. გვ. 423.

მეფე ერეკლევ, მოვასპით
ქალები თქვენი მხრისაო,
დავაყრევინეთ ლეკებსა,
როგორც ჩიტები ქორსაო[1].

ლეკთა თარეშის წინააღმდეგ ბრძოლა მკვეთრადაა ასახული ლექში „ნუცალის ჯარი“. ლექსის მიხედვით, ამ ბრძოლაში ლეკთა ბელადი ნუცალი მოუკლავს გბირს ანდრიაზ საღირიშვილს[2].

ცნობილია, რომ ქვეყნის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ლეკთა ქურდული თავდასხმების მოსასპობად, ერეკლემ მორიგე ლაშქარი დააწესა. ამ ლაშქარს ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. სამხედრო ნიჭითა და სიმამაცით დაჯილდოებული, გმირი მამის ღირსეული შვილი მორიგე ლაშქრით შიშის ზარსა სცემდა საქართველოში მოთარეშე ლეკებს. 1781 წელს ბატონიშვილის უდროო სიკვდილმა ხელი შეუწყო მორიგე ლაშქრის დაშლას, რასაც ისედაც ძირს უთხრიდნენ მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე რეაქციონერი თავადები. ქართველ ხალხს აღფრთოვანებული ლექსი უთქვამს ლევან ბატონიშვილზე:

ხმალი სპრის ბაგრატივნისა,
ნეფისა ირაკლისაო;
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო;
აჯობა თავის მამასა,
სანამ იცვლიდა კბილსაო.
ურჯულო გამოამტვრია,
როგორც ნაპირი ტყისაო,
თუ ლევან იქით მიბრუნდა,
საქმე სპირს დაღისტნისაო[3].

ხალხურ პოეზიას სათანადოდ აუსახავს ის დიდი გულისტკივილი, რაც ქართველმა ხალხმა ლევან ბატონიშვილის უდროო დაკარგვით განიცადა. ახალგაზრდა ბატონიშვილის დაკარგვა ერეკლე მეფის ერთერთმა მოწინააღმდეგემ ასე შეაფასა: „მოხუცებისა ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კედელზედ იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი

[1] „ძველი საქართველო“, ტ. 1, განყ. 5, გვ. 43—45.

[2] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 112—113.

[3] ფოლკლ. სექც. კატ. № 2843.

მეფესაო[1]. ხალხურ პოეზიაშიც ასახულია ლევანის დაკარგვით შექმნილი განწყობილება საქართველოს მტრებისა:

„ლევ.ნს აყროდა აბჯარი,
გარს შემოსცლოდა თემია"...
...„ჯარში ლეკმა გაიგონა,
ცხენ გადაუსო ხელია,
ოთხავ ფეხს ნალი მიაკრა,
ლურსმანს უხარა წვერია:
»წაგიდეთ არაგვიანში,
რაღა ლევანი მშლელია,
დეშეთ თარეში გაუშოთ,
ტყვე წამოვასხათ ბევრია.
ნაოზა გავარბეინოთ,
დიღმის მინდორი გძელია" [2].

ერეკლეს ფრთებქვეშ ამოფარებული ქართველი ხალხი არ ვარლებოდა სასოწარკვეთილებაში. მისი ჯანსაღი სულისკვეთება ვაჟკაცურად ისმის პოეზიაში:

ვინ მაახსენა ლეკებსა
სიკვდილი ლევანისაო.
მამკვდარა ხორცის ბატონი,
ბძანება იქნა ღთისაო.
მტერი ვერ გაულაღდება
—ერეკლე ცხენსავ ხისაო[3].

ლევან ბატონიშვილის ხელმძღვანელობით მორიგე ლაშქრის მიერ ლეკთა თარეშის ალაგმვა არის თემა ლექსებისა: „შენი ჭირიმე ლევანო", „ბატონიშვილი ლევანო", „ლევან ბატონიშვილი" (პირველად ღმერთი ვახსენოთ) და სხვა.[4]

საქართველოში ლეკიანობის მომძლავრებას ასახავს გადმოცემა „ავარიელ ომარ-ხანისაგან დარბევა ახტალის მადნისა" [5]. ამ ნაწარმოებში სწორადაა გადმოცემული ომარ-ხანის მრავალრიცხოვანი ჯარების გამოვლა ყარაიაში, ბორჩალის ციხის აღება, დებედას ხეობის ავლა, ახტალის აღება და მადნების აოხრება. გადმოცემა მოგ-

---

[1] ქართლის ცხოვრება. II—გვ. 498.

[2] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 114.

[3] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. გვ. 26.

[4] იხ. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, გვ. 39—42.

[5] ს. ჯანაშიას სახ. საჯ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002

ვითხრობს ალიხან არქუთაშვილზე, რომელსაც მტრის გზის შეკრის მიზნით მეფისთვის მოუთხოვია სამოცი თუში. გადმოცემულია აგრეთვე ლეკების ბიერ 7<0 ტყვის გარეკვა და ახალციხეში გაყიდვა.

* * *

საქართველოს გაერთიანების მიზნით ერეკლე მეორე ებრძოდა სათავადოების სისტემას. მეფის ხელისუფლების გაძლიერება ფეოდალების უფლებებს ზღუდავდა. თავადები მეფეს ეცილებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სათავადოების მართვაში. ფეოდალების მოძრაობამ გარკვეული რეაქციული ხასიათი მიიღო. თავიანთი მიზნების მისაღწევად რეაქციონერი თავადები მშობლიურ კუთხეს უცხო ტომების სათარეშოდ ხდიდნენ. 1744 წელს ერეკლე მეორემ ცნობილ ფეოდალს გივი ამილახვარს ქსნის საერისთავო წაართვა. გაბოროტებული ამილახვარი მეფეს ლეკ-ოსმალთა ჯარებით შეებრძოლა. ქართლში შემოსეულ ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ ქართველებს ფიცხელი ომი მოუხდათ [1]. ეს ბრძოლები ხალხური პოეზიის თემად ქცეულა. ხევში, ს. გარბანში ჩაწერილი ლექსი რეაქციონერი თავადების წინააღმდეგ აჯანყებას უნდა ასახავდეს. ლექსი მეფის მიერ არაჯველების საომრად ნიწვევით იწყება და ამილახვრისადმი საყვედურით მთავრდება:

„ჩვენი ფრანგული ამოწვდა,
ამილახორის ბრალია" [2].

ლექსი განსაკუთრებით საგულისხმოა ისტორიის მიერ უგულებელყოფილი, ერეკლეს თანამებრძოლის მამუკა ღუდუშაურის ხსენებით. 1744 წ. ფიცხელი ომი ქართველებისა ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ თემაა ლექსებისა: „ეს გივი ამილახვარი მტრისაგან შეგვეშალაო", „ერეკლეს შემოუთვლია", „ერეკლე ბატონიშვილი", „უსუფ ფაშამ უთხრა მამას", „ავარდა ბატონიშვილი" [3]. დასახელებულ ლექსებში ძირითადად სწორადაა გადმოცემული ისტორიული სინამდვილე: გივი ამილახვრის მიერ სამშობლოში უცხო ტომების მარბიელი რაზმების შემოყვანა; ქართველთა მედგარი წინააღმდეგობა; დამარ-

---

[1] „ქართლის ცხოვრება", II, გვ. 363—368.

[2] ჩაწერილი 1938 წ. ვახტ. ლეგიაძის მიერ. დაცულია ფოლკლ. სექც. მასალ. № 171<6.

[3] კს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბშობლოსათვის, გვ. 6—11.

ცხებული მტრის მიერ ცხინვალის დაწვა; ჭაბუკი მეფის პირადი მამაცობა საგურამოსთან და უსუფ-ფაშას გაიძვერობა „კახთ ბატონის“ წინააღმდეგ. განსაკუთრებით საგულისხმოა გავრცელებული ლექსი „ავარდა ბატონიშვილი“. მასში მოხსენებულია ომის მონაწილე ხევსური გმირები [1].

რეაქციონერ ქართველ თავადთა შორის იყო ქართლის ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგ VI-ის ძისწული, ანტონ კათალიკოსის გაჭამადიანებული ძმა აბდულა-ბეგი. სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების სურვილით ანთებული აბდულა-ბეგი 1748 წ. აშკარად წინააღუდგა ერეკლე მეორის გამაერთიანებელ პოლიტიკას. რეაქციონერი თავადების ჭიერ სამეფო კანდიდატად აღიარებულმა, სამშობლოში შემოიყვანა აღლანისტანის, დაღისტნისა და თათრის ჯარები. ერეკლე მეფემ სასტიკად დაამარცხა ტახტის მოქიშპე [2]. ეს მოვლენა სათანადოდ არის ასახული ხალხურ პოეზიაშიც. ამაზეა შექმნილი გავრცელებული სატირული ლექსები: „პაპაჯლა (ან აბდულა) შეიკაზმა“ და „აბდულის ყარაულები“ [3]. საგულისხმოა პირველი ლექსის ახალი მესხური ვარიანტი. იგი ნიმუშია დროთა ვითარებაში საისტორიო ლექსში ასახული მოვლენის დავიწყებისა. მისი მთქმელი არც აბდულა-ბეგს იცნობს და არც იმ კონკრეტულ მოვლენას, რაზედაც შექმნილია ლექსი. მას ტრადიციული ლექსის აბდულა-ბეგი აბულაძედ შეუცვლია და იგი ერეკლეს თანამებრძოლად გამოუყვანია. დროთა ვითარებაში ტრადიციული ლექსი შინაარსეულად ასე შეცვლილა:

აბდულაძე შეიკაზმა
ჯაჯვითა და ჯინჯილითა
და საომრად ჯარი მიჰყავს
ნაღარა და წინწილითა.
მეფე ერეკლემ გაიგო,
გ-დაბრუნდა სიცილითა.
—მე შენ, მეფეო, მოგიკვდე,
ვერ გაგხეთკო სირბილითა,
შენი თექა და ნაბადი
ძლივს მოგკონდეს ჩანჩალითა.
დაჰკრა მტერსა აბულაძემ,
ერთი დარჩა კინკილითა.

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 17 და 357.

[2] „ქართლ. ცხ.“, II, გვ. 401.

[3] ქ. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის. გვ. 15—19.

მეფე ერეკლე ღაერა[1],
თავს ვერ იკერს სიცილითა,
აბულაძე მიებრუნდა
ენა ტკბილი სინსილითა.
—მოდი, მეფევ, პერი ეკამოთ
კოკითა და პილპილითა,
—რალა პური მეკითხება,
ფერდი მტკივა სირბილითა.
მართლა დასხდნენ საქეიფოდ,
კახურსა სჭენ ჭინკილითა,
იშღერეს და იგალობეს
ხეშრობა და სიცილითა[1].

ერეკლე მეფის ბრძოლა რეაქციონერი თავადების წინააღმდეგ სხვადასხვა გვარ ხასიათს ღებულობდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. 60-იან წლებში, როდესაც ერეკლე დაუმეგობრდა ქერიმ-ხანს, მათ დაკარგეს იმედი გარედან დახმარებისა და შეთქმულება-ტერორს მიმართეს. 1765 წ. მეფის წინააღმდეგ შეთქმული თავადები გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქრიშვილმა. შეთქმულები გაასამართლა დარბაზის სხდომამ. შეთქმულების მეთაურები დასაჯეს. ეს ფაქტი ქცეულა საგნად ლექსისა „მეფე ერეკლეს მოღალატენი". ამ ლექსით შეთქმულებმა „ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს,—ეს ჩაგვიტანე ქარემ-ხანამდინ". შეთქმულებმა მოიწვიეს ქერიმ-ხანი, რომ მეფის ოჯახი „ამოწყვიტონ" შვილით თავამდინ". მაგრამ ფეიქარმა გასცა შეთქმულები:

„ის ფეიქარი უკან დაბრუნდა,
ღამით მოვიდა მეფის კარამდინ:
„ჩემო ხემწიფევ, თავს გაუფრთხილდი,
უკან დაგიდგნენ ყოელნი თავადნი".

მეფე აცნობებს ამის შესახებ კახელებს და შეთქმულებს სჯიან:

... „ის თავადები სულ მოაგროვეს,
როგორც კალოზედ პურსა არნადით,
თავს დააყენეს თვალის მთხრელები,
მას მიადევნეს უკან ჯალათი".

ამის შემდეგ გადმოცემულია თაქთაქიშვილის, ამილახვრისა და ამილახვრის შვილის დასჯა და დედოფლის მიერ ფეიქრისა და მისი

[1] ჩაწერილი 1937 წ. ს. ბარალეთში ბასილ გოგოლაძისაგან გ. გოგოლაძის მიერ. დაცულია ფოლკლ. სექც. № 13572.

ცრლის დასაჩუქრება[1]. ლექსი თითქმის ზუსტად გადმოგვცემს ისტორიულ სინამდვილეს. ბალხურ შემოქმედებაში სხვადასხვა შეხედულებათა ბრძოლის თვალსაზრისით საინტერესოა ამავე მოვლენაზე შექმნილი, მთქმელების განწყობილების თვალსაზრისით ერეკლეს ციკლში დისონანსის შემტანი ლექსი „ბაქარიანთა დალევა“. ლექსი ერეკლეს მიმართ მტრულად განწყობილ რეაქციონერთა ბანაკშია შექმნილი. რეაქციონერ თავადებს სამეფო ტახტის შემკვიდრეებად რუსეთში მყოფი ბაქარის ძმა და შვილები მიაჩნდათ. შეთქმულებასაც მათ სასარგებლოდ აწყობდნენ. შეთქმულების ხელმძღვანელი ვახტანგ მეფის უკანონო შვილი პაატა იყო. დასახელებულ ლექსში აღნიშნულია ბაქარიანთა ფიზიკური დასჯა[2].

* * *

ერეკლე მეორის ციკლში საკმარისი რაოდენობითაა ლექსები და გადმოცემები სოციალურ უკუღმართობაზე. შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლების პირობებში გამწვავდა ბატონყმური ურთიერთობა. თავადებმა ყოველგვარი უფლებები აჰყარეს გლეხებს. არაადამიანურ პირობებში ჩაყარდნილი გლეხები თავიანთ პროტესტს სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ გააბრაგება-გაქცევით გამოხატავდნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეამცირა ლეკიანობისაგან ისედაც განადგურებული მუშახელი და ქვეყანა ეკონომიურად დასცა. ერეკლე მეორე ჩაერია გამწვავებულ ურთიერთობაში და გამოსცა საგლეხო კანონი. ამ კანონით ბატონს ეკრძალებოდა გლეხთა ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. გარდა ამისა, გლეხებს გააბრაგება-გაქცევის პასუხისმგებელი ბატონი იყო. ასეთი კანონი ერეკლე მეორეს მშრომელი ხალხის თვალში მათ მოსარჩლედ ხდიდა. არსებობს ამ მდგომარეობის ამსახველი ლექსები და გადმოცემები. მათში დაცულია სახელები სახალხო გმირებისა, რომლებიც ებრძოდნენ სოციალურ უკუღმართობას. ბატონებისგან მშრომელი ხალხის შევიწროვების ნათელი სურათებია მოცემული გადმოცემებსა და ლექსებში მაია წყნეთელზე. ახალგაზრდა მაიასთვის ნამუსი აუხდია ბატონს. ამის გამო ქალის მამას ტყეში თავი დაუხრჩვია, და კი შიმშილით მომკვდარა. შურისძიებით ანთებულ მაიას გადაუცვამს მამაკაცურად, შეურჩევია მათე და ერეკლე მეფის კარზე დაუწყია

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვა, გვ. 103.

[2] იქვე, გვ. 102.

საშსახური. მას ბევრჯერ უსახელებია თავი სიმამაცით ლეკების მარბიელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლილოს ქვემოთ დაუხოცია ყიზილბაშები, რომელთაც მიუყვანიათ ბატონისაგან გაყიდული 12 ქალ-ვაჟი. მოუყვანია ისინი ერეკლე მეფესთან. საინტერესოა დიალოგი მეფესა და გმირ ქალს შორის: „მეფეო! ნება მიბოძეთ რამოდენიმე საჩივარი მოგახსენოთ, რომელნიც მე გულზე მაწვანან ჯავრადა". სთქვიო, მიუგია მეფე ერეკლეს. "დიდებულო მეფევ! ნეტავი როლის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს იმათ ღმერთი და დაიხსნის ტარჯვისაგან.

—როგორ? რაზე ამბობ მაგას, შვილო? ჰკითხა კვლავ მეფემ.

—რაღა რაზე, შენი ჭირიმე, გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტმოქმედთა კალთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდევ გუთანში, ურემში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა. მოგახსენებთ რა ამას, მეფევ, გთხოვთ, მოვალე ბართ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედება.

—ბატონებზე საჩივარი მართალია ბევრი ისმის, და ამგვარი საქმეები საქართველოს დამღუპველია, მაგრამ თუ მე ჩემის თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და როგორ გადავახდევინო. მე ამგვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის და საქმით კა ვერასა ვხედავ.

—დიდებულო ბატონო! საქმითაც აი ერთი მე გახლავართ, მე გულდამწვარი, დაჩაგრული და ბოშობელთა მოკლებული. მეორე, შენი ჭირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად, რომ ამა და ამ ავაზაკმა კაცმა შვილები დაგვიყიდაო; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შევყიქი ცხენზე, გავიყოლე ამხანაგები და წავართვი სპარსელებს გაყიდული გოგო-ბიჭები და აი ამათაც ახლა წარმოვადგენ წინაშე თქვენსა. აი ესეც, შენი ჭირიმე, დამტკიცება". ამაზე გადმოცემით ერეკლე მეფე „ძალიან გაჯავრებულა და გამწყრალა. მეორე დღეს მიუწვევია სასახლეში მღვდელ-მთავრები და შეუჩვენებიათ ავნი კაცნი ჯვარითა და სახარებით"[1]. გადმოცემით, მაიას ხშირად უმხელია მეფესთან ბატონთა ბოროტმოქმედება. ამიტომ მათ განუზრახავთ მისი თავიდან მოშორება. ერთხელ, მკვლელობის მიზნით ჩასაფრებიათ გზაზე, მაგრამ მაიას ისინი დაუხოცავს. ბოლოს მაინც ინტრიგებით მოუშორებიათ თავიდან. დაურწმუნე-

[1] დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია", 1882, № 12.

ბიათ იგი, თითქოს მეფეს ჰქონდა განზრახული მისი სიკვდილი. ულმოკლული მაია თრიალეთისაკენ გავარდნილა ყაჩაღად და დაბინავებულა ტყეში. იმ ადგილს „მაიას საბუდარი“ შერჩენეია. გადმოცემით, ის უსაფრდებოდა გზაში ხალხის მჩაგვრელთ და ხოცდა. დაუწყიათ მისი დევნა. მაია იძულებული ყოფილა გაქცეულიყო სომხეთისაკენ. მას, ვაჟურად გადაცმულს, ამის შემდეგაც ბევრჯერ უსახელებია თავი მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. ბოლოს იგი ირანელებთან ბრძოლაში დაღუპულა. მაიას თავგადასავლის შესახებ არსებობს ლექსები.

ლექსებში ასახულია აგრეთვე მაიას პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ და ერეკლეს გამოსარჩლება მწარმოელებისადმი[1].

სოციალური უკუღმართობა ასახულია მაიას შესახებ არსებულ ლექსებში, როგორიცაა: „მათე-ბაიას ჰირიმე“, „უზნეო პირთა ენამა“, „ადრე მოუკვდა მას დედა“ და სხვები[2].

ასეთსავე თემაზეა შექმნილი გადმოცემები და ლექსები ამავე ეპოქის გმირი ქალის თამრო ვაშლოვანელის შესახებ. გადმოცემების მიხედვით დაობლებული ვაშლოვანელი გლეხის ქალი ბატონს გაუყიდია. მამაც ქალს თავი დაუხსნია. იგი თავის სოფელს იცავდა მტრებისაგან და ამგვარად დაუმსახურებია ფალავნის სახელწოდება. ის ყოფილა ბატონებისაგან აკლებული გლეხების მოსარჩლე. მსგავსად მაია წუნეთელისა, მისთვისაც მოუწყვიათ ინტრიგები თავად-აზნაურებს. დაუწყიათ დევნა, მტკვარში ჩაუგდიათ და დაუღუპავთ. ყვავ-კაკაჩისაგან დაძიძგნილი მისი ცხედარი მეცხვარეს უპოვნია. ხალხს თავისი მოამაგე პატივით დაუკრძალავს თრიალეთის ეკლესიაში. თამრო ვაშლოვანელზეც დარჩენილა ლექსები[3].

ბატონყმური ურთიერთობის გაჭვავებას, ყმების გაყიდვასა და ერეკლე მეორის გამოსარჩლებას გლეხებისადმი ასახავენ აგრეთვე გადმოცემები და ლექსები გლეხის ქალის თინა წავკისელის შესახებ. გადმოცემათა მიხედვით თინა წავკისელიც მამაცი, მოხერხებული და მწარმოელების მოსარჩლე ყოფილა. მას მოუკლავს შეურაცხმყოფელი ბატონი, დაუხსნია ირანელებზე გაყიდული ტყვეები და არა ერთხელ უსახელებია თავი გარეშე მტერთან ბრძოლებშიც. ბოლოს ტყვედ ჩავარდნილა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამო-

---

[1] „სამშობლო“, 1915 წ., № 102.

[2] იქვე.

[3] დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1881, № 12, გვ. 84—89.

პარეია მტერს, მაგრამ ბოლნისის გზაზე მოუკლავთ. გადმოცემით ერეკლე მეფეს საყვარელი სახალხო გმირი დაუსაფლავებინებია ქმრის ახლოს, ბოლნისის სიონის გვერდით. საფლავის ქვებზე ამოუპრეგინებია ცოლ-ქმარის სახე გვირგვინებით[1]. მის შესახებ არსებობს ლექსებიც.

გადმოცემები მაია წუნეოელზე, თამრო ვაშლოვანელსა და თინა წავკისელზე თემატიკურად საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული მოვლენის ნათლად ასახვის თვალსაზრისით, არამედ სოციალური უკუღმართობისა და ქვეყნის მტრების წინააღმდეგ მებრძოლი შესანიშნავი სახალხო გმირი ქალების სახელთა უკვდავყოფით.

ბატონყმური ურთიერთობის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა გადმოცემა—„ტურა-ქაიხოსრო“. ქაიხოსრო ვაჩნაძის მეუღლეს უთაკილია, რომ წირვაზე მის წინ გლეხი მარტიშვილის ცოლი იდგა და უბძანებია: „—ჩამომეცალე, შენი ადგილი იცოდე, ვერა მხედავ, ვინ გიდგივარ უკანო?

—ჩამოგეცალო, რა შენი ყმის ცოლი ვარო! უპასუხნია მისთვის მარტიშვილის რძალს“. ქაიხოსროს ცოლს ქმართან დაუბეზღებია გლეხის ქალი. ვაჩნაძეს ამის შემდეგ მარტიშვილები ყმებად გაუხდია[2].

ერეკლე მეორის საგლეხო კანონის ასახვის თვალსაზრისით საგულისხმოა ზ. ბილანიშვილის მიერ კახეთში ჩაწერილი ფრაგმენტული ლექსი—ზაალ თუმანიშვილის მიერ მწყემსების ექსპლოატაციაზე:

შენ, ზაალ თუმნიშვილო,
გაზრდილო მეფის კარზედა,
მებალახობა ვინ მოგცა
იმ ზემო ქართლის ცხვარზედა?
უსამართლობა იხმარე:
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
მოვიდნენ, ბატონს შესჩივლეს
თუმანიშვილის თავზედა:
უსამართლობა იხმარა,
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
ბატონმა მეხმლეს უბძანა:
—ხმალი გალესე წამზედა.
დაჯდა, გალესა ფრანგული,
ცერი აუსო ფხაზედა.

---

[1] დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1881, № 12, გვ. 82—84.

[2] „დროება“, 1885 წ., № 35.

—წადით და იქ მოიხმარეთ
თუშანიშვილის თავზედა
ინისი თავი დაჰკიდეთ
იმავ მეცხვარის კარხედა [1].

* * *

ქართული ხალხური სიტყვიერებისა და კერძოდ ერეკლე მეორის ციკლის აქტუალურ თემად ქცეულა ქართველების სასახელო გამარჯვება 1752 წელს, თავრიზის მფლობელის ახატ-ხანის მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველ მთქმელებს აღტაცებით გადმოუციათ ერეკლე მეორის პირადი სიმამაცისა და დიდი საბედრო ნიჭის გადამწყვეტი როლი ამ ბრძოლაში. ლექსებში: „ახატ ხან წამომდგარიყო", „აღაშენა ერევანი", „ისე ადიდდა ახატ-ხან", „გურჯო ერეკლეჳ, რად მამდევ", და სხვ. ეროვნული სიამაყის გრძნობითაა ასახული სინამდვილე, მათში რეალისტურადაა გადმოცემული ავლან-ყიზილბაშების მრავალრიცხოვანი ჯარების ქურდული თავდასხმა საქართველოზე, ერეკლეს მედგარი წინააღმდეგობა მცირერიცხოვანი ჯარით, მტრის გეგმა ქართლ-კახეთის მეფის ცოცხლად შეპყრობისა, ზოგიერთი შეშინებული მხედრის უკანდახევის სურვილი, ერეკლეს შთამაგონებელი მიმართვა მებრძოლებისადმი, ქართველების გამხნევება და მტრის სამარცხვინო მარცხი [2]. ეროვნული სიამაყის გრძნობით ნათქვამი ლექსები ამ სასახელო გამარჯვებაზე ქართველებს გაუტანიათ სამშობლოს გარეთაც. ამის ნიმუშია გასული საუკუნის 80—90 წწ. ქ. ყიზლარში (ჩრდ. კავკასია) გადასახლებული ქართველისაგან ჩაწერილი ახატ-ხანის დამარცხებაზე შექმნილი ლექსის ვარიანტი [3].

* * *

ხალხის მეხსიერებას დაუცავს სამშობლოსათვის ქართველთა ბრძოლის საუკეთესო საგმირო ეპიზოდს, 1770 წლის ცნობილი ასპინძის ომის მომენტები. ხალხურ ნაწარმოებებში საინტერესოდ არის გადმოცემული ამ ომის მიზეზი, ხასიათი და შედეგი. მთქმელები რეალისტურად აშუქებენ ისტორიულ სინამდვილეს: ეკატერინე მეორის მიერ რუსის ჯარის გამოგზავნას გენერალ ტოტლე-

[1] ხალხ. სიტყვ., წ. 1, ეკ. თაქაიშვილის რედ., გვ. 111—112.

[2] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობ., გვ. 19—25.

[3] „ყიზლარი", „ივერია", 1888, № 131.

ბენის მეშაურობით თურქ-ლეკთა ჯარებისაგან საქართველოს გაწ-
ენდის მიზნით; აწყურის ციხესთან რუს-ქართველთა შებმას მტერ-
თან; მტრის მაშველი რაზმების მოსვლის შედეგად ტოტლებენის
უეცარ გაბრუნებას; ქართული ჯარის განსაცდელში ჩავარდნას;
ერეკლე მეორის ბრწყინვალე სტრატეგიული უნარით მრავალრიც-
ხოვანი მტრის დამარცხებასა და დაზარალებას[1]. ასპინძის ომთანაა
დაკავშირებული საინტერესო გადმოცემა—„ძაღლიკა ხიმიკაურის ხმა-
ლი". ამ გადმოცემის სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში ჩაწე-
რილი ვარიანტები ისტორიული პირების მოქმედებას სხვადასხვა-
გვარად ხსნიან და აშუქებენ. ვაჟას მიერ ჩაწერილი ვარიანტით ხი-
მიკაურის ხმალი ერეკლეს მოეწონა და აიძულა პატრონი დაეთმო
მისთვის[2]; ზემო-ალვანური ვარიანტით კი—ასპინძის ომის მეორე
გმირი დილოიძე მოითხოვს ხიმიკაურის ხმალს[3]. ვაჟასეული ვარიან-
ტით ხმლის ჩამორთმევით შეურაცხყოფილი ხიმიკაური ბოლომდე
გამწყრალია მეფეზე და ბრძოლებში აღარ მონაწილეობს; მეორე
ვარიანტით მეფე ახერხებს შეურაცხყოფილი გმირის გულის მოგე-
ბას და ის მტრის რაზმს კვლავ მუსრს ავლებს. რაც შეეხება მეორე
ვარიანტით ხიმიკაურისა და დილოიძის დაკავშირებას, ეს ბუნებრი-
ვია, რადგანაც ორივე ასპინძის გმირია.

თუშური გადმოცემითაც მეფე ერეკლემ ასპინძის ომში გმირობი-
სათვის წალკის ხეობით დილოიძის დასაჩუქრება მოინდომა. დილოი-
ძემ უარი განაცხადა და მოითხოვა ხევსურის ხმალი. მეფემ თხოვნა
აუსრულა. გადმოცემაში არ არის აღნიშნული ხევსურის სახელი[4].

ერთერთი რეალური საფუძველი ერეკლე მეორის ციკლის ლექსე-
ბისა და გადმოცემებისათვის არის კრწანისის ომი. ქართულ ხალხურ
სიტყვიერებაში საკმაოდ ნათლადაა გადმოცემული აღა მაჰმად ხანის
მრავალრიცხოვანი ჯარების საქართველოზე წამოსვლა; შუშის ციხესთან

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის, გვ. 28—39.

[2] ვაჟა-ფშაველა, ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია", 1902, № 196.

[3] ჩაწერილი ზემო-ალვანში 1937 წ. ხელნაწერი ინახება თელავის მუზეუმში. პირი გადაგვაღებინა თელავის მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, ტექსტის ჩამწერმა, აწ განსვენებულმა ალექსანდრე მამულაიშვილმა.

[4] ივ. ბუკურაული, თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე მეორის შესახებ, „ივერია" 1893, № 119.

ზვიადი ხანის მარცხი, თბილისისაკენ დაძვრა და ქართველების თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზე. ლექსებში („ყუენი რომ წინ წამოდგა„, „აღა-მაჰმად-ხან“, „ქალაქის არევა“ და სხვა) გულისტკივილითაა აღნიშნული მტრის მიერ თბილისის აღება, დარბევა და ტყვეების გარეკვა. ამ ისტორიულ მოვლენასთანაა დაკავშირებული პოტტოს მიერ ჩაწერილი ლეგენდა ქართველი ქალის სალოშეს შესახებ[1]. კრწანისის ომის ეპიზოდები ასახულია ზემოთ აღნიშნულ ლექსებსა და გადმოცემებში მაია წუნეთელსა და თინა წავკისელზე. ამ გმირი ქალების მღელვარე სიცოცხლე აღა-მაჰმად-ხანის ჯარების საქართველოში შემოსევამ დაასრულა. გადმოცემებით მათე ყაჩაღად ცნობილ მაია წუნეთელს თავგანწირვით უბრძოლია კრწანისის ომში, ტყვედ ჩავარდნილა, გამოპარულა, მაგრამ ერეკნის ახლოს მტრებს ისევ დაუტყვევებიათ და მოუკლავთ. კრწანისის ომში მაიას დატყვევებასა და სიკვდილზე ლექსიც დარჩენილა[2].

თინა წავკისელიც ტყვედ ჩავარდნია აღა-მაჰმად-ხანის ჯარს, გაჰყოლია, მაგრამ ბოლნისის მხარეს მოუკლავთ[3].

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობაზე არსებობს აგრეთვე გადამუშავებული გადმოცემები[4]. მათში აღწერილია დარეჯან დედოფლის ინტრიგები; ყიზილბაშების მიერ თბილისის დაწვა, მოსახლეობის აწიოკება და ტყვეების გარეკვა. მოთხრობილია 1797 წ. აღა-მაჰმად-ხანის ისევ ბრძანება საქართველოზე მეორედ თავდასხმისათვის და მისი მოკვლა ტყვედ წაყვანილი, გათათრებული სადიხას მიერ. ამ უაღრესად რეალისტური ხასიათის გადმოცემებში არის შემთხვევები ისტორიული მოვლენების არასწორი ინტერპრეტაციისა. ასე, მაგალითად, იმერელთა მონაწილეობა კრწანისის ომში არასწორადაა გადმოცემული. ცნობილია, რომ თანახმად 1790 წელს დადებული „იერიელთა მეფისა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულებისა კრწახისის ომში 3000 მეომარით მონაწილეობდა სოლომონ მეორე. მტრის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ერეკლე მეორე მთიულეთში წავიდა, იგი თავისი ჯარით იმერეთში გადავიდა[5]. გადმოცემით, რომელშიც აშკარა ანტიიმერული გან-

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის, გვ. 42—47.

[2] „სამშობლო“, 1915 წ., № 104.

[3] „იერია“, 1882, № 12, გვ. 84.

[4] ისტორიული მოთხრობანი, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. Н—2002.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 412—413.

წყობილება ჩანს, აღა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოსევისას იმერლები ერეკლე მეორის მთიულეთში წასვლამდე გაიქცნენ. სოლომონ მეორის მონაწილეობა კრწანისის ომში იმერლებისადმი დიდი სიძულვილითაა აღწერილი. გადმოცემით, „ერეკლე მეფემ რომ ნახა არსაიდგან ამას შემწეობა არ მიეცა, რაც თფილისში ცხენოსანი ჯარი მოგროვდებოდა, თავთავისი ჯარის ამალა და თუ თფილისის მცხოვრებთაგან შეჰყარა ორას კაცამდის და წინ მიეგება“ [1].

გამეჩრიახი მეფის ხასიათს არ შეესაბამება გადმოცემის ერთი ეპიზოდი, რომელიც დამარცხებული ერეკლეს მთიულეთში წასვლასთანაა დაკავშირებული: „მეფე ერეკლე ადგა და გაიქცა, თან გაჰყვა ორმოცამდის კაცი. მტკვარში რომ გავიდა კუკიასთან, მაშინ მოაგონდა, რომ თავის ძელი ჰეშმარიტის ნაწილი დავიწყებია, შინ დარჩომილა და თქვა, რომ მე უნდა უკან დავბრუნდე, წავიდე ჩემი ძელი ჰეშმარიტის ნაწილი მოვიტანოო. მაგრამ თანამყოფთა კაცთა დაუშალეს და არ გაუშვეს, რომ თვითონ დაბრუნდეს. ამათ უთხრეს, ჩვენ წავალთო, მოგიტანთო. ორი თავადიშვილები დაბრუნდნენ. ერეკლემ ასწავლა აღგილი, თუ სადა ძევს ნაწილი. წავიდნენ და მოიტანეს“ [2].

კრწანისის ომია თემა ბეს. გაბურის საინტერესო გადმოცემისა „ძველებური ამბავი მეფე ერეკლის დროს, როსაც ერეკლემ კევსურნი დაიბარნა სამრად“. მასში ასახულია აღა-მაჰმად-ხანის მარბიელი რაზმების გაწყვეტა არაგვზე 300 ხევსურისაგან, რომელნიც ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ თბილისისაკენ [3]. გადმოცემის სიუჟეტის განვითარება საინტერესოა როგორც ისტორიული მოვლენის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ისე საერთოდ ეპოსის ბუნების შესასწავლად. გადმოცემა ანაქრონიზმებს შეიცავს, რაც აღნიშნულია აკ. შანიძის მიერ: „ერთი და იგივე პირები (კირჩლა ბაბუარაული, ბერდია მამუკაური და ხოშურაული) ზურაბ ერისთავის დროსაც არიან დასახელებულნი ავტორის მიერ (158 გვ.) და ერეკლე მეფის დროსაც არიან მოხსენებულნი ლექსში (162 გვ.)“ [4]. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ისიც, რომ გადმოცემაში, კრწანისის ომთან დაკავშირებულია ბახტრიონის ომზე შექმნილი ლექსი:

---

[1] ს. ჯანაშიას სახ. საჭ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002.

[2] იქვე.

[3] „წელიწდეული“, გვ. 161—164.

[4] იქვე, გვ. 333.

ახლა სადა ხართ, თუშებო,
კევსურნ რო კარავით სჩრიანო,
ნადირაის კმლის ნატეხნი
კარავის ბოძთან ხყრიანო.
კმალ ბომურაულს გაუტყდა,
კევსურნ სხვას გამეცლიანო[1].

პის. გაბურის გადმოცემაში კრწანისის ომთანაა დაკავშირებული ბაბტრიონის აღების მონაწილე სახელოვანი გმირები: ზეზვა გაფრინდაული და ხევსური ნადირა. ნიჭიერ მთქმელს XVI და XVII საუკუნის გმირები გაუცოცხლებია და XVIII საუკუნის ისტორიულ მოვლენასთან მოხდენილად დაუკავშირებია.

ალმოსაყლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალ ვარიანტადაა გავრცელებული ლექსები ერეკლეს გარდაცვალებაზე „ვერ გაიგეთა, ქართველნო" და „ღმერთო, რა დიდი ბრალია". ქართველი ხალხის დიდი მოამაგე, გამჭრიახი პოლიტიკოსი, მსოფლიოში განთქმული სტრატეგი და გმირი ნუფე გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ქვეყანა აფორიაქებული იყო რეაქციონერი თავადებისა და ლეკების მიერ. ხალხის აუნაზღაურებელი დანაკლისი ასახულია გოდებაში:

„ღმერთო, რა დიდი ბრალია,
ალეკო ქალაქისაო,
ნუფის ერეკლის სიკვდილი,
დაქცევა ხმელეთისაო".

მისი დაკარგვით გაჭოწვეული გულისტკივილი ხალხმა ღრმა გრძნობით განთბარი ლექსით გამოხატა. ეს ლექსი მოწინავე ქართული საზოგადოების ნამღვილი გლოვა იყო:

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შაჭეხსნათ რკინის კარიო,
ალარ გყავს მეფე ერეკლე,
არც იმის საომარიო.
დამჭკნარა ბაირაღები,
ალარ ჰკეცს ხაობახაინო:
მცხეთას დგას თეთრი საყდარი,
ჯვერდზედ ჩაღდის მტკვარიო,
იქა დგა ოქროს ჯვარი,
შიგ ნათობს კელეპტარიო.
იქვე დგას ოქროს კუბოი,

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 323.

გამოსახული ჯვარიო.
კუპოში ჩაუწვენავის
ბაგრატივნისა გვარიო...[1]

მაშინდელი ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილის სულისკვეთებაა ამავე ლექსის ვარიანტის მიხედვით მეფის ანდერძში:

მანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მიესძრენ და მოვსძრენ ხღვანია,
ახლა თქვენ გაგიწირეით
ფხასისხლიანი ხმალია
შეინახოდით, შვილებო,
ქალაქია მეიდანია:
ერთმანეთს ნუ ულალატებთ,
მტერმა არ გიხაროთ თვალია[2].

* * *

მამის ანდერძი შვილებმა ვერ გაამართლეს, სამეფო ტახტზე ცილობის შედეგად ქვეყანა გარეშე მტრების სათარეშოდ აქცეს. ხალხმა კიდევ ერთხელ მწვავედ იგრძნო მოამაგე მეფის დაკარგვა. აწიოკებული ქართველი მოსახლეობის გოდება ისმის მთიულურ ლექსში:

ვაჰმე ჩვენს ძველსა დევ გმირებს
და დიდ ბატონსა ერეკლესს!
რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,
როცა ერეკლე გაგვშორდა,
მთიულნი, თუშ-ფშავ-ხევსურნი,
როცა მას ცრემლით აბკობდა[3].

ერეკლეს დაკარგვის შემდეგ შეიწროებული მშრომელი ხალხის სულისკვეთებაა მოცემული მრავალ ვარიანტად გავრცელებულ ლექსში, რომლის მოხეური ვარიანტი ასეთია:

მეფის ერეკლის დროჩიგა
შორს მოვაძოვნი ძროხანი,
დავწვი და ისე მეძინის,
ზედ წავიბურნი ჩოხანი,
ახლა ისეთ დროს ჩავარდი,
მენატრებიან დოსანი[4].

---

[1] „ჯვალი", 1893 წ., № 23.
[2] „კრებული", 1872 წ., № 8.
[3] „მოგზაური", 1901, № 11.
[4] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 106.

გავრცელებულია ლექსები და გადმოცემები 1800 წ. ნიახურას ომზე. ეს ლექსები ასახავენ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილების ჭიპობას სამეფო ტახტისათვის, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ომარ-ხანის მეთაურობით საქართველოში ლეკის ჯარის შემოყვანასა და რუს-ქართველთა გმირობის მიერ მათ დამარცხებას[1]. გადმოცემებისა და ლექსების ზოგ ვარიანტში ნიახურას ომის ამბავი უშუალოდ ერეკლეს გარდაცვალებასთანაა დაკავშირებული. ორი ამბავის ასეთი კონტამინაცია ბუნებრივია. სამეფო ტახტისათვის მოქიშპე ბატონიშვილების მიერ გარეშე მტრების შემოყვანა საქართველოში ქართველი ხალხის ცოდვად მეფის დაკარგვის შედეგი იყო. არსებობს ბატონიშვილების სამეფო ტახტზე ცილობის ამსახველი გადმოცემისა და თორღვას შესახებ გავრცელებული ლეგენდის კონტამინაციის ნიმუში. ამ ვარიანტით „ერეკლეს როსაც თათარი შემოსევია, როსაც მოკუდა, მერე შვილები გამეკიდნეს ერთიმეორეს მეფობას. ის ერთს გიორგი ერქვინა და ის გამაიქც კევსურეთჩი. ის შაჯდა აქლემზე, გამეექცა თათარს თბილისშიით. იქიდან გამოქცეული აქლემი დაჰდგარა, საკანაფის კევს გადახვიდ ის. ერთ წელიწადს გაჩერდ სოფელ მიცუჩი. სოფელ მიცუჩი დადგ ერთ წელი. იქ იყვ ციხეჩი,—სიმაგრეჩი. იმას ვინც ხყვანდ პოეერი ერთი დედაკაცი იყო და ორი ქალი ხყვანდ იმას. ის პურს ქალებს აზიდვიებდ ბატონსთან. ეხლა მასწონდ დედას ბატონიშვილ გიორგი, ქალებს თუ ეუბნებოდ:—პურს რომ მიართომთავ, არ შემოგიცქერთაევ თქვენავ, რომ თქვენზე გული დაშჩესავ?

უფროსმ ქალმ უთხრ, რომ არას შამამიცქერსავ. მეორემ ქალმ უთხრ, რომავ, მე რომ მივართომავ პურსავ, შამამიცქერსაო და პირჩი მეცინებავ. მემრ უთქომის დედას ქალისად:—მაშინ იმასთან ისრე დაჟდიდივ, დასტრიალდივ. ისრე დაჟდიდივ, რო შიშველ დაგინახასავ. მისც ი ქალმ, მიიღ პური და დამჯდარ ისე, რო თვალით უცქერდ ი ბატონიშვილ იმას. მემრ ის შეუცდენავ ბატონიშვილ გიორგი ქალს. დაორსულებულას იმისაგან ი ქალი. მემრ გაზაფხულზე გამშრალ თოვლი და წამასულ გიორგი ისევ. იქ ქალს გაშჩენიე ვაჟი. იმას დახქვინებიე საბელ თორღვაი“. შემდეგ გადმოცემულია თორღვას შეუდარებელი ვაჟკაცობა, ფშაველების დაბეგვრა და სხვა, ძმობილი ფშაველისაგან ჯადოსნური მცურავი ჯაჭვის ჩუქება, აბანოს აღმოჩენა, ჯაჭვის გაპარვა და ფშაველებისაგან მისი მოკვლა[2]. სხვა თქმულებებით

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 117—121.

[2] ჩაწერილი 60 წლის თოთია წიკლაურის თქმით ს. როწკას 13 აგვისტოს, 1944 წ. ჩვენ მიერ.

თორღვა ალექსანდრე ბატონიშვილის ან კონსტანტინე ბაგრატიონის ნაბიჭვარი იყო[1].

საქართველოს რუსეთთან შეერთება თანამედროვე კახელი მთქმელის მიერ თათრების შემოსევასთანაა დაკავშირებული. თქმულებით ერეკლე მეფე შავნაბადას ყოფილა, როცა მტერი შემოსევია ქალაქს. მეფეს უშიშელია ხმალი, მაგრამ ნაზარ-ენეზირებს ურჩევიათ თავი დაენებებია ბრძოლისათვის, რადგანაც მტერი მრავალრიცხოვანი ყოფილა. მეფე „მაშინ წავიდა რუსეთს, გადასცა ასი წლით საქართველო"[2].

თემატიკურად ასეთ სურათს იძლევა კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი ადგილობრივი ხასიათის ერეკლე მეორის ციკლის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები. მათთვის არ არის უცხო პირველ საფუძვლიდან დაშორების მაგალითები — კონტამინაციის, ანაქრონიზებისა თუ ტექსტის ევოლუციის სხვაგვარი, ზეპირსიტყვიერების შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელი მოვლენები. შედარებით ძველ ციკლებთან ამ ციკლის ნაწარმოებებში ასახულ მოვლენებს შენარჩუნებული აქვთ კონკრეტულობა. საქართველოს ისტორიაში ერთი მეტად საინტერესო ეპოქა ამ ნაწარმოებთა მიხედვით განსახიერებულია არა მარტო ერეკლე მეორის, არამედ—მრავალ გმირთა მოქმედებით.

სოლომონ პირველის ციკლი

სოლომონ პირველის ციკლის ლექსებისა და გადმოცემების თემატიკა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ვითარებითაა განსაზღვრული. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სათავადოების სისტემის ბატონობა და ოსმალთა გაძლიერება იმერეთში, სოლომონ პირველის გმეფება და მისი ბრძოლა. მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნის, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და ოსმალთა ბატონობის მოსპობისათვის, სოლომონის პირადი ცხოვრება და სხვ., ამ ციკლის ნაწარმოებთა ძირითადი თემებია.

სათავადოების სისტემისა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის აბჯარხველია აკაკი წერეთლის მიერ გადმოცემული „წმინდა გიორგის რაზმი", რომელიც მისი სიტყვებით წეიცავს, „როგორც

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 347—352.

[2] ჩაწერილი ვანო აგურაშვილის თქმით 13 აგვისტოს 1943 წელს სოფ საბუეში (ყვარლის რ) ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ.

წერილობით, ისე ზეპირგადმონაცემ ამბებსაც". ამ გადმოცემის მიხედვით ახალგაზრდა ბატონიშვილების, სოლომონისა და არჩილის რაზმის შეუნელებელი ბრძოლებით საგრძნობლად აილაგმნენ ალექსანდრე მეფის დროს თავაშვებული ფეოდალები და დამპყრობელი თურქები[1]. ლექსები: "რაჯაბა"[2], „რეჯება და არჩილ გიგი"[3] და „რაჯაბ ბელადი"[4] ასახავენ ქართველების მიერ ოსმალების დამარცხებას. უკანასკნელი ლექსი ასახავს აგრეთვე სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის სამხედრო კავშირს და შეერთებული ძალებით ნოქიედებას საერთო მტრის წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა სოლომონ პირველის მეფობისას დაწვრილებითაა გადმოცემული მაშინდელი ამბების უშუალო მოწმისა და მხილველის მგალობელი კანდელაკის გადმოცემაში. ეს გადმოცემა ძვირფასი მასალაა ეპოქის გახვითარების გასათვალისწინებლად. მით უმეტეს რომ მოიპოვება მისი უფრო გვიან ჩაწერილი ვარიანტები.

თანამედროვის მონათხრობ ვრცელ გადმოცემაში დაწვრილებითაა აწერილი რაჭა-იმერეთის მაშინდელი ვითარება ახალგაზრდა სოლომონის სამეფო ტახტზე ასვლიდან ურჩი რაჭის ერისთავის როსტომის დასჯამდე და მეფის ძმის იოსების საკათალიკოსო კათედრიდან ჩამოსვლამდე. გადმოცემულია გაძლიერებული ფეოდალების ლეგან აბაშიძის, როსტომ ერისთავისა და მათი ნომხრეების შეუნელებელი ინტრიგები მეფის წინააღმდეგ;—ბათი კავშირი საქართველოს გარეშე მტრებთან მეფის ხელისუფლების დასუსტების მიზნით და სხვა; დაწვრილებითაა აღწერილი სოლომონ მეფის მიერ წვრილი თეოდალების თანდათანობითი შეწყვეტა, ოსმალების დამარცხება ხრესილის ომში, მეფის ხელისუფლების გაძლიერება და როსტომ ერისთავისა და მისი შვილების გატყუება სანადიროდ, თვალების დათხრა და სხვა; დახასიათებულია სოლომონ პირველის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სამეფო კარის ცხოვრება და მაშინდელი წეს-ჩვეულებანი; ზუსტადაა დასახელებული გეოგრაფიული ადგილები და მოქმედი პირები[5].

---

[1] „აკაკის კრებული", 1898 წ., № IX.

[2] ჩაწერილი ზემო რაჭაში 1945 წელს ეთერი არჯევანიძის მიერ არჩილ მარგაშვილის თქმით.

[3] ხალხური სიტყვიერება, წ. I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 6—7.

[4] იქვე, გვ. 414—415.

[5] სოლომონ პირველი დიდი, „აკაკის კრებული", 1898 წ., № IX.

თანამედროვის მიერ ნაამბობი ამ ეპიზოდის შედარება შემდეგ ხანებში ფიქსირებულ ნაწარმოებებთან ნათელ წარმოდგენას იძლევა ისტორიული საფუძვლის მქონე ნაწარმოების დროთა ვითარებაში ცვლაზე. შემდეგი დროის მთქმელებისაგან ჩაწერილი ვარიანტები კანდელაკის გადმოცემასთან შედარებით ფრაგმენტებს წარმოადგენენ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დროთა ვითარებაში ეპიზოდი გადმოცემის ცალკეული ეპიზოდები დამოუკიდებელ ნაწარმოებებად იქცნენ და ზოგ შემთხვევაში საგრძნობი ტრანსფორმაციაც განიცადეს. ასეთებია: ახალმოპოვებული, რაჭაში ჩაწერილი გადმოცემის ორი ვარიანტი „როსტომ ერისთავი და სოლომონ პირველი“ [1]. თ. მაგმაძის მიერ შეკრებილი „ზეპირთქმულებანი — იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან“, რომელიც შეიცავს ხრესილისა და რუხის ომების ამბებს [2] და სხვები. ზეპირი ნაწარმოები თაობიდან თაობაზე გადასვლისას ყოველთვის არ მოკლდება. ზეპირსიტყვიერებაში საწინააღმდეგო მოვლენასთანაც გვაქვს საქმე, როდესაც უბრალო მარტივი ამბისაგან ეპიკური თქმულება, ლეგენდა ან სხვა ჟანრის ნაწარმოები იქმნება. დასახელებული ნაწარმოებები ისტორიულ მოვლენათა თანამედროვის და უშუალო მხილველის ეპიკურად ნაამბობის შეკვეცილსა და ტრანსფორმირებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ამიტომ მათ შედარებით განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთოდ ეპოსის განვითარების შესასწავლად, კერძოდ იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გადადის თაობიდან თაობაზე, როგორ გადადის, რა მკრთალდება და იკარგება და სხვა.

კანდელაკის გადმოცემით ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებისას სოლომონ პირველი მოსალაპარაკებლად მივიდა რაჭის ერისთავ როსტომთან. „როსტომი იმ დროს საღალატოდ ემზადებოდა: უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და, რასაკვირველია, მეფის მიბრძანება სასიამოვნოდ არ დაურჩა. იმ ღამეს სასტუმროში მიიღო, თითონ არ ნახა მეფე, ბოდიში მოითხოვა: ავათ ვარო. ვახშამი დიახ საკადრისი მოუმზადა: სხვათა შორის ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე ისეც დროგამოშვებით ზარბაზანს ისროდენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალური წესით ორმოც-ორ-

[1] ჩაწერილი ეთერი არჯევანიძის მიერ 1945 წ. საბა მერკვილაძის თქმით.

[2] „ძველი საქართველო“, II, განყ. 4. გვ. 36—46.

მოცი კაცი სულ ხელჯობიანები იდგენ უიარაღოთ და ჰამის გათავების შემდეგ შეიარაღებულნი—გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, გავიდა როსტომ მეფის სანახავად განზრახ მოურიდლათ და თავხედათ: ახალუხზე ტოლომო წამოსხმული, წითელი ჯამფარის ნიფხვით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრად შეიმჩნია: „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“ — თქვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ საჭმეზე დაუწყო ლაპარაკი და თხოვა, რომ თავისი რაჭველებით ხრესილზე მისულიყო და მოხმარებოდა“. კანდელაკს მოთხრობილი აქვს რაჭის ერისთავის მიერ სოლომონ მეფისადმი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების პირობისა და შემდეგ ღალატის შესახებ. საკმაოდ ვრცლად არის აწერილი ხრესილის ბრძოლა, სოლომონ პირველის გმირობა ამ ბრძოლაში და გამარჯვება. ამის შემდეგ გადმოცემულია მეფის ხელისუფლების თანდათანი გაძლიერება.

ახალ ჩაწერილი რაჭული ვარიანტი სოლომონ მეფის როსტომ ერისთავთან მისვლით იწყება. ამ ამბის გადმოცემისას, ყურადღება რაჭის ერისთავის ქედმაღლური საქციელისადმია გამახვილებული: „როსტომ ერისთავს მოუვიდა სტუმრად მეფე სოლომონი: უპატივცემლობით გამოხედა მეფეს ქოშებისა და საცვლის ამარა. მეფემ იუკადრისა, როგორ თუ ქოშებით გამომხედაო. მაშინ რა გაეწყობოდა, ვერაფერი ვერა ჰკადრა, რადგან დახმარება სჭირდებოდა ოსმალების გასადევნათ, მაგრამ ერისთავი არ დაეხმარა“.

თანამედროვის ვრცელი გადმოცემით ოსმალების დაბარცხების შემდეგ გაძლიერებულ სოლომონ მეფეს ეწვია რაჭის ერისთავი ნვილებით. მეფემ სტუმრები გარეგანი თავაზიანობით მიიღო. ცბიერმა ერისთავმა მეფეს თხოვნა წარუდგინა: „რადგანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შეშიძლია, გთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ამბროლაურში კოშკები და სასახლე, სევას ციხე და სასახლე, ონში ციხე, სასახლე და თვით პატარა ქალაქიც. ამასთანავე ყოველი ჩემი რაჭის სამფლობელო აზნაურ-გლეხებით და სამაგიერო აქ მახლობლად სადმე მიბოძოთო“. მეფე დათანხმდა და საპასუხოდ გაუგზავნა სიგელი, რომლის მიხედვითაც უბოძა ვეზირობა და ციხე-სოფლები იმერეთში. რაჭაში კი ერისთავის მოთხოვნით გაგზავნა მეციხოვნეები ბასილა და კვირიკა იამანიძეები. ერისთავმა მეფეს გზიდანვე ბარათი გაუგზავნა:

„ნენაა მოველ და შეევაკოპ შენსა ტანაჯობასა, შენი უდასტურობა კი არღვევს ბატონ-ყმობასაო. რაკიდან ერისთავმა მეციხოვნეებად გამოგზავნილ იამანიძეებს სოლომონ მეფესთან თავხედური ბარათი გაუგზავნა:

„ეს ეს არ იქნების. ბასილა და კვირიკაო!
ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს, დავჯდე უნდა ვირიკაო?!
წადით. უთხარით თქვენს მეფეს: მე გახლავარ დიდი როსტომი!
მე ერთგული გიახელი, მიპირობდი ღალატს რატომ?
სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ. ხელი აიღე რაჭაზედ!
მიხვდი, რომ ალარ გმორჩილებ, სწორი გიდგები ძალაზედ!
რაჭის ბეგარას ავიღებ. არ გერიდები ამაზედ.
ეზაწროთ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ?
თუ მიპირობ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი, რაღას ყოვნი?
ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ მოკვრით ბარაკონი,
ხიდის კარში მკველები მყავს და კოშკები სამაგრონი.
ჩემი იყო. ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი.
ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორი ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატყუებ. ტყვილა მღერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ჭაჭაია შენი გერი“.

ამის შემდეგ კანდელაკს გადმოცემული აქვს დარბაზობა, დიდებულთა თათბირი და მეფის გადაწყვეტილება ერისთავების ამოწყვეტის შესახებ. დაწვრილებით მოთხრობილია დიდებულების თხოვნით, ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში მეფის გადაწყვეტილების შეჩერება და რამდენიმე წლის შემდეგ კათალიკოსის სამუალებით ქუთაისში ერისთავის მიტყუება.

ახალი რაჭული ვარიანტით როსტომი თავისი სურვილით კი არ მივიდა გაძლიერებული მეფის კარზე, არამედ მეფემ შურისძიების მიზნით მიიტყუა იგი და წინადადება მისცა დაეთმო რაჭის ციხე. აქ ვრცელი გადმოცემის ორი მომენტი, პირველ შემთხვევაში ერისთვის ნებაყოფლობითა და შემდეგ კი მიტყუებით ციხვლა სამეფო კარზე, გაერთიანებულია. ამ ვარიანტითაც მეფენ ერისთავთან ერთად რაჭაში გაგზავნა კაცები ციხის გასაღების მისაღებად და საპასუხოდ მიიღო თავხედური ბარათი ლექსად. ძველი ვარიანტის ვრცელი ლექსიდან ახალ ვარიანტში ცხოლოდ დასაწყისი ორი სტრიქონია დაცული, სადაც მეციხოვნე იამანიძის სახელი ბასილა მაზიად არის შეცვლილი. ეს ამბები ახალი ვარიანტის ზემოთ მოყვანილ ამონაწერს უშუალოდ მისდევს შემდეგი სახით: „სოლომონმა გადასწყვიტა მისი (იგულისხმება როსტომ ერისთავი. ქ. ს.) დასჯა და მოიტყუა

ჭუთაისს. როსტომი აქეიფა და ბოლოს გაბუკხაღა: „მინდას ციხე მომეცით, აფხანაკები ვიყოთო: მე კი იმერეთს გიზიარებო“.

როსტომმა უთხრა: — გამატანე კაცი და გამოგიგზავნი კლიტესო.

შემოვიდა როსტომი იქიდან წამოსული ნაქერალაზე და დაჯდა და წიგნი დასწერა სოლომონ პირველის სახელზე:

არა, არა არ იქნება მახია და კვირიკაო,
ციხეს მარჯვენეთ, მინდორს მაძლევთ, ჯნდა დავჯდე ვირიკაო“?

ამ მოტყუების შემდეგ სოლომონი ძალზე გაბრაზდა და გადასწყვიტა დაესაჯა როსტომი თავის შვილებიანათ და მისი ძმის იოსებ მეორის ეპისკობოსის დახმარებით“.

ძველი გადმოცემით, მეფემ კათალიკოსი დაარწმუნა, თითქოს ერისთავთან შერიგება სურდა. კათალიკოსმა თავის ბრით ეკლესიაში ბარძიმზე ფიცით დაარწმუნა ერისთავი მეფის მშვიდობიან განწყობილებაში. მეფემ ერისთავი შვილებით გაიტყუა სანადიროდ, თითონ წყალგაღმა გავიდა, მენავეებმა განზრახ გადააბრუნეს ნავი და დააყოვნეს როსტომ ერისთავისა და მისი შვილების გაყვანა. შემდეგ მიართვეს ცხენები, წაიყვანეს იაშვილისას, სადაც მეფე იმყოფებოდა და თვალების დათხრით დასაჯეს. როსტომის ერთი შვილი, ძლევამოსილი ვაქკაცი გიორგი მოკლეს კიდევაც. საერისთაო კი მთლიანად აიკლეს. რაჭველ მთქმელს ვრცელი გადმოცემის ეს მონტეები მეტად მოკლედ აქვს გადმოცემული: „სოლომონმა მოიტყუა (როსტომი. ქ. ს.) ქუთაისს ორ წყალშუა, ნავებით შეიყვანა, ვითომ სათევზაოდ და ჯარის საშუალებით ყველას თვალები დასთხარა, როსტომსაც და მის რვა შვილსაც. ხიდიკარის ციხეები კი ზოგი დაანგრია“. ასე მთავრდება ახალი ვარიანტი. ძველი გადმოცემის დასასრული—კათალიკოსის ტრაგიკული ბედი ბარძიმზე ფიცის გატეხის გამო და სხვა მომენტები მასში სრულებით არ არის.

ტექსტის ასე შეკვეცა ორი საუკუნის მანძილზე საესებით კანონზომიერი მოვლენაა. ბუნებრივია, რომ რაჭულ ვარიანტში ვრცელი გადმოცემის მხოლოდ ის ეპიზოდებია დაცული, რომელიც უშუალოდ იქაური ერისთავის როსტომის სახელთანაა დაკავშირებული.

გადმოცემის მეორე რაჭულ ვარიანტშიც, რომელიც იმავე მთქმელისგანაა ჩაწერილი, მხოლოდ როსტომ ერისთავის განდიდებისა და მეფისადმი ურჩობის ამბებია მოთხრობილი. ამ გადმოცემის მიხედვით „როსტომ ერისთავმა თავის თავი გამოაცხადა მეფეთ. სინამ-

დვილეში იგი იყო იბერეთის მოურავათ. მაშინ სოლომონი შეეკითხა წესელებს: „ვის სცნობთ მეფეთ, მე თუ როსტომსო“. მაშინ ხალხმა უპასუხა: „არა, ბატონო, მეფე თქვენ ბრძანდებით და როსტომ ერისთავი კი თქვენი მოურავი არისო“ და სხვა [1].

აღნიშნული გადმოცემების როგორც ძველს, ისე ახალ ვარიანტებს შინაარსეულად არ ეთანხმება იმავე რაჭაში ჩაწერილი ლექსი:

ერისთავს ცხენსა უქებენ,
კვიცია სამი წლისაო.
ზედ შეჯდა როსტომ ერისთავ,
ლერწამი ზღვისა პირსაო,
წელზე არტყია ქარქაში,
წითელი ზურმუხტისაო,
შიგაც ისრები უწყვია.
ნარჩევი გველის ფრთისაო (ფხისაო).
ხევ ჩამოვიდა ლაშქარი,
ოსი და ჩერქეზისაო,
ბიჭის დაჭექა სიათამ,
როსტომი დასცა ძირსაო.
როსტომის ქალო ბარბარევ,
ტოროლავ ჭიკჭიკისაო,
მოგიკლეს შენი როსტომი,
რად არ ჩამოხვალ ძირსაო,
მუთრუმში ჰპოვა სიმრავლე,
გაუშვა ვარჩი ძირსაო [2].

ეს ლექსიც ერთ-ერთი ნიმუშია ზეპირი ნაწარმოების მისი რეალური საფუძვლიდან დაშორებისა. აღნიშნული გადმოცემის ძველი და ახალი ვარიანტებით როსტომ ერისთავი ქვეყნის ორგულობისათვის მეფემ თვალების დათხრით დასაჯა; საერისთაო კი ააკლებინა. ძველი ვარიანტით ერისთავის ცოლიც აწამეს. ამ ლექსის მიხედვით კი ერისთავი ოს-ჩერქეზთა სიათამ დასცა, რის შესახებაც მის მეუღლეს აცნობეს.

ძველი ვრცელი გადმოცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როგორც აღვნიშნეთ, ბრესილის ომია. ამ ომში ქართველებს დამპყრობელი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯ-

---

[1] ჩაწერილი 1945 წ. ზემო რაჭაში ეთერი არჯევანიძის მიერ საბა მერკვილაძის თქმით.

[2] ჩაწერილი ეთერი არჯევანიძის მიერ ზემო რაჭაში 1945 წელს არჩილ მილაშვილის თქმით.

ვება ერგოთ[1]. ხრესილის ომია თემა აგრეთვე თ. მაგმაძის მონტაჟირებული გადმოცემისა[2]. მიუხედავად იმისა, რომ ორიეე ვარიანტში ხრესილის ბრძოლა სინამდვილის დიდი პრეტენზიით მეტად ოეალისტურადაა გადმოცემული, მათ შორის მაინც საგრძნობია განსხვავება. ასე, მაგალითად, თ. მაგმაძის მონტაჟი ხრესილის ბრძოლის ერთ ეპიზოდს, კერძოდ სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძის სიკვდილსა და მტრის მარცხს სხვა გარემოში და სხვაგვარად გადმოგვცემს, ვიდრე აკაკის მიერ გამოქვეყნებული თანამედროვის ერცელი მოთხრობა. ზეპირი ნაწარმოების სპეციფიკის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ერთი ვარიანტით სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძის მკვლელი შესხეთელი გლეხი გეგელა თევდორაძეა, მეორეთი კი—ხეზე მყოფი მებრძოლი ოკრიბელი ბრეგვაძე.

რეალისტურად არის მოთხრობილი იმაეე თ. მაგმაძის გადმოცემაში რუხის ბრძოლის ამბავიც.

არსებობს XIX საუკუნის დასასრულს ჩაწერილი კანდელაკის ერცელ გადმოცემაში შეტანილი ლექსის ერთი მომენტის შესატყვისი გადმოცემა. კანდელაკის ლექსის ციხედვით, როსტომ ერისთავმა დაკვინვით მოიხსენია მეფის დაქორწინება ქაჯაიას ქვრივზე. გადმოცემის მიხედვით „იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქვრიეალის ცოლათ შერთვა მოიწადინა. დიდკაცობამ იუკადრისა: „ჩვენ ბაზნაურის ნაცოლარს ვერ გავიდედოფლებთო“ და სხვა. მეფე მაინც დაქორწინდა ქვრივზე[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ანაქრონიზმის მოვლენები ამ ციკლის ნაწარმოებებში თითქმის არ გვხვდება, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ციკლის ნაწარმოებებისაგან. არც კონტამინაციის მოვლენებია მათთვის დამახასიათებელი. ჩვენთვის ცნობილ მასალებში კონტამინაციის ორიოდე შემთხვევა გვაქვს. აქედან ერთი ახალ ჩაწერილი ლექსის ნიმუშია. მასში ასეთი მოვლენა მთქმელის რეპერტუარის ბრაეალფეროვნებით აიხსნება. ამ ლექსის მიხედვით, სოლომონ მეფემ მის კარზე მისულ, მამაზე გამწყრალ ივანე ერისთავის შვილს ასე მიმართა:

ყმაწვილო, რამ მოგიყვანა,
ვიხე წამოხვალ ნწყრალადა,
ირემო, მთაზე გახრდილო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა.

---

[1] სოლომონ პირველი დიდი, „აკაკის კრებული“, 1898, IX.

[2] ხრესილის ომი, „ძველი საქართველო“, II, განყ. 4.

[3] „აკ. კრებული“, 1897 წ, № 3, განყ. II.

ამავე ლექსის მიხედვით, ხალხური ავთანდილის ანდერძი ღალატით მოწამლულ ერისთავის შვილს ეკუთვნის:

ამყარეთ თოფ-იარაღი,
ღვდელს მიეც საწირავათა,
თინათინ ისევ კაცს მიეც,
მე მჯობდეს თვალად-ტანადა,
ის ჩემი ციცე-ქალაქი
თან გაატანეთ მხვითათა [1].

სოლომონ პირველის ციკლის შედარებით მცირერიცხოვანი ნაწარმოებები, როგორც ვხედავთ, საკმაო შუქს ფენენ საისტორიო ნაწარმოებთა განვითაოების საკითხს.

თანამედროვეის მიერ მოთხრობილი ვრცელი გადმოცემის შემდეგი ხანის ჩანაწერებთან შედარებით ირკვევა, რომ ორი საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობაზე მეტწილად საგმირო-პატრიოტული ამბები გადმოსულა. ასეთებია: სოლომონ პირველის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებანი დამპყრობელ ოსმალებზე ხრესილისა და რუხის ბრძოლებში; სოლომონ პირველის ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ; — განსაკუთრებით როსტომ ერისთავის ალაგმვა. რაც შეეხება საყოფიერო დეტალებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი დავიწყებას მისცემოდნენ, მაგრამ საგმირო ამბებთან შედარებით მაინც მკრთალად აღიან წარმოდგენილი.

სოლომონ მეორის ციკლი

საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობა-განვითარების გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია სოლომონ მეორის ციკლიც, რომელიც აგრეთვე შედარებით მცირერიცხოვანი ნაწარმოებებითაა წარმოდგენილი. ამ ნაწარმოებთა თემებია: სოლომონ მეორის გამეფება [2]; თავადთა თავაშვებულება, სოლომონ მეორის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის შეუნელებელი ინტრიგები, რამაც იმსხვერპლა სოლომონ

[1] ჩაწერილი ეთერი არჯევანიძის მიერ ზემო რაჭაში, ს. წესში 1945 წ. არჩილ მილაშვილის თქმით.

[2] „აკაკის კრებული, 1897 წ., № 3, განყ. II.

ლეონიძე[1]; ბრძოლა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის[2]; რუსის ჯარების შემოსვლა საქართველოში[3] და სხვა.

საისტორიო გაბმოცემის პირველ სახეზე წარმოდგენას იძლევა სოლომონ მეორისა და სოლომონ მსაჯულის ურთიერთობისა და ზურაბ წერეთლის მეფესთან დამოკიდებულების ამსახველი ნაწარმოებები. ამ გადმოცემებში, რომლებიც თანამედროვეთა მიერ არის მოთხრობილი, დაწერილებითაა აწერილი ისტორიული და ფსევდოისტორიული ფაქტები. ეს ფაქტები თავისებურადაა განვითარებული შემდეგი ხანის მთქმელების შემოქმედებაში. სოლომონ პირველის ციკლის ნაწარმოებთა განვითარების საკითხთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნეთ თანამედროვის მიერ მოთხრობილი ამბის შემდეგი დროის მთქმელებისაგან შეკვეცის მაგალითები. იქვე აღვნიშნეთ, რომ ზეპირსიტყვიერებას საწინააღმდეგო მოვლენაც ახასიათებს. თანამედროვის მიერ მოთხრობილი ფაქტი შემდეგი ხანის მთქმელების მიერ ვრცლად არის გადმოცემული ლექსებში როგორიცაა: „შაქარა კიკნაძე“[4] და „ხახულმა ჯარი აწვია“[5]. თანამედროვის მონათხრობი გადმოცემით, სოლომონ მეორემ ლეონიძე რუსეთის იმპერატორთან გაგზავნა ელჩად. სოლომონ მსაჯული პირველად დიდი პატივისცემით მიიღო რუსეთის იმპერატორმა, მაგრამ შემდეგ სოლომონ მეორის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ინტრიგის შედეგად იგი გულცივად უკან გამოისტუმრა. შემდეგ ელჩად გაიგზავნა ზურაბ წერეთელი, რასაც შედეგად მოყვა რუსის ჯარის შემოსვლა საქართველოში[6]. თანამედროვის გადმონაცემ ამბავთან, იმერეთში რუსის ჯარის შემოსვლასთანაა დაკავშირებული ბრძოლაში დაღუპულ გმირზე ნათქვამი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაწერილი ლექსი:

რუსის ჯარი რო მევიდა,
ჩამეიპარა ვანსაო,
ზურაბ დაირა დოუკრა,
დავით ბაქრაძის კარსაო.

---

[1] ც. არქ., № 335, გვ. 10, ფ. 114.

[2] „კვალი“, 1896 წ., № 24.

[3] „შაქარა კიკნაძე“, ხალხ. სიტყვ. ექ. თაყაიშვილის რედ., წ. 1, გვ. 8—9., „ხახულმა ჯარი აწვია“, პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვ., გვ. 124—125.

[4] ხალხ. სიტყ., ექ. თაყაიშვილის რედ., წ. 1, გვ. 8—9.

[5] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 124—125.

[6] საქ. ცენტრ. არქ. № 355, გვ. 10, ფ. 114.

დავით ბაქრაძის ცოლ-შვილი
იქ შეუყენეს მთასაო.
მას ხოსია უკან მიდევს,
მიაპკენებს მერანსაო;
მას შაქარა უკან მიდევს,
მიაპრიალებს ხმალსაო
შაქარ კიკნაძე მოგვიკლეს,
სუყველას ჯობდა ძმასაო... და სხვა[1].

აღსანიშნავია, რომ უფრო გვიან ჩაწერილ ამ ლექსის ვარიანტებში რუსის ჯარის შემოსვლის გამომწვევი მიზეზები აღარ არის გადმოცემული.

სოლომონ მეორის ციკლის ნაწარმოებებს მსგავსად სოლომონ პირველის ციკლის ნაწარმოებებისა არ ახასიათებთ კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოყვანილ ლექსში შაქარა კიკნაძესთან ერთად ხოსიას ხსენება. იგი სოლომონ პირველის თანამებრძოლი ვაჟკაცი ხოსია მაჭავარიანი უნდა იყოს[2], რომელიც შეიძლება სოლომონ მეორის თანამედროვეც ყოფილიყო. ასე რომ, მისი ხსენება აღნიშნულ ლექსში ანაქრონიზმი არ არის. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს 1944 წ. იმერეთში ჩაწერილი გადმოცემა, რომელიც იძლევა გვარის—წერეთლისა და გეოგრაფიულ სახელწოდების—საჩხერეს ხალხურ ეტიმოლოგიას. იგი თვალსაჩინო ნიმუშია დროთა ვითარებაში ზეპირი ნაწარმოების რეალური საფუძვლიდან დაშორებისა. ამ გადმოცემით ზურაბ და გრიგოლ წერეთლები იმერეთის მეფის ქალიშვილს ლეკის შთამომავალისაგან შესძენია. „მეფის მემკვიდრეებად ისინი დარჩენილან და გამხდარან მეფის უახლოესი ნათესაები, აქედან მისდის სახლთუხუცესობა. რუსების შემოსვლისას არეულობა მომხდარა იმერეთში. რაჭაში ყოფილა იაშვილი, ამას მოუნდომებია მეფობა. როსტომ ერისთავი ქვემო რაჭაში ყოფილა, მიხტომებია იაშვილს, დაუჭერია შვიდივე ძმები და ეკლესიაში დაუმწყვრევია და თვალები დოუთხრია. ერისთავი წამოსულა შემდეგ რაჭიდან და ხვადაბური წაურთმევია გრიგოლისათვის და ზურაბისათვის. გრიგოლს და ზურაბს უთქვია, რაღა ჩვენი ვაჟკაცობა და წასულან რუსეთში საჩივლელად. მისულან რუსთა მეფესთან, შეუთვლიათ: იმე-

[1] ხალხ. სიტყვ., ექ. თაყაიშვილის რედ., ნ. 1, გვ. 8—9.

[2] იხ. ლექსები: „საბაშიო შეშინდა", პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 115; „რეჯება და არჩილ გიჟი", ხალხ. სიტყვ. ნ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 6—7 და სხვა და გადმოცემა „წმინდა გიორგის რაზმი", „აკაკის კრებ.," № IX, 1898 წ.

რეთიდან ვართო და თუ მიგვიღებთო. მეფეს მიუღიათ. მოუხსენებიათ მეფისთვის, რომ „საქართველოში ისეთი ამბავია, რომ ძალლი პატრონს ვერა სცნობსო. მომეცი ჯარი, წავიყვან საქართველოში. არც ერთ ჯარისკაცს არ მოგიკლავ და საქართველოს ჩაგაბარებო". მეფეს უბრძანებია: „წერეთელმა ხელის მოწერაც რომ არ იცოდეს, ეპისკოპოსობას მივცემო". ჯარი წამოუყვანიათ დარიალის ხეობით, კახეთი, თბილისი, გაუმაგრებიათ რიკოთის მთა (სურამის მთები), მაჯრამ ვერ გამკლავებიან და წამოსულან. ამის მომსწრე ყოფილა და თითონაც პირადათ მიუღია მონაწილეობა როსტომ ზურაბისძე წერეთელს. შემოსულან იმერეთში. გრიგოლი წამოსულა ერთ მხარეზე. ზურაბი წასულა რაჭაში. დაუჭერიათ როსტომ ერისთავი და დაუთხრიათ თვალები. აუღიათ აფხაზეთამდე, შემდეგ წასულან პეტერბურგში და მოუხსენებიათ: „საქართველო ჩაგაბარეთო". თითონ თურმე იქერდენ ურჩებს, ამოშენებული ქონიათ ეკეტერი მდინარის ქვეშ, იქ მიიყვანდნენ ურჩებს და ცხენიანა კაციანა იქ აგდებდენ". შემდეგ მოთხრობილია რუსეთის მეფის მიერ საქართველოს თავადაზნაურობის თბილისში შეკრება, სახლთუხუცესის შვილისშვილის ნესტორ წერეთლის რუსეთში წასვლა, ჩინის მიღება, მოხუცობის ჟამს საჩხერეში დასახლება და სხვა[1]. მიუხედავად იმისა, რომ მოქმელს სინამდვილის დიდი პრეტენზიით აქვს მოთხრობილი ამბები და მათი მომსწრენიც კი ყავს დასახელებული, გადმოცემა მაინც კონტამინაციისა და ანაქრონიზმის მოვლენებითაა სავსე. მასში შეერთებულია სოლომონ პირველის ციკლისა და სოლომონ მეორის ციკლის თანამედროვეთა მიერ მონათხრობი ამბები. ამის შედეგია აგრეთვე სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის თანამედროვეთა გადმოცემის მოქმედი პირების როლების შეცვლა, როგორიცაა ზურაბ წერეთლის მიერ როსტომ ერისთავისათვის თვალების დათხრა და სხვები.

ასეთია განხილული მასალების მიხედვით საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ერთი გზა. ზეპირი ნაწარმოები თანდათან შორდება თავის პირველ საფუძველს და სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სოციალურ გარემოში მრავალი მთქმელის ცოდნისა და შემოქმედებითი უნარიანობის გამომხატველი ხდება. ზეპირი ტრადიციის შედეგად ნაწარმოებში ასახული გრანდიოზული მოვლენე-

[1] ჩაწერილი ქეთევან წერეთლის მიერ გრიგოლ დავითისძე წერეთლის თქმით 16/11—1944 წელს იმერეთში, ს. ლახვანდარში (ორჯონიკიძის რ.).

ბიც კი კარგავენ კონკრეტულობას და ზოგად სახეს ღებულობენ. ხშირ შემთხვევაში ახალ-ახალი შემოქმედებითი პროცესის შედეგად ერთხელ რეალისტურად აწერილი ფაქტები ფანტასტიკის გამჭვირვალე სამოსელში ეხვევიან. ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, ძველსა და ახალ ციკლებს შორის განსხვავებაა. ძველ ციკლებში განზოგადოებული ფაქტები ერთი გმირის მოქმედებასთანაა დაკავშირებული, ახლებში კი კონკრეტული მოვლენები სხვადასხვა პირთა მოქმედებითაა განსახიერებული.

2. ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავება

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მდიდარ და მრავალფეროვან ფონდში იშვიათი არ არის ადრევე შექმნილი ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების შემთხვევები. ამის გამო ბევრი საისტორიო ნაწარმოები ფანტასტიკურია და ხშირად მითოსის კვალსაც ატარებს; მასში განსახიერებული ისტორიული პირი კი ზებუნებრივად ჩანს. ასეთი მოვლენები საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში ხალხური სიტყვიერების ცოცხალი ტრადიციის დიდი შემოქმედებითი ძალის მაჩვენებელია.

ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების მხრივ საისტორიო ჟანრებიდან აღსანიშნავია ლეგენდები და თქმულებები. ზოგ შემთხვევაში ასეთი მოვლენები ლექსებსა და გადმოცემებშიც გვხვდება. საისტორიო ნაწარმოებთა ეს ჟანრები ამ მხრივ ზღაპრების მსგავსია. განსხვავება იმაშია, რომ ზღაპრებში ასეთი შემოქმედებითი პროცესი უფრო ხშირია. სამაგიეროდ საისტორიო ნაწარმოებში იგი უფრო აშკარად ჩანს. ორივე შემთხვევაში ტრადიციული სიუჟეტისა და მოტივის ეპიური დამუშავებისას ნაწარმოები კოლორიტული ხდება. კერძოდ, საისტორიო ნაწარმოები კი ეხმაურება ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. მთქმელები ტრადიციულ სიუჟეტებსა და მოტივებს იყენებენ ისტორიული მოვლენებისა და პირების განსახიერების საშუალებად. ეს მოვლენა ხალხურ სიტყვიერებაში ტრადიციული ნაწარმოების ერთგვარი გაახლებაა, მისი ახალი შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელია. ასეთ ნაწარმოებებს ხშირად გააჩნიათ მსოფლიო პარალელები და ანალოგიები.

მარქსისტულ—ლენინურმა მეცნიერებამ საბოლოოდ უარყო სესხების თეორიის პრინციპები. ამ თეორიის ძირითადი ნაკლია ეროვნული კულტურის უგულებელყოფა და ნაწარმოების სოციალური გარემოსაგან, მისი ისტორიულ-ნაციონალური ნიადაგიდან მოწყვეტა, მისი შესწავლისას—ერთგვარი სქემატიზმი. სესხება შემოქმედებითი გადამუშავების გარეშე არ ხდება. შემოტანილი სიუჟეტის ნაციონალურ ნაწარმოებად ქცევას ყოველთვის სოციალური სარჩული აქვს. ხალხური შემოქმედების განვითარების ეს მომენტი ხაზგასმით აღნიშნა პ. ლაფარგმა: „Сюжет порой может быть запесен извне, но он принимается только в том случае, когда соответствует духу и обычаям тех, кто его усыновляет“ [1]. აკად. ნ. მარის თეორიით სიუჟეტთა და მოტივთა მსგავსება საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენაა. ნიკ. მარის სკოლის ასეთი კონცეფცია სიუჟეტთა მსგავსების შესახებ, როგორც ეს აღნიშნა პროფ. მ. კ. აზადოვსკიმ [2], კარგად აქვს ფორმულირებული ბ. ვ. კაზანსკის თავის ნაშრომში „ტრისტან და იზოლდას“ შესახებ: „Сюжет возникает, как явление идеологической надстройки, и его оформление необходимо подчиняется требованию и совершается в категориях общественной идеологии, в формах общественной мысли, обусловленных данной социально-исторической эпохой и средой. Материал, из которого он строится, т. е. темы и мотивы, не произвольно и не механически заимствуются, а подчиняясь той же закономерности творчества и тем же идеологическим требованиям и предпосылкам, которые обусловливают, больше того, образуют основную концепцию сюжета“ [3].

ამ შემთხვევაში მიზნად არ ვისახავთ ქართული ფოლკლორის საისტორიო განყოფილებაში არსებული ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების გენეზისის საკითხების კვლევას. ასეთი სიუჟეტებისა

---

[1] Поль Лафарг, Свадебные песни и обряды, Очерки по истории культуры, стр. 55.

[2] М. К. Азадовский, Об одном сюжетном совпадении. Ак. Н. СССР, XLV Ак. Н. Я. Марру, изд. АН. СССР, М. Л., 1935, стр. 588.

[3] Б. В. Казанский, Античные аспекты сюжета Тристана и Изольды. Тристан и Изольда, Труды Инст. языка и мышления, II, 1932 стр. 120.

და მოტივების აღნიშვნისას ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ზოგ შემთხვევაში ისტორიული მოვლენის განსახიერების საშუალებად გამოყენებულია ამ მოვლენაზე უფრო ძველი სიუჟეტი ან მოტივი. მათი აღნიშვნითა და ცალკე გამოყოფით შეიძინება საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ერთ მომენტს. ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზების გასათვალისწინებლად ჩვენ მათ საზოგადოებრივ-ისტორიულ-ნაციონალურ ნიადაგს ვაჩვენებთ. საისტორიო ნაწარმოებების მიმართ მეტწილად ხერხდება გარკვევა იმისა, თუ გარკვეულ სოციალურ გარემოში ძველი, ტრადიციული სიუჟეტი ან მოტივი რატომ იქცა ისტორიული სინამდვილის პოეტური განსახიერების საშუალებად. ასეთ შემთხვევებში ორგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ერთი, როდესაც ისტორიული ფაქტის განსახიერების მიზნით მთქმელი იყენებს ტრადიციულ სიუჟეტს და მასში ახალი მოტივები შეაქვს; მეორე, როდესაც იმავე მიზნით მთქმელს შედარებით ახალი წარმოშობის სიუჟეტში შეაქვს ტრადიციული მოტივი. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით ორივე მოვლენას თანაბარი ღირებულება აქვს. ამიტომ მათ ერთად ვიხილავთ. პირველ შემთხვევაში ტრადიციული სიუჟეტის სოციალური თუ ნაციონალური საფუძვლის აღნიშვნისას, შემოქმედებითი პროცესის გათვალისწინების მიზნით ზოგჯერ ვჩერდებით ქართულსა და უცხო ტრადიციულ არასაისტორიო და საისტორიო ნაწარმოებთა საერთო და განსხვავებულ ეპიზოდებზე. მეორე შემთხვევაში კი ამავე მიზნით მეტწილად ტრადიციული მოტივის მხოლოდ საზოგადოებრივ-ისტორიულ საფუძველს ვუჩვენებთ.

ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების თვალსაზრისით საისტორიო ნაწარმოებთა ყველა ციკლი ერთგვარი არ არის. ზოგ მათგანში ძლიერია შემოქმედებითი პროცესის ასეთი მომენტი; ზოგში—ნაკლები; ზოგში კი სრულებით არ არის იგი. ამ შემთხვევაში ძირითადი მსაზღვრელი ფაქტორი ცალკეულ ციკლთა რეალური საფუძველი, ან ამ საფუძვლის დრო და მასშტაბია. რაც მეტად დაშორებულია შემოქმედისაგან თუ მთქმელისაგან ისტორიული სინამდვილე, ან კიდევ რაც უფრო გრანდიოზულია ეს სინამდვილე, მით უფრო ძლიერია ნაწარმოებში მისი პოეტიზაცია. ეს გარემოება საზღვრავს მეტწილად ციკლის ჟანრობრივ თავისებურებასაც.

შორეულ ეპოქათა ამსახველი ციკლები, რომელთაც ძველს ვუწოდებთ, მდიდარია ტრადიციული სიუჟეტებითა და მოტივებით. რაც უფრო გვიან ეპოქაშია ციკლის რეალური საფუძველი, რისთვისაც მას ახალს ვუწოდებთ, იმდენად სინამდვილის ნაკლებ პოეტიზაციასთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, თამარ მეფის ციკლი მდიდარია ტრადიციული სიუჟეტებითა და მოტივებით. საქართველოს ძლიერების ხანის ხელმძღვანელის სახელს დაკავშირებია მითოლოგიაში ცნობილ ღვთაებათა ძლევამოსილების, სიბრძნისა და სიწმინდის ამსახველი მოტივები. საკმარისი ოდენობით გვხვდება ასეთი სიუჟეტები და მოტივები ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის ციკლებში.

ერეკლე მეორის ციკლის რეალისტური ხასიათის ნაწარმოებებში ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება მითიური მოტივების ეპიური დამუშავების შემთხვევები.

ტრადიციული სიუჟეტი არც ზურაბ ერისთავის ციკლისთვისაა უცხო. რაც შეეხება შალვა ახალციხელის, ბახტრიონის აღებისა და შაჰ-აბასის ციკლების ნაწარმოებებს მათთვის ჰიპერბოლები უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ტრადიციული მოტივები.

სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლებისათვისაც არ არის დამახასიათებელი ტრადიციული სიუჟეტები და მოტივები.

უძველესი სიუჟეტებისა და მოტივების გაახლება, მათი გადამუშავება ისტორიულ-ნაციონალურ ნიადაგზე ხდება. ასეთი პროცესი სოციალური გარემოთი არის განსაზღვრული. თვით ერთსა და იმავე ხალხშიც კი ერთი და იგივე სიუჟეტის ან მოტივის გაახლება სხვადასხვაგვარია. ამ შემთხვევაში სხვაობას, სოციალურ გარემოს გარდა ქვეყნის კუთხეთა თავისებურებანიც საზღვრავენ. ხშირად კი მსაზღვრელი მთქმელის პოეტური მანერაც არის. ერთი მთქმელი გარკვეულ სიუჟეტს ან მოტივს თავის კუთხის ელფერს აძლევს; სხვა კუთხის იმავე სოციალური ფენის წარმომადგენელი მეორე მთქმელი ამავე სიუჟეტსა თუ მოტივს სხვაგვარად აფორმებს. ამაშია ხალხური ნაწარმოების ცოცხალი ტრადიცია, შემოქმედებითი ძალა. იგი საზოგადოებრივ-ისტორიულ-ნაციონალურ და ხშირად კუთხურ ნიადაგზე უნდა აიხსნას. ფაქტიური მასალები ცხადყოფენ, რომ ქართველმა მთქმელებმა უბრალოდ კი არ გაიმეორეს უძველესი სიუჟეტები და მოტივები, არამედ ისინი აქციეს ისტორიული სინამდვილის პოეტური განსახიერების საშუალებებად. ხშირ შემთხვევაში ამგვარ სიუჟეტებსა და მოტივებს უაღრესად კუთხური ელფერიც აქვს მიღებული. ყველა ეს

გარემოება გვავალებს საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების არა მხოლოდ აღნიშვნას, არამედ მათი ისტორიული ფონის გათვალისწინებას. სათანადო მასალების არსებობის შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მთქმელთა შემოქმედების სოციალურ-ნაციონალური და კუთხური ნიშნები.

ერთი და იგივე ტრადიციული სიუჟეტი თუ მოტივი ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ პირებთან არის დაკავშირებული. რაკი ჩვენ ამ სიუჟეტებისა თუ მოტივების საზოგადოებრივ-ისტორიულ ნიადაგს ვუჩვენებთ, ამის გამო მათი ეპიური დამუშავების შემთხვევები განხილულია არა ციკლობრივად, არამედ—ცალკეულ სიუჟეტთა და მოტივთა მიხედვით.

* * *

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო სიმღერაში გეხვდება დიდი ეროვნული გმირის ზეცასთან კავშირის ხასიათის მოტივი.

ეროვნული გმირის ზეცასთან კავშირის მოტივი ცნობილია ბიბლიური თქმულებითაც. ამ თქმულებით ებრაელი ხალხის დიდი ეროვნული გმირი და კანონმდებელი მოსე მაღალი მთების საშუალებით უკავშირდებოდა ღმერთს. ამგვარად მიიღო მან კანონი თავისი ხალხისთვის [1].

მსგავსი მოტივი დაკავშირებული ბოროტ სულთან ცნობილია უძველეს თალმუდურ თქმულებაშიც. თალმუდური თქმულებით დემონთა მეფე ასმოდეი ყოველ დღე მაღლდებოდა ზეცაში, სწავლობდა იქაურ სკოლაში, შემდეგ ეშვებოდა ძირს და ამქვეყნიურ სკოლაშიც სწავლობდა.

ქართულ სინამდვილეში ამ მოტივს მკვიდრი საზოგადოებრივ-ისტორიულ-ნაციონალური ნიადაგი აქვს. ქართველ ხალხს თავის საყვარელ ძლევამოსილ გმირზე შეუქმნია სიმღერა „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა". ამ სიმღერის სხვადასხვაგვარი სოციალური ფუნქცია, როგორც ეს თავის ადგილას აღვნიშნეთ, მისი ოეალური საფუძვლითაა გამართლებული. ამ სიმღერის საფუძვლად მისი ერთი ვარიანტის ჩამწერმა მართებულად მიიჩნია ქართველი ხალხის ძველი რწმენა ზებუნებრივ გმირთა შესახებ. წმინდა გმირებს

[1] Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете. Пер. с англ. М. Л., 1931, стр. 253.

ძველი რწმენის მიხედვით ციური ზარების რეკა ესმით. მთავარი ის არის, რომ ამ სიმღერით მადლიერმა ხალხმა ვახტანგ გორგასლის ძლევამოსილება ასახა. ძველი რწმენაც ამ ძლევამოსილებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ კახელმა მთქმელმა ჭიმიამ ეს სიმღერა მოხდენილად ჩაურთო თქმულებაში. ამით მან თავის მსმენელებს უფრო სრულქმნილად წარმოუდგინა დიდი წინაპრის სახე.

ვახტანგ გორგასალზე შექმნილი ამ სიმღერის პირველი ოთხი სტრიქონი, როგორც აღვნიშნეთ, ციკლიზაციის წესით დაუკავშირდა თამარ მეფის სახელს. ამით ხალხმა, როგორც ეს მართებულად აღნიშნა აკაკი წერეთელმა, ზედმიწევნით ასახა ძლევამოსილება, სიდიადე და სიფაქიზე საყვარელი მეფე ქალისა[1]. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თამარ მეფე სიცოცხლეშივე იყო ღმერთის მოკავშირედ წარმოდგენილი. თამარ მეფე მისი თანამედროვე ისტორიკოსის მოთხრობით ღმერთის მოციქული იყო. ძლიერმა ღვთისმოყვარეობამ მისცა მას უნარი ესმინა ზეციური ხმა[2]. ისტორიკოსის მოთხრობითვე თამარი ღმერთს სიზმრის საშუალებით უკავშირდებოდა[3]. თამარის წინაშე ღმერთი სასწაულებს ახდენდა[4]. იმავე ისტორიკოსის ცნობით თამარ მეფე ღმერთს უყვარდა. მას ღვთისაგან ჰქონდა მინიჭებული პატივი. იგი ღმერთის კარნახით მოქმედებდა[5]. თამარ მეფე მის სხვა თანამედროვეთა მიერაც ღმერთის სწორად იყო მიჩნეული. მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი მას „ღვთის სწორს" უწოდებს[6]; ასევე იხსენიებს მას ანტონ ჴყონდიდელი 1204 წ. გუჯარში[7]; ზეციურად და წმინდანად არის დახატული თამარ მეფე მის თანამედროვეთა მიერ შექმნილ პოეზიაშიც. შავთელი მას ასე მიმართავს:

ბანაკად საღმრთოთ
ერ—სახეპუროდ
ხარ ღვთის-მეტყველთა
მათ ჴურვილთაგან[8]:

---

[1] აკაკი, ზეპირსიტყვაობის გამო, „კრებული", 1897, № 1.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოც., გვ. 113.

[3] იქვე, გვ. 114.

[4] იქვე, გვ. 115.

[5] იქვე, გვ. 123.

[6] ვახუშტი, საქართვ. ისტ., გვ. 217.

[7] Пурцеладзе, Церков. гудж., стр. 96—97.

[8] აბდულმესია, Тексты и разыскания, IV, გვ. —ლე—

...წმინდათ მემწყობრე,
მათთან მოსაგრე,
ზეცისა ძალთა
ხარ მოდასეცა[1];
...ნეტარ ხარ ყოვლად
წმიდათ და ცხოვლად[2].

ჩახრუხაძემ მას უწოდა „სიმაღლით ცებრი“ და „ჯვარითაც ღმერთთან მიმომთმინარი“[3]. თუ ასე დაახასიათეს თამარ მეფე მისმა თანამედროვეებმა, ბუნებრივია, რომ მომდევნო საუკუნეების მთქმელებმა მისი სახე მითიური ელფერით შემოსეს. ისტორიკოსის მოთხრობა შეიძლება მივიჩნიოთ საფუძვლად იმ ფანტასტიკური ლეგენდისა, რომლითაც თამარმა ააშენა ვარძიის მონასტერი. ამ ლეგენდის მიხედვით, როდესაც თამარ მეფეს დაუწყია მონასტრის შენება „ღამე იარაღი გაპარულა და იმ კლდეში, ახლანდელ ვარძიაში უპოვნიათ. მეორეთ კიდევ მოუტანია ის იარაღი, დაუწყვია იქ, მაგრამ ღამით კიდევ გაპარულა. დილით მისულან და უნახავთ, იარაღი კიდევ ვარძიაშია. მაშინ უთქვამს, რომ ეს ღვთის საქმეა და ამის შემდეგ იქ გაუკეთებია მაღაროები“[4].

ხალხის ფანტაზია დიდად არ აჭარბებს ისტორიკოსის მოთხრობას ეფრატის ტაძართან დაკავშირებულ ლეგენდის მიხედვით. ამ ლეგენდით თამარ მეფეს სასწაულებრივმა შუქმა ანიშნა ეკლესიის აშენების ადგილი[5].

ისტორიკოსის მოთხრობას ეხმაურება ფშაური პოეზიაც. ერთი ლექსის მიხედვით თამარ მეფე სიზმრით დაუკავშირდა ზეცას:

თამარს ენახა დედოფალს
სიზმარი ნამყოფს ფშავშია,
ცა განხმულიყო და გუნდი
ანგელოზების ცაშია[6].

თამარის თანამედროვეთა შეხედულებას იმეორებენ ხალხური მომღერლები უკანასკნელ ხანებში ჩაწერილი, ლაშარობას შესრულებულ საფერხულო სიმღერის მიხედვით:

---

[1] Тексты и разыскания, IV გვ. —ლი—

[2] იქვე, გვ. — პდ. —

[3] იქვე, გვ. — პდ. —

[4] ფოლკლ. სექც. მას. № 13007.

[5] „ივერია“, 1895, № 146.

[6] ჩაწერილი ვაჟა-ფშაველას მიერ, ს. ჯანაშიას სახ.საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. S—5317.

... პირველად ღმერთი ვაკსენოთ,
ეგ უფრო დიდებულია.
მერე თამარ ნეფე ვაკსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია [1].

აღნიშნული გარემოებანი მკვიდრი საფუძველია ვახტანგ გორგასალზე შექმნილი სიმღერის ციკლიზაციის წესით თამარის სახელთან ამგვარად დაკავშირებისათვის:

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ამგვარად, ქართული სიმღერის ტრადიციული მოტივი ორივე შემთხვევაში, როგორც ვახტანგ გორგასლის, ისე თამარ მეფის სახელთან დაკავშირებით, ქართული სინამდვილის პოეტურად ამსახველია.

* * *

ქართული სიმღერის აღნიშნულ მოტივთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ქართულ საისტორიო ნაწარმოებებში ასახული გმირთა უკვდავების რწმენა. ასეთი რწმენის საფუძველზეა გამოყენებული მსოფლიო ეპოს'ში ცნობილი გმირთა უკვდავებისა და მათთან ზეცასთან კავშირის მოტივი.

შატა პათხა ბრაჰმანას მიხედვით კეთილი ადამიანები ციურ არსებებად გარდიქმნებიან [2]; აფრიკული თქმულებით თსუი-გოაბა რამდენიმეჯერ მოკვდა და გაცოცხლდა [3]; პროვანსული ლეგენდით ხალხს არ სჯეროდა ნეაპოლის მეფე ქალის—მშვენიერი ჯიოვანას სიკვდილი [4]. ინგუშური ეპოსის მიხედვით ნართი ბატრგ-შერდტგა კვდებოდა და ისევ ცოცხლდებოდა, ე. ი. მიემგზავრებოდა იმ ქვეყნად და ბრუნდებოდა ამ ქვეყნად [5]; სერბული ეპოსის მიხედვით ძლევამოსილი გმირი მარკო კრალევიჩი არ მომკვდარა. მას გამო-

[1] ენიმიკის მოამბე, XI, გვ, 131.

[2] Э. Ланг, Мифология, Перевод под. ред. Харузиных, Москва, 1901, стр. 168.

[3] იქვე, გვ. 104.

[4] „Кавказ", 1898, №№ 6,7.

[5] Далгат, Странчка из Сев.—Кавказск. богатырского эпоса, „Этнографическое обозрение", кн. IV, стр. 36.

შვაბულში სძინავს. მისი ხმალი კედელზე ჰკიდია; ცხენიც გამოქვა ბულთან არის. ის ისევ მოვა სერბიის დასახსნელად[1].

გმირთა უკვდავების მოტივი წარმართული სოფლმხედველობი დან მოდის. ეს მოტივი ცნობილია ბაბილონურ ღვთაებათა იშტა რისა და თამუზის და სხვათა შესახებ არსებულ ლეგენდებში. ი გმირების მხატვრული სახის პროტოტიპიც, რომელთაც ეს მოტივი დაკავშირებია, მომაკვდავი და ისევ აღდგენის უნარის მქონე ღვთაება შეიძლება იყოს.

მსოფლიო ეპოსის ეს ტრადიციული მოტივი ქართულ სინამდვილეში თამარ მეფის, ერეკლე მეორისა და სხვა გმირების სახელებთანაა დაკავშირებული. ამ მოტივსაც გარკვეული საზოგადოებრივ-ისტორიულ-ნაციონალური საფუძველი აქვს. ისტორიკოსის სიტყვებით თამარ მეფის ნეშტი „წარიყვანეს სამკვდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა"[2]. გელათში თამარ მეფის საფლავი არ არის აღმოჩენილი. იქ გათხრაც კი აწარმოეს საფლავის აღმოჩენის მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. შესაძლებელია, ისტორიკოსის ცნობა არც იყოს სწორი, ან კიდევ—გარკვეული მოსაზრებით თამარის ნეშტი შემდეგ არის სხვა ადგილას გადატანილი. ხალხისთვის ადრიდანვე არ უნდა ყოფილიყო ცნობილი დიდებული ქალის ნეშტის ადგილსამყოფელი. ამის გამო ჩვენ ერთგვარი რეალური საფუძვლის მქონედ მიგვაჩნია ის ლეგენდები და თქმულებანი, რომელნიც თამარ მეფის გარდაცვალებისა და მისი საფლავის ადგილის შესახებ არის შექმნილი. ჩვენ. აღვნიშნეთ სვანეთში[3], მესხეთ-ჯავახეთში[4], ოსეთში[5] და სხვაგან გავრცელებული თქმულებები და ლეგენდები, რომელთა მიხედვით თამარ მეფე ზეცას ავიდა, რათა საჭირო შემთხვევაში მხსნელად მოევლინოდა საქართველოს; ან კიდევ რომელთა მიხედვითაც თამარის ნეშტის ადგილსამყოფელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აჩვენებენ[6]. ამ თქმულებებსა და ლეგენდებში ტრა-

---

[1] Сербский эпос, აღნიშნ. გამოც., გვ. 78.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აღნიშნ. გამოც., გვ. 140.

[3] სვანური პოეზია, აღნიშნ. გამოც., გვ. 313; ფოლკლ. სექც. მას. № 8110.

[4] „მოგზაური" 1902, № 7, 8; „ძვ. საქართვ.", II, განყ. 4, გვ. 48—49; ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2004.

[5] Сб. мат. для опис. мест. и пл. Кавказа, т. 27, განყ. 111, გვ. 40—42; ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002.

[6] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, აღნიშნ. გამოც., გვ 35—37.

დიციული მოტივი თავისებურადაა გადამუშავებული. ქართველ მთქმელებს იგი ღრმა პატრიოტული დანიშნულებით გამოუყენებიათ. ჩვენ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ ზეცაში ამაღლებით, გაუჩინარებითა და საფლავის დამალვით ქართველი მთქმელები თამარ მეფეს უპირისპირებენ დამპყრობლებს[1]. ტრადიციული მოტივის შემცველი ქართული თქმულებებისა და ლეგენდების კუთხური ტენდენცია მთქმელთა პატრიოტული გრძნობებით აიხსნება. მთქმელები თითქოს ეჯიბრებიან ერთიმეორეს თამარის საფლავის თავიანთ კუთხეში ჩვენებით. ამ მხრივ საყურადღებოა სვანური თქმულების ერთი ახალმოპოვებული ვარიანტი. ამ თქმულებით თამარ მეფე სვანეთში, უშგულშია დასაფლავებული. 100 წლის მოხუცს სოზარ გულბანს ღრმად სწამს ამ თქმულების სინამდვილე. მისი სიტყვებით „თამარ მეფე ცხადია, რომ სვანეთში მარხია. ეს გათავებული ანგარიშია. რამდენი ამაზე ყოფილა ლაპარაკი. მას სვანეთში, უშგულში ჰქონია სადგომი“. სოზარმა თქმულება ასე დაამთავრა: „თამარის საფლავზე უშგულში ბევრი ნაძვებია და ვერავინ ვერ გაიგო. ეს კი ცხადია, რომ იქ მარხია. უბნობენ, რომ მას ბარგი ჰქონდა ბევრი, სად არის არ იციან. მე ვარ წასული იმაზე. თავრობა ეძებდა, ეგება სადმე არისო დაწერილი წიგნში, ეკლესიაში, მარა ვერაფერი ვერ გაიგე“[2].

არსებობს ქართული თქმულებებისა და ლეგენდების ანალოგიური სერბული სიმღერა. ამ სიმღერის მიხედვით მარკო კრალევიჩის საფლავს ნიშანი არ გაუკეთეს, რათა მის მტრებს არ ეპოვათ იგი[3].

ამ სიმღერის მეორე ვარიანტით მარკო ხილანდარსკის მონასტერშია დასაფლავებული. ასეთი სიმღერის შექმნის მიზეზი ნ. კრავცოვმა ასე ახსნა: „Это было результатом монастырской переработки песен о смерти Марка.

Хиландарский монастырь, естественно, был заинтересован в паломниках как источнике дохода и в князьях как больших вкладчиках. Монахи хотели как можно более интересно рассказать о своем монастыре и простому народу и князьям. Для этого они используют все сказания и легенды, которые только могут быт прикреплены к их монастырю, они пишут летописи, жития,

[1] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხ. შემოქმედებაში, გვ. 36.

[2] ჩაწერილი ზემო სვანეთში, იფარში ჩვენ მიერ 25 აგვისტოს 1945 წ. სოზარ გულბანის თქმით.

[3] Сербский эпос, აღნიშნ. გამოც., გვ. 480.

дополняют, сочиняют их, они создают и легенду о погребении Марка в их монастыре. Это было одной из достопримечательностей монастыря, это привлекало богомольцев"[1].

ქართველი მთქმელების მიერ თამარ მეფის საფლავის თავიანთ კუთხის მონასტრებსა, სალოცავებსა თუ სხვა ადგილებში მითითება, არ იყო გამოწვეული შემოსავლის გადიდების სურვილით. მესხი, სვანი, ოსი თუ სხვა კუთხის მთქმელების მიერ სახელოვანი ქართველი ქალის დაკრძალვის ადგილის თავიანთ კუთხეში ჩვენების სოციალური სარჩული, როგორც აღვნიშნეთ, ღრმა პატრიოტული გრძნობა არის.

გმირთა უკვდავების მოტივის თამარ მეფის სახელთან დაკავშირების საფუძველი უდავოდ მისი საფლავის დაკარგვაც იქნებოდა. ამას გარდა საგულისხმოა ზემოთ აღნიშნული გარემოებაც, რომ თამარ მეფე სიცოცხლეშივე ჰყავდათ მის თანამედროვეებს ღმერთის მოკავშირედ წარმოდგენილი. ყოველივე ამის გამო, ქართველი მთქმელებისათვის ხელსაყრელი იქნებოდა დიდებული ქალის ძოღვაწეობისა და ცხოვრების დასასრულის გადმოცემისას ტრადიციული ხალხური შემოქმედების სალაროდან შესაფერისი მოტივის გამოყენება.

ხალხის წარმოდგენით არა მხოლოდ ეახტანგ გორგასალი და თამარ მეფე არიან დაკავშირებული ღმერთთან, არამედ—ერეკლე მეორეც. ერეკლე მეორის სახე ფოლკლორში გაცილებით უფრო რეალისტურია, ვიდრე თამარ მეფისა. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ერეკლეს ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნაწარმოებთა ციკლი, როგორც აღვნიშნეთ, თამარის ციკლთან შედარებით ახალია. მიუხედავად ამისა, არც ამ ახალი ციკლის ნაწარმოებებისათვის არის უცხო ქართველი ხალხის დიდი წინაპრის მითიურად წარმოდგენა.

თედო რაზიკაშვილის ცნობით, ხალხის რწმენით ერეკლე მეორის ძვლებს მირონი ჩამოსდის, რაც მისი ღვთაებრიობის მაჩვენებელია.

კანონზომიერების გარეშე არ არის ის მოვლენა, რომ ტრადიციული მოტივი, რომელიც მეტად დამახასიათებელია თამარის ციკლის ნაწარმოებებისათვის, ერეკლეს სახელსაც დაკავშირებია. თედო რაზიკაშვილის ცნობითვე „ხალხსა სწამს, მეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო"[2].

[1] Сербский эпос, გვ. 79.

[2] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 365.

გმირის უკვდავებისა და ღმერთთან კავშირის რწმენის საფუძველზეა გამოყენებული ტრადიციული მოტივი ერეკლეს გარდაცვალებაზე შექმნილ ლექსში:

> ... ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა,
> გაუხმეს ენის ტარია,
> არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
> ძმა არის განაყარია[1].

მითოლოგიაში ცნობილი მოტივებიდან ქართულ საისტორიო თქმულებებში გვხვდება ძლევამოსილი გმირის დაღუპვა სხეულის გარკვეულ ადგილას ჭრილობის მიყენებით. ქართული მითოლოგიით ამირანი ისე არ მოკვდებოდა, თუ ნეკა თითს არ მოიჭრიდა[2].

ბერძნული მითოლოგიით აქილევსის სუსტი ადგილი იყო ტერფი, რითაც მის დედას ფეტიდას ეჭირა იგი, უკვდავყოფის მიზნით წყალში თუ ცეცხლში რომ გაეტარა; გერმანული ეპოსის მიხედვით ნიდერლანდელი გმირის ზიგფრიდის მოკვლა მხოლოდ მხარზე ჭრილობის მიყენებით შეიძლებოდა. წყლის სასმელად დახრილს ჰაგენმა მას სწორედ ჯვრით აღნიშნულ ამ ადგილას ჩასცა ლახვარი[3].

საისტორიო ნაწარმოებებში ეს მოტივი ვახტანგ გორგასლისა და მის მოწინააღმდეგე ბაყათარ ოსის სახელთანაა დაკავშირებული.

ზემოთ მოყვანილ ძველ წერილობითს ძეგლებში დაცული ცნობით ვახტანგ გორგასალი სპარსელებთან ბრძოლაში დაღუპა შინაურმა მტერმა, რომელმაც იცოდა მისი ჯაჭვის პერანგის იღლიაში გაცვეთის შესახებ. ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალია ასეთი მოტივის შემცველი თქმულებები. კახელი ჰიმიას თქმულებით „დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას. სანგორის მჭდორი სუ დააბნელეს და მიადგნენ უჯარმას. გორგასლანი კი მაგრა დაუხვდა იმათ: დღისით მუსრს ადენდა და ღამე ამ გორაზედ ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა. დედოფალმა პირობა შეკრა ურჯულოთ მეფესთან: ოღონდ შემირთე ცოლადაო და ჩემ ქმარს მოგაკვლევინებთო. ღამე იმის რაშს მარილს ვაჭმევო და დილით იორში რომ შემოვა, წყალს ძაან დაუწყებს სმასა, მეფე ლაგამს ზევით მოზიდავს, გაღმიდან ჩასაფრებულებმა იღლიაში სტყორცნეთ ისარი და მოკვდებაო. ეს შეთქმულება დე-

---

[1] ხალხური პოეზია, 1934, გვ. 270.

[2] ქართული ხალხური ეპოსი, სოლ. ყუბანეიშვილის რედ., საბლიტგამი, თბ., 1940, გვ. 63.

[3] თქმულება ნიბელუნგებზე, თარგმანი კ. ჭიჭინაძისა, თბ., 1935 წ., გვ. 239.

დოფალმა შეასრულა და მეორე დღეს ისრით იღლიაში დაჭრილი მეფე მიასვენეს ციხე-დარბაზში. უიმისოდ ვერ მოჰკლავდენ, რადგან თავით ფეხთამდის აბჯარში იყდა. ორი დღის უკან მოკვდა ეს გაოცებული მეფე ქვეყნის სატირლად“ [1]. მეორე კახელი მთქმელიც დედოფლის ღალატით ხსნის უძლეველი გმირის დაღუპვას გარეშე მტერთან ბრძოლაში. მისი თქმულებით, მუხანათმა დედოფალმა წინასწარ აცნობა მტერს: „ესროლე ისარი იღლიაში, იქ თუ დასჭრი და მოჰკლავ, თორემ სხვაგან არსად იარაღის მისადგომი ადგილი არა აქვსო“. ამ თქმულებით სხვაგვარად მისი ძლევა შეუძლებელი იყო, „რადგანაც ის მუდამ შეიარაღებული იყო და ჯაჭვ-ჯავშანში გამოწყობილი, ასე, რომ ერთი ბეწო ადგილიც არა ჰქონდა ტანზედ, რომელიც რკინით დაფარული არა ჰქონიყო, გარდა იღლიებისა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა [2].

მითოლოგიაში ცნობილი მოტივის შემცველი ეს ქართული თქმულებები არ არიან მოკლებული ისტორიულ საფუძველს. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალი ირანელებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა [3]. XII და XIII საუკ. ლიტერატურულ ძეგლებში დაცული ცნობა, რომელიც ჩვენ ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარედ მივიჩნიეთ, აღნიშნავს ირანელებთან ბრძოლაში შინაური ღალატით ვახტანგ გორგასლის სიკვდილს. ხალხური თქმულებების ისტორიულ-ნაციონალური საფუძვლის გასარკვევად საგულისხმოა სიმონ ჯანაშიას მოსაზრება ლიტერატურულ ძეგლში დაცული ცნობის შესახებ. ამ მოსაზრებით ვახტანგ გორგასლის შინაური ღალატით სიკვდილი შედეგი იყო ძლიერი და ხელისუფლებისმოყვარე ქართლის მეფისადმი წარჩინებულთა ოპოზიციისა. ცნობაში მოხსენებული „მონა-ყოფილი“ და მისი მოქმედება სიმონ ჯანაშიას განსაკუთრებული ყურადღების საგანია. მისი მეტად საგულისხმო მოსაზრებით ვახტანგის მოწინააღმდეგე წარჩინებულთა წრე მწვავე ბრძოლაში იყენებდა მონათა მოძრაობას, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა მაშინდელ ქართლში [4]. აღნიშნულ ხალხურ თქმულებებში არაფერია ნათქვამი იმ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რომლის შედეგიც

[1] „დროება“, 1885, № 25.

[2] „მოგზაური“, 1901, III.

[3] ანასეული ქართლის ცხოვრება, აღნიშნ. გამოც., გვ. 50.

[4] სიმონ ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ. სახ. უნ-ტის გამომც., 1937, გვ. 144—147.

სახელოვანი მეფის დაღუპვა იყო. საუკუნეთა მანძილზე ხალხს დავიწყებია გმირის შინაური მოღალატის ვინაობა და ასეთად მეფესთან ყველაზე მახლობელი პირი დედოფალი მარუჩნევია.

უფრო მყარი ისტორიული საფუძვლის თვალსაზრისით საგულისხმოა ფ. გორგიჯანიძის ზღაპრული მოთხრობა. ამ მოთხრობით ვახტანგ გორგასლის მოღალატე მისი მეაბჯრეა. სწორედ ის შეიძლებოდა ყოფილიყო წარმომადგენელი მონათა სტიქიური მოძრაობისა, რაც სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით მეფის მოწინააღმდეგე წარჩინებულთა წრის ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო. V—VI საუკ. ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ ქართველი მთქმელების მიერ თქმულების სიუჟეტის განსავითარებლად ტრადიციული მოტივის გამოყენება თხრობის გადგილების უბრალო საშუალება არ არის. ამ მოტივს ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით ისე მტკიცე საზოგადოებრივ-ნაციონალური საფუძველი აქვს, რომ შესაძლებელია იგი მისი მითოლოგიური პარალელებისაგან დამოუკიდებლადაც იყოს შექმნილი. ვახტანგ გორგასლის ციკლის ერთი თქმულების მიხედვით ეს მოტივი ბაყათარ ოსთანაა დაკავშირებული. ამ თქმულებით ბაყათარის მოკვლა მხოლოდ იღლიაში დაჭრით შეიძლებოდა. ვახტანგ გორგასალმა თავისი დისაგან გაიგო მტრის სხეულის სუსტი ადგილი და დაამარცხა იგი [1]. მოტივის ასეთი გამოყენება ჩვენთვის საინტერესოა არა ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, არამედ ხალხური სიტყვიერების განვითარების გზის გასათვალისწინებლად. ეს არის ახალი შემოქმედებითი პროცესი. ასეთი კანონზომიერი კონტამინაციით მთქმელმა გორგასალს დაუპირისპირა ძლევამოსილი გმირი და დაამარცხებინა იგი.

შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საინტერესოა კონტამინაციის წესით ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებული თქმულების ერთი ახალმოპოვებული ვარიანტი. ამ ვარიანტის მიხედვით ერეკლე მეორე უძლეველი იყო, რადგანაც ფოლადის სამოსელი ეცვა. მეფის შინაური ღალატით დაღუპვა მასში ასე არის გადმოცემული: „ცოლმა ერეკლე მეფის რაშს სამი მარილის ქვა შეაჭამა, თითო სამ ფუთს აიწონიდა. როცა ერეკლე ომში გავიდა, რაში ძალიან მოწყურებული იყო და წყალს დაეწაფა. ამ დროს ერეკლე მეფეს თავს დაეხვნენ და მოკლეს“ [2]. ამ ახალი ვარიანტის ნთქმელი აღარ იყე-

[1] „მოგზაური“, 1902, IX, X.

[2] ჩაწერილი იყალთოში 1938 წ., ფოლკლ. სექც. მასალ. № 18322.

ნებას ტრადიციულ მოტივს. მას საკმარისად მიაჩნია ის გარემოება, რომ მტერი მრავალრიცხოვანი იყო და მოულოდნელად დაესხა თავს მეფეს. ეს გარემოება ეპოსის ქრობა კი არ არის, არამედ ახალი შეხოქმედებითი პროცესის მაჩვენებელია.

* * *

ქართულ ფოლკლორში ცნობილია ტრადიციული სიუჟეტი ჯადოსნური ძალის დამორჩილებისა და მშენებლობაში გამოყენების შესახებ. ქართული ზღაპრის მიხედვით ტბასთან მოტყუებით მიყვანილი ალები ღვინით დაათვრეს, დაიმორჩილეს და შემდეგ მშენებლობაში გამოიყენეს. სულხან-საბა ორბელიანის არაკის „ქაჯთა შემპყრობელის“ მიხედვით ადამიანმა ღვინით მიიტყუა ქაჯები და დასაძინებელი წამლის საშუალებით დაიჭირა[1]. ქართულ ზღაპრებში არაიშვიათია აგრეთვე ჯაჭვის, ლაგმისა თუ ავშრის საშუალებით რაშად გადაქცევის მოტივი. ქართლური ზღაპრის მიხედვით ჯადოსნური ლაგმის საშუალებით ვაჟი აქციეს რაშად[2]; მეორე ვარიანტით ავშრის საშუალებით ეშმაკმა ვაჟი აქცია რაშად[3]. აღნიშნული სიუჟეტისა და მოტივის ტრადიციულობის მაჩვენებელია აგრეთვე მისი ანალოგიები მსოფლიო ფოლკლორშიც. თალმუდის მიხედვით სოლომონი აშენებდა იერუსალიმის ტაძარს. საამშენებლო ქვები ლითონის გამოუყენებლად უნდა დამზადებულიყო. რაბინებმა ურჩიეს შამირის მოპოვება. შამირის მოპოვების საშუალება იცოდა დემონთა მეფემ ასმოდეიმ. სოლომონმა ბენაიას დაავალა მისი დაჭერა. ასმოდეის ჭის ახლოს ბენაიამ ამოთხარა ორმო და შიგ ღვინო ჩაასხა, თვითონ კი ხეზე ავიდა და უთვალთვალებდა დემონთა მეფეს. მოწყურებული ასმოდეი ღვინოს დაეწაფა, დაითრო და დაიძინა. ბენაია ჩამოვიდა ხიდან და სოლომონის ჯაჭვით დაიჭირა იგი. სოლომონმა ტაძრის აგებისას გამოიყენა ასმოდეის ცოდნა. შენობის აგების შემდეგ სოლომონს სურდა გაეგო დემონთა მეფის ძალა. ასმოდეიმ მოტყუებით აახსნევინა გრძნეული ჯაჭვი და ჩაულაპა იგი.

თალმუდური თქმულების ფაბულა ცნობილია ირანულ მითოლოგიაშიც. ირანული მითოლოგიით ბნელი ძალების სასტიკი მტერი თაჰმურასი დევებს აგებინებს შენობებს. მან ლაგამი ამოსდო

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, გ. ლეონიძის წინასიტყვაობითა და ს. იორდანიშვილის რედაქ., 1933 წ., გვ. 161—162.

[2] თედო რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. I, გვ. 90.

[3] იქვე, 96—97.

თვით არიმანსაც, დაიმორჩილა იგი და ოცდაათი წლის განმავლობაში მასზე მჯდომი გარს უვლიდა სამყაროს[1].

ძველ აღთქმათა აპოკრიფების—Testamentum Salomonis მიხედვით ტაძრის აგებაში სოლომონს ხელს უშლიდა ორნიასი. იგი ყოველთვის მზის ჩასვლისას სტაცებდა საკვებისა და ხელფასის ნახევარს მშენებლობის ზედამხედველს. ამავე დროს მარჯვენა ხელის ცერიდან წოვდა სისხლს და აუძლურებდა მას. სოლომონმა ღმერთს თხოვა შველა. ღმერთმა გამოუგზავნა ბეჭედი მიხეილ მთავარანგელოზის ხელით. ამ ბეჭდით მშენებლობის ზედამხედველმა მეფის მსახურმა დაიპირა ორნიასი. სოლომონმა მას დაამტვრევინა ტაძრის საშენი ქვები[2].

რუსული საეკლესიო ლეგენდების მიხედვით ცნობილია აგრეთვე ეშმაკზე მჯდომი იოანე ნოვგოროდელი[3].

ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს ტრადიციული სიუჟეტი, რომელიც ცნობილია როგორც ქართულს, ისე სხვა ხალხის ეპოსშიც დიდი ეროვნული გმირების—დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელებთან არის დაკავშირებული.

დავით აღმაშენებლის ციკლის ერთი ლეგენდის მესხური ვარიანტით „დავით აღმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთისმოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენება და ძალიან ხალისიანადაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა აეგო დიდებული გელათის მონასტერი. მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყეულმა ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის ამ წმინდა ღვთის სასიამოვნო საქმეში. კედლები რამდენჯერ ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამღამობით. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და არ იქნა, კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადასწყვიტა, როგორც უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ეგდო. იმან აიღო ჯამი, აავსო წყლით და დადგა ბალავრის მახლობლად; თითონ კი კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი. როგორც კარგად დაბნელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულმოდგინეთ

---

[1] Fr. Spiegel, Die traditionelle Literatur der Parsen, Wien, 1860, p. 158—159.

[2] Fleck, Anecdota maximam partem Sacra, Leipzig, 1831, p. 111—140.

[3] Голубинский, История русской церкви, т. I, стр. 354, 600 и др.

შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შენიშნა წყლიანი ჯამი დაზედ მივიდა. უცებ საფარიდამ გამოხტა დავითი და ხელები სტაცა ეშმაკი ჯორათ იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა, იმან ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორებდა. ამის შემდეგ ადგილათ მოათავა გელათის მონასტერიც. აგრეთვე ვარძია და სხვები.

გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტათ დიდებია. ისინი არიან დატანებული სამხრეთ-დასავლეთის ყურეში. ერთ მათგანზე დღემდისაც არის, ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდია.

ეს ეშმაკ-ჯორი—კი ისევ ემსახურებოდა დავითს. დადიოდა ის აქეთ-იქით იმ ჯორით. გაპირვების დროს, ცუდ გზებზე, როცა მათრახი მოხთებოდა ხოლმე, ისეთი სიმწარით ადგამდა ჯორი ფეხს, რომ ყვულგან კვალს აჩენდა. დღესაც იმერეთში უჩვენებენ ერთ კლდეზე ნიშანს, რომელსაც „ჯორის კვალს“ ანუ „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახიან. ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა უკან შემოკრული. დავითიც ამ ჯორს თავის ხელით უვლიდა. დაყავდა წყლის დასალევათ და საძოვრათ, რადგანაც სხვას არ ენდობოდა „ეშმაკია, მოატყუებს და გაექცეგაო“.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ეშმაკ-ჯორი. დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც აღვირი არ წაჰყაროო“.

მეჯინიბემ მიიყვანა ეშმაკ-ჯორი წყალზე. ჯორმა დასუნა წყალს, თავი ისევ მაღლა აიღო და მოყვა საშინლად ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჯინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისო და წაჰყარა. ეშმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა“[1].

ამ ლეგენდის მეორე მესხური ვარიანტით დავით აღმაშენებელმა ერთად დაიწყო სამი ეკლესიის აშენება. მან ბადით დაიჭირა ტაძრის მნგრეველი ეშმაკი და რკინის ლაგმის საშუალებით ჯორად აქცია. მეფე შეჯდა ზედ და აზიდვინა სამივე ტაძრის ასაშენებელი ქვები[2].

[1] ლეგენდა დავით აღმაშენებელზე, „კრებული“, 1897, № 1.

[2] ჩაწერილი ს. ბარალეთში 1937 წ., ფოლკლ. სექც. მას. № 13535.

შესამე ვარიანტითაც ბადით დაიჭირა დავით აღმაშენებელმა ეშმაკი, აქცია ჯორად და ააშენებინა გელათის, მარტვილისა და სუჯუნის ეკლესიები. ეშმაკ-ჯორმა მოატყუა დიაკონი, აახსნევინა ლაგამი და გაუჩინარდა [1].

რაჭული ვარიანტით მეფემ დაიმორჩილა საარაკო ცხოველი, რომელიც მის ჯოგში იყო. დამორჩილებული რაშით იგი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აშენებდა ეკლესიებს. ბოლოს რაშმა მოატყუა მეფის ნათლისღედა, აახსნევინა ლაგამი და გაუჩინარდა [2].

ახლად მოპოვებული იმერული ვარიანტით დავით აღმაშენებელმა დაიჭირა ეშმაკი, რომელიც დღისით აგებული გელათის კედლებს ღამით ანგრევდა. მეფემ ჯვარით შეაშინა იგი და ჯორად აქცია. მთქმელის ცნობით გელათის ახლოს ელისქედში თითქოს ახლაც არის ამ ჯორის კვალი. ამ ვარიანტითაც ჯორმა მოატყუა მეფის მსახური, ისევ ეშმაკად იქცა. ჩაძვრა წყაროში და წაბილწა იგი. დავით აღმაშენებელმა გაქცეული ეშმაკი ჯვარის საშუალებით ჩაკეტა და ძალა დაუკარგა. ამის შემდეგ გელათის გვირაბში წყარო მუდამ ანკარა არის [3].

ქართული ლეგენდის ვარიანტებს აღნიშნულ მსოფლიო პარალელებთან გააჩნიათ როგორც საერთო, ისე განსხვავებული მოტივები.

ქართული ლეგენდის აღნიშნული ვარიანტები დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მონასტრისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესიების აშენებაზე მოგვითხრობენ. ამ ვარიანტების მთავარი წყარო მიუხედავად მათი ტრადიციული ჩონჩხისა ისტორიული სინამდვილეა. ისტორიკოსის ცნობით, როდესაც დავით აღმაშენებელმა „დაიპყრა ერეთი და კახეთი“, დაიწყო გელათის მონასტრის აშენება და იგი აქცია ათინად [4].

ლეგენდის ზემოთ მოყვანილი მესხური ვარიანტითაც „ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა აეგო დიდებული გელათის მონასტერი“.

მტრებისაგან აოხრებული ქვეყნის აღდგენაში დავით აღმაშენებლის დიდი ღვაწლის ფანტასტიკურად გადმოცემისას საისტორიო

---

[1] დავით აღმაშენებლის ჯორი, „კრებული“, 1838, 7.

[2] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2026.

[3] ჩაწერილი დომენტი თომაშვილის მიერ ს. გელათის მცხოვრებ გიორგი ჯანგავაძისაგან 1945 წ.

[4] ანასეული ქართლ. ცხოვრ., გვ. 208—209.

ნაწარმოებთა მთქმელებს გამოუყენებიათ ადრეული არსებული ტრადიციული სიუჟეტი.

ეს საერთაშორისო ხასიათის ჩონჩხი, როგორც ვნახეთ, ქართულ სინამდვილეში ისტორიულ პირთან დაკავშირებით ორიგინალურადაა გაფორმებული. იგი ახლოს არის თალმუდურ თქმულებასთან, მაგრამ ამ თქმულებაზე არ არის დამოკიდებული, ქართული ლეგენდის ვარიანტები შეიცავენ თალმუდურისთვის უცხო, მაგრამ ძველ აღქმათა ჰაპოკრიფებით ცნობილ მოტივებსაც. ასე, მაგალითად, ქართული ლეგენდის ვარიანტებით დავით აღმაშენებელს მშენებლობაში ხელს უშლიდნენ ეშმაკები. ისინი დღით ნაგებ კედლებს ღამით ანგრევდნენ. ძველ აღთქმათა ჰაპოკრიფის მიხედვითაც ორნიასი მზის ჩასვლისას აუძლურებდა მშენებლობის ზედამხედველს და ამგვარად აბრკოლებდა ტაძრის აგებას. ეს მოტივი, რომელიც უცხოა თალმუდური და ირანული მითოლოგიისათვის, დავით აღმაშენებლის ღვაწლის დახასიათებისას შესაფერისი აღმოჩენილა ქართველი მთქმელებისათვის. ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელ მთქმელებს მეფის დიდი ამაგი მშენებლობაში მისი ღვთისმოყვარეობით აუხსნიათ. დამახასიათებელია ამ მხრივ ზემოთ მოყვანილი ლეგენდის დასაწყისი. ახალმოპოვებული იმერული ვარიანტითაც დავითმა ეშმაკს ჯვარის საშუალებით სძლია.

მეფის ჯადოსნური ჯორით მოგზაურობის მოტივს პარალელი რუსულ საეკლესიო ლეგენდებში ეძებნება.

მავნე ძალის დაჭერის მოტივის გაფორმებით ქართული საისტორიო ლეგენდის ვარიანტები ქართულ ზღაპარსა და თალმუდურ თქმულებას უახლოვდებიან. ქართული ლეგენდის მიხედვით ჩასაფრებულმა მეფემ დაიჭირა წინასწარ ჯამით დადგმულ წყალს დაწაფებული ეშმაკი. ქართული ზღაპრისა და თალმუდური თქმულებითაც წინასწარ დასხმული ღვინით დაათვრეს მავნე ძალა და ამგვარად დაიჭირეს. ქართული საისტორიო ლეგენდების თავისებურება თალმუდურთან შედარებით იმაშია, რომ უშუალოდ დავითმა შეიპყრო მავნე ძალა. ამ მოტივით ლეგენდა ქართულ ზღაპარს უახლოვდება. თალმუდური თქმულებით სოლომონმა სხვას დააკალა ამ ძნელი საქმის შესრულება. ძველი აღთქმის აპოკრიფების მიხედვითაც სოლომონმა უშუალოდ ვერ სძლია ორნიასი. იგი დაიჭირა მშენებლობის ზედამხედველმა. აღნიშნული ქართული ზღაპრის მოტივის თავისებუ-

რად გაფორმებით ქართველმა მთქმელებმა შექმნეს დავით აღმაშენებლის გამჭრიახი და გმირული სახე.

ტრადიციული სიუჟეტის ქართულსა და თალმუდურ პარალელებში საერთოა მშენებლობაში გამოყენებული მავნე ძალის თავის დაღწევა მისი მფლობელისაგან. ამ შემთხვევაშიც ეს საერთო მოტივი სხვადასხვა გვარად არის გაფორმებული. თალმუდური თქმულებით ასმოდეიმ მოატყუა სოლომონი, აახსნევინა ჯაჭვი და ჩაყლაპა იგი.

ქართველ მთქმელებს დიდი ეროვნული გმირი ეშმაკის მოტყუების საგნად არ გაუხდიათ: ტრადიციულ მოტივს სხვაგვარად არც ექნებოდა ისტორიული ნიადაგი. ბარალეთელ მთქმელს ბასილ გოგოლაძეს საერთოდ არც უცვნია საჭიროდ ამ მოტივის გაშოყენება[1]; საჭარელი მთქმელის ვარიანტით დავით აღმაშენებელი სხვას არც ანდობდა ეშმაკ-ჯორს. მისი მოუცლელობის დროს მოატყუა ჯორმა მეჯინიბე, აახსნევინა ლაგამი და გაუჩინარდა[2]. უცნობი მთქმელის ვარიანტით ეშმაკმა დიაკონი მოატყუა[3]; რაჭული ვარიანტით ეშმაკ-რაშმა მეფის ნათლისდედა მოატყუა და გაუჩინარდა, „როცა დავითმა გაიგო რაშის დაკარგვა, მივიდა იმ ადგილს, სადაც რაში დაიღუპა და უთხრა: „წასულხარ და გამიშვიხარ, არ წამსვლიხარ უხედარიო“[4]. განსაკუთრებით დამახასიათებელია გელათელი მთქმელის ვარიანტი. ამ ვარიანტითაც ჯორმა მეფის მსახური მოატყუა, აახსნევინა ლაგამი, ისევ ეშმაკად იქცა, ჩაძვრა წყაროში და წაბილწა იგი. „დავითს ძალიან ეწყინა ეს ამბავი, მარა წამალიც მალე მოუძებნა: წყაროს თავზე ჯვარი დაასვენა, ეშმაკი შით ჩეიკეტა და ძალა დაკარგა, წყალიც დეიწმინდა“[5]. ამგვარად ქართულ საისტორიო ლეგენდაში ეს მოტივიც გამოყენებულია გამჭრიახი და ძლევამოსილი გმირის სახის შესაქმნელად.

მშენებლობაში ჯადოსნური ძალის გამოყენების მოტივი საერთოა ყველა ხალხის შემოქმედებაში. იგი ყველგან გაფორმებულია ეროვნულ თავისებურებათა მიხედვით. ქართული ლეგენდის ვარიანტებით დავით აღმაშენებელმა გელათი ააშენა. მსოფლიო პარალელების უმრავლესობით სოლომონი იერუსალიმის მაშენებელია; ირანულით—თაჰმურასი დევებს აგებინებდა შენობებს; ქართულ ლეგენ-

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 13535.

[2] „კრებული“, 1897, 1.

[3] „კრებული“, 1898, 7.

[4] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. II—2026.

[5] ჩაწერილი დომენტი თომაშვილის მიერ 1945 წ.

დას, როგორც აღვნიშნეთ, მტკიცე რეალური საფუძველი აქვს. ზოგი ვარიანტით დავითმა ვარძიაც ააშენა, ზოგით კი—მარტვილისა და სუჯუნის ეკლესიებიც. ეს ფსიქოლოგიურად გამართლებული ანაქრონიზმებია.

აღნიშნულ ტრადიციულ სიუჟეტზე აგებული თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებები უფრო დაშორებულია მის მსოფლიო პარალელებს, ვიდრე დავით აღმაშენებლის შესახებ არსებული ლეგენდის ვარიანტები. თუმცა თამარ მეფის სააღმშენებლო მოღვაწეობის ამსახველ ნაწარმოებებში არის მსოფლიო მითოლოგიით ცნობილი ისეთი მოტივებიც, რომელნიც უცხოა დავით აღმაშენებლის ციკლისთვის.

დავით აღმაშენებლის ციკლით ცნობილი, ლაგმის საშუალებით რაშად ქცეული ჯადოსნური ძალის მშენებლობაში გამოყენებისა და მსახურთა მოტყუების მოტივები დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთანაც. ერთი ლეგენდის მიხედვით თამარ მეფეს ღვთისაგან ნაკურთხი ლაგმით წყეული ყავდა რაშად ქცეული, მასზე მჯდომი დაჭროდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აშენებდა ეკლესია-მონასტრებსა და ციხეებს[1]. ტრადიციულ მოტივებს ამ შემთხვევაშიც ქრისტიანული ელფერი აქვს. მეორე ლეგენდის მიხედვით დატყვევებულ შუქურ-ვარსკვლავს თამარ მეფე სადავის საშუალებით აქცევდა ცხენად. „შუქურ-ვარსკვლავი, როცა ცხენათ იყო გადაქცეული, პირიდან აღვირს არ წამოჰყრიდნენ ხოლმე, თორემ მაშინვე გაქრებოდა სადმე. ერთხელ ცხენათ ქცეული შუქურ-ვარსკვლავი თამარის გამდელმა წყალზე ჩაიყვანა. ცხენმა უთხრა, რომ აბა აღვირით წყალი როგორ უნდა დავლიო, წამომყარე აღვირი, რომ წყალი დავლიო. თამარის გამდელმა ცხენს აღვირი წამოჰყარა და შუქურ-ვარსკვლავი იმ წუთსვე გაქრა[2]. დაპყრობილი ჯადოსნური ძალის გაუჩინარების ეპიზოდი ამ შემთხვევაში მშენებლობასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ სხვა მოტივთან, რასაც ქვემოთ შევეხებით.

საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზების გასათვალისწინებლად, კერძოდ, ისტორიულ პირთან დაკავშირებით ტრადიციული მოტივის გაახლების თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ოსური ლეგენდა. ამ ლეგენდაში თამარ მეფის მოგზაურობა და შენობების აგება ასეა მოცემული: „გამოფრინდა თამარი ციხიდან, წამოვიდა

[1] ძველი საქართველო, II, განყ. 4. გ. 49—50.

[2] ფოლკლ. სექც. მას. № 13477.

და ბრუტსაბძელაზე მოვიდა. ინატრა და სასახლე და საყდარი აშენდა“ [1]. ოს მთქმელს ტრადიციული მოტივის ამგვარი გაახლებით კიდევ მეტი ფანტასტიკური ელფერი მიუცია სახელოვანი ქალისთვის. მისი წარმოდგენით თამარ მეფეს ისეთი უნარი ჰქონდა, რომ მოგზაურობასა და მშენებლობაში არ სჭირდებოდა არავითარი რეალური თუ ჯადოსნური ძალის დახმარება. იგი თითონ იყო ჯადოქარი, გაფრინდებოდა, სადაც კი მოისურვებდა, და გააჩენდა სასახლესა და საყდარს. ოს მთქმელს ტრადიციული მოტივისთვის საგრძნობი კუთხური ელფერი მიუცია. მისი ლეგენდით თამარ მეფე ბრუტსაბძელას მიფრინდა და იქ გააჩინა შენობები.

საალმშენებლო მოღვაწეობის ამსახველი ლეგენდების მიხედვით თამარ მეფეს ფრინველებიც ემორჩილებოდნენ. თამარ მეფის პოეტური სახის პროტოტიპები ამ შემთხვევაშიც მითოლოგიაშია. ქართული ზღაპრების მიხედვით ფრინველები—ფასკუნჯი, არწივი, მერცხალი და სხვ. კეთილი გმირების ქომაგები არიან. მსოფლიო მითოლოგიით ცხოველები და ფრინველები ღმერთების ატრიბუტები არიან: პალადას თან ახლავს ბუ; აპოლონს—თაგვი; პრიაპას—ბატი; ჰერას—გუგული [2]. თამარ მეფის სახის ერთგვარი ანალოგიაა ამ შემთხვევაში აგრეთვე თალმუდური თქმულებებისა და მუსლიმანური ლეგენდების გრძნეული სოლომონი. ამ თქმულებებისა და ლეგენდების მიხედვით ძლევამოსილსა და ბრძენ სოლომონს, მფლობელს ციური და მიწიერი სამყაროსი, მსახურებენ ფრინველები და მხეცები. კარგ გუნებაზე მყოფი სოლომონი იწვევს მათ და სულებსა და მოჩვენებებთან ერთად, საკუთარი ძალაუფლების აღსანიშნავად, აცეკვებს მის წინაშე.

ბორჩალოში ჩასახლებული ქართლელი მთქმელის ლეგენდით თამარ მეფეს „ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველები და მისის ბრძანებით მოჰქონდათ: მერცხალს ქვიშა და წეროს ქვა და იმისთანა მიუვალ მთა-კლდეზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს და ციხეებს“ [3]. ქართველი მთქმელი ამ შემთხვევაში უცვლელად არ იმეორებს ტრადიციულ მოტივს. პირადი სიამოვნებით გატაცებული ჟინიანი სოლომონისაგან განსხვავებით, ძლევამოსილი და ამავე დროს კეთილი და სათნო ქართველი ქალი ცხოველებისა და ფრინველების მორჩილებას კეთილშობილი მიზნებით, მისი ქვეყნის სამსახურისთვის იყენებდა.

---

[1] „კრებული“, 1898, I.
[2] Лапг, Мифология, აღნიშნ. გამოც., გვ. 18.
[3] ძვ. საქართვ., II, განყ. 4, გვ. 49—50.

ტრადიციული მოტივის ისტორიულ პირთან დაკავშირების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მესხური ლეგენდა. ამ ლეგენდით თამარმა უწამლა ფრთამოტეხილ წეროს. მადლიერმა წეროემ მას ჯადოსნური ჩხირები მოუტანა. ჩხირებისაგან ოქრო-ვერცხლი ჩნდებოდა. „ბევრი ოქრო-ვერცხლი რო გააჩინა თამარმა, დედოფლათ დაჯდა და იწყო საყდრების შენება მთელს საქართველოში“ [1].

აღნიშნული ტრადიციული სიუჟეტი და მოტივები დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელებთან დაკავშირებით ქართველი მთქმელების მიერ მკვიდრ საზოგადოებრივ-ისტორიულ ნიადაგზეა გაახლებული. დავით აღმაშენებელმა შესძლო მემკვიდრეობით მიღებული გარეშე და შინაური მტრებისაგან აოხრებული და დაჩეცმაცებული საქართველოს აღდგენა. მან პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად გააძლიერა საქართველო და ამგვარად საფუძველი დაუდო „ოქროს ხანას“. შემდეგ კი „ოქროს ხანის“ ღირსეულმა წარმომადგენელმა თამარ მეფემ დიდი ამაგი დასდო მშენებლობას. ეს გარემოებანი მნიშვნელოვანი ფაქტორებია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა წარმოშობა-განვითარებაში. ტრადიციული მოტივების შემცველი აღნიშნული ქართული ნაწარმოებებიც ამ ისტორიული სინამდვილის ლეგენდის ჟანრით ასახვის ნიმუშებია. რაც შეეხება ცხოველებისა და ფრინველების მორჩილების ტრადიციული მოტივის თამარ მეფის სახელთან დაკავშირებას, ამის საფუძველი აღნიშნული გარემოების გარდა ისტორიკოსის მოხრობაშიც არის. ისტორიკოსის ცნობით თამარ მეფეს „ვითარ სატრფო და ანდამატებრივი მიმზიდველობა აქუს მკეცთა გულებისა“... „ოდესმე შარვანშას ლომის ბოკუერი გამოეგზავნა, მათ გაეზარდეს და ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაგაზრდილი არცავის უნახავს მისი მსგავსი, არცა სმენია არაკად. რაჟამს დარბაზს მოიყვანიან, ესრეთ აქუნდა სიხარული, სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთიე განათლებულისა, რომელ მრჩობლთა ჯაჭუთა, გინა შეცვალებამან კაცთა კიდებისამან, ვერ დაიპირის, ვირე თავი უბეთა არა ჩაუდვის, და ლოშნიდის, ვითარცა ძუელი ოდესმე მოწამეთა მეტაფრასები მოგვითხრობს. და ოდეს დაიპირიან და დამაგრდიან, წყაროჲს მსგავსნი ცრემლნი გარდამოსთხიენის თუალთაგან, რომელნი დაალტობდეს მიწასა ამას. ამას ესეითარსა მძლეველობასა მტერთა და მკეცთასა, წინააღმ-

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—№ 2004.

დგომთა და ურჩთა დამხობასა, შინათა და გარეთასა, გაკლა შიში და ზარი და სახელი ოთხბუნებათა და ოთხ-კუთხებათა სოფლისა ანგელოზობისა, აღმოსავლეთით დასავლეთამდე, ჩრდილოეთით სამხრამდე“ [1]. ცხოველების თამარ მეფისადმი ასეთი სიყვარულის შესახებ თანამედროვე პირის მონათხრობი დიდი საბაბი უნდა ყოფილიყო აღნიშნული ტრადიციული მოტივის დიდებული ქალის სახელთან დაკავშირებისა და ამგვარად მისი მითიური სახის შექმნისათვის.

* * *

ქართულსა და მსოფლიო ეპოსში ცნობილ ტრადიციულ მოტივს შეიცავს დავით აღმაშენებლის მიერ გარეშე მტერთა ალაგმვის ამსახველი გადმოცემა „დარუბანდის კარები დავით აღმაშენებლისაგან მოტანილი გელათში“. ამ გადმოცემით დავით აღმაშენებელმა ლეკები დაამარცხა. საქართველოს მეფემ შური იძია მტრების მთავარზე, რომელმაც ლეკების მიერ გაძარცულ ქართველს ასე დასცინა: „რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო“. გადმოცემით დავითმა ქვეშევრდომებს „მიაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამძღოლი, გააკეთებინა ორიათასი კიდობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად. ყველა ამაებს წინ გაუმძღვარა მოჭრიანი ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში. თითონ კი უკან წაჰყვა.. როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკის უფროსთან, საქონელი მომაქვს გასასყიდათა და ქალაქის კარები გააღეო. ლეკებს გაუხარდათ, უფრო მეტს საქონელს ეიშოვითო და გააღეს კარები. დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამიათასი გულადი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი. წაართვეს ქალაქის კლიტები ლეკთა მთავარს და ნაბავლით დაბრუნდნენ შინ“ [2]. ანალოგიური მოტივი გვხვდება ქართულ ხალხურ როსტომიანშიც. როსტომმა ტომრებში ჩასვა თორმეტი ჭაბუკი, აკიდა ჯორებს და ისე შეიყვანა ნართის ქალაქში ბეჟანის დასახსნელად [3]. ეს მოტივი ცნობილია ბერძნული ეპოსითაც. ჰომეროსის მიერ შემონახული გად-

---

[1] ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი. აღნ. გამოც., გვ. 100—101.

[2] ფოლკლორის სექციის მასალ. № 18689.

[3] ქართული ხალხური ეპოსი. სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940 წ., გვ. 78.

მოცემით ქალაქ ტროას აღების შესახებ ენეიმ უზარმაზარ ხის ცხენში ჩასვა ოდისევსი და სხვა გულოვანი მეომარნი. ბერძნების მიერ ბანაკში დატოვებული ცხენი ტროელებმა ქალაქში შეიყვანეს ღვერთებისადმი სამსხვერპლოდ. დამალული გმირები ღამით გამოვიდნენ ცხენიდან, მათ შეუერთდა მახლობლად ჩასაფრებული ჯარი და აიღეს ქალაქი.

ტრადიციული მოტივის შემცველ დავით აღმაშენებლის ციკლის გადმოცემას მყარი ისტორიული საფუძველი აქვს. ამ გადმოცემით „დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში. ერთი ამ კართაგანი დღესაც მოწმობს დავითის სიდიადეს“ [1]. ტრადიციული სიუჟეტის მქონე მეორე ლეგენდითაც დავით აღმაშენებელმა დარუბანდიდან ჩამოიტანა რკინის კარები [2]. გადმოცემაცა და ლეგენდაც ერთგვარ გენეტიკურ კავშირშია ისტორიულ ცნობებთან. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დავით აღმაშენებელი „წავიდა შარვანს, აღიღო გულისტანი“... „აღიღო ქალაქი დმანისი და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყუიდეს ჭურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისანი“... „წარემართა შარვანს, და აიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი“ [3].

დავით აღმაშენებლისაგან დარუბანდელი მთავრის დამარცხება მოთხრობილი ჰქონია არაბ ისტორიკოსს იბნ ალასირსაც [4]. რაც შეეხება დარუბანდიდან რკინის კარების წამოღებას, ვახუშტის აღწერილობითაც გელათის ეკლესიას „ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა შისსა, რკინისა, აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდან“ [5]. რკინის კარები, რომელიც დღესაც ინახება გელათში, მასზე არსებული წარწერის მიხედვით მოტანილია ქ. განძიდან დავით აღმაშენებლის ძის—დემეტრე პირველის მიერ 1138—1139 წ. [6] თ. ჟორდანიას ცნო-

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 18689.

[2] „კრებული“, 1897, № 1.

[3] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 219—220.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ., II, გვ 525.

[5] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, აღნიშნ. გამოც., გვ. 151.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. II., თბ., 1914 წ., გვ. 545—546; თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 248.

ბით, არსებულა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან ჩამოტანილი უმძიმესი რკინის კარები „მასალად უქცევიათ და გელათის მონასტრის გასაახლებლად გამოუყენებიათ[1]. „ქართლის ცხოვრების“ ცნობები, დავით აღმაშენებლის „ანდერძი“ (რომლითაც მას „ახლად მოუგია მამული ნიკოფსიდამ დარუბანდის ზღვამდე“). და ეს გადმოცემა საბუთს აძლევს თ. ჟორდანიას, რომ დაასკვნას „გელათში ორი რკინის კარი ყოფილა დაცული“. ჩვენი კვლევის სფეროში ეს საკითხი არ შედის. ჩვენთვის საინტერესოა მოყვანილი ისტორიული ცნობებისა და ხალხური გადმოცემების გენეტიკური კავშირი, რაც უკანასკნელის ადგილობრივ წარმოშობას ადასტურებს[2]. შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საყურადღებოა ამ გადმოცემის დასასრულიც: დამარცხებული „ლეკების მთავარს მეფე ლმობიერად მოეპყრო, დანაშაული აპატია, დაჭერილი ჰყავდა და გაუშვა. მაშინ განაავისუფლებულმა უთხრა მეფეს: რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მადლიც ზედ დასძინე, ერთი ხარის ტყავის სიფართე ადგილი მიბოძე დასასახლებლადო. დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოატანინა ხარის ტყავი, დასჭრა იგი წვრილ-წვრილ თასმებათ, გადააბა ერთიმეორეზე და ამ სახით თასმა იმ სიგრძეზე შეიქნა, რომ მთელ დარუბანდს გარს შემოუარა.

დავითმა ვერაფერი ვეღარ თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ“[3]. მტრის მიმართ ასეთი ლმობიერება და გულუბრყვილობა არ შეეფერება საქართველოს „ოქროს ხანის“ ფუძემდებლის ხასიათს, მაგრამ ხალხის ამგვარ ფანტაზიას მაინც აქვს ერთგვარი საფუძველი. ამით თავისებურად ახსნილი და გამართლებულია მაშინდელი საქართველოს მიჯნის გადაულახველობა ძლევაწართმეული მეფის მიერ.

მთელი რიგი მოტივები გადმოცემისა (ვაჟკრის გაძარცვა, ლეკთა მთავრის უდიერი მოპყრობა ქართველისადმი, დარუბანდის კარებში ლეკების შებმა და სხვა) რაც არ გვხვდება ისტორიულ წყაროებში, ფოლკლორული შემოქმედების ჩვეულებრივი მოვლენებია.

* * *

ქართულ ხალხურ საისტორიო ციკლებში გვხვდება ტრადიციული სიუჟეტი ქალწულის სასწაულებრივად განაყოფიერებისა და მიტოვებული ბავშვის მოტივებით.

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 248.

[2] ადგილობრივი წარმოშობისაა დარუბანდის კარების ჩამოტანის მოტივი დასახელებულ ისტორიულ ლეგენდაშიც.

[3] ფოლკლ. სექც. მას. № 18689.

პირველი მოტივი ხშირ შემთხვევაში მზის ტოტემთან არის დაკავშირებული. მზე გავრცელებული ტოტემია მცირე კულტურის მქონე მოდგმებში [1]. ინდური ეპოსისათვის დამახასიათებელია სამეფო დინასტიის წარმოშობა მზისა და მთვარისაგან [2]; მაჰაბჰარატას მიხედვით მეფის ქალიშვილს კუნტას ანუ პრიტხას მზისაგან შეეძინა ვაჟი „მშვენიერი“ [3].

მსოფლიო მითოლოგიაში სასწაულებრივად განაყოფიერების მოტივი ყოველთვის მზესთან არ არის დაკავშირებული. „ვიკრამიჩარიტრას“ მეორე მოთხრობის მიხედვით წმინდა ლამამ მისცა საქმელი დედოფალს „მომხიბვლელ-მშვენიერს“. მისმა ჭალწულმა მსახურმა შეჭამა საქმლის ნარჩენები და განაყოფიერდა; აფრიკული თქმულებით ჭალწული მცენარეს შეეხო და ამგვარად გაჩნდა ღვთაება გეითრი-ეიბები [4]; ამერიკული თქმულებით ჭალწულმა ჩაყლაპა ზღვის წყალი თუ კენკი და შვა ღმერთგმირი ელი [5]; რომაული ლეგენდით ჭალწულ რეას ღვთაება მარსისაგან შეეძინა რომული და რემი [6]; ქრისტიანული მითოლოგიით იესო ქრისტე უბიწო მარიამს შეეძინა [7]. ტოტემიზმის კვალის მატარებელი, გმირის სასწაულებრივად წარმოშობის მოტივი ცნობილია ქართულ მითოლოგიაშიც. იგი დამახასიათებელია ქართული ჯადოსნური ზღაპრებისათვის [8].

სასწაულებრივად განაყოფიერების ტრადიციული მოტივი დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. ხალხის წარმოდგენით თამარ მეფე წმინდანი და მარადიული ქალწული იყო. ოსური თქმულებით თამარ მეფე ფანჯარაში შემოპრილი მზის სხივისაგან განაყოფიერდა. მისი ვაჟი—მზის შვილი—გამეფდა საქართველოში [9]; მეორე თქმულე-

---

[1] Ланг, Мифология, აღნიშნ. გამოც. გვ. 179.

[2] იქვე, გვ. 172.
Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете, გვ. 255.

[4] Э. Ланг, Мифология, აღნიშ. გამოც., გვ. 103.

[5] იქვე, გვ 110.

[6] Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете, გვ. 254.

[7] А. Древс, Миф о Христе, I, стр. 78—97.

[8] იხ. ზღაპარი ივანე ცისკრისა, თ. რახიკაშვილი, ხალ. ზღაპრები, ტ. I, გვ. 83; დათვკაცა, ქართული ხალხური ზღაპრები, მიხ. ჩიქოვანის რედ. და წინასიტყვაობით, გვ. 85; დათვიაშვილი, იქვე, გვ. 88 და მრ. სხვა.

[9] И. Миллер, Осетинские этюды, III.

ვით ქალწული თამარი ზეგარდმო ან უცნაური ძალით განაყოფიერდა. ამგვარად გაჩნდა ლაშა გიორგი[1].

უძველესი მოტივის თამარ მეფის სახელთან ამგვარად დაკავშირება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ხალხური შემოქმედების განვითარებაში. ამ შემთხვევაში ტრადიციულ მოტივს საკმაოდ მკვიდრი ისტორიულ-ნაციონალური ნიადაგი აქვს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად აღიარა. ამის გამო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი კულტი საქართველოს ზოგ კუთხეში ბოლო დრომდე იყო შერჩენილი წარმართული და ქრისტიანული კულტურის ჩვეულებრივი შერევით. თუშ-ფშავ-ხევსურებმა ისტორიული მეფე სალოკავ „პირიმზედ“ აქციეს. საქართველოს მთაში გაღმერთებული დედოფალი მარადიულ ქალწულადა და მკურნალად მიიჩნიეს. ვაჟა-ფშაველას ცნობით თამარ დედოფლის დღეობაში აკრძალული იყო წაწლობა, ჩხუბი და სხვა, რადგან „თამარ-დედოფალი წმინდა და მშვიდი იყოო“[2].

ასეთი რწმენა ჰქონდა საფუძვლად თამარ მეფის სახელთან დაკავშირებით უძველესი მოტივის გაახლებას. არ შეიძლება დავეთანხმოთ აღ. ვესელოვსკის, თითქოს მზის სხივით განაყოფიერების მოტივი მექანიკურად იყოს შესული თამარ მეფის პოეტურ სახეში[3]. ეს მოტივი თავისებურად ავითარებს ხალხის წარმოდგენით გაღმერთებული ქალის პოეტურ სახეს. საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ ამ მოტივის გამოყენების საბაბი, როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, თამარის მემკვიდრის სახელწოდებაც (ლაშა-ბრწყინვალე) იქნებოდა[4].

აღნიშნულ გარემოებათა გარდა ტრადიციული მოტივის თამარ მეფის სახელთან დაკავშირების საფუძველი ისტორიკოსის ცნობებშიც არის. ამ ცნობებით, როდესაც „შეიყარნეს შემჭირნენი“ და თამარს საქმროდ გიორგი რუსი შეურჩიეს, თამარმა „ყოველად უწადინელმან ქორწინებისამან, იაჯა კსნად ქმროსნობისაგან. ხოლო არა ვომ შეებელმან დედოფალმან (რუსუდან) და სპათა აიძულეს ქმნად“[5]. მეორედ, როდესაც თამარს საქმროდ დავით სოსლანი შეურჩიეს და

---

[1] „დროება“, 1878, № 73. დაცულია აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002.

[2] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. S—5317.

[3] А. Н. Веселовский, Царица Тамара в народной легенде и у Лермонтова, „Кавказ“, 1893, № 6.

[4] კს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 28.

[5] ისტორიანი და აბოანი შარავანდედიანი, აღნიშნ. გამოცემა, გვ. 79—80.

დიდებულებმა და ეუბირებმა დაითანხმეს იგი გათხოვებაზე, უთქვამს: „მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, არიდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმრისნობისაჲ, არცა პირველ, არცა აწე“ [1]. ისტორიკოსის ამგვარი ცნობები ხალხისთვის ერთგვარი საბაბი იქნებოდა დიდებული ქალის წმინდანად წარმოდგენისთვის. ამგვარად ქალწულის სასწაულებრივად განაყოფიერების ტრადიციული მოტივი სავსებით კანონზომიერადაა გამოყენებული თამარ მეფის პოეტური სახის შესაქმნელად.

შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ სინამდვილეში ტრადიციულ მოტივს დროთა ვითარებაში დაკარგვია მითიური ელფერი და რეალისტური ხასიათი მიუღია. არსებობს ლეგენდის ისეთი ვარიანტები, რომლებითაც თამარ მეფის მემკვიდრის დაბადება რეალისტურად არის მოტივირებული. ეს ვარიანტები ისტორიკოსის ცნობებთანაა ახლოს. მათი მიხედვით თამარ მეფეს დიდებულებისა თუ ხალხის თხოვნით ან ძალდატანებით შეეძინა მემკვიდრე. ამ მოტივის შემცველი ლეგენდა ფართოდაა გავრცელებული მისი მრავალი ვარიანტით. თამარ მეფე უმემკვიდრეოდ რომ არ დარჩენილიყო, დაბანგეს და მამაკაცი შეაპარეს. ვაჟას მიერ ჩაწერილ ფშაურ ვარიანტში არ არის აღნიშნული მემკვიდრის მამის ვინაობა: „დედოფალი დაათვრეს „ბანგით“ და მიუჯავნეს ჩუმად კაცი„ [2]; ახალმოპოვებული ხევსურული ვარიანტითაც დაბანგული თამარის განაყოფიერება „ერთ კაცს ერგა“ [3]; ოსური ვარიანტით საგანგებოდ შეარჩიეს მემკვიდრის მამა: „მოიგონეს შემდეგი: დაათრონ ბანგით და ძილში მიუგზავნონ რომელიმე ჰაბუკი, ერთი საუკეთესოთაგანი, რომ მას შეეძინოს ბავშვი, რომელიც შემდეგ იქნება მათი მეფე“ [4], კახური ვარიანტით ვეზირს დაავალეს, დაბანგულ მეფეს მიპარებოდა [5]; იმერული ვარიანტით ზანგი შეაპარეს მძინარე დედოფალს [6]. ისტორიკოსის ცნობას ყველაზე მეტად

---

[1] ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, გვ. 89.

[2] ს. ჯანაშიას სახ.საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. S—5317.

[3] ჩაწერილი ჩვენ მიერ 1944 წ. არხოტში კირჩლა წიკლაურის თქმით.

[4] Сб. мат. для опис. местн. и пл. Кавказа. т. 27, განყ. 3. გვ. 40.

[5] ჩაწერილი ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ 1943 წ. ს. საბუეში ალექსი მუსაშვილის თქმით.

[6] „ქვალი“, 1893, № 37.

უახლოვდება სვანური ვარიანტი, რომლის მიხედვითაც თამარ მეფემ შეიწუნარა ხალხის თხოვნა, გათხოვდა და შეეძინა მემკვიდრე [1].

თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ტრადიციულ ლეგენდაში განაყოფიერების მოტივი ერთგვარი წინასწარი პირობაა მეორე ტრადიციული მოტივის გამოყენებისა და თავისებურად განვითარებისათვის. მიტოვებული ბავშვის მოტივის თამარ მეფის სახელთან დაკავშირების ასახსნელად საგულისხმოა ის გარემოება, რომ გავრცელებული ლეგენდის ვარიანტების უმრავლესობით მამაკაცებს ეშინიათ თამართან კავშირის დაჭერა. ისინი იძულებით ხდებიან მემკვიდრის მამად. ხევსურული ვარიანტით „თამარ ნეფე რო იყვ, ქმარ არ უნდოდ, შვილ არ უნდოდ. ვეზირთ თქვეს იმისად, რო ეს მოკედებისო, მემრ ვინ უნდა იყვას ნეფეივ, თუავ ამის ნაშობ არავინ გვექნაე ნეფედავ, ისივ ჩვენ კელს არ მოგვცემსაო. სხვის შვილ ჩვენ კელს არ მოგვცემსავ, მაგის მუცლისა უნდა იყვასავ. მემრ კენჭ ჩაყარეს, რასაც ი ვეზირ იტყოდ, თუ უარს იტყოდ ი კაცი, ვისაც კენჭი მიერგებოდ, უნდა მაშინ მეეკლ ისი. ერთ კაცს ერგა. რა ქნას, იმას მეტ ჯან არ აქვ, თან კვლენ, თან კენჭ ერგა. იმ დროს თამარ ნეფე დაბანგეს. იმან არაფერი აღარ გაიგ, ჰაჯანი ახლა რაც პირობაი აქვ, იმ კაცმა უნდა აასრულას საქმეი, უნდა დაწვას თამარ ნეფესთან. მავი გონსა, გაიგ თავის თავისა, ეს რა ამბავიავ ჩემს თავსაო.

ვეზირთ უთხრეს რომაო, სრუ დაგვეკოცენ ჩვენ ნაქნარიავ ეეგიო". თამარმა გახერებული შანთით დასაჯა ქალწულობის დაკარგვის მიზეზი [2]; ასევე დაისაჯა მომავალი მემკვიდრის მამა ლეგენდის ფშაური ვარიანტითაც [3]. სასტიკი სასჯელის შიშით უნდა აიხსნას ზემოთ აღნიშნული იმერული ვარიანტის მიხედვით მძინარე დედოფალთან „ზანგი-შავი კაცის" ქურდულად მიგზავნა.

ლეგენდის ვარიანტების უმრავლესობით თამარ მეფემ ისიცხვილა ცდუნება. მან თავისი პირმშო, შედეგი ქალწულობისა და სიწმინდის დაკარგვისა, გადაგდო. მიტოვებულ ბავშვს ირემმა აწოვა ძუძუ. შემდეგ მონადირეებმა იპოვეს იგი და მეფეს მიგვარეს. ეს მოტივი უშუალოდ მოსდევს სასწაულებრივად განაყოფიერების ამბავს სხვა ხალხის ეპოსის მიხედვითაც. მაჰაბჰარატას მიხედვით მეფის

---

[1] ჩაწერილი ჩვენ მიერ სვანეთში, მესტიაში 1945 წ. ანტონ ხერგიანის თქმით.

[2] ჩაწერილი ჩვენ მიერ არხოტში, ს. ამღაში 1944 წ. კირჩლა წიკლაურის თქმით.

[3] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. S—5317.

ქალიშვილს კუნტას ანუ პრიტხას შერცხვა ცდუნებისა და თავისი პირველი, მზის ვაჟი „ბშვენიერი“ მდინარეს მიაბარა. ბავშვი უშვილო ცოლქმარმა აღზარდა[1]; რომაული თქმულებით რეამ მიატოვა მარსის შვილები—რომული და რემი. რომში კაპიტოლის მუზეუმში ბოლო დრომდე შენახული ყოფილა ქანდაკება ძუ მგლისა, რომელიც ძუძუს აწოვებს ორ ბავშვს. ქანდაკების საფუძველი აღნიშნული თქმულებაა რომულისა და რემის შესახებ. რეას მიერ მიტოვებული ბავშვები ძუ მკელმა გაზარდა[2].

ჯ. ფრეზერის მოსაზრებით ეს მოტივი მეტწილად სამეფო დინასტიასთანაა დაკავშირებული[3]. მას ჩამოთვლილი აქვს მიტოვებული ბავშვის მოტივის შემცველი სხვა თქმულებებიც. ასეთია ბიბლიური თქმულება, რომლის მიხედვითაც ეგვიპტის ფარაონის ბრძანების თანახმად დედამ მდინარის პირას დატოვა ებრაელი ხალხის მომავალი კანონმდებელი მოსე[4]; ასეთია აგრეთვე ბაბილონის პირველი სემიტი მეფის სარგონ დიდის ქანდაკების წარწერა. ამ წარწერის მიხედვით იგი ბავშვობისას მდინარეში გადაუგდიათ[5]. ამათ გარდა აღსანიშნავია ვიკრამიჩარიტრას მეორე მოთხრობა. იგი აღნიშნული მოტივითაც ანალოგიურია თამარ მეფის ციკლის ლეგენდისა. ამ მოთხრობის მიხედვით საჰმლის ნარჩენებით განაყოფიერებულმა დედოფალ უძისკულენტეს ქალწულმა მსახურმა მგლის სორორში დატოვა ბავშვი. მიტოვებული ბავშვი მგლებმა გაზარდეს; იმავე ვიკრამიჩარიტრას მიხედვით ტყეში მიტოვებული მეფისწული სასწაულებრივად აღიზარდა. ინდური ეპოსითვე ბრაჰმანის ქალიშვილის მიერ ტყეში მიტოვებული ბაკშვი ძუ ტურაქ აღზარდა[6]; ბერძნული მითოლოგიით ქალღმერთ კიბელამ ლერწმით დაფარული მდინარის პირას იპოვნა ფრიგიელთა მომავალი ღვთაება ატისი[7]; „შაჰნამეს“ მიხედვით ახალდაბადებული ზაალი შამბნარში ჰიაგდეს. იგი ფასკუნჯმა გამოზარდა.

---

[1] Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете, გვ. 253.
[2] იქვე, გვ. 254.
[3] იქვე, გვ. 253.
[4] იქვე, გვ. 253.
[5] იქვე, გვ. 255.
[6] Chr. Lassen, Jndische Alterthumskunde, II, S. 880—8:0.
[7] Д. Фрезер, Золотая ветвь, III, стр. 62—71.

ეს მეტად გავრცელებული მოტივი ცნობილია უძველეს ქართულ მითოლოგიაში. ამირანიანის სვანური ვარიანტით ღმერთქალის დალის შვილი ამირანი აკვნით დატოვეს იამანის წყაროსთან [1]; ქართული ჯადოსნური ზღაპრის „ირმისას“ მიხედვით მწუხარებით რძეგამშრალმა ღარიბმა ქვრივმა ვერ შესძლო შვილის რჩენა, „აიღო და ბავშვი ერთ კოკლ ირემს მიაბარა და სთხოვა:—შენ გაზარდეო. ბავშვი მიეჩვია ირემს, ტყეში თან დასდევდა და როცა მოუნდებოდა, ძუძუს სწოვდა“ [2].

საისტორიო ნაწარმოებებში ეს მოტივი, როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ მოსდევს სასწაულებრივად განაყოფიერების მოტივს. საგმირო ეპოსის ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. საგმირო ეპოსის მიხედვით არამც თუ დიდი ეროვნული გმირების, არამედ თემის გმირების დაბადება, აღზრდაცა და გარდაცვალებაც კი მითიურადაა წარმოდგენილი. ქართულ სინამდვილეში ამის მრავალი მაგალითი გვაქვს. რაც შეეხება მიტოვებული ბავშვის მოტივს, ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ იგი საკმაოდ ადრე უნდა იყოს გამოყენებული. ვახუშტი მას იცნობს, როგორც ბაგრატიონთა გვარის შესახებ გავრცელებული თქმულების მოტივს. გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ამ თქმულებას გარკვეული ბიოგრაფიული მომენტების გამო გუარამ მაჭფალის სახელს უკავშირებს [3]. ვახუშტისთვის, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, არ უნდა ყოფილიყო ცნობილი ამ მოტივის თამარ მეფის სახელთან კავშირი. საფიქრებელია, უფრო გვიან, სასწაულებრივად განაყოფიერების ტრადიციული მოტივის ისტორიულ საფუძველზე მოხდა მისი დაკავშირება თამარის სახელთან. ამიტომ ვახუშტის ცნობას ამ თქმულების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციული მოტივების ეპიური დამუშავებისა და, კერძოდ, საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზების გასათვალისწინებლად. საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების შემოქმედებაში არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე ხალხური შემოქმედების სალაროდან ამოღებული ტრადიციული მოტივის უბრალო განმეორებასთან. ამ მოტივის შემცველი გავრცელებული ლეგენდის ვარიანტები ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის, ხალხური სიტყვიერების არაჩვეულებრივი დინამიუ-

---

[1] „ივერია“, 1887, №№ 212.

[2] ზღაპრები № 2, ქართველ ქალთა წრის გამოცემა, თბილისი, 1903 წ., გვ. 127.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 225.

რობის მაჩვენებელია. ამ ლეგენდის ერთი იმერული ვარიანტი გვარის ეტიმოლოგიასაც კი იძლევა. ამ ვარიანტის მიხედვით ირმის მიერ აღზრდილს, თამარ მეფის შემდეგში გამეფებულ ვაჟს ხალხმა ირემაძე უწოდა [1].

ხალხური სიტყვიერების დინამიურობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მიტოვებული ბავშვის მოტივის ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირების მაგალითები. როგორც აღვნიშნეთ, არც ერეკლე მეფის პოეტური სახისთვის არის უცხო მითიური ელფერი. წმინდანობის ნიშნად თამარ მეფის მსგავსად ისიც მზის სხივთან არის დაკავშირებული. ზემოთ აღნიშნული ლეგენდის იმერული ვარიანტით, თამარ მეფის ტანსაცმელს მზის სხივი იჭერდა. მხოლოდ ცდუნების შემდეგ დაკარგა მან ღვთისგან ნაბოძები სიწმინდის ჯილდო [2]. თედორაზიკაშვილის ცნობით, ხალხს სწამდა „—ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისეკ აიღებდა ხმალსაო“ [3]. საგულისხმოა, რომ მსოფლიოში განთქმული მხედართმთავარი ხალხის წარმოდგენით მზეს უკავშირდებოდა ხმლით, რის ოსტატურად გამოყენებით დამპყრობლებისაგან იცავდა სამშობლოს. ხალხური სიტყვიერების განვითარების თვალსაზრისით სავსებით კანონზომიერი შოვლენაა ამ დიდი ეროვნული გმირის სახელთან მიტოვებული ბავშვის მოტივის დაკავშირებაც. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ლექსი:

ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია;
გადუგდიათ საჩალეში,
მონადირეს უპოვნია [4].

გერონტი ქიქოძემ ამ ლექსის რეალურ საფუძვლად ერეკლე მეორის აღზრდის პირობები მიიჩნია [5]. ტრადიციული მოტივის ამგვარი გაახლების საფუძველი სხვა პირობებთან ერთად აღნიშნული გარე-

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. II—2004.

[2] ლეგენდა თამარზე, „კვალი“, 1893, № 37.

[3] აქ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 365.

[4] „ძვ. საქართველო“, II, განყ. 5, გვ. 63; ხალხური პოეზია, გვ. 90 და სხვ.

[5] გერონტი ქიქოძე, ერეკლე მეფის ომები, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოც., 1943 წ. გვ. 7.

ვოებაც არის. მთავარი ის არის, რომ ლექსი გენეტიკურად თამარ მეფის შესახებ არსებულ ტრადიციულ ლეგენდასთან არის დაკავშირებული. ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებულია ლეგენდის ის ვარიანტები, რომლითაც ერეკლე მეორე თამარ მეფის შვილი ან შვილისშვილია. ვრცელი მანძილისა და დიდი დროს გადალახვის შემთხვევებში ხალხის ფანტაზიას ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს. ამ შემთხვევაში ხალხს დაუნათესავებია ერთიმეორისაგან საუკუნეებით დაშორებული ორი დიდი პიროვნება. ქართველი მთქმელების შემოქმედებაში საუკუნეთა ასეთი შორეული მანძილის გადალახვის შემთხვევებში ტრადიციული ლეგენდა ლოკალიზებულია საქართველოს ცალკე კუთხეთა თავისებურების მიხედვით. თამარ მეფე საქართველოს ყველა კუთხის ხალხური შემოქმედების საგანია. ტრადიციული ლეგენდაც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ერეკლე მეორის სახე კი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორშია ცნობილი. ამიტომ ერეკლე მეორე თამარ მეფის შვილი ან შვილისშვილი ტრადიციული ლეგენდის მხოლოდ აღმოსავლური ვარიანტებითაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ის კუთხეები გამოირჩევა, სადაც ერეკლე მეორის ერთგვარი კულტი იყო. კახელი მთქმელების შემოქმედებით საყვარელი პატარა კახი თამარ მეფის პირმშო იყო. 1943 წ. ჩაწერილი ლეგენდის კახური ვარიანტით ტყეში ირმის მიერ გაზრდილი „ი ბალღი ნეფე ერეკლეა. თავის ხელმწიფობა იმას დაულოცა თამარ დედოფალმა და გამოვიდა ნეფე ერეკლე“ [1]. დიდი თამარის მემკვიდრედ მიაჩნიათ ხევსურებსაც მათი ჯათაყვანებელი გმირი მეფე. კირჩლა წიკლაურის ზემოთ აღნიშნული ფანტასტიკური ლეგენდით თამარს „გაუჩინდ ვაჟი.—წადითავ, ესივ გველებს გადაუგდეთავ. გველები ხყვა იქვ. გადაუგდეს გველებს, რა მეტი ჯანი იყო. მივი გველები, სრუ ყველა ღლოკს ბალღს. არც შეჭამეს, არც უკბინეს. მემრ უთხრე რო საჯინიბეჩიავ, თაღლების ფეჯი გაისრიეთავ ეგივ. მემრ მივიდეს, ნახეს ცხენები ქვად და ხედ გაკდეს, იქავ ბალღიაო.

—წაიყვანეთავ, უთხრ ეგიო, ერთ უდაბურ ტყეჩი გადააგდეთავ, დათვი, მგელი, ღორი შიგ იყვასავ. ყურს ნუღარ უგდებთავ, გაუშ-

---

[1] ჩაწერილი ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ ს. საბუეში (ყვარლის რ.) 1943 წ. ალექსი მუსაშვილის თქმით.

ვითავ იქავ. წაიღეს ეს ბალღი და იქ გადააგდეს ტყეჩი, შორა. ფურ-
ირემმა გაზარდა. გავი ერთი წელიწადი. მამკვდარ ეგონ ი ბალღი.
მემრ მშაველს და კევსურს მეენადირ ორნივ. ნახეს ირემ ტყეჩიგ. თოფ
მაამზად მშაველმა, უნდა ესროლას, ირემ მოკლას. კევსურმ თვალით
ნახ, რომა ფურს ბალღი ყავ აყუდებული, წოვს. სახელ ვერ იცის
ამხანიგისა, ახალ შაყრილნი ერთად. — ჰეე. დიიდო, დიიდო, თოფ
არ დაარტყაო.

— რაი ას, უთხრა.

— ხედაო, ბალღი ირემს წოვსო, რა ამბავია ესიო. მივიდეს
ახლოს, არც თოფ დაარტყეს, შახედავს ირემი და გაიქც ეს ირემი,
რომ ახლოს მივიდეს. დარჩ ეს ბალღი. შახედვენ, აირქოლეს, გაახ-
ვიეს ზოგ რა, ზოგ რაი, შინ წამაიყვანეს. მშაველმა და კევსურმა
გაზარდეს ე ბალღი.

— რა დავხქვივნათო.

— ბაგრატ იყვასავ.

ბაგრატ დაარქვეს სახელად. გატყდ კმა, რომა ირემს გაუზდავ
ბალღი ტყეჩიგა და ის მაკელესავ, გაიზარდაო. გაიგა დედამ, თამარ
ნეფემ კხევსურეთ, ფშავს ასაო.

— აქამდე ჩვენ გავზარდეთა და ახლა კევსურებმ თქვეს ნეფედავ.
მაყიდ ჯარები, დედამ ჯარებ მაასხა, უნდა თავ მაშჭრან, მაკლან.
კევსურის მთიბელჩი ას ეხლა ი ბალღი.

უთხრ მა ბალღმ, რომა ერთ ცხენ მამეციოთ და ხავიწიანი ჯამი
თავზე დამადგითავე, ხვთის ძალიაო, თუ გადმავარდების, დედა მამკვ-
ლავსო, თუ არა,—არაო.

გააქციე ცხენი და ჯამ არ გადმავარდა თავზეით ხავიწიანი. მემრ
ახლა ჩვენ გაზდილ კევსურთ უჭირეს მკარი. წამაიგდეს, უკოცეს
ჯარები. გეექც ეს თამარ ნეფეი, გაიქცა.

— ესე მინდა ფრახსაო,
დედასა შვილის მტერსაო.

მემრ იმან ცოლ შაირთო, შვილს ერეკლე დაერქო. მემრ კიდე
მეორე შვილსაც კიდე ერეკლე, ისიც ნეფეი. მესამეც ერეკლე. ისინ
იყვნეს ნეფედ ალექსანდრეს და გიორგის მამა...

ეს არის ანდრეზი ბაგრატიონთა, თამარ ნეფისა. ბაგრატიონი
ირმის კორცს არ შჭამდ, დედის კორცს ხო არ ვშჭაშავ“ [1]. მოყვა-

[1] ჩაწერილი ჩვენ მიერ არხოტში, ს. ამღაში 1944 წ. კირჩლა წიკლაურის თქმით.

ნილი ამონაწერი ტრადიციული ლეგენდის ხევსურული ლოკალიზაციის ნიმუშია. მასში ტრადიციული მოტივები ხევსურული ტენდენციითა და იქაური ყოფის დამახასიათებელი დეტალებით არის გაფორმებული. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი მომენტები: თამარ მეფის პიროვნებისადმი მთქმელის დამოკიდებულება და მისი ერთგვარი უდიერადაც ხსენება, რაც სხვათა შორის ხევსურეთში ბოლო დრომდე არსებული ქალის უფლებრივი მდგომარეობითაც აიხსნება; ირემზე მიყრდნობილი ბავშვის ხსნა არა ფშაველი, არამედ ხევსური მონადირის მიერ; მეფის მემკვიდრის „კევსურის მთიბელჩი“ ყოფნა; ბედის წერის გაგების მიზნით მეფის ვაჟის მიერ ხევსურთა სარიტუალო საჰმლის (ხავიწიანი ჯამის) თავზე შედგმა და ცხენის გაჭენება.

აღსანიშნავია, რომ საისტორიო ნაწარმოებთა ტიპიურმა სვანმა მთქმელმა ანტონ ხერგიანმა ამ ტრადიციული ლეგენდის მიხედვით თამარ მეფე დადეშქელიანთა წინაპრად გამოიყვანა. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ერეკლე მეორის სახე უცხოა სვანური სიტყვიერებისათვის. ანტონ ხერგიანის ვარიანტით „სვანეთსა და სამეგრელოს შორის დადიოდა თამარ მეფე. სამეგრელოდან რომ მიდიოდა, ხაიში [1] საუზმეს აიღებდა და სვანეთში სადილს, ისე ჩქარა დადიოდა. ამასა და ამას შორის დაჭირდა ორსულობა. დრო მოსელია მშობიარობის ეცერში. იქ მოუმშობიარებია და ბიჭი ყოლებია. თითონ ხელი არ უხლია, ისე ის ბავშვი—ამხანაგებისთვის უთქვამს,—მთაზე აიყვანეთო, მახში [2], შეახვიეთ კარგად, იქ დატოვეთ და დაბრუნდითო. თუ ღმერთს უნდოდეს, ეს ბავშვი ხვალ ცოცხალი დაგვხვდესო. თუ არა—მკვდარი დაგვახვედროსო. მეორე დღეს აუგზავნია, დაუბრუნებია კიდევ ისინი მთაზე და ცოცხალი დახვდა ბავშვი. ბავშვს ოფლი ჰქონია შუბლზე. დაუბრუნებიათ სახლში და ხელი მოუკიდებია დედას, თამარ მეფეს. გაუზრდია, იქ დაუტოვებია ეცერში და დადეშქელიანები იქიდან გაჩენილან“ [3]. ამ ვარიანტის მიხედვით ბავშვის მიტოვება ღვთის ნების გაგების სურვილითაა მოტივირებული. ამ შემთხვევაში ტრადიციული ლეგენდის სვანურ ლოკალიზაციასთან გვაქვს საქმე: აღნიშნულია სვანეთისა და სამეგრელოს ურთიერთობა; მოქმედების ადგილებად სვანეთის სოფლები და მთებია დასახელებული და, რაც მთავარია, თამარ მეფე დადეშქელიანების წინაპრადაა გა-

[1] სოფელია ზემო სვანეთში.

[2] ეცერის მთა.

[3] ჩაწერილია ჩვენ მიერ მესტიაში 1945 წ. ანტონ ხერგიანის თქმით.

შოყვანილი. ეს მოჰენტები ძველესი ლეგენდის ცოცხალი ტრადიციის მაჩვენებელია.

* * *

თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებებში მითოსის კვალს ატარებს ამინდის გამგეობის მოტივი.

ბერძნული მითოლოგიით ღვთაება ზევსი-დიოსი ამინდსა და საერთოდ ცა-ღრუბელს განაგებს[1]; ავსტრიელთა რწმენით ჯადოქარი „დასავლეთის ქარი" (ისინი ხშირად ღვთაებასა და ჯადოქარს აიგივებენ) ქარის მფლობელია[2]; მელანეზიელების წარმოდგენით ზებუნებრივი არსება კატი ცისკრის მომყვანია[3]; ინდოელების რწმენით ღვთაება უშასი ცისკარს განაგებს; ინდრა, მითრა და ვარუნა—დღე-ღამეს; ვაიუ—ქარს[4]; ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებანი—ელია, პირიმზე, აჟგ ტაროსს განაგებდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით მათი პროტოტიპი ვობი ანუ ვები იყო[5]. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში განსაკუთრებით გავრცელებულია ლეგენდები წმინდა ილიაზე[6]. ამგვარად თამარ მეფის სახის პროტოტიპი იმ ლეგენდების მიხედვით, რომლითაც იგი ბუნების მოვლენათა მფლობელია, ქართულ მითოლოგიაშია. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა საფუძველზე დაუკავშირდა თამარ მეფეს წარმართული სოფლმხედველობის საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო ხასიათის მოტივი.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ამინდისა და წელიწადის დროთა გამგე სულგუმი თამარ მეფის ტყვე იყო[7]; გავრცელებული ლეგენდით თამარ მეფეს ჩაკეტილი ყავდა ცისკარი თუ შუქურვარსკვლავი. ამიტომ ვიდრე ურჩმა მსახურმა თუ მისმა საკუ-

---

[1] Ланг, Мифология, გვ. 99.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 107.

[4] იქვე, გვ. 131.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნ. პირველი, გვ. 71—74.

[6] თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრები, ტ. I, გვ. 264 და სხვ.

[7] А. Хаханов. Оч., I, стр. 284.

თარმა პირმშომ იგი არ გაანთავისუფლა, მისი მეფობისას საქართველოში ზამთარი არ იყო [1].

ამინდის ვარსკვლავის მპყრობელი თამარ მეფე XII ს. ძლევამოსილი საქართველოს პოეტური სახეა.

ფშაური ლეგენდით თამარ მეფეს ქარი ემორჩილებოდა. მისი ბრძანებით მოიტანა ქარმა ჩალა-ბზე, თივა-ფიჩხი და გაურჩებულ კასპიის ზღვას დააყარა. თამარმა ზღვას ნავთი დაასხა და ცეცხლი მოუკიდა. შეძრა იგი, ქედი მოახრევინა და დახარკა [2]. არსებობს ამ ლეგენდის ისეთი ვარიანტი, სადაც მითიურ მოტივს რეალისტური სახე აქვს მიღებული. მასში ქარის ფუნქციას ლაშქარი ასრულებს. ამ ვარიანტის მიხედვით მსოფლიოს მპყრობელმა თამარ მეფემ თავის ლაშქარს უბრძანა გაურჩებულ ზღვაზე ნამჯის მოფენა, „აბა, ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ პატრონს“ [3]. ეს ლეგენდა ჩვენ თამარ მეფის ძლევამოსილების ამსახველად მიგვაჩნია [4]. იგი ერთგვარი კომენტარია ისტორიკოსის ცნობისა. ისტორიკოსის ცნობით თამარ მეფემ „იპყრნა ზღუთ პონტოსით ზღუამდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის, და ყოველნი კავკასიის იმერნი და აჭერნი, ხახარეთამდის და სკჳთთამდე“ [5].

ამ შემოხვევაშიც ტრადიციული მოტივი მექანიკურად არ არის განმეორებული. ისტორიული თამარის პოეტურ სახეში საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ მოხდენილადაა შეტანილი მითოლოგიაში ცნობილი ტაროსის ღვთაების თვისება. იგი გამოყენებულია თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად. ქართული ლეგენდებით ძლევამოსილი მეფე ღვთაებრივ უნარს ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებს. ცხინვალელი (აწინდელი სტალინირი) მთქმელისაგან XIX ს. ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით თამარ მეფემ „დაიჭირა ცისკარი და დაამწყვდია ერთიმეორეში ჩადებულ ცხრა ყუთში; ამ ვარსკვლავისაგან იყო დამოკიდებული თოვლიცა და კარგი ამინდიც. ამის შემდეგ ამინდის შეცვლა უკვე თამარისაგან იყო დამოკიდებული. ამგვარად თამარმა

[1] „კრებული“, 1898. VIII; „ძველი საქართველო“, 11, განყ. 4, გვ. 47; „საქართველო“, 1916, № 97; Вс. Миллер, Осетинские этюди. III; Сборник мат. для опис. местн. и пл. Кавказа, XIII, стр. 44—45; იქვე, XXVII, განყ. III, გვ. 40—42; ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002; ფოლკლ. სექც. მას. №№ 3357, 13476.

[2] თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრ., II, გვ. 84.

[3] ფოლკლ. სექც. მას. № 3354.

[4] ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხ. შემოქმ., გვ. 8.

[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 79—80.

თავის ქვეყანას ააშორა ძლიერი ყინვები, რომელიც ცისკარს მოჰქონდა"[1]. ლეგენდის ქართული ვარიანტით „როდესაც თამარ მეფემ შუქურვარსკვლავი (ცისკარი) დაიჭირა და ყუთში დაამწყვდია, საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიკვეთა, იმიტომ რომ ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა. ზამთრის ამოკვეთის შემდეგ, თამარ მეფე რომ ბაღდადში მიბძანებოდა მონასტრისასაშენებლად, მოახლეს ჩააბარა ყუთი შუქურვარსკვლავით და უბძანა: „არამც და არამც ეს ყუთი არ გააღო, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებთო". მონასტერს ჰერი-ღა აკლდა, რომ მოახლემ ყუთს ახადა. თამარ მეფის სიბძანებელი მაშინვე გაბწყინდა. შუქურვარსკვლავი ყუთიდან ამოფრინდა და ზეცას გაფრინდა. თამარ მეფეს კალატოზებმა მოახსენეს: „დიდებულო მეფეო. მონასტრისთვის დამზადებულ ქვას ჭირხლი მოჰკიდებია, ველარ ვეწევითო".

ბაღდადში ჭირხლი მაშინ მოდიოდა ხოლმე, როდესაც საქართველოში ზამთარი დადგებოდა. თამარ მეფე მიხვდა, რომ ზამთრის მოსვლის მიზეზი უთუოდ შუქურვარსკვლავის გაშვება იქნებაო". საქვეყნო საქმის დაბრკოლებით უნდა აიხსნას, რომ ცისკრის გაფრენის გამო თამარ მეფე „ძლიერ შეწუხდა, სიმწუხრით თავში ორივე ხელი შემოიკრა"[2]; ლეგენდის ოსური ვარიანტის მიხედვითაც თამარმა „ბევრი ინანა და ინაღვლა", როდესაც განთავისუფლებულმა ცისკარმა დაღრუბლა ცა"[3].

ბუნების მოვლენათა ფლობის ტრადიციული მოტივი საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ სხვა მხრივაც ნაციონალურადაა გაფორმებული.

ქართული ლეგენდის მიხედვით შუქურვარსკვლავის დატყვევების შემდეგ იალბუზის მწვერვალზედაც კი არ იყო თოვლი. მარად მოშენდილი ცა სახელმწიფოს დაზვერვისას ხელსაყრელი იყო თამარისთვის. ერთი ვარიანტით „თამარ მეფის დროს იალბუზის მთაზე თოვლი არ მოდიოდა. იგი სანაქებოდ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თვისი ერთი მშვენიერი სასახლე ამ მთაზე ჰქონდა გაკეთებული... უმეტეს ნაწილს თამარ მეფე ამ მთაზე ცხოვრობდა. უყვარდა აქ ამოსვლა და აქედგან მზერა ოთხ კუთხივ"[4].

აღსანიშნავია, რომ ამინდის ვარსკვლავის განთავისუფლებით არ იჩრდილება თამარ მეფის გმირული სახე. ლეგენდის ვარიანტებით

[1] Сб. матер; XIII, стр. 44—45.
[2] „ძველი საქართველო", II, განყ. 4.
[3] „კრებული", 1898, 8.
[4] „საქართველო", 1916 წ., № 97.

ურჩმა პირებმა მაშინ გაანთავისუფლეს ვარსკვლავი, როდესაც თამარი სახელმწიფო საქმეებისთვის შორს იყო წასული. ერთი ვარიანტით იგი მაშინ მონასტერს აშენებდა[1]; სხვა ვარიანტებით კი სახელმწიფოს საზღვრებს ზვერავდა[2].

ტრადიციული მოტივის ეპიური დამუშავების თვალსაზრისით საგულისხმოა ლეგენდის ის ვარიანტი, რომელიც მყინვართანაა დაკავშირებული. ამ ვარიანტით თამარ მეფის მიერ დატყვევებული თოვლის ვარსკვლავის გაფრენის შემდეგ „მყინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი მოდის ხოლმე. თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები, მერმე ეს ზვავი მოსარღვევად ნელნელა ემზადება, გაზაფხულის პირზე დიდის ჭექა-ქუხილით ძირს ეზვება, ვარდება და მის მეობებით გამლელსა და გამომლელს საშინლად ღუპავს, ბევრი უბედურება მომხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხდება“[3].

ტრადიციული მოტივის ქართული ლოკალიზაციის მაჩვენებელია აგრეთვე ლეგენდის ვარიანტებში მოცემული გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეტიმოლოგია. ოსური ვარიანტით, როდესაც თამარმა შენიშნა მოახლის მიერ განთავისუფლებული, ღრუბლებს ამოფარებული ცისკარი, „ადგა, საჩქაროდ შეაკმაზინა ცხენი და გამოეშურა ბრუტსაბძელასკენ: ეგება როგორმე საქმეს ვეშველოო. წამოვიდა იქიდან და გზაში თოვლა დაიწყო; ღარში რომ ამოვიდა, ცხენმა ღარიით გაამკვლია მუხლზე მომდგარი თოვლი და იმ ადგილზე გაშენებულს სოფელს იმიტომ დაერქვა „ღარი“. ზევით რომ ამოსცდა და გამოიარა გზა, თოვლი ცხენს ბეჭამდის მოადგა, იმ ადგილს დაერქვა „ონი“, სადაც ეხლა ონის ქალაქია. გაეშურა კიდევ, მაგრამ ცხენმა ვეღარ შესძლო და მოკვდა. იმ ალაგს დაერქვა „კვდარო“, სადაც ეხლა სოფელი „კუდარო“ არის. ე. ი. მოკვდაო“[4]; მეორე ვარიანტით ოსეთში ტარტაროზის მთის სახელწოდებაც ამინდის ვარსკვლავის გაფრენასთან არის დაკავშირებული. ხალხის რწმენით ეს მთა ვარსკვლავის გამანთავისუფლებელ თამარის მიერ ტარტაროზად ქცეული გამდელის სადგომი იყო[5].

---

[1] „ძველი საქართველო“, II, განყ. 4.

[2] „საქართველო“, 1916 წ; Сборник мат., XIII, გვ. 44—45; XXVII, განყ. III, გვ. 40—42; საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002.

[3] „საქართველო“, 1916 წ., № 97.

[4] „კრებული“, 1898, № 8. აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ასეთი ეტიმოლოგიაა მოცემული აგრეთვე ვს. მილერის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში, იხ. Осетинские этюды.

[5] საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—2002.

დასახელებულ ლეგენდებში ტრადიციულია აგრეთვე ბოროტი ძალის ჰურჩელში ჩამწყვდევისა და გაქვავების მოტივები.

ჩამწყვდეული ბოროტი სულის მოტივი ტრადიციულია[1]. ქართულ ფოლკლორში მრავალ ვარიანტად არსებობს ამ მოტივის შემცველი სასულიერო-რელიგიური ლექსი „სოლომონ ბრძენი და კუნძულელი[2]. ოსური ლეგენდით ურჩი მსახური, რომელმაც გაანთავისუფლა დატყვევებული ცისკარი, თამარმა დასწყევლა, ტანჯულ სულად აქცია და ბირთვში ჩაამწყვდია[3].

გაქვავების მოტივიც ტრადიციულია[4]. იგი ფართოდ არის გავრცელებული ქართულ საზღაპრო რეპერტუარში. ქართლური ზღაპრით გრძნეულმა მზეთუნახავმა ქარისა და სეტყვის დაკვრით გააქვავა ადამიანები[5]; მეორე ზღაპრით ხელმწიფის ცოლმა დასწყევლა მთელი ქალაქი და გააქვავა[6]; მესამე ზღაპრით დევმა ჯადოსნური მათრახით გააქვავა ხელმწიფის ჯარი[7]. თიანეთში ჩაწერილი ლეგენდით თამარის ბავშვმა გაანთავისუფლა დატყვევებული ცისკარი. მსახურები, რომელთაც თვალყური არ ადევნეს ბავშვს, თამარმა დასწყევლა და გააქვავა[8].

კანონზომიერების გარეშე არც ეს ჯადოსნური მოტივებია შესული თამარ მეფის პოეტურ სახეში. ისინი მთქმელების მიერ გამოყენებულია თამარ მეფის მოღვაწეობის, მისი ძლევამოსილების დასახასიათებლად. თამარმა ის პირები დასაჯა, რომელთაც ხელი შეუშალეს სახელმწიფო საქმეში. ამგვარად, ეს მოტივებიც ძლევამოსილი სახელმწიფოს პოეტური განსახიერების საშუალებაა. სიცოცხლეშივე გაღმერთებულ საქართველოს „ოქროს ხანის“ ნიჭიერ ხელმძღვანელს ხალხმა ჯადოქრის თვისებებიც მიაწერა.

---

[1] Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе Аарне, Ленинград, 1929 г., стр. 30, № 331.

[2] ხალხ. სიტყვ. ე. თაყაიშვილის რედ., ნ. I, გვ. 205—208.

[3] Сборник мат., XIII.

[4] Н. Андреев, Указатель сказ. сюжетов по системе Аарне, стр 33, № 410.

[5] ფისასოს ზღაპარი, თ. რახიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, I, გვ. 11.

[6] ზღაპარი ქალაბიჯასი და გაქვავებული ქალაქისა, იქვე გვ. 103.

[7] გაუცინარი ხელმწიფე, ხალხური ზღაპრები № 2, თბილისელ ქალთა წრის გამოც. გვ. 89—95.

[8] Сборн. мат., XXVII.

* * *

საქართველოს მთის მშრომელთა მხრით ზურაბ ერისთავისადმი დიდი სიძულვილის ამსახველადაა გამოყენებული ზემოთ აღნიშნული უძველესი თქმულება წმინდა ხის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ტრადიციული სიუჟეტის ახალ ეპიურ დაწუშავებასთან გვაქვს საქმე.

* * *

კრწანისის ომში ქართველთა თავგანწირვის ამსახველად, როგორც აღვნიშნეთ, მთქმელებისთვის შესაფერისი აღმოჩენილა ლეგენდა გმირი ქალის შესახებ, რომელმაც მამულისა და საკუთარი თავის ღირსება სიკვდილით დაიცვა [1]. ამ ლეგენდის ტრადიციულობა აღნიშნა და მისი პირველი წყარო გაარკვია აკად. კ. კეკელიძემ [2]. დამატებით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ლეგენდის ერთი ვარიანტი, დაკავშირებული ჩერქეზეთის ისტორიულ ამბებთან, გამოქვეყნებული აქვს იური ყაზბეგს [3]. პოტტოს მიერ ჩაწერილი ლეგენდის ვარიანტი ტრადიციული სიუჟეტის ქართული ლოკალიზაციის ერთი კარგი მაგალითია [4].

* * *

ცნობილია საყოფიერო-რეალისტური გადმოცემა ერეკლე მეორის შესახებ, რომლის ანალოგიაც მოიპოვება რუსულ ეპოსში. XVII საუკუნეში ჩაწერილი გადმოცემით, გადაცმულმა იოანე მრისხანემ ქურდების ჯგუფს ურჩია მეფის ხაზინის გაძარცვა. თითონვე შეპირდა გზის სწავლება. ერთი ქურდთაგანი მეფეს მუშტით გაუმასპინძლდა და თან დასძინა: „Негодяй! как ты смеешь предлагать нам ограбить нашего государя, который до нас так милостив? Лучше-же мы обокрадем какого нибудь богатого боярина, который сам расхищает казну царскую“ [5].

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის. ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, გვ. 44.

[2] კ. კეკელიძე, „ბაში აჩუკის“ ერთი ეპიზოდისთვის, „აკაკი წერეთელი“, საიუბილეო კრებული, გვ. 196—202.

[3] Ю. Казы-бек, Черкесские предания, „Московские Ведомости“, 1896, № 24.

[4] Памятники времен утверждения русск. владычества на Кавказе, под. ред. Потто, вып. I, стр. 74—75.

[5] А. Н. Веселовский, Сказки об Иване Грозном, Собр. соч., т. XVI, стр. 154.

თუშური გადმოცემით „ერთი თუში იდგა დარაჯად ერეკლეს სასახლეში. საღამოს ბინდ-ბუნდზედ ერთხელ მეფე უნდა შევიდეს სასახლეში. თუშმა ვერ იცნო, რადგანაც ბნელოდა და დაიძახა:— ვინა ხარ! მეფემ არ უპასუხა. თუში დაეწია და ერთი ლაწანი გაადინა. მაშინ ერეკლემ უთხრა: — რას შერები ბრიყვო, შენს მეფეს რათა სცემ?!

თუში, რასაკვირველია, შეკრთა და შეშინებულმა ვერა პასუხი ვერ მოახერხა და ელოდა სასტიკს სასჯელს მეფისაგან. ერეკლემ მხარზედ ხელი დაადო და უთხრა:—ყოჩაღ, თუშო, ეგრე ფრთხილად უყარაულე მეფის სასახლესო“ [1].

მსგავსი მოტივების შემცველ მოყვანილ გადმოცემებს როგორც რუსულს, ისე ქართულ სინამდვილეში მკვიდრი ისტორიული საფუძველი გააჩნიათ. ისინი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად შეიძლებოდა შექმნილიყვნენ.

* * *

ისტორიული სინამდვილის ასახვის მიზნით ტრადიციული სიუჟეტის გამოყენების ნიმუშია იური ყაზბეგის მიერ გამოქვეყნებული, ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული სურამის ციხის ლეგენდის ჩერქეზული ვარიანტი [2]. ჩვენ არ ვიცნობთ გორგასლის სახელთან დაკავშირებულ ამ ლეგენდის ქართულ ვარიანტს. ჩერქეზული ვარიანტი ქართველ მთქმელთა შემოქმედება არ არის და ამდენად არც ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზების გასათვალისწინებლად გამოდგება.

—

ქართველი მთქმელების მიერ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ნაწარმოებთა შექმნისა თუ ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების მაგალითები შეიძლება კიდევ გაიზარდოს, მაგრამ აღნიშნულითაც ნათელი უნდა იყოს საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზები. არაჩვეულებრივი მოქნილობითა და ცოცხალი შემოქმედებითი უნარიანობის გამოაშკარავებით მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფენ ქართულ ხალხურ

---

[1] ივ. ბუქურაული, თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე მეორის შესახებ, „ივერია“, 1895, № 22.

[2] Юрий Казбек, Черкесские предания („За родину“), „Московские Ведомости“, 1896, № 40.

საისტორიო ნაწარმოებთა თვითყოფილად განვითარებას და მის დიდ მნიშვნელობას საერთაშორისო ფოლკლორისტიკისათვის. მათი შესატყვისობა ისტორიულ ფაქტებთან აღვნიშნეთ არა ისტორიული სკოლის თვალსაზრისით, არამედ ხალხური შემოქმედების განვითარების საერთო კანონების გასათვალისწინებლად.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში მთავარი ფაქტორი საგმირო ამბებია. ეს ირკვევა ამ ნაწარმოებთა პირველ წყაროებთან, ე. ი. ისტორიულ სინამდვილესთან დამოკიდებულებიდან. საისტორიო ნაწარმოებთა მაგალითებიდან ნათლად ჩანს ქართული ხალხური სიტყვიერების განვითარების ტრადიციული გზები. პროფ. შალვა ნუცუბიძემ მართებულად აღნიშნა: „Еще на заре истории грузинского народа главенствующее место в народном творчестве занимала идея героизма“ [1]. კეთილისა და ბოროტი ძალების დაპირისპირება ქართულ ხალხურ შემოქმედებაში თავიდანვე საგმირო იდეით იყო განსაზღვრული. კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება განხილულ საისტორიო ნაწარმოებებში ქართველ მთქმელთა ეროვნული და სოციალური თვალსაზრისითაა მოცემული. ამ ორი ძალის დაპირისპირება აძლევს ნაწარმოებს საგმირო ხასიათს. ამაშივე ვლინდება ღრმა პატრიოტიზმი ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა, რომელნიც მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სიტყვების ერთგვარ ილუსტრაციას წარმოადგენენ: „Патриотизм—одно из наиболее глубоких чувств, закрепленных веками и тысячелетиями обособленных отечеств“ [2]. ღრმა პატრიოტიზმით აიხსნება ის გარემოება, რომ საგმირო ამბები უფრო უძლებენ საუკუნეებს, ვიდრე საყოფიერო. ნაწარმოებთა ისტორიული სინამდვილიდან დაშორებაც კი ანაქრონიზმებისა, ტრადიციული მოტივების ეპიური დამუშავებისა თუ ზეპირსიტყვიერების სხვა სპეციფიკური მოვლენებით კი არ ასუსტებს მათ საგმირო ხასიათსა და პატრიოტულ იდეებს, ზოგ შემთხვევაში აძლიერებს კიდევაც. თანამედროვეთაგან ჩაწერილი ტექსტების შემდეგ საუკუნეებში ფიქსირებულ ვარიანტებთან შედარების საფუძველზე ვასკვნით, რომ მომდევნო თაობას წინ პართა საგმირო ამბები უფრო ეინტერესება, ვიდრე—

---

[1] Шалва Нуцубидзе, Идея героизма в творчестве грузинского народа, „Литературная газета“, 1941, № 8 (922).

[2] В. И. Ленин, Сочинения т. XXIII, 1936, стр. 290.

საყოფიერო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა საყოფიერო ხასიათსაც. ისინი მეტად საინტერესო მასალებს შეიცავენ ქართული ყოფის შესასწავლად, მაგრამ ამგვარი მასალებით ახალი ციკლები უფრო მდიდარია, ვიდრე ძველი. ძველი ციკლების ნაწარმოებებში ასახული ეთნოგრაფიული ყოფა მათი რეალური საფუძვლისთვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ იმ ეპოქისათვის, როდესაც მოხდა მათი ფიქსაცია. საგმირო ამბები კი ძირითადად ნაწარმოებთა პირველი საფუძვლიდან მომდინარეობენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძველსა და ახალ ციკლებს შორის განსხვავება არსებობს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შედარებით ძველი ციკლების ნაწარმოებებში საგმირო ამბები ერთ გმირთანაა დაკავშირებული. ამიტომ ნაწარმოებთა ცენტრში მხოლოდ ერთი გმირია. ასეთებია დიდი ეროვნული გმირები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და შალვა ახალციხელი. ახალი ციკლების ნაწარმოებებში კი სხვაგვარ მოვლენებთან გვაქვს საქმე. მათი მიხედვით საგმირო ამბები მიეწერება, როგორც დიდ ეროვნულს, ისე თემის გმირებს. ერთ ნაწარმოებშიც კი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე გმირის მოქმედებაა ასახული.

III

საისტორიო ნაწარმოებთა პოეტური თავისებურებანი

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა პოეტური თავისებურებანი ძირითადად მათი სოციალური ფუნქციით არის განსაზღვრული. ბევრი მათგანის ღრმა შინაარსი და მაღალი იდეა შესაფერი მხატვრული ფორმით არის მოცემული. ქართული ხელოვნური სიტყვის დიდმა ოსტატებმა, ხალხური შემოქმედების შესანიშნავმა ჰირისუფლებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა მეტად მაღალი შეფასება მისცეს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მხატვრულ ღირებულებას. ამ მხრივ შეიძლება გადაჭარბებულად არც მივიჩნიოთ აკაკი წერეთლის მიერ ოთხსტრიქონიანი საგმირო-საისტორიო ლექსის („თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“) შეფასება: „შავთელმა, რომელსაც საგნად ჰქონდა აღებული თამარ მეფის სიწმინდისა და ძლიერების ხელოვნებით გამოხატვა, მისი მეათასედიც ვერა სთქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჰკრა“ [1]. „ივერიის“ მეთაურში აღტაცებითაა შეფასებული ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილ ლექსში კეთილშობილური, ჰუმანიური იდეის გამომხატველი მოხდენილი სიმბოლო: „ერმა ამისთანაებში მოსწრებული და ზედგამოკრილი სიტყვა იცის, იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნობისაგან გულისა, ე. ი. მაშინ, როცა გული საცაა.

„ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგებსნათ რკინის კარიო,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარიო“.

ასე ამოიკენესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვნის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლია რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას“ [2]. ქართული

---

[1] აკაკი, ზეპირსიტყვაობის გამო, „კრებული“, 1897, № 1.

[2] „ივერია“, 1898, № 39.

ხალხური სიტყვიერების დიდი მოამაგის, თედო რაზიკაშვილის მოსაზრებით საგმირო-საისტორიო ლექსის თაობიდან თაობაზე გადატანას მისი მხატვრული ღირებულებაც უწყობს ხელს. აზატ-ხანის დამარცხებაზე შექმნილი ლექსის ფრაგმენტების დამოუკიდებლად გავრცელება მან ასე ახსნა: „ხალხს ძალიან აზიზი გემოვნება აქვს, მისი ყური ტკბილი ხმოვანებისაა და ალმაფრენით აღმოთქმული სიტყვის ტრფიალია, თვით დიდი ლექსიდან სწავლობს ძალა-დაუტანებლად იმ ადგილებს, რომელნიც მართლა მარგალიტივით ჩაშძივებულნი არიან“ [1].

დიდი იდეების, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების განსახიერების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები. ისინი ხალხის ფიქრისა და განცდის ასახვის თავისებური ხერხებით სასიათდებიან. ქართული ხალხური საგმირო საისტორიო ნაწარმოებების პოეტურ თავისებურებათა შესწავლისას საჭიროა ხალხური სიტყვიერების პოეტიკის საკითხების უფრო ვრცელი გათვალისწინება. ჩანაწერების არსებობის შემთხვევებში ანგარიში უნდა გაეწიოს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სპეციფიკას და იმ ეპოქათა დამახასიათებელ პოეტურ ჟანრებსა და ხერხებს, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ციკლი. შესწავლის ობიექტად აღებული ციკლების თემატიკა და სოციალური ბუნება, როგორც ვნახეთ, განსაზღვრულია საქართველოს ვითარებით V საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. ცნობილია, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ეროვნული და სოციალური მოტივები გარკვეული ეპოქის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი. ასეევა ზეპირსიტყვიერებაშიც. განსხვავება იმაშია, რომ ეროვნული და სოციალური საკითხების გადაჭრა სიტყვიერი ხელოვნების ორივე სფეროში ყოველთვის ერთგვარი არ იყო. ჩვენი შესასწავლი ციკლების ვრცელი ისტორიული მანძილის მიხედვით ამ საკითხების გადაჭრა ლიტერატურაში ფეოდალური იყო, ზეპირსიტყვიერებაში კი — ხალხური. ეპოქის მოთხოვნილებანი საზღვრავენ აგრეთვე მხატვრული შემოქმედების პოეტიკასაც. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება დავაკვირდეთ ხალხური პოეტიკის ცვალებადობას იმ საუკუნეებიდანვე, რომლებსაც უკავშირდებიან ძველი ციკლების ნაწარმოებები. ქართული ფოლკლორის შეკრებისადმი გვიან გაღვიძებული ინტერესის გამო ჩვენ ხელთ არსებული ძველი ციკლების ნაწარმოებთა პოეტიკა და სტილი მაოი

[1] „კვალი“, 1894 წ., № 20.

პირველი სახის დამახასიათებელი ვერ იქნება. ისინი სტილიზირებული არიან სხვადასხვა თაობათა მიერ. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახავთ, ძველი და ახალი ციკლების ნაწარმოებთა პოეტიკაში მაინც არის განსხვავება.

ახალი ციკლების ნაწარმოებთა და XVII — XVIII საუკუნეების ლიტერატურის სტილი, მათი რეალისტური ხასიათი ეპოქის მოთხოვნილებას უპასუხებდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით არ ვაიგივებთ მათ და მხედველობაში ვიღებთ პირველის მეტ ტრადიციულობას, რაც შესამჩნევია ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლების ნაწარმოებებში. ამ შემთხვევაში მათი ურთიერთობის საკითხს არ ვაყენებთ, მაგრამ პირუთვნელობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხალხური პოეზიის ენითა და სტილით საკმაოდ დავალებულია მაშინდელი ლიტერატურა (ბესიკის, დ. გურამიშვილისა და სხვ. შემოქმედება).

კვლევის ობიექტად აღებული ქართული ხალხური საისტორიო ციკლები, როგორც აღვნიშნეთ, საგმირო ხასიათისაა. ამდენად საქმე გვაქვს საგმირო ეპოსის პოეტიკასთან, თუმცა საკვლევი ციკლები მხოლოდ ეპიური ჟანრით არ არიან წარმოდგენილნი.

* * *

ქართული საისტორიო ციკლები ჟანრობრივად ერთგვარნი არ არიან. ამა თუ იმ ციკლში გარკვეული ჟანრის ნაწარმოები სჭარბობს. ციკლის ჟანრობრივ თავისებურებას მისი რეალური საფუძვლის ხნოვანობა საზღვრავს. თუ შორეულ ეპოქაშია ციკლის რეალური საფუძველი, რის გამოც ძლიერია ისტორიული მოვლენის პოეტიზაცია, მასში ლეგენდები და ფანტასტიკური ხასიათის ლექსები სჭარბობენ სხვა ჟანრის ნაწარმოებებს. ახალ ციკლებში შედარებით სუსტია ისტორიული ფაქტების პოეტიზაცია და ამიტომ ისინი მეტწილად რეალისტური ხასიათის გადმოცემებსა და ლექსებს შეიცავენ. ასე, მაგალითად, თამარ ბეფის ციკლი ძირითადად ლეგენდებითა და თქმულებებითაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ერეკლე მეორის ციკლს მეტწილად გადმოცემები და რეალისტური ლექსები შეადგენენ. სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლები კი ლექსებსა და გადმოცემებს შეიცავენ. არსებობს მხოლოდ რამდენიმე ცნობა სოლომონ პირველის ციკლის თქმულებებისა თუ ლეგენდების შესახებ. ერთი ასეთი ცნობა მგალობელი კანდელაკის გადმოცემაში მოიპოვება: „მეფე სოლომონს

თვალს უპრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო“ [1]; მეორე ცნობა აკაკი წერეთელს ეკუთვნის. სოლომონ პირველის მამის, ალექსანდრე მეფის მოსარჩლე ქუთათელი-ჩხეიძის შესახებ „წმინდა გიორგის რაზმში“ აკ. წერეთელს აღნიშნული აქვს: „დღესაც როკითლები სარწმუნოთ ამბობენ მამაპაპისაგან გადმოხაცემ ამბავს ამ ჩხეიძეზე: რომ მოკვდა და ეკლესიაში დამარხესო, — გაჩნდენ გველები მის საფლავში, ამოდიოდენ და ხალხს აფრთხობდენო... არ იქნა, ვერა მოუხერხეს რა, სანამ არ გაპრეს საფლავი, ძვლები არ ამოიღეს და ხანის წყალში არ გადაყარესო. მაშინ კი გველებიც გაქრენო“ [2]; მესამე ცნობა მოცემულია ლეჭსის „რეჯებაში და არჩილ გიჟის“ კომენტარში, არჩილ ბატონიშვილის ცხენის შესახებ: „ხალხის თქმით ეს ბერ-კვიცი ზღვის ცხენი იყოო“ [3]. ამ ცნობების მიუხედავად, ლეგენდები და თქმულებები სოლომონ პირველის ციკლის დამახასიათებელი არ არის.

ასეთი ჟანრობრივი განსხვავება ძველსა და ახალ ციკლებს შორის სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ხალხური შემოქმედების განვითარების თვალსაზრისით. თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა პირველ საფუძველს ერეკლე მეორის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლების საფუძვლისაგან საუკუნეები აშორებენ. ამიტომაც მან მეტი პოეტური ევოლუცია განიცადა. ნაწარმოებნი მეტად დაშორდნენ ისტორიულ ფაქტებს. ამიტომაა, რომ მათში უხვადაა შესული ტრადიციული მოტივები. ახალი ციკლების ნაწარმოებებში კი, შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში ისტორია არ ჩამორჩება პოეზიას, რადგანაც ისინი ნაკლებ არიან დაშორებულნი პირველ წყაროებს.

თუ ციკლის რეალური საფუძვლის ხნოვანობითაა განსაზღვრული პროზაულ ნაწარმოებთა ჟანრობრივი თავისებურებანი, ამას ვერ ვიტყვით ლექსების მიმართ. ფანტასტიკური ლექსები ძველი ციკლებისთვის არის უფრო დამახასიათებელი, მაშინ, როდესაც ახალ ციკლებში, რეალისტური ლექსები შედიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გარემოება არ საზღვრავს მათ ჟანრობრივ თავისებურებას. ჩვენ არ ვიზიარებთ ცნობილი ფოლკლორისტების განმარტებას ისტორიული ლექსებზე, როგორც მხოლოდ ეპიური ჟანრის ნაწარმოე-

---

[1] „კრებული“, 1898, № IX.

[2] იქვე.

[3] ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ., ნ. 1, გვ. 7.

შებზე [1]. ქართულ ხალხურ საისტორიო ციკლებში არის როგორც ეპიური, ისე ლირიკული და ლირიკულ-ეპიური ლექსები. ქართველ მთქმელებს ღრმა განცდა აქვთ, როგორც თანამედროვეობის, ისე ახლო და შორეული გმირული წარსულისაც. ქართველ მთქმელებს ძველი და ახალი ისტორიული მოვლენების ღრმა განცდები გადაუტანიათ ამ მოვლენებისა და გმირების პოეტურ სახეებში. დიდი ეროვნული თუ თემის გმირების საქმეებით აღტაცება, ან კიდევ მათი გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილი ყველაზე მკვეთრად ლირიკულსა და ლირიკულ-ეპიურ ლექსებშია მოცემული. დავიმოწმოთ მასალები:

ხოტბის იშვიათი ნიმუშია სვანური საისტორიო საფერხულო „თამარ დედოფალი". სიმღერის შემქნელის აღფრთოვანება ქართველი მეფის ძლევამოსილებითა და გარეგანი მშვენებით, არ შეუნელებიათ მის ახალ შემსრულებლებსაც. ასე, მაგალითად, შემსრულებლის აღტაცების გამომხატველია სიმღერის ახალი ვარიანტის დასაწყისი:

„ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო" [2].

მთლიანად ეს საფერხულო მოკლებულია ეპიური ლექსის ზომიერ მდინარებას.

ლირიკულ-ეპიური ლექსის ნიმუშია შაელეგოს „საფერხულოს ერცელი კახური ვარიანტი [3]. დედის მოთქმაში, რომელიც დამოუკიდებელ ნაწარმოებადაც ქცეულა იმერულ ზეპირსიტყვიერებაში [4], ოდნავადაც არ არის შენელებული გმირის დაღუპვით გამოწვეული თანამედროვეთა მწვავე განცდა.

არ შეიძლება აგრეთვე, ეპიურად მივიჩნიოთ აღტაცებით ნათქვამი ხევსურული ლექსი:

„პირსაც მავხპარავ ხეხვასა,
გაფრინდაულის შვილსაო..." [5]

---

[1] Н. П. Андреев, Русский фольклор, 2-е изд. М.—Л. 1938, стр. 281 Ю. М. Соколов, Русский фольклор, 2-е изд. М. 1911, стр. 261.

[2] სვანური პოეზია, გვ. 3.

[3] ხალხ. სიტყვ., ე. თაყაიშვილის რედ., წ. 1, გვ. 113 — 114.

[4] ფოლკლ. სექც. მასალ., № 9140.

[5] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 327.

სადა, მაგრამ მხატვრულად ძლიერი ლირიკულ-ეპიური ლექსებია შექმნილი ერეკლე მეორის, ლევან ბატონიშვილისა და სხვა გმირების გარდაცვალებაზე. ფართოდ გავრცელებული ლექსი „ვერ გაიგეთა, ქართველნო“, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს დიდი მოამაგის დაკარგვის მწვავე განცდითაა და მღელვარებით დატირების ნიმუშია. მისი ნიჭიერი შემქმნელის წრფელი გრძნობით ნატირალი მთელი ქართველი ხალხის მოთქმაა. გრძნობიერი და ღრმად ლირიულია დედოფლის მოთქმა ამ ლექსის მიხედვით:

„ეს ჩემი თვალნი რასა ჰგავ,
მოღრუბლულნია ცანიო...“ და სხვა.

ლირიკულ-ეპიურია ლექსი „ერეკლეს გლოვა“. მისი მთქმელი ღრმა პოეტური განცდით ნატრობს ერეკლეს საგმირო საქმეებს:

ნეტავი იყოს ლაშქროვან,
ნეტავ გავიდეს ჯარია,
ნეტავი წელზე შეერტყას
ერეკლეს ჩვენსა ხმალია... [1]

ასეთივე ჟანრისაა აგრეთვე ლექსები: „ხმალი სპრის ბაგრატივნისა“ [2], „შენი პირიმე მაია“ [3] და მრ. სხვა. სახალხო პოეტთა ძლიერი განცდებით ნათქვამი ამგვარი საისტორიო ლექსები არ კარგავენ მღელვარებასა და დინამიურობას. მთქმელები და არა მარტო მთქმელები, მსმენელებიც გრძნობენ და განიცდიან ლექსებში ასახულ მოვლენებსა თუ გმირების პიროვნებას. ქართული ხალხური საისტორიო ციკლები მდიდარია ამგვარი პოეზიის ნიმუშებით. მათში მოცემულია კონკრეტული ფაქტებით მიღებული მთქმელების შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი.

ჩვენ არ ვასახელებთ ეპიურ ლექსებს, რომელთა სიუჟეტებიც მთქმელების მიერ ფაქტების აღწერითაა განვითარებული. ასეთი ლექსებით მეტად მდიდარია ქართული საისტორიო ციკლები. მათი არსებობა არავისათვის სადავო არ არის. ლირიკული და ლირიკულ-ეპიური ნიმუშების მოყვანითა თუ დასახელებით ჩვენ აღვნიშნეთ ამ

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 107.
[2] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები.
[3] „სამშობლო“, 1915 წ., № 102.

პოეტური ჟანრის უგულებელყოფა ცნობილი ფოლკლორისტების მიერ საისტორიო ლექსების განმარტებისას.

* * *

ქართულ ხალხურ საისტორიო ციკლებში პროზაული და პოეტური ტექსტების ოდენობა არ არის თანაბარი. ზოგ ციკლში პროზა სჭარბობს პოეზიას; ზოგში კი პირიქით, ლექსები სჭარბობენ პროზაულ ტექსტებს. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებლისა და შაჰ-აბასის ციკლები მხოლოდ პროზით არიან წარმოდგენილნი; ვახტანგ გორგასლისა და თამარ მეფის ციკლებში პროზა სჭარბობს პოეზიას, თუმცა უკანასკნელი პოეზიის ნიმუშებითაც მდიდარია; პროზა სჭარბობს პოეზიას ავრეთვე სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლებში. ბახტრიონის, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლები უფრო მეტად ლექსებითაა მდიდარი; შალვა ახალციხელის ციკლი კი მხოლოდ ლექსებს შეიცავს. ჩვენ არ ვფიქრობთ, თითქოს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასა, ან შაჰ-აბასის მიერ ქართველი მოსახლეობის აკლებაზე ლექსები არ შექმნილიყოს; ან შალვა ახალციხელის გმირობა პროზაულ ნაწარმოებებშიც არ ყოფილიყოს ასახული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ციკლების ყველა ჟანრის ნაწარმოები ჩვენამდე არ არის მოღწეული. ქართული ფოლკლორის საისტორიო განყოფილებისათვის დამახასიათებელი არ არის ერთი რომელიმე პირის ან მოვლენის ირგვლივ მხოლოდ ლექსების დაჯგუფება, ან მეორეს ირგვლივ კი — პროზაული ნაწარმოების დაჯგუფება. პროზაული და პოეტური ტექსტების რაოდენობას ციკლში მისი რეალური საფუძვლის ხნოვანობა არ საზღვრავს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ციკლის გეოგრაფიული გავრცელების არეს. ფართო გავრცელების ციკლები მდიდარია როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოებებით, რადგანაც ისინი საქართველოს სხვადასხვა რაიონის პოეტურ თავისებურებებს ავლენენ. ასეთია, მაგალითად, თამარ მეფის ციკლი. გავრცელების ვიწრო არის მქონე ციკლების ნაწარმოებები ერთი ან რამდენიმე კუთხის პოეტური თავისებურებების მაჩვენებელია. შემთხვევითი არ არის, რომ ზურაბ ერისთავისა და ბახტრიონის ციკლების წამყვანი ჟანრი ლექსებია. პირველი მთლიანად და მეორე კი მეტწილად პოეტური მთის ზეპირსიტყვიერებაა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთს ციკლში ერთსა და იმავე თემაზე გავრცელებულია ლექსიც და პროზაული ნაწარმოებიც. ასე,

მაგალითად, ივრის ფშავში ერთსა და იმავე დროს ჩაწერილია თამარ მეფის ციკლის ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ლექსიცა და ლეგენდაც. ამ ლეგენდის მიხედვით თამარ მეფე „იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანაფორა დაუგავ და ისე დავალა ზღვაზე და ჰაერში. მაშინ თამარს ზღვაში სამანად ისარ ჩაუგავ და ხმელეთი ჩვენკე დაუგდია“ [1]. ლეგენდის შესატყვისია სოციალურ ფუნქციასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი, ლაშარობაზე შესრულებული საფერხულოს ნაწილი [2]. ამგვარი მოვლენა ხშირია თამარ მეფის ციკლში: მიტოვებული ბავშვის გაზრდა ირმის მიერ და მისი ჰოვნა მონადირეთაგან არის თემა როგორც ლექსის, ისე ლეგენდისა; თამარის ნადირობაზე, საყვარელი ფრინველის გაფრენაზე, მისი დამჭერი ჯაბუკის აზვირთებულ ტალღებში დახრჩობაზე და სხვა, არსებობს ლექსიცა და ლეგენდაც; თამარის დროს განვითარებული მშენებლობა არის თემა, როგორც ლექსებისა, ისე გადმოცემების, თქმულებებისა და ლეგენდების. ასეთივე მოვლენებით სხვა ციკლებიც ხასიათდებიან. თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ ბახტრიონის ციხის აღება ასახულია ლექსებსა და გადმოცემებშიც; ზურაბ ერისთავის მიერ წმინდა ხის შეგინება არის თემა ლექსისა და ლეგენდისაც; მამუკა ქალუნდაურის მიერ ზურაბ ერისთავის ლაშქრის გაწყვეტაზე გავრცელებულია ლექსებიცა და თქმულებებიც; ერეკლე მეორის შეუდარებელი გმირობა ასპინძის ომში, კერძოდ, კოხტა ბელადის მოკვლა და მრ. სხვა, ასახულია ლექსებშიცა და გადმოცემებშიც. მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება გაიზარდოს. ასეთი მოვლენა ქართული ხალხური სიტყვიერების სპეციფიკა არ არის და აღნიშნულია სხვა ხალხთა შემოქმედებაშიც. ერთსა და იმავე თემებზე შექმნილი ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებების ურთიერთობაზე მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგი მკვლევარი, მაგალითად, ტ. მარეტიჩი წარმოშობის თვალსაზრისით პრიორიტეტს პროზას ანიჭებს. ლექსის მოტივები მისი მოსაზრებით პროზაული ნაწარმოებიდანაა ნასესხები [3]. ნ. კრავცოვმა გააკრიტიკა მარეტიჩი და საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა: „Не песни выросли из сказок,

---

[1] ენიმკის მოამბე, XI, გვ. 129.

[2] იქვე, გვ. 131 — 132.

[3] T. Maretić, Kosovski dogadjaji i junaci u narodnoj enici, „Rad“, 1889, XCVII, გვ. 69 — 81.

а исторические сказки являются не чем иным, как прозаическими пересказами песен. Они — один из этапов разложения эпоса. За это говорят и общность и неопределенность истории в сказках — имена и названия забываются: это последняя стадия жизни эпоса“ [1]. ალ. ვესელოვსკიმ ამ საკითხში გააკრიტიკა Voretsch'-ი, რომელმაც ეპოსის წყაროდ მიიჩნია Sage და არა ლირიკულ-ეპიური კანტილენები, მან Sage'-ს უწოდა ისტორიული ფაქტის ორგანული განვითარება და Dichtung-ს კი — არაორგანიული. ალ. ვესელოვსკიმ ისტორიული ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებების გენეზისი ასე განსაზღვრა: „О том или другом лице могли слагаться, непосредственно после события, и лирико-эпическая песня, впоследствии обобщившаяся в эпическую, и предание, рассказ, анекдот, не знавший песенной формы“. [2]. ალ. ვესელოვსკის დებულებით „Сага и эпическая песня идут об-руку“ [3].

კერძოდ, საისტორიო ნაწარმოებთა მიმართ მას აღნიშნული აქვს: „Исторически поэзия и проза, как стиль, могли и должны были появиться одновременно: иное пелось, другое сказывалось. Сказка так же древняя, как песня; песенный склад не есть непременный признак древнего эпического предания“ [4].

მოყვანილი მოსაზრებანი ცალმხრიობით ხასიათდებიან. ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე მოვლენაზე დამოუკიდებლად იქმნება როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოები; ზოგ შემთხვევაში კი მთქმელი არსებულ პროზაულ ნაწარმოებს გალექსავს, ან პირიქით, ლექსს პროზად გადმოგვცემს.

* * *

ლექსისა და პროზის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საისტორიო ნაწარმოებთა ციკლებში გვხვდება შერეული ფორმის ნაწარმოებები. ფორმათა შერევის ორგვარ მოვ-

---

[1] Н. Кравцов, Сербские юнацкие песни. Сербский эпос. стр. 108.

[2] А. Н. Веселовский, Три главы из исторической поэтики, Собр. соч., I, стр. 325.

[3] იქვე, გვ. 326.

[4] იქვე, გვ. 477.

ლენასთან გვაქვს საქმე: 1. ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში ლექსი დამოუკიდებელი ეპიზოდი ან მომენტია; 2. მსგავსად ეპიური ციკლის ცნობილი ნაწარმოებებისა („ამირანიანი", „ტარიელიანი", „როსტომიანი", „ეთერიანი") სიუჟეტის განვითარებისას პროზად გადმოცემული ამბავი შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ლექსად მეორდება.

ფორმათა შერევის პირველი ტიპის ნიმუშებით საკმაოდ მდიდარია ქართული ფოლკლორის საისტორიო განყოფილება. თამარ მეფის ციკლიდან სანიმუშოდ მოგვყავს თამარ მეფისა და რუსთაველის შესახებ არსებული გადმოცემა: „თამარი ძლიერ გაკვირვებული იყო რუსთველის ნიჭით და ერთხელ უთხრა, რომ დაეწერა რამ და უნაყოფოდ არ დამარხულიყო მიწაში მისი ტვინი. რუსთველმა უთხრა, რომ მასაც, როგორც დედოფალს, რაინე დაეტოვებია ძვირფასი საუნჯე. თამარმა ამაზე მიუგო:

თამარ დედოფალი ვყავ,
კარგი საქმე დავიგდეო,
ზღვაში ჩავყარე მიჯნები,
ხმელეთზე სახელი გავიგდეო,
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ძდლი ტილო წავიღეო.

რუსთველმა მიუგო:

თითი მიგიგავს კალ მსა.
ტურფასა მწერალისასა,
ბაგენი ვარდის ფოთოლსა —
შორს მოფენილს მხისასა.
სითეთრე თოვლის ნაბუქსა,
იალბუზისა მთისასა.
რაც ჯელი კაცი შენ გნახავს —
რჯულსაც განაგდებს თვისასა.

ამის შემდეგ შეუდგა იგი თავის „ვეფხის ტყაოსნის წერას" [1]. ფორმათა შერევის ასეთი ტიპის ნიმუშებია ამავე ციკლიდან წინა თავში აღნიშნული გადმოცემები „ვეფხის ტყაოსნის" სტროფების შექმნაზე. ასეთი ტიპის ნაწარმოებებით მდიდარია ახალი ციკლებიც. ამის ნიმუშია მაგალითად გადმოცემა ერეკლე მეფისა და თუშის შესახებ: „ერთხელ მეფე ერეკლე თავისი ცოლით მიდიოდა.

[1] მიხ. ჩიქოვანი, ხალხ. ვეფხის ტყაოსანი, მეორე გამოცემა.

გზაში ამათ შესვდა თუში თავისი ცოლით. მეფეს თუშის ცოლი ძალიან მოეწონა და თუშს უთხრა:

— მივდივარ ყარაიასაო,
იქ ვაგებ სარაიასაო,
ეგ ქალი ბე მომეცი,
ჩავცმევ დარაიასაო.

თუშმა უპასუხა:

— არც მივალ ყარაიასაო,
არც ვაგებ სარაიასაო,
ქალი ქალში გამიცვლე,
რას ვაქნევ დარაიასაო.

მოეწონა თუშის მოსწრებული პასუხი მეფე ერეკლეს და ხალათი უბოძა თუშს" [1]. ფორმათა შერევის მხრივ ასეთივე ტიპისაა ამავე ციკლიდან „მეფე ირაკლის მასპინძელი" [2]; სოლომონ პირველის ციკლიდან „სოლომონ პირველი დიდი" [3], „ხრესილის ომი" [4] და მრ. სხვა.

ფორმათა შერევის მეორე ტიპის ნიმუშად ძველი ციკლებიდან შეიძლება მივიჩნიოთ კახელი მთქმელის ჰიმიას თქმულება ვახტანგ გორგასალზე [5]. პროზად ნათქვამი ამბების ლექსად განმეორების უფრო ტიპიური ნიმუშებია ბესარიონ გაბურის გადმოცემები და თქმულებები. სანიმუშოდ მოგვყავს ადგილი თქმულებიდან „ზურაბის ლაშქარი კევსურეთში და მამუკა ქალუნდაური". ამ თქმულებით, ქალუნდაურმა ბევრი მეომარი მოუკლა ზურაბ ერისთავს. მოკლულთა გროვაში ერთი გვამი აყირავდა „მაშინ ჩაუვა კმალ ქალუნდაურს, უთქომ დამრჩალ ზურაბის ჯართად: „მშვიდობით, კელ მაგიმართასთ! ღმერთმ აღარ მამც მეტის კოცის ნებაი" და ამაბრუნეილ. ნაომარში, გზის პირში, სამან ჩაუგდავ, უთქომ: „ვინაც ჩემ სიკედილიდგეს ამაზე მგზავრ აივლ-ჩაივლის და ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს არაყიანს არ დაღლოცავს, ამ ჩემის კმლის ცოდვა ეკიდას, რაც ჩემ კმალს ცოდვა უქნავ და კაც მაუკლავ". მაშინ ნათქვამი ას:

„მოუვლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი.
„მამუკას ქალუნდაურსა თან მაბჟვეს შეკნი მხისანი.
„ბეკენთ გორ ჩამაეწივა, პრნა ლაშკრ ზურაბისანი.

---

[1] ფოლკლ. სექც. მას., № 19870.
[2] „დროება", 1878 წ., № 149.
[3] „აკაკის კრებული", 1898. № IX.
[4] „ძვ. საქართველო", II. განყ. 4.
[5] „დროება", 1865 წ., № 25.

„ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი:
„ვაჟამ ქნას ყველამ აესრა, ვინც ლაკნას აეს ქვიშანი!
„ვინც ამას გადასცილდების, ცოდვან ეკიდნან კმლისანი!“ [1]

უნდა აღინიშნოს, რომ ფორმათა შერევის ასეთი ნიმუშები ქართულ საისტორიო ნაწარმოებებისთვის ისე დამახასიათებელი არ არის, როგორც პირველი ტიპისა. ეს გარემოება საისტორიო ნაწარმოებთა კომპოზიციური თავისებურების მაჩვენებელია. მათთვის ეპიზოდების, მოტივების, აღწერათა და სხვა ეპიური განმეორებანი ისე დამახასიათებელი არ არის, როგორც მაგალითად ზღაპრებისთვის, ან კიდევ ეპიური ციკლის ნაწარმოებებისათვის. ასეთ განმეორებათა ხშირი შემთხვევები სერბულ ეპოსში ნ. კრავცოვმა შეამოქმედთა აზროვნების თავისებურებით ახსნა. მისი მოსაზრებით ხშირი განმეორებანი ფეოდალურ-არისტოკრატიულ წარმოდგენათა შეზღუდულობის შედეგია [2].

ასეთი მოსაზრება ვულგარული სოციოლოგიზმისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით მიუღებელია იგი ქართული ფოლკლორის იმ ჟანრებისთვის, რომელთაც ახასიათებთ ეპიზოდების, მოტივების, ეპითეტებისა თუ სხვათა განმეორებანი. ქართული ზღაპრები ან კიდევ ეპიური ციკლის ნაწარმოებნი: „ამირანიანი“, „ეთერიანი“ და სხვები, მშრომელი ხალხის ჯანსაღი პერსპექტივებისა და მდიდარი წარმოდგენების საფუძველზეა შექმნილი. მათი კომპოზიციაც ამ ჯანსაღი პერსპექტივებითა და მდიდარი წარმოდგენებითაა განსაზღვრული. კომპოზიციური სხვაობა ქართული ფოლკლორის სხვადასხვა დარგებს შორის სხვადასხვა სოციალური წრის წარმოდგენების მაჩვენებელი კი არ არის, არამედ — მათი სხვადასხვაგვარი სოციალური ფუნქციისა. ზღაპარმა ისტორიის გრძელ მანძილზე გართობითი ფუნქცია განიმტკიცა. პროფესიული მეზღაპრენი დროს შემოკლებისა და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით აჟიანურებდნენ თხრობას. განმეორებებით ავრცელებდნენ ზღაპრის შინაარსს. საისტორიო ნაწარმოები კი, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად თუ ყოფილა უბრალო გართობის საშუალებად.

ამის გამო ეპიზოდების განმეორებანი, თხრობის პროცესში სიტუაციებისადმი დაბრუნება და სხვა, რაც აჟიანურებს შინაარსს, მათთვის დამახასიათებელი არ არის. საისტორიო ნაწარმოებისთვის

---

[1] წელიწდეული, გვ. 159 — 160.

[2] Н. Кравцов, Сербские юнацкие песни, Сербский эпос, стр. 59—73.

დამახასიათებელია შინაარსის ზომიერი თანმიმდევრობით განვითარება, ეპიზოდთა შორის მტკიცე ურთიერთობის დადგენა. აღსანიშნავია ისიც, რომ საისტორიო ნაწარმოებისთვის უცხოა სამაგობის კანონი, რაც დამახასიათებელია ფანტასტიკური ზღაპრისთვის. ჩვენ მიერ მოყვანილი თუ დასახელებული განმეორებათა შემცველი შერეული ფორმის საისტორიო ნაწარმოებები ზღაპრებისა და ეპიური ციკლის ნაწარმოებთა გავლენას განიცდიან. ისინი, როგორც თავის ადგილას ვნახავთ, ისეთი ტიპის მთქმელების ვარიანტებია, რომელთაც ჟანრობრივად მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვთ.

* * *

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები სიუჟეტთა მთლიანობით ხასიათდებიან. მათში მეტწილად თითო ისტორიული მოვლენაა გადმოცემული, ხოლო სიუჟეტის განვითარებაში ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ეპიზოდი ან მომენტი აღინიშნება. მოცულობის მხრივ ისინი ისე, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა დარგის ნაწარმოებები, სიმოკლით ხასიათდებიან. ხალხური ნაწარმოები შედარებით ლიტერატურულთან (გამონაკლისს წარმოადგენენ ლექსები და ნოველები) ზეპირი ტრადიციის გამო მოცულობით მოკლეა. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მეხსიერება. ლირიკული და ლირიკულ-ეპიური ლექსები უფრო მოკლე მოცულობისაა, ვიდრე—ეპიური. ასე, მაგალითად, ლექსი „ასპინძის ომი", რომელიც ვრცლად აწერილი ისტორიული მოვლენის ადგილზე უნდა იყოს შექმნილი, თითქმის პოემაა [1]. რაც შეეხება პროზაული ჟანრის ნაწარმოებებს, თუ ციკლის რეალური საფუძველი შორეულ ეპოქაშია, მაშინ უმეტეს შემთხვევაში გადმოცემები უფრო მოკლე მოცულობის არიან, ვიდრე თქმულებები და ლეგენდები. მათ შორის ამ მხრივ ისეთივე შეფარდებაა, როგორც ფანტასტიკურსა და რეალისტურ ზღაპრებს შორის. გადმოცემისთვის, ისევე, როგორც რეალისტური ზღაპრისთვის, დამახასიათებელი არ არის ტრადიციული მოტივების ეპიური დამუშავება. ეს გარემოება გავლენას ახდენს ნაწარმოების მოცულობაზე. კვლევის ობიექტად აღებული ციკლების ნაწარმოებთა ერთი ნაწილი წარმოდგენილია ლეგენდა ან თქმულება იქნებოდა რადგანაც ზოგი ისტორიული პირი სიცოცხლეშივე ზებუნებრივად

[1] ხალხ. სიტყ. ე. თაყაიშვილის რედ. ნ. I, გვ. 417 — 418.

ყო წარმოდგენილი. მაგრამ ბევრი ლეგენდისა და თქმულების პირკელი სახე მარტივი ამბავი ან გადმოცემა იქნებოდა. მათ შემდეგ შეიძინეს ფანტასტიკური ელემენტები და მოცულობითაც გაიზარდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ამბები ან გადმოცემები ყოველთვის განიცდიდნენ ასეთ პოეტურ ევოლუციას. ბევრი მათგანი არ იკვლება ჟანრობრივად და თაობიდან თაობაზე გადასვლისას საგრძნობლად იკვეცება. ასე რომ, ზოგი გადმოცემა წარმოშობით ისეთივე მოცულობის არ იქნებოდა, როგორც მან ჩვენამდის მოაღწია. მასში აწერილი ისტორიული მოვლენის ან პირის დამახასიათებელი დეტალები დროთა ვითარებაში დავიწყებას ეძლევა და რჩება მოცულობით მოკლე ნაწარმოები. ამის ნათელი ილუსტრაციაა ზემოთ აღნიშნული კანდელაკის ვრცელი გადმოცემა სოლომონ პირველის შესახებ და მოკლე მოკულობის, მისი ახალი რაჭული ვარიანტები. ნაწარმოებთა აგებულების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია მათში ისტორიულ მოვლენათა ეპიზოდებისა, მომენტებისა და პერსონაჟების რაოდენობისა და ურთიერთობის საკითხი. ჩვეულებრივ ზღაპრებში, ეპიური ციკლის ნაწარმოებებში ან კიდევ რუსულ ბილინებში ერთ გმირზეა ლაპარაკი. ასეთი მიდრეკილება იგრძნობა საისტორიო ნაწარმოებთა აგებულებაშიც. ამ მხრივ ძველი და ახალი ციკლების ნაწარმოებებს შორის განსხვავებაა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ნაწარმოებებში ასახული ისტორიული მოვლენა განუწყვეტელი შემოქმედებითი პროცესით კარგავს კონკრეტულობას და ზოგად სახეს ღებულობს. ამიტომ რაც უფრო შორეულ ეპოქაშია ნაწარმოების რეალური საფუძველი, მით ნაკლებია მასში ისტორიული მოვლენის ეპიზოდები და მომენტები. ასეთ ნაწარმოებში რამდენიმე პირის მოქმედებაც ერთ ძირითად პერსონაჟშია განსახიერებული. როგორც განხილული მასალებიდან ვნახეთ, ძველი ციკლების ნაწარმოებებში არსებითად ერთ გმირზე და ზოგადად მასაზეა ლაპარაკი. ამ ნაწარმოებებში ასახული აგრესორთა მოქმედებანი ეროვნული გმირის სახეს აძლიერებს. ასე მაგალითად, ოსი ბაყათარის, თურქების და სხვათა მოქმედება აძლიერებს ვახტანგ გორგასლის გმირულ სახეს; დავით აღმაშენებლის ციკლის ნაწარმოებებშიც საგმირო საქმეები დიდებული მეფის სახეშია კონცენტრირებული. დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ ტრადიციულ სიუჟეტზე აგებული ლეგენდით იგი უშუალოდ თითონ არის ბოროტი ძალის შემპყრობი; თამარ მეფის

ციკლის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა სიუჟეტებიც ძლევამოსილი ქალის დახასიათებითაა განვითარებული. ხონთქარის, შაჰ-აბასის თუ სხვა აგრესორთა მოქმედებანი აძლიერებენ თამარის გმირულ სახეს. მასის მოქმედება ამ ციკლის ნაწარმოებში განზოგადოებულია. ხალხის სულისკვეთება თამარის დემოკრატიულ სახეშია მოცემული. რაც შეეხება თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთობის ამსახველ ნაწარმოებებს, ისინი პირობით შევიტანეთ ამ ციკლში. უნდა ითქვას, რომ ისინი თანაბრად ანსახიერებენ დიადი ეპოქის ამ ორ დიდ პიროვნებას. ძირითად ერთ გმირზეა ლაპარაკი შალვა ახალციხელის ციკლის სიმღერებშიც. გაზონაკლისს წარმოადგენს ლექსი, რომლითაც თურქების წინააღმდეგ შალვასთან ერთად მისი ძმა ივანეც იბრძვის.

ახალი ციკლების ნაწარმოებებში, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ისტორიულ მოვლენებს შერჩენილი აქვთ კონკრეტულობა. მოვლენების ეპიზოდები და მომენტები შედარებით ძველი ციკლების ნაწარმოებებთან მრავალრიცხოვანია. ახალი ციკლის ნაწარმოებთა სიუჟეტები რამდენიმე გმირის მოქმედებით ან დახასიათებით არის განვითარებული. ასე, მაგალითად, სოლომონ პირველის შესახებ კანდელაკის გადმოცემის შინაარსი შეიცავს სოლომონ პირველის, როსტომ ერისთავის, ლევან აბაშიძის, პაპუნა წერეთლის, იოსებ კათალიკოსის და მრავალ სხვა პირთა მოქმედებასა და დახასიათებას [1]; სოლომონ ლიონიძის მოურავის მაზღარაძის გადმოცემის შინაარსი ეითარდება სოლომონ მეორის, სოლომონ ლიონიძის, ზურაბ წერეთლის, მთავარმართებელი ციციანოვის, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის და სხვათა მოქმედებითა და დახასიათებით [2]; აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე არსებულ გადმოცემაში ლაპარაკია ერეკლე მეორის, აღა-მაჰმად-ხანის, იბრაიმ-ხანის, ერეკლეს მოღალატეების (ბებუთოვის, ბრმა მირუაშვილის, არზუმანაშვილის, ივანეს), შიკრიკის და სხვათა შესახებ [3]. ეს გარემოება ახალი ციკლების მხოლოდ პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა დამახასიათებელი არ არის. მრავალ ლექსშიც თანაბრადაა ასახული რამდენიმე გმირის მოქმედება. რამდენიმე გმირის მოქ-

---

[1] აკაკის კრებული, 1898 წ., № IX.

[2] საქ. ც. არქ., 555.. გვ. 10, ფ. 114.

[3] ირაკლი მეფის მტრები, „დროება", 1878 წ., № 190.

შედებით ვითარდება ზურაბ ერისთავის ციკლის შემდეგი ლექსის შინაარსი:

ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს,
თან ხყონან თავის ყმანიო,
ახიელციხეს მოხჭადნის,
კუთხს არ შეღგლიჯნეს ქვანიო.
ამ ქავთარაულთ ვაჟებსა
ერტყა ნაცადნი ხმალნიო,
ალიეთ ბაბღეს უთხარით,
ბერო, გვიპირე მხარიო,
არდანათ ხომიხაურსა —
არ დაგვიმტვრივნე რქანიო.
შერუმამ მათურლისშვილმა
ფევხვმა გაშალნა მწკალნიო.
ემაგის ლექსის მათქვამი
ხიზნის პატრონი ვარიო,
მიპერავ ბლახურის ძესა
შიშნიას თოფის ტანიო" [1].

რამდენიმე გმირის მოქმედებით ლექსის შინაარსის განვითარება განსაკუთრებით ერეკლეს ციკლისთვის არის დამახასიათებელი ასეთია, მაგალითად, მეტად გავრცელებული ლექსი „ავარდა ბატონიშვილი". მოგვყავს ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი:

ავარდა ბატონიშვილი
ურჯულო ნათათრალიო,
კაცი დალალა ხევსურეთს.
სად მყვანდეს უნჯნი ყმანიო.
ეგრე წამოელენ ხევსურნი,
ისრო მარილზედ ცხვარიო.
ერეკლეს დუქეთს მიუვლენ,
სრუ წყროზით არ იქნებისო,
გარდაავლივა სურამი,
ჯარ აწყვერს მიუდგებისო.
დაბრუნდა იარალაი,
მაგას რა მეეგვრებისო.
შაჰსწუხდა ბატონიშვილი:
ჯარი სრუ გამიწყვდებისო.
მაახსენებენ ხევსურნი:
„დღე ჩვენი გარდახდებისო".
ჯარჩაგით გამოერჩივნეს,
ერეკლეს თან ჩაჰყვებისო,

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 90.

სუმბათა ლოხაურისძე
ლაშქართა გალმეტდებისო,
დედით ძმათ გაჯავრებული
ძმას აღარ ასძრახდებისო,
აბაი ბიტურათაი
დედასამც დაურჩებისო,
ხელში აქვს ლეკის მაყარი,
ესრეც არ დაუცდებისო,
საც აბა დაეტანების,
ცალე კი არ დარჩებისო.
ერეკლეს ბატონიშვილსა
ომი ცხენ და ცხენ ხდებისო,
დაკაფა კოხტა ბელადი,
გლეხს როდი ეკადრებისო" [1].

რამდენიმე პირის მოქმედება და ხასიათია ასახული სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ციკლების ლექსებში: „სააბაშიო შეშინდა" [2], „რეჯება და არჩილ გიჟი" [3], „შაქარა კიკნაძე" [4] და სხვ.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა აგებულების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება. ხალხური სიტყვიერებისათვის დამახასიათებელია გმირის ხასიათის მისივე სიტყვასა ან მოქმედებაში გამოვლინება. ამ ჭრილ საისტორიო ნაწარმოებები ერთგვარ თავისებურებას იჩენენ. საისტორიო ნაწარმოებშიც აქვს ადგილი გმირის ხასიათის მისივე სიტყვითა თუ მოქმედებით გამოვლენას, მაგრამ მეტწილად გმირები მთქმელების აღწერით არიან დახასიათებულნი. თამარ მეფის სათნოება, ხელგაშლილობა და კაცთმოყვარეობა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში არა მხოლოდ მისი უშუალო მოქმედებითაა მოცემული, არამედ მთქმელების წინასწარი დახასიათებით. ინგილოური გადმოცემით, თამარ მეფე „ეს ანგელოზი არსებაჲ ყველა ქართველს დედობას უწევდა, ყველას ერთნაირად უვლიდა და ეპატრონებოდა" [5]; საქარაში ჩაწერილი ლეგენდით თამარი „მეტად გულმოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალება არ გაეცა. სამოწყალოდ ის უფრო თავის ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში აღებულ ფულს არიგებდა" [6]. ასე-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 97 — 99.
[2] იქვე, გვ. 115.
[3] ხალხ. სიტყვ., ექ. თაყაიშვილის რედ., ნ. I, გვ. 6 — 7.
[4] იქვე, გვ. 8 — 9.
[5] „საქ. კალენდარი", 1890 წ., გვ. 415.
[6] „მოგზაური", 1901 წ., № 8, 9.

ვეა ასახული ლექსებში შალვა ახალციხელის უაღრესად კეთილშობილური, მაღალი ადამიანური გრძნობები. მთქმელებს გმირის დიდი სიყვარული სამშობლოსა და მეგობრებისადმი განსახიერებული აქვთ არა მხოლოდ მისი უშუალო მოქმედებით, არამედ წინასწარი დახასიათებით. საფერხულო სიმღერის ერთი კახური ვარიანტის დასაწყისში სწორედ მისი ხასიათია მოცემული:

შავლეგ იყო კარგი ბიჭი, შავლეგო,
კარგი გორათ აგებული, შავლეგო,
ჰყავ ბატონი მადრიელი, შავლეგო,
ამბანაგი მოგებული, შავლეგო. . [1]

ასევეა მოცემული გმირის ხასიათი მეორე ლექსშიც, რომელიც მის ტრაგიკულ ბედს უნდა ასახავდეს: ჯალალედინის მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში:

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
წაიგდეს ვიწრო ხევშია,
მთა-ბარი სუ ზედ ხვიოდა,
გულს ერჭვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯავრობდა,
თავის სწორებსა სჩიოდა.
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა [2].

ასეთივე მოვლენებთან გვაქვს საქმე ახალი ციკლების ნაწარმოებებშიც. სოლომონ ლიონიძე, მისი თანამედროვე მთქმელის დახასიათებით, ერეკლე მეორის „ერთგული ყმა და სახელგანთქმული საქართველოს მსაჯული იყო“. იმავე მთქმელის სიტყვებით, სოლომონ მეორე „ადვილად დამჯერე იყო“, ზურაბ წერეთელი კი „ევრაგი სახლთუხუცესი“ [3]; ხრესილის ომის შესახებ არსებული გადმოცემით სოლომონ პირველის თანამედროვე თავადი „როსტომ ნიჟარაძე ყოფილა მეფის საყვარელი კაცი და იმ მშვენიერის კაცების დროს გამოსარჩევი თვალტანადი იყო თურმე. ნშვიდობიანი

[1] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხ. სიტყვ., გვ. 368.
[2] „კომუნისტი“, 1941 წ., № 260.
[3] საქ. ც. არქ., 555, გვ. 10, ფ. 114.

ხასიათისას და ზნისას თვალები ჰქონია, რომ ღამითაც ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე, მარა ერთი ისეთი თვისებაც ჰირევებია, რომ მაშინდელ დროში თითით საჩვენებელი ყოფილა: ნამეტანი შფრთხალი თურმე იყო"[1]. მსგავსი მაგალითების მოყვანა შრაელად შეიძლება.

* * *

ხალხური სიტყვიერების პოეტურ თავისებურებათა შორის აღსანიშნავია საერთო ადგილებისა და ტიპიური, ბზა ფორმულების როლი სიუჟეტის განვითარებაში.

ზღაპრებისათვის დამახასიათებელი შესავლისა და დასასრულის ტიპიური ფორმულები, რომელთაც შინაარსის გასაზრებლად გარკვეული ფუნქცია აქვთ[2], საისტორიო ნაწარმოებისთვის უცხოა. საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელებს მომხდარი ფაქტების სინამდვილით გადმოცემის პრეტენზია აქვთ და არც სჭირდებათ ასეთი ტრადიციული ფორმულები.

საგმირო-საისტორიო ლექსი ხშირ შემთხვევაში ისტორიული პირისადმი მიმართვით იწყება:

შენ ერეკლე ოქმიანო,
ცხენ ლამაზ უნ-გრიანო"[3]

„ზურაბო ერისთვისშვილო,
სისხლისამც დაგლევს წყალიო"[4].
„ზესვაო გაფრინდა-ულო,
ცოტა მოკლეო ენითა"[5] და მრ. სხვა.

მეტწილად საისტორიო ლექსი მასში გადმოცემული ისტორიული მოვლენის ან ფაქტის აღწერით იწყება:

„ზურაბ როშკის გორ ჩამოჯდა,
თანა ხყავ თავის ჯარიო"[6];
„აბდულია შეიკაზმა
ჯაჰვითა და ჯინჯილითა"[7] და მრ. სხვა.

---

[1] „ძველი საქართველო", ტ. II, გვ. 4.
[2] Ю. М. Соколов. Русский фольклор, აღნიშნ. გამოც., გვ. 323 და სხვა; ჭს. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის საკითხები, გვ. 88—108.
[3] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 106.
[4] აკ. შანიძე. ხალხ. პოეზია, გვ. 7.
[5] იქვე, გვ. 328.
[6] იქვე, გვ. 6.
[7] ხალხ. სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედ., წ. 1, გვ. 415.

მარტივად და ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება პროზაული ჟანრის საისტორიო ნაწარმოებებიც: „თამარ მეფე, დედოფალი ძლიერ სახელოვანი მეფე იყო“ [1]; „ერეკლე დიდი მეომარი მეფე იყო“ [2] და მრ. სხვა.

პროზაული ჟანრის ნაწარმოებებში, სიუჟეტის განვითარებისას ეპიზოდთა დაკავშირების მიზნით საერთო ადგილების გამოყენება, მცირე გამონაკლისის სახით გვხვდება. ასეთ შემთხვევებში მთქმელები ზღაპრების ან კიდევ ეპიური ციკლის ნაწარმოებთა გავლენას განიცდიან. ამის ნიმუშია ვახტანგ გორგასლის ციკლის გადმოცემა „როგორ შეიქმნა სახელწოდება „მეტეხი“. გადმოცემის სიუჟეტის განსავითარებლად მთქმელს გამოუყენებია გავრცელებული ზღაპრული მოტივები: მომავალი გმირისთვის დაყვედრება იმის გამო, რომ არ იცის მტრისაგან გატაცებული ნათესავის შესახებ და ძუძუზე კბილების მოჭერით დედისაგან ნამდვილი ამბის გაგება [3]; ზღაპრის გავლენის შედეგია აგრეთვე თამარ მეფის ციკლის ლეგენდის ვარიანტების მიხედვით დატყვევებული შუქურვარსკვლავის მეშვიდე ოთახში [4] ან მეცხრე ყუთში ჩაკეტვა [5].

საერთო ადგილების გამოყენებით საისტორიო ლექსები განსხვავდებიან პროზაული ჟანრის ნაწარმოებებისაგან. ამ მხრივ ისინი არასაისტორიო ლექსებთან შედარებით არავითარ თავისებურებას არ იჩენენ და უხვად შეიცავენ საერთო ადგილებს. ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე მომენტი სხვადასხვა ციკლის ლექსების საერთო ადგილია. შალვა ახალციხელის შესახებ არსებული ლექსის მიხედვით საქართველოში შემოსეულმა მტერმა:

„დააგდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად —
მტკვარი და ალაზანია,
ბალახი საძოვნელადა —
თრიალეთისა მთანია“ [6].

---

[1] „მოგზაური“, 1901 წ., № 8, 9.

[2] ფ.ოლკ. სექც. მა'. № 18322.

[3] „მოგზაური“, 1902 წ., № 9,10. შდრ. „როსტომიანის“ ვარიანტს ან კიდევ ჯადოსნურ ზღაპრებს.

[4] თქმულება თამარ დედოფალზე, „კრებული“, 1898 წ., № 8.

[5] Преданіе о царицѣ Тамарѣ, Сборникъ мат., т. XIII, стр. 44.

[6] ხალხ. სიტყვ., ეკ. თაყაიშვილის რედ. I წ. I, გვ. 373.

თუშური ლექსის მიხედვით, ხევსურების წინააღმდეგ ამხედრებულმა

„ზურაბმა ერისთვისშვილმა
შეჰყარა დიდი ჯარიო,
შემოაყენა არაგვსა,
არ ჰყოფნის ალაზანიო.
საძოვრად — ბალახიანი
ეგ თრიალეთის მთანიო“ [1].

ერეკლე მეორის ციკლის ლექსის მიხედვით შემოსეულმა მტერმა

„დასწერა წიგნები
კახთ ბატონთანა ძალიო:
„სასმელად არ მეყოფისო
ალაზანი და მტკვარიო,
მოსაძოვებლად ბალახი
თრიალეთისა მთანიო“ [2].

ეს ადგილი მოხევურ პოეზიაშიც გვხვდება მეცხვარეებზე ლეკთა შარბიელი რაზმების თავდასხმის აწერასთან დაკავშირებით:

ალახანს გადმოსწოლია
გულხოკერაის ჯარია,
სასმელათ აღარ ჰკმაინობს
ალახანი და მტკვარია“ [3].

საერთო ადგილია შალვა ახალციხელის შესახებ არსებულ ლექსში შმირის დაღუპვის ამბის დედასთან მიტანა და მშობლის მოთქმა:

„დედას კაცი მოუვიდა:
„შენი შავლეგ მოგიკლესა“.
შალვას დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმასა:
— ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა,
თუ არ იყო ბედის წერა.
ას-ორასი მაკისანა
ხორასნიდან ტყე მოჰყვანდა...“ [4]

---

[1] ხალხ. პოეზია, 1934 წ., გვ. 106.
[2] ა. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 110.
[3] მოხევური ლექსები, თბილისი, 1939 წ., გვ. 125.
[4] ხალხ. სიტყვ., ექ. თაყაიშვილის რედ., წ. I. გვ. 114.

საქართველოში მოთარეშე ქისტებისა თუ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ლექსში ეს ადგილი ასეა შესული:

„დედას კაცი გაუგზავნეს:
„შენი დემურ მოგდის მკვდარი".
„რემ დებურსა ვინ მოკლავდა,
ხმელეთში განთქმული არი".
შაჰკივლა და გამოვარდა,
გადაყარა გიშრის თმანი" [1].

საერთო ადგილია გამოყენებული ერეკლე მეორის თანამედროვე გმირის დათუნა გოშტაშვილსა თუ ქვეპირიშვილზე ნათქვამ ლექსის დასაწყისში:

„როცა დათუნა კვდებოდა.
ცა ღრუბლით იმოსებოდა" [2].

ხოგაის მინდის სიკვდილზე შექმნილი ლექსი ასე იწყება:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა..." [3]

მსგავსი მაგალითები იშვიათი არ არის საისტორიო ლექსებში.

* * *

ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა დამახასიათებელი პოეტური ხერხებია ფსიქოლოგიური პარალელიზმები. ეს პოეტური ხერხები ნაწარმოებთა შინაარსთან, მათ იდეურ მხარესთანაა დაკავშირებული. მთქმელები მათი საშუალებით ხდიან ამბავს სახეობრივს, გმირის სახეს — გრანდიოზულს, ისტორიულ მოვლენას — ნათელს. ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში მეტწილად პატრიოტული მიზნებითა და კლასთა ბრძოლის იარაღადაა გამოყენებული ფსიქოლოგიური პარალელიზმები: სიმბოლოები, ეპითეტები და შედარებანი. ასეთივე მიზნებითაა გამართლებული ნაწარმოებებში ჰიპერბოლებიც.

ქართული ხალხური პოეზიის სიმბოლიკაში აღსანიშნავია ანტითეზები: სინათლე და სიბნელე, სითბო და სიცივე და სხვ. ასეთი ანტითეზების ფესვები შორეულ წარსულშია. სინათლე და სითბო ნათელ წარმოდგენებთან და ბედნიერებასთანაა დაკავშირებული:

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 64.
[2] მოხევური პოეზია, გვ. 135.
[3] ხალხ. პოეზია, 1934 წ., გვ. 125.

სიბნელე და სიკვდილი — უბედურებასთან [1]. ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში ავი დარი, ღრუბელი, ნისლი, მზის ჩასვლა, სიბნელე და საერთოდ ბუნების სტიქია — სამშობლოს განსაცდელის სახეებია. ესენი ტრადიციული ქართული პატრიოტული სიმბოლოებია. ქართული ლეგენდის მიხედვით, საშინელი მიწისძვრა კახეთში ან კიდევ თელავის ცაზე შავი ღრუბელი იმ აგრესორის დაბადების ნიშანია, რომელმაც მიწასთან გაასწორა კახეთის მოსახლეობა [2]. მ ი წ ი ს ძ ვ რ ა და შ ა ვ ი ღ რ უ ბ ე ლ ი შაჰ-აბას პირველის სიმბოლოებია.

სამშობლოს განსაცდელის ფსიქოლოგიური პარალელია ღ რ უ ბ ე ლ ი ლექსში ასპინძის ომის შესახებ, რომელშიც აწერილია ტოტლებენის ღალატის შედეგად ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველების განსაცდელში ჩავარდნა:

ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწა ღვარაო,
ერეკლე აწყვეურს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
რუსმან აართვა ღალატი,
ქურდულებ გაიპარაო.
უკან არ წავა ერეკლე,
ჯავახეთს გაეჩქარაო.
ასპინძაში რომ ჩავიდა
დელიბაშს დაეხალაო... [3]

სამშობლოს განსაცდელის სახეა ა ვ ი დ ა რ ი ლექსში აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე. ეს ლექსი ასე იწყება:

ორშაბათ დილას გათენდა
ავი დილა, ავი დ-რი, —
ყმაწვილების კალოს ლეწავს
თურქმანის ცხენის ნალი... [4]

საგმირო ლექსებში სიბნელე და ავი დარი ხშირ შემთხვევაში გმირის სიკვდილის სიმბოლოებია. გავრცელებული ლექსის მიხედვით მ ზ ი ს ჩ ა ს ვ ლ ა და შ უ ა ზ ღ ვ ა ში ჩ ა ვ ა რ დ ნ ა ერეკლე

---

[1] ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები, „მნათობი", 1938 წ., № 6.

[2] П о т т о, Кавказская война, т. I, вып. I, стр. 245 — 246.

[3] ფოლკლ. სექც. მას. № 23900.

[4] აკ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 23.

შეორის გარდაცვალების ფსიქოლოგიური პარალელებია[1]. ამავე ლექსის მიხედვით ვარსკვლავების ტირილი ან ცის ნამის დაშლა ქართველი ხალხის გლოვის პოეტური შემეცნებაა.

ერეკლეს თანამედროვე გმირის დათუნას სიკვდილიც ზემოთ მოყვანილი ლექსის მიხედვით ცის დაღრუბლვასთანაა შეტოლებული[2].

პატრიოტული სიმბოლოა ამღვრეული არაგვი ლექსში „ერეკლეს გლოვა". ამ ლექსის მიხედვით ამღვრეული არაგვი აფორიაქებული საქართველოს მთის ხალხის ფსიქოლოგიური პარალელია". [3].

ქართული საგმირო პოეზიის მიხედვით კარგი მებრძოლის სახეებია: ქორი, შევარდენი, არწივი, ვეფხვი, ლომი, ირემი, ხარი და სხვ. ამ სახეების გამოყენებით პატრიოტი ქართველი მთქმელები ამახვილებენ ნაწარმოებთა ეროვნულსა და სოციალურ მოტივებს.

ჯალალედინის მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ღალატით დაღუპული შალვა ახალციხელი გავრცელებული ლექსის მიხედვით „მთას ქორებულად კიოდა" ან „გეზელ ქორივით კიოდა" [4]; ერეკლეს ბრძოლების მონაწილე მოხუცი ასე იგონებს თავის ახალგაზრდობას:

„ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევქენ ნავარდი!" [5]

ხევსურული ლექსის მიხედვით ლეკთა მარბიელი რაზმების წინააღმდეგ მებრძოლი, ერეკლე მეორის თანამედროვე გმირი ხთისია ატაბიონი „შაორდენია მკრიანი"; ამავე ლექსის მიხედვით მეორე გმირი გაიდაური არის „მანძილა რქა-ჯანგიანი"; [6] ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლი მამუკა ქალუნდაური

„გორდი-გორ ჩამოდიოდა,
მობუბუნებდა კარია.
ალერდის წყალში გავარდა,
ირემმ გაიღა რქანია"; [7]

---

[1] ხალხ. პოეზია, 1934 წ., გვ. 216.
[2] მოხეური პოეზია, გვ. 135.
[3] პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., გვ. 107.
[4] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 491.
[5] ხალხ. სიტყ. ე. თაყ-ის რედ., წ. I, გვ. 221.
[6] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 21.
[7] იქვე, გვ. 11.

გივი ამილახვრის წინააღმდეგ მებრძოლი გიორგა, ლექსის მიხედვით „ყვირილობის კარია“ [1].

ასეთი სახეები არც პროზაული ჟანრის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებთათვის არის უცხო. დამარცხებული მტრის ჯარის სურათი ასეა მოცემული ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ, ასპინძის ომის ამსახველ გადმოცემაში: „ლეკ-ოსმალოს ჯარი, ნახა რა უბედურებაში თავის სარდალი, აირია წეროს გუნდივით, როცა მას არწივი დაუტევს“ [2].

საისტორიო ნაწარმოებში უხვადაა გამოყენებული საგმირო ეპითეტები.

ბახტრიონის აღების მონაწილე ხოშურაული „გულრკინაა“ [3]; ერეკლეს ციკლის ლექსის მიხედვით ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი პოხილაური „ამაამღერებს კმალსაო“ [4]. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში ფსიქოლოგიური პარალელიზმები ზოგ შემთხვევაში მოსწრებული სიტყვების ნიმუშებია. გონებამახვილი და ენამოსწრებული მთქმელები ტრადიციული პოეტური სახეებით მოხდენილად ახასიათებენ ისტორიულ მოვლენებსა და ისტორიული პირების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ხალხურ პოეზიაში ხოხობი ახალგაზრდა ქალის, უფრო ხშირად პატარძლის სახეა. ეს სახე დამახასიათებელია ქართულ საქორწილო სიმღერებისთვისაც:

მოვდივართ, მოგვიხარიან,
მოგვყავს დედალი ხოხობი [5].

ან კიდევ:

ბიჭო, აიღეთ თოფები,
ავდგეთ, წავიდეთ წყალზედა,
მოვკლათ დედალი ხოხობი,
გადავიკიდოთ მხარზედა [6]. და სხვები.

ეს ტრადიციული სიმბოლო მოხდენილადაა გამოყენებული სოლომონ პირველის პირადი ცხოვრების ამსახველ გადმოცემაში. ამ

[1] აკ. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 18.
[2] ვაჟა ფშაველა, ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია“, 1902 წ., № 196.
[3] ვაჟა ფშაველა, ტ. III. გვ. 200.
[4] აკ. შანიძე. ხალხური პოეზია, გვ. 20.
[5] ხალხ. პოეზია, 1934 წ., გვ. 177.
[6] იქვე.

გადმოცემით სოლომონ პირველმა განიზრახა ქაჯაიას ქვრივის ცოლად შერთვა. დიდებულები წინ აღუდგნენ მეფის სურვილს. „ერთხელ მეფე სანადიროთ ბრძანდებოდა. ააფრინეს ხოხობი, მიუტიევეს ქორი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელს შუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაისისაკენ, მაგრამ იმ დროს წადგა მის წინ ვიღაც ახალგაზრდა და მოახსენა: „თქვენ რომ ხოხობი გაგიფრინდათ, აგერ გახლავთ ჩემს ეზოშიო". მეფემ მისი ბაზიერებით შეაქენა ცხენი, დაუწყო ძებნა, მაგრამ ხოხობი ვერსად ნახა... მერე მიიხედა სახლისკენ და სარკმელთან მოჰკრა თვალი ერთ მშვენიერ ქალს. „სად არის, ბავშვო, ის ხოხობიო? — ჰკითხა ახალგაზრდას — მომატყუეო? — არა, ჩემო ხელმწიფეო — მიუგო ყმაწვილმა — ქაჯაიას გვარს მის დღეში ტყუილი არ გაუბედნიაო!... ის ხოხობი, თქვენ რომ გაგიფრინდათ, აქ გახლავთ, მაგრამ დარბაისლების ეშინია და იმალებაო...

მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუდგა გზას. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ჯვარიც დაიწერა ქვრივზე". [1]

ამავე გადმოცემაში საინტერესოა გაძლიერებული იმერეთის მეფის მიერ მტრების ალაგმვის შედარება კ ბ ე ნ ა ს თ ა ნ. ამ შეხვედრაშიც მოსწრებულ სიტყვებთან გვაქვს საქმე. გადმოცემის მიხედვით, სხვა დიდებულთა გარდა, გიორგი აბაშიძემაც წუნი დასდო ქაჯაიას ქვრივის გარეგნობას. როდესაც ქვრივი დედოფალი გახდა, დიდებულებმა მისი შემკობა იწყეს. ამის გამო საინტერესო დიალოგი გაიმართა მეფესა და გიორგი აბაშიძეს შორის: „ — გიორგი აბაშიძე, შენ მაინც რაღას იტყვი? შენ ხომ შენი თვალითაც შეამოწმე და ისე მომახსენე, არ იცოდი, რომ ტყუილს არავის შევარჩენდი? ბრძანა მრისხანეთ მეფემ.

— მე ტყუილი არ მომიხსენებია ჩემო ხელმწიფევ! მიუგო თამამად აბაშიძემ.

— მაშ, ახლაც ისე გეჩვენება?

— ახლა მზეთუნახავი ბძანდება!..

— განა ეს შესაძლებელია?

— რატომ არა, შენი პირიმე. მამათქვენი ალექსანდრე რომ მიიცვალა და სამეფო ხელში ჩაგივარდათ, მაშინ იმერეთი კოპლიც გახლდათ, ყრუც, ბრმაც და კბილებჩაცვენილიც, მაგრამ დღეს კი უველაფერი კარგათ ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრათ დგას

[1] „აკაკის კრებული, 1897 წ., № 3, განყ. 2.

და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტრებს უკბინოსო... და, თუ მთელი სამეფო ასე გამობრუნდა და გაკეთდა, რაღა გასაკვირველია ერთი უბრალო აზნაურის ნაქვრივალის თქვენს ხელში გადასხვაფერებაო?!« [1]

სოლომონ მეორის ციკლის გადმოცემაშიც მტრების შევიწროება მოხდენილადაა შედარებული კბენასთან. ამ გადმოცემის მიხედვით იმერლების თავაზიანობის შემოწმების მიზნით სოლომონ მეორემ მოიმიზეზა კბილის ტკივილი. მეფის შეკითხვაზე, — საკვირველია თუ არა ეს ფაქტი, სვიმონ წერეთელმა უპასუხა: „— რა გასაკვირალია, შენიჩირიმე? ეგ სულ თქვენი მოუსვენრობის ბრალია: აქეთ ხვანთქარსა ჰკბენთ და იქით ყეენსა და ან აქამდე როგორ შეგრჩათ ეს კბილებიო"! [2].

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში არაიშვიათია სილამაზის განსახიერების პოეტური ხერხები.

სვანური საფერხულოს მიხედვით თამარ მეფეს გიშრის თმები და მარგალიტის კბილები ჰქონდა; [3] იმერული ლექსის მიხედვით სოლომონ მეორის მეუღლის ფსიქოლოგიური პარალელია ამომავალი მზე:

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა.

. . . .

დედის მუცლიდან ნაშობი
მარიამ დედოფლისთანა;

იგი შედარებულია სავსე მთვარესთან და ელვასთან; მისი თვალები სამოთხისაა და სხვა:

მარიამო, რამ გაგაკვსო,
თოთხმეტი დღის მთვარის მგზავსო?
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.
მდომიერმა კაცმა გნახოს,
ამას იტყვის: „ელვა დგასო!".

---

[1] „აკაკის კრებული", 1897 წ., № 3. გვ. 2.
[2] იქვე.
[3] სვანური პოეზია, გვ. 3.

ერთი შენი შამოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო; [1]

სოლომონ პირველის მოქიშპე ძლევამოსილი ვაჟკაცის, როსტომ ერისთავის პოეტური სახეა „ლერწამი ზღვისა პირსაო“.[2] მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება გაიზარდოს.

* * *

ზომის მხრივ საისტორიო ლექსები არავითარ თავისებურებას არ იჩენენ. ქართული ხალხური პოეზიის სხვა ნიმუშების მსგავსად მეტწილად ისინიც შაირის წყობითა და მეტრით ხასიათდებიან.

---

[1] ხალხ. სიტყვ. ექ. თაყაიშვილს რედ. ნ. I, გვ.ჯ.

[2] ჩაწერილი ეთერი არჯევანიძის მიერ რაჭაში 1945 წ.

IV

მოქალაქები

პროფ. მ. კ. აზადოვსკიმ რუს მეზღაპრეთა საკითხის შესწავლისას აღნიშნა: „Творчество сказочников — не в создании новых фабульных или сюжетных схем, но — в новом освещении событий, в манере пользования художественными деталями, в манере словесной и звуковой игры, в уменье связать сюжетную схему и установленную форму с близкими и порой волнующими фактами и, наконец, в насыщении их теми или иными социальными тенденциями, ибо в творчестве каждого сказочника, органически связанного со своей средой, выражается ее социально-классовое содержание, что, конечно, и определяет собою всю творческую работу сказочника“[1]. პროფ. აზადოვსკის ეს სიტყვები ხალხური სიტყვიერების ყველა ჟანრის ნაწარმოებთა მთქმელების შემოქმედებითს პროცესს ახასიათებს. წინა თავებში განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები არ არიან მოვლენების, ფაქტების ან ტრადიციული სიუჟეტებისა თუ მოტივების უბრალო აღმნუსხველნი. ისინი პირველ რიგში შემოქმედებია. მთქმელებს გააზრებული აქვთ გარკვეული მოვლენები, მომხდარი ფაქტები; წინაპართა მიერ შექმნილი ნაწარმოებნი მათ თავისებურად აქვთ განცდილი და დაკავშირებული ცოცხალ სინამდვილესთან, თანამედროვეობასთან. ისინი თავიანთ რეპერტუარს ყოველ ახალ შემთხვევაში ახლებურად გადასცემენ აუდიტორიას თუ ჩამწერთ. ეს გარემოება შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინეთ საისტორიო ნაწარმოებთა საკითხების განხილვისას.

კვლევის ობიექტად აღებული მასალების ძირითადი ფონდის მთქმელთა შემოქმედებით ხერხებზე ზუსტი მეცნიერული ჩანაწერებისა და სათანადო ცნობების უქონლობის გამო მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს. ამის გამო არ მოხერხდა საგმირო-საისტორიო

---

[1] М. К. Азадовский, Русские сказочники, Русская сказка, Academia, 1931, стр. 33.

ნაწარმოებთა პრობლემების მთქმელთა მიხედვით განზოგადოება. მთქმელთა საკითხს მაინც ვხდით საგანგებო მსჯელობის საგნად იმ უშუალო დაკვირვებებისა და ცნობების მიხედვით, რაც ჩვენთვის მისაწვდომია. ნაშრომში ამ თავის გამოყოფა ამ გარემოებითაა გამოწვეული. ჩვენს ხელთ არსებული უშუალო ცნობები მთქმელების შესახებ ან კიდევ მათი შემოქმედების თავისებურებანი თავის მხრით შეუქს ფენენ საგმირო საისტორიო ნაწარმოებთა საკითხებს.

განხილული საკითხებიდან ჩანს, რომ ქართული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები უხვად შეიცავენ ეროვნულსა და სოციალურ მოტივებს. ეს გარემოება მათი ღრმა იდეურობის მაჩვენებელია. ქართული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები არსებითად მშრომელი მასის შემოქმედებაა. ამ მხრივ იგი ღირსეულად ეხმაურება XIX—XX საუკუნეების დიდი იდეების ქართულ ლიტერატურას. მშრომელი ხალხის სოფლმხედველობის შედეგია ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა დამახასიათებელი დემოკრატიზმი. დემოკრატიზმით ხასიათდება დიდი მონარქების სახეებიც კი. თამარ მეფე ქართველი მთქმელების შემოქმედებით, მშრომელი ხალხის თანამგრძნობი და გულთბილი მზრუნველია. ერთი გადმოცემით, მას გლეხის შვილზედაც კი უნდოდა დაქორწინება[1]. ხალხურ ნაწარმოებთა მიხედვით ერეკლე მეორეც მშრომელი ხალხის პირისა და ლხინის მოზიარეა. ერთი ლექსით, ერეკლესთან ნაწვევმა გლეხმა კითხვაზე, თუ სად იყო იგი, ასე უპასუხა:

—მეფესთანაო, ისიც კაცია ჩვენისთანაო[2]. არსებობს გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც ერეკლე მეფე იყო სტუმრად გლეხთა ოჯახებში[3]. ერეკლე მეფის დემოკრატიული სახეა მოცემული ქართლურ გადმოცემაში, რომლითაც იგი ამალით ესტუმრა ძუნწობით ცნობილ გლეხს. გადმოცემით „გლეხი წინ მიეგება, მიიწვია მეფე სახლის ბანზედ, რომელიც თავიდან ბოლომდე საფენით მეფინა კიდეც. ძალიან კარგად დახვდა მეფესა და იმის ამალასაც. როცა მეფემ ვახშამი მიირთო, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა, მაართვეს ცხენები.. გლეხს მადლი უბძანა და ზედ დაატანა: — აკი, შვილო, შენ პურს არავის აუმეე ისე, რომ არას გამორჩეო.

— მაინც ეგრეა შენი პირიმე! უპასუხა თამამად გლეხმა, მართალი მოუხსენებიათ.

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 12999.

[2] ხალხ. პოეზია, 1934 წ., გვ. 218.

[3] მეფე ირაკლის მასპინძელი, „დროება", 1878 წ., № 149 და სხ.

— როგორ? აბა დღეს მე რას გამოვრჩი?

— ამ ბანზედ მიწა ახლად დაყრილია, ამის დატკეპნას ჯარგა მუშა მოუნდებოდა და მეტი გამორჩომა რად მინდა, რომ ჩემმა ბედნიერმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარი ფეხით ბანი დამიტკეპნოსო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათა უბოძა“ [1].

ქართველი მთქმელების ღრმა ეროვნული თვითშეგნებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ახალ ციკლებს ვერ დაუფარავთ ძველები. ვახტანგ გორგასალი, დაეით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ბახტრიონის აღების მონაწილე გმირები და სხვები, ქართველ მთქმელთა შთაგონების დაუშრეტელი წყაროა. მღელვარე ეპოქის, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მთქმელებს, მსოფლიოში განთქმულმა სტრატეგმა, გამჭრიახმა პოლიტიკოსმა და უბადლო გმირმა ერეკლე მეორემ ვერ დაავიწყა სახელი. იმ დიდებული მეფე ქალისა, რომელიც ღირსეულად ხელმძღვანელობდა მთლიანსა და ძლევაწოსილ საქართველოს. დამახასიათებელია ისიც, რომ კახელმა მთქმელმა ჭიმიამ, როდესაც მის თანამებრძოლებს უამბო ამბავი ალექსანდრე ბატონიშვილზე, რის მომსწრეც თითონ იყო, ამას ვახტანგ გორგასალზე არსებული პატრიოტული გადმოცემა მოაყოლა და შიგ აღტაცებით ჩაურთო: „ჩვენ ახლაც ვმღერით მასზე — ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ესმოდა რეკაო“. ჭიმია გამონაკლისი არ არის. ქართველი მთქმელების რეპერტუარში მეტწილად თანაბარი ოდენობითაა, როგორც ძველი, ისე ახალი ციკლების ნაწარმოებები. დამახასიათებელია ისიც, რომ ეროვნული და სოციალური მოტივები მათ შემოქმედებაში მშრომელი მასის თვალსაზრისითაა მოცემული. იშვიათი გამონაკლისის სახით არსებობს რამდენიმე ნაწარმოები, რომელნიც ეროვნული მოტივებისა და სოციალური ბუნების მიხედვით დამახასიათებელი არ არიან ქართველ მთქმელთა სოფლმხედველობისათვის და დისონანსი შეაქვთ ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში. მათ შორის ორი ლექსი ერეკლე მეორის ციკლისაა.

ერეკლეს ციკლის ნაწარმოებთა თემატიკის განხილვამ გვაჩვენა, რომ ქართველი მთქმელები ძირითადად სწორად იძლევიან ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაციას. ამ ციკლის მრავალრიცხო-

[1] ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—1993.

ვანი ნაწარმოებნი ასახავენ ერეკლეს ეპოქის ქართული საზოგადოების პროგრესული და რეაქციული ნაწილების ჰიდილს. თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკით, გარეშე-მტრებისა და რეაქციონერი თავადებისაგან აკლებული მშრომელი ხალხის თვალში ერეკლე მეორე მისი მოამაგე იყო. ასეთ საფუძველზეა შექმნილი აღფრთოვანებული ლექსები ერეკლეს გმირულ ბრძოლებზე: აზატ-ხანის დამარცხებაზე, მჰადიჯვრის ომსა და ყვარლის აღებაზე, ასპინძის ომზე და სხვებზე. გარკვეულ სოციალურ გარემოშია შექმნილი ერეკლესა და მის თანამებრძოლებისადმი აღტაცებული ხოტბანი, სიყვარულით გამთბარი გადმოცემები გელა ნათელაშვილზე, ტურა ჭაიხოსროზე, თუშ დილოიძეზე, ხევსურ ხიმიკაურზე, ქართლელ გმირ-ქალებზე—მაია წუნეთელზე, თინა წავკისელსა და თამრო ვაშლოვანელზე და სხვა მრავალზე. ქართველ მთქმელთა იდეოლოგიის დამახასიათებელია ლექსებსა და გადმოცემებში ასახული ხალხის სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, რეაქციონერ თავადებისადმი—გივი ამილახვრისა და აბდულა-ბეგისადმი. სოციალური ბუნების თვალსაზრისით ასეთი მასალებია დამახასიათებელი შინაარსობრივად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ერეკლეს ციკლისათვის. ამ ციკლში დისონანსის შემტან ერთ ლექსში გადმოცემულია ერეკლე მეორის წინააღმდეგ შეთქმულ ოპოზიციონერთა დასჯის ამბავი. რეაქციონერ თავადთა იდეოლოგიის მატარებელი მთქმელი დასტირის სამეფო ტახტის „ნამღვილი მემკვიდრეების“ ბაქარიანთა „დალევას“:

— ბაქარიანთა დალევა
ქართველზე წილნაყარია,
სიკვდილი პაატაისა
ღმერთმა იცოდეს ბრალია,
შეინახოდით ხევსურნ, ვინც
გყვანდეს წილს ნაბარგალია,
ეკიდას ბაგრატიონთა
ამაგათ ცოდვა-ბრალია,
დალივნეს ბაქარიანნი
სულ საქართველოს კარნია[1].

ლექსი 1876 წელსაა ჩაწერილი და მისი სოციალური ბუნების გამო ფართო მასაში ვერ გავრცელებულა. ხალხურმა შემოქმედებამ ვერ შეითვისა რეაქციული იდეის მატარებელი ლექსი.

[1] პ. უმიკაშვილი ხალხ. სიტყვ., გვ. 102.

ლექსში „ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე“ გადმოცემულია ლეკთა მარბიელი რაზმების ლაშქრობა საქართველოში. მასში ქართველები უდიერადაა მოხსენებული. მისი ორი ვარიანტი ალ. სარაჯიშვილისთვის გადაუცია ლეკს. ლექსში დაცული რეალიების მიხედვით ალ. სარაჯიშვილმა იგი XVIII საუკუნის 70 წლებით დაათარიღა. სიმღერა შექმნილია საქართველოს მტერთა ბანაკში, რის შედეგიცაა მისი ანტიქართული ტენდენცია.

სხვა ციკლებშიც გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც ქართველ მთქმელთა სოფლმხედველობისა და შემოქმედებითი ხერხების დამახასიათებლად ვერ მივიჩნევთ. ასე, მაგალითად, ერთი გადმოცემით „სუ პირველში თამარ დედოფალი იყო ბატონი. გადმოვიდოდა თათარი, სძალობდა ჭალსა. ლეკიანობა ყოფილა. არც ჯარს შინებია დედოფლისა. გადმოვიდოდა ლეკის თარეში, მოიტაცებდნენ მწყემსებსა და ცხვრებსა“[1]. ამ გადმოცემას დისონანსი შეაქვს თამარის ციკლში. თამარის ბრწყინვალე ეპოქა, როგორც ვნახეთ, სათანადოდ აისახა ქართველ მთქმელთა შემოქმედებაში. ციტირებულ გადმოცემაში საქმე გვაქვს არა ისტორიული მოვლენის ან პირის თავისებურ გააზრებასთან, არამედ უვიცობასთან. მისი მთხრობელი შემოქმედად არ ჩაითვლება და არც მთქმელთა საერთო დახასიათებისას არის ანგარიშგასაწევი.

ზეპირი ნაწარმოების ყველა ჟანრის მხატვრული მეთოდის ერთ-ერთი მსაზღვრელი მთქმელისა და აუდიტორიის ან მსმენელის ურთიერთობაა. ამ ურთიერთობაში ვლინდება საგმირო საისტორიო ნაწარმოებთა ბუნება, — წარსულის თანამედროვეობასთან კავშირი, ტრადიციული ნაწარმოების ადგილობრივი ელფერი, ე. ი. მისი სოციალური შეგუება გარკვეულ გარემოსთან და მრ. სხვა. ყოველივე ამის გამო ჩვენ ძირითადად შევეხებით იმ მთქმელებს, რომლებთანაც უშუალო ურთიერთობა გვქონდა. მათი შემოქმედება განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა ეპოქის მშრომელი ხალხის სოფლმხედველობითა და იდეოლოგიითაა განსაზღვრული. მათ შემოქმედებაში წარსულის თანამედროვეობასთან კავშირი მშრომელი ხალხის მიერ საბჭოთა სინამდვილის განცდითაა მოცემული. ჩვენი დაკვირვებანი მათი შემოქმედების ამომწურავ ანალიზს არ წარმოადგენს. ჩვენ მეტწილად მათთან ხანმოკლე შეხვედრების შესაძლებლობა გვქონდა. გადმოცემთ ამ შეხვედრების

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 1795.

ეპიზოდებს მთქმელთა შემოქმედების ზოგიერთი თავისებურების ჩვენებით. ვფიქრობთ, ჩვენ დაკვირვებებს მთქმელებზე, წინა თავებში დასმული საკითხების დამატებითი გაშუქების გარდა, მნიშვნელობა აქვს საერთოდ ხალხურ შემოქმედებაში ინდივიდუალური საწყისების გასათვალისწინებლად.

* * *

საქართველოში პროზაული ჟანრის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები ხანში შესული მამაკაცებია. ქალები იშვიათად, წიგნის გავლენით ყვებიან საისტორიო ნაწარმოებებს. რაც შეეხება ლექსებს, ისინი ყველა სქესისა და ასაკის მთქმელთა რეპერტუარშია.

რეპერტუარის ხასიათისა და პოეტურ თავისებურებათა მიხედვით საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ერთი ტიპის მთქმელები მხოლოდ საისტორიო ნაწარმოებებს ყვებიან. ისინი ფოლკლორის სხვა ჟანრისა და განყოფილების მასალებს სერიოზულობით არ ეკიდებიან. უფრო მეტიც — თაკილობენ მათ შესრულებას[1]. ასეთი ტიპის მთქმელებს ვხვდებით საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც შედარებით ნაკლებია წიგნის გავლენა. მათ თხრობის თავისებური გეგმა და სტილი აქვთ. არ ახასიათებთ სიუჟეტის განვითარება სამმაგობის კანონით, რაც მეზღაპრეებს ჩვევიათ. მათ რეპერტუარისთვის თითქმის უცხოა ფანტასტიკა. ისინი თქმულებებსა და ლეგენდებსაც კი რეალისტურ ხასიათს აძლევენ. ამ კატეგორიის მთქმელები იშვიათად იყენებენ ეპითეტებს, შედარებებსა და სხვა მხატვრულ ხერხებს. გარდა ამისა, მათ უყვართ სააგიტაციო დანიშნულების პუბლიცისტური ხასიათის ლექსები. ასეთ მთქმელებს სინამდვილის ცოდნის დიდი პრეტენზია აქვთ, რაც საზღვრავს მათი შემოქმედების პოეტურ თავისებურებას.

მეორე ტიპის მთქმელებს, რომელთაც საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით, საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გარდა მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვთ. ამის გავლენა ამჩნევია მათ მიერ შესრულებულ საისტორიო ნაწარმოებთა პოეტიკას. ისინი ტრადიციულ სიუჟეტებს უფრო ვრცლად ყვებიან, ვიდრე პირველი კატე-

[1] გამონაკლისს წარმოადგენს ეპიური ციკლის ნაწარმოებები, განსაკუთრებით „ამირანიანი", რომელსაც მთქმელები სინამდვილის გადმოცემის თვალსაზრისით ასხვავებენ ზღაპრებისაგან და ხშირად საისტორიო ნაწარმოებებთან აიგივებენ.

გორიის მთქმელები. საისტორიო ნაწარმოებებში მათ უხვად შეაქვთ ფანტასტიკური ელემენტები. ამ კატეგორიის მთქმელები ხშირად მიმართავენ ეპითეტებს, სიმბოლოებსა და სხვა მხატვრულ ხერხებს. მათი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია შერეული ფორმა — ერთისა და იმავე ნაწარმოების შინაარსის როგორც ლექსით, ისე პროზით განვითარება.

* * *

საისტორიო ნაწარმოებთა პირველი ტიპის მთქმელთაგან აღსანიშნავია სვანი, მესტიაში, ს. ლანჩვალში მცხოვრები ანტონ გურმაჩისძე ხერგიანი. ანტონ ხერგიანს ზემო სვანეთში კარგი მთქმელის სახელი აქვს მოპოვებული. მას ჩვენ 1945 წ. 12 აგვისტოს შევხვდით. კვირა დღე იყო, როდესაც მას ვეწვიეთ. იგი სტუმრებთან ერთად გაშლილ სუფრას ეჯდა. ჩემი თხოვნით გარეთ გამოიყვანეს. ცოტა ხასვამი იყო. მიმიწვია ძველი სვანური ეზოს შალალი გალავნის შესავალთან დალაგებულ ქვებთან, ჩამოჯდა თითონაც და ჩამაწერინა თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდისა და ამირანიანის ვარიანტები. ორი ტექსტის შესრულების შემდეგ თავაზიანად მთხოვა: „ქეიფს ვცდები და, თუ შეიძლება, შემდეგ გიამბობო". ასეთი პირობით დავშორდით. სამწუხაროდ, შემდეგში აღარ მოხერხდა ამ საინტერესო მთქმელთან შეხვედრა.

79 წლის მოხუცმა ანტონ ხერგიანმა სუსტად იცოდა ქართული ენა. ჩვეულებრივ საუბარსა და ეთნოგრაფიული მასალების თხრობას ახერხებდა ქართულად. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები კი სვანურად გვიამბო. იგი განსაკუთრებული პატივისცემითა და სერიოზულობით ეკიდებოდა საისტორიო და ეპიური ციკლის საგმირო ნაწარმოებებს. ზღაპრებს აბუჩად იგდებდა. ჩემ შეკითხვაზე — იცოდა თუ არა ზღაპრები. მიპასუხა: „ციგინები (ზღაპრები. ქ. ს.) გრძელი არის, მე არ ვიცი, ყურს არ ვუგდებო".

ხალხური სიტყვიერების ტრადიციული ნაწარმოებების შინაარსი ანტონ ხერგიანმა თანამედროვე თვალსაზრისით განავითარა. გავრცელებული ლეგენდა, რომლითაც თამარ მეფე წმინდანი იყო ან კიდევ სურდა მარადიულ ქალწულად დარჩენა, მან ასე დაიწყო: „თამარ დედოფალი დადიოდა სვანეთსა და სამეგრელოს შორის. სამეგრელოში ყოფილა და შეუგროვებია ხალხი. ამ კრებაზე ხალხს მოუთხოვია და უთქვამთ: — ადამიანი ყოველთვის არ არსებობს და რამე

ამბავი გვაინტერესებსო. სამეგრელოს ხალხს უთხოვია—ერთი კაცი საქმროდ გეიჩინეო". ამ ლეგენდის XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი ვარიანტებით, მეფის უმეტკეიდროდ დარჩენა დიდებულებსა და სასახლის კაცებს აწუხებდათ. ამ საკითხის შესახებ სწორედ ისინი თათბირობდნენ[1]. საბჭოთა მთქმელმა ანტონ ხერგიანმა კარისკაცებისა და დიდებულების თათბირი მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამახასიათებელ ხალხის კრებად წარმოიდგინა. საინტერესოა აგრეთვე ამავე ლეგენდის ანტონ ხერგიანის ვარიანტის მეორე მომენტი: თამარ მეფეს „ბიჭი ეყოლა. თითონ ხელი არ უხლია, ისე ის ბავშვი, ამხანაგებისთვის უთქვამს, მთაზე აიყვანეთო, მახში"[2]. ლეგენდის XIX საუკუნის ვარიანტებით თამარმა შახურებს უბრძანა ბავშვის გადაგდება[3]. მსახურების ანხანაგებით შეცვლით ანტონ ხერგიანმა ტრადიციულ ნაწარმოებში თანამედროვე თვალსაზრისი შეიტანა.

ანტონ ხერგიანის შემოქმედების დამახასიათებელია ისიც, რომ მისგან ჩაწერილ ვარიანტს ძლიერი სვანური ელფერი აქვს. ეს მოვლენა, როგორც ტრადიციულ სიუჟეტთან დაკავშირებული ახალი შემოქმედებითი პროცესი, აღვნიშნეთ წინა თავში. სვანური ელფერი ტრადიციული ლეგენდისა არ არის სტიქიური შემოქმედებითი პროცესი, იგი მთქმელის პატრიოტული გრძნობის მაჩვენებელია.

ანტონ ხერგიანის თხრობის სტილში შესამჩნევია მთქმელის აუდიტორიასთან დამოკიდებულება. ასე, მაგალითად, როდესაც მან თამარ მეფის ფეხმძიმობა აღნიშნა, მსმენელებთან მოიბოდიშა: „უკაცრავად ვარო". ამ შემთხვევაშიც კუთხური თავისებურებაა გამოვლენილი, კერძოდ—სვანი ხალხის ეთიკა, მათი ზრდილობა და თავაზიანობა.

ანტონ ხერგიანი ნაწარმოებთა შინაარსს ძირითადად დიალოგის ფორმით ავითარებდა.

საისტორიო ნაწარმოებთა პირველი ტიპის მთქმელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ზემო სვანეთის, ს. იფარის მცხოვრები სოზარ თადეოზის ძე გულბანი. 1945 წლის ზაფხულში, როდესაც მას შევხვედით, იგი 100 წლის იყო. მიუხედავად ხანდაზმულობისა მას საკ-

---

[1] თამარ მეფე, „დროება", 1878 წ., № 73; ლეგენდა თამარზე, „კვალი", 1893 წ., № 37; ისტორიული ლეგენდები თამარ მეფეზე, „მოგზაური", 1901 წ., № 8,9 და სხვ.

[2] მთაა სვანეთში.

[3] „დროება". 1878 წ № 73; „კვალი", 1893 წ., № 37.

შაოდ კარგი მეხსიერება ჰქონდა. კარგად იცოდა იქაური ეთნოგრაფიული ყოფა. მან სიამოვნებით ჩაგვაწერინა გადმოცემები და ლეგენდები. ყვებოდა ქართულ ენაზე, იმერული დიალექტით. საისტორიო ნაწარმოებს სოზარი უფრო მაღალ შეფასებას აძლევდა, ვიდრე ზღაპარს. ერთი თქმულება თამარ მეფის შესახებ მან ასე დაასრულა: „ეს არის პირდაპირი (სინამდვილე.. ქ. ს.), ციგინი არაა". სოზარი ღრმა პატივისცემით იხსენიებდა დიდ ეროვნულ გმირებს. განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჰყვიამბო მან თქმულება, რომლის მიხედვითაც თამარ მეფე უშგულშია დასაფლავებული. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, იგი ღრმად იყო დარწმუნებული თქმულების შინაარსის სინამდვილეში. მას სწამდა ისიც, თითქოს თამარი ყოველ ზაფხულს სვანეთში ატარებდა. მისი თქმულებით: „საჰაო თურმე უშგული ქონდა, სვანეთი და საზამთრო — საქართველო ჩვენ თამარ დედოფალს".

ძლევამოსილი და მთლიანი საქართველოს მეფის მოღვაწეობა სოზარმა ძირითადად სვანეთის მასშტაბით განსაზღვრა. მისი თქმულებით „თამარის მოქმედება ბევრია სვანეთში. ისე, რომ სხვები რომ იყო, იმაზე სამით მეტი იყო, თვარა ნაკლები არა. დიდს მუშაობდა თურმე თამარ დედოფალი".

სოზარ გულბანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ეთნოგრაფიული ყოფის მომენტებზე შეჩერება. ასეთი მომენტები მას მოხდენილად შეჰქონდა ტრადიციულ ნაწარმოებში. თამარ მეფის შესახებ არსებულ თქმულებაში მან ჩაურთო ძველი სვანური რელიგიური დღესასწაულის კაცთაბაგის აღწერა და მის მონაწილედ თამარიც გამოიყვანა: „ვაწყობდით კაცთაბაგს. ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ნაირ-ნაირი საქმლის მოქმედებაში და ვჰატიჟობდით ხალხს. ვინც უფრო კარგს გააწყობდა, იმაზე მეტი მადლობელი იყვენ. თამარიც დადიოდა კაცთაბაგზე". მეორე ადგილობრივი ხასიათის თქმულებაში მან აღნიშნა ძველი წესი სასჯელის მოხდისა და იქვე ახალიც მოიხსენია: „ძმა რომ ძმას მოკლავდა, ცოდვის მოსაკიდებლად უნდა თორმეტი ქვა ცოდვის ჩამოეკიდებია იღლიაში. ახლა რომ ვიცით ნაობახი, ერთი, მეორე, მაშინ ის არ ყოფილა".

სოზარი ნაწარმოების ეპიზოდებს ჩვეულებრივი სასაუბრო ხერხით აკავშირებდა და ამგვარად ავითარებდა შინაარსს. ამ შემთხვევაში ხშირად აუდიტორიასთან დამოკიდებულებაც იჩენდა თავს. ასე, მაგალითად, როდესაც მურზაყან დადეშქელიანის შესახებ გადმოცემაში თენგიზ დადეშქელიანი მოიხსენია, რომლის მომსწრეც

თიონ იყო, მისი მაშინდელი ასაკი ჩემი მხლებელის, 19 წლის აკაკი გულბანის მიხედვით განსაზღვრა: „ეს მე ისე მახსოვს, რომ ამხელა ვიყავი მაშინ, აკაკი რომ არის ჩვენი“.

სოზარ გულბანი საისტორიო ნაწარმოებს ყველაზე ისეთივე გეგმითა და სტილით, როგორც ეთნოგრაფიული ყოფის მასალებს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მისი შემოქმედებისათვის უცხოა დიალოგების ფორმა.

პირველი ტიპის მთქმელია ზემო სვანეთის მცხოვრები იფარელი ილარიონ პირველიც. საისტორიო ნაწარმოებისადმი მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენი მასთან შეხვედრის მომენტი. 1945 წლის 25 აგვისტოს, როდესაც ს. იფარში გაჩაღებული მკა იყო, რის გამოც დღისით მთქმელებს ვერ ვხვდებოდი, ექსპედიციის მონაწილე ეთნოგრაფებთან ერთად ვათვალიერებდი ძველი ეკლესიის ფრესკებს. ეკლესიაში შემოვიდა 80 წლის, მაღალი ტანის, ასაკით მოუხრელი მოხუცი ილარიონ პირველი. მას გაეგო ჩვენი იფარში მისვლის მიზანი, მიეტოვებია მკა და მოვიდა თავისი რეპერტუარის შესასრულებლად. ჩვენ ბოდიშზე, რომ ხელი შეუშალეთ წლის მოსავლის აღებაზე, თავისი მოვალეობის შეგნებით გვიპასუხა: „არა უშავს, თქვენ შორიდან ხართ მოსულები და რაც ვიცი ამბები, ვიტყვიო“. თხრობის პროცესში გამოირკვა, რომ იგი ზღაპარს უპატივცემულოდ ეკიდებოდა. მან ხაზგასმით აღნიშნა: „ზღაპრებს არ ვუგდებ ყურსო“.

ილარიონ პირველის რეპერტუარი ძირითადად ადგილობრივი ხასიათის გადმოცემებისგან შედგება. მისგან ჩაწერილ თამარ მეფის შესახებ გადმოცემასაც მეტად ადგილობრივი ხასიათი აქვს. ამ გადმოცემის მიხედვით თამარ მეფემ სვანეთის ეკლესიები ააშენა.

ილარიონ პირველი დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიულ მასალებს, მაგრამ მისი თხრობის სტილზე ეს არ ახდენდა ისეთ გავლენას, როგორც ეს სოზარ გულბანის მიმართ აღვნიშნეთ. ილარიონ პირველის თხრობაში შესამჩნევია დიალოგების სიუხვე. სვანეთში მეტად გავრცელებული გადმოცემა მურზაყან დადეშქელიანზე მან ასე დაიწყო: „მურზაყან დადეშქელიანი კაი კაცი ყოფილა, დიდი კაცი. მოუკლავენ ქუთაისში. თურმე იხმეს ქუთაისში და წასულა. რომ წასულა, უთქვამს თავრობას: — იარაღი ჩამეიხადეო! — აბა ცოტა მაცალეთ, შვილები მყავს კლასში, იგენს ვნახავ და მაშინ მოვალო“.

— შენ სვანი ხარ და გვარზე გეიქცევიო, გაგარინს უთქვამს.

— აბა თუ გევიქცევიო, სეირს მე გაჩვენებო...“ და ა. შ.

ილარიონ პირველის დამახასიათებელია ნაწარმოების გადმოცემისას სიმართლისადმი სერიოზული დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ მან უარი გვითხრა სვანი მონადირის ბეთქილის შესახებ არსებული საფერხულოს შესრულებაზე, მაშინ როდესაც თითონ ფერხულის მონაწილე ყოფილა. თავისი საქციელი მან ასე გაამართლა: „ეს მულახელებმა უკეთ იციანო“. თქმულების მიხედვით, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ბეთქილი მულახ-მუქალის ახლოს დაიღუპა. იგი სწორედ იმ კუთხის გმირი უნდა იყოს. ილარიონ პირველს სინამდვილედ მიაჩნია ბეთქილის შესახებ არსებული თქმულების შინაარსი. იგი თავის სოფლელებთან ასრულებდა ამ ტექსტს, მაგრამ, რადგან ჩვენ ვიწერდით მასალებს, მიგვითითა იმათზე, ვისაც მისი რწმენით ზუსტად შეეძლო ბეთქილის ამბების გადმოცემა. ეს გარემოება მთქმელისა და აუდიტორიის ურთიერთობის თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა.

პირველი ტიპის მთქმელებიდან მაღალი პატრიოტული გრძნობითა და წარსულის შესაცნობად თანამედროვეობის გამოყენებით აღსანიშნავია სვანი დიმიტრი აზნავისისძე იოსელიანი. წერა-კითხვის უცოდინარ 84 წლის მოხუცს 1945 წელს შევხვდით. ბალს ზემო სვანეთში იგი განთქმული იყო ძველი ამბების ცოდნით. ახალგაზრდობაში იგი ფერხულის ერთი საუკეთესო მონაწილეთაგანი ყოფილა. საფერხულო სიმღერებისა და სხვა ლექსების შესრულებაზე უარი გვითხრა, თუმცა მათზე ხშირად მიუთითებდა პროზაული ჟანრის ნაწარმოებებში გადმოცემული ამბების დასადასტურებლად. ასე, მაგალითად, გადმოცემა თამარ მეფეზე მან ამგვარად დაიწყო. „თამარ დედოფალს ყოლია შვიდიათასი თუ შვიდი მილიონი ჯარი და სტამბოლამდე წავიდა. ეს სიმღერაშიც არის“. თხრობის პროცესში, გარკვეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით დიმიტრი იოსელიანი ხშირად მიუთითებდა ნაწარმოების წყაროზე. იმავე გადმოცემაში, თამარის საალმშენებლო მოღვაწეობის დახასიათებისას მან აღნიშნა: „თამარ მეფე როცა ჭალაქს ან სოფელს აიღებდა სტამბოლისკენ მიმავალი, ერთი დღის განმავლობაში ციხეს აშენებდა. ეს მე იქიდან ვიცი, რომ იქ რომ ვიყავი, ფოთიდან სამი კილომეტრი იქნება, ვნახეთ ორი კოშკი ერთად. ცოტა რომ გავიარეთ, კიდევ ვნახეთ ორი კოშკი და გვითხრეს, თამარ მეფის აშენებულიაო“. ამავე თქმულებით, დიმიტრი იოსელიანმა თამარ მეფეს მიაწერა სვანეთის ეკლესიების აშენება.

დიმიტრი იოსელიანი ზიზღითა და დიდი სიძულვილით იხსენიებდა საქართველოს მაოხარ თათრებს. ერთი თქმულებით მან თათრებს დაუპირისპირა წმინდა გიორგი, რომლის კულტიც განსაკუთრებით ძლიერი იყო სვანეთში. ამ თქმულებაში დიმიტრი იოსელიანმა ქრისტიანული რელიგიის სამოსელში გამოავლინა ეროვნული გრძნობა. წმინდა გიორგი ქართველი ხალხის გმირული თვისებებით შეამკო და ამგვარად ქრისტიანი წმინდანი სახალხო გმირად გამოიყვანა. მისი წარმოდგენით წმინდა გიორგი რეალური პიროვნება იყო. იგი იყო შეუდარებელი მხედარი და მუსრს ავლებდა ურჯულო თათრებს. მთქმელმა დიდი სინანულით აღნიშნა, რომ ბოლოს წმინდა გიორგი თათრებს ჩაუვარდა ხელში. იგი საშინლად ღელავდა, როდესაც გვიამბობდა თათრების მიერ წმინდა გიორგის შეპყრობისა და წამების ამბებს: „ერთხელ თათრებმა დაიჭირეს (წმინდა გიორგი. ქ. ს.), შეურჩიეს დრო. ეუბნებოდნენ: — ჩვენ რჯულზე გადმოდი და ქრისტიანებს ეომეო, ჩვენთან უკეთესად იქნებიო.

ურჯულო თათრებმა დაიჭირეს, ვისაც თითონ ანადგურებდა.

— თქვენს ხელში რომ ჩავარდე, ვიცი, რასაც მიზამთო.

გაახურეს სპილენძის ქვაბი, როგორც ნაკვერცხალი. გახადეს ფეხზე და იმაზე შეაყენეს.

— თუ კი თქვენს რჯულზე გადმოსვლას მეუბნებით, ამას რაღათ მიშვებითო?

— თუ გადმოხვალ ჩვენს რჯულზე, ამაზე აღარ შეგაყენებთო, ამან გადასვლა არ ქნა.

— რომ გადმოვიდე თქვენს რჯულზე, ვიცი, რასაც მიზამთო.

რომ არ გადავიდა იმათ რჯულზე, ისევ დააყენეს გახურებულ ქვაბზე და ქონი ფეხის ზედაპირზე ამოდიოდა.

— თუ გადმოხვალ ჩვენ რჯულზე, ამას მოგირჩენთო.

მერე ხელები დაადებინეს და ქონი ზევით ამოდიოდა ზედაპირზე.

— ეს მეღლდაო, რომ გადმოვსულიყავი, ამას მიზამდითო. თქვენ, თათრები იმდენი გაგანადგურეთ, რამდენი ფოთოლიც ხეს ასხიაო. მოკლეს და დამარხეს“.

ხრობის პროცესში ფანატიკოსი მთქმელი ირწმუნებოდა, რომ საშობლოსა და რჯულისათვის წამებული წმინდა გიორგის სხეულის ნაწილები ამაგრებდა დედამიწასო. მას სჯეროდა, რომ წამებულის ძვლებს უდებდნენ საფუძვლად ციხე-კოშკებსა და ეკლესიებს. მისი თქმულებით, თამარ მეფეც იყენებდა მშენებლობაში ამ ძვლებს. სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ძველი ეკლესიები,

დიმიტრის რწმენით, ამგვარადაა აშენებული: „სადაც მეწყერი ჩამოდის, ყველგან ატანდნენ წმინდა გიორგის ძვლებს. მესტიის სეტშიც[1], სადაც უწინ მდინარე ჩამოდიოდა. ხალხს იმედი ჰქონდა, რადგანაც წმინდა გიორგი მტრებს ისე ამარცხებდა, მისი ძვლები მიწასაც გააგრებდა, წყალი არ გააფუჭებსო. კახეთშიც, სადაც მეწყერიანი ადგილებია, აქაც აშენებდა თამარ მეფე წმინდა გიორგის ეკლესიებს ღელეების საწინააღმდეგოთ".

წმინდა გიორგის გმირობის დასახასიათებლად დიმიტრი იოსელიანმა ჩვენ სინამდვილეს მიმართა და იგი საბჭოთა კავშირის გმირს, მის ნათესავს იაროსლავ იოსელიანს შეადარა. თქნულება თათრების წინააღმდეგ მებრძოლ წმინდა გიორგიზე მან ასე დაიწყო: „წმინდა გიორგი მეომარი იყო, როგორც ახლა გენერლები. გმირი რომ არის იაროსლავი, იმაზე დიდი იყო".

თანამედროვეობის საშუალებით წარსულის გააზრებისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაიდეალებისა და გაზვიადების თვალსაზრისით საინტერესოა ამავე თქმულებიდან მეორე მომენტი. თათრებმა წმინდა გიორგი „მოკლეს და დამარხეს ისე, რომ ქრისტიანებმა ვერ გაიგეს, სად დამარხეს. მთელი ხალხი ეძებდა მის საფლავს. ისე, როგორც ხალხმა არ იცოდეს, სად არის ლენინის საფლავი და შეწუხდებიან და მოძებნიან, ისე ეძებდნენ მის საფლავს". მოხუცმა მთქმელმა ასეთი შედარებით ვერ დაიცვა ზომიერება და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ლენინისადმი ხალხის უანგარო სიყვარული თათრების წინააღმდეგ მებრძოლ გმირისადმი პატივისცემის შესაცნობად გამოიყენა.

დიმიტრი იოსელიანისთვის, როგორც მთქმელისთვის, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იგი დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა თავის რეპერტუარს. ნასიამოვნები იყო, რომ მისი მასალებით ერთგვარი წვლილი შეჰქონდა კულტურულ საქმეში. მუშაობის დამთავრებისას მან საგანგებოდ გვთხოვა, კიდევ ჩაგვეწერა ერთი ადგილობრივი ხასიათის თქმულება: „ერთ რამეს ვიტყვი და ისტორიაში შეიტანეთო".

პირველი ტიპის მთქმელების საისტორიო ნაწარმოებებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა 1946 წელს ხევსურეთში ჩვენი საველე მუშაობის ერთი მომენტი. სოფ. გველეთის მცხოვრებმა 17 წლის ბერდია არაბულმა ბარისახოში ჩამაწერინა სხვადასხვა ჟანრის ხევსურული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათ

[1] მესტიის ერთი უბანია.

შორის, — „ანდრეზი გველეთლების ერეკლესაგან წარმოშობაზე". თხრობის პროცესში ბერდია ხშირად ბოდიშით აღნიშნავდა: „ეგრე უფროსებმ უკეთ იციანო". მეორე დილით უკანა ფშავში გადავედი. ორი დღის შემდეგ, როდესაც ბარისახოში დავბრუნდი, მაცნობეს, რომ სასტუმროს კარებზე მთელი დღე მელოდა იქაური ეთნოგრაფიული ყოფისა და „ანდრეზების" კარგი მცოდნე, ს. გველეთის მცხოვრები 67 წლის ვანო არაბული. ვანოს ბერდიასაგან გაეგო, რომ ჩავიწერე ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებული, მათი საგვარეულო გადმოცემა. შეწუხებულიყო, „ბალღმა ანდრეზის რა იცისო" და გველეთიდან საგანგებოდ ჩამოსულიყო იმავე გადმოცემის თხრობის მიზნით. საგვარეულო გადმოცემებისადმი მთქმელების სერიოზული დამოკიდებულების მაჩვენებელი ეს ფაქტი საგულისხმოა ხევსურეთში ერეკლე მეორის ერთგვარი კულტის თვალსაზრისითაც. ჩვენ არ მოგვეხერხდა ვანო არაბულთან პირადად შეხვედრა, მაგრამ ჩვენი თხოვნით, სათანადო ინსტრუქციით მისი რეპერტუარი ჩაწერა ბერდიას უფროსმა ძმამ, ნიჭიერმა მოლექსემ, გაგა არაბულმა. მთლიანად მოგვყავს გველეთელი არაბულების საგვარეულო გადმოცემის ვანო არაბულის ვარიანტი, როგორც ამ საინტერესო მთქმელის შემოქმედების დამახასიათებელი:

„ერეკლე ჯევსურეთში წლისთავად ზაფხულობით როსაც ქალაქში იყვ სიცხე, მადიოდ დასასვენებლად. სოფელ ბაცალიგოს მთაჩი ედგ კარავ. ქალი თამარა გიორგას ცოლი იქ ლალეედა საქონს, სადაც ერეკლეს ედგ კარავ. ერეკლემ ნახ თამარა იქ საქონჩი ნამყოფ, რომენიც ძალია მაეწონ. თამარა იყვ ძალია ლამაზ. თამარ იყვ ხორნაულთ ქალ. ერეკლემ ხკითხა — ვინ ასავ ეგ ქალივ?

უთხრეს: თამარაიავ, ეგიავ გიორგაის დიაცივ.

ერეკლე'დ გიორგა ერთუც კარგ იცნობდეს. ისიც იცოდ ერეკლემ, რო გიორგამაეე ცოლ მაიყვანავ, მაგრამ ვერ იცნობდ.

ერეკლემ უთხრ: — აქ მოვიდასავ ჩემს ახლოსავ!

ეხათრებოდ თამარას, მაგრემ მაინც მივიდ ერეკლესთან. დაუწყ ერეკლემ იმას საუბარ. რა საკვირველი, თამარასაც მაეწონ ერეკლე, როსაც ჭემწიფე იყვ, რა თქმა უნდ მაეწონებოდ. ამ დროს იქნ თამარა უმრეცხლო [1].

ნათელისძე ომაიშვილმ არაბულმა ნახ რო თამარა ერეკლეს კარავჩი შაეიდ. იმან გამაახოყნ, რო თამარა უმრეცხლოიას ერეკლისაგან. თამარას გაუჩინდ ვაჟ, რომენსაც დახქვივნეს ბიჩინაგა.

[1] ფეხმძიმე.

ერთხან იშუღლეს გიორგამა ნათელისძემ. ნათელისძემ გიორგას შააყვედრა: — ეგ შვილ ერეკლემ შაგიქნ, მე თავის თვალით ვნახ, რო თამარა, შენ ცოლ კარავჩი შაიყვან. მემრ სხვათაც დაუწყეს ყვედრება. შავიდეს შურად იმ თაობაზე. დააპირეს ერთუცის დაჭოცა. აიყარ გიორგა ბაცალიგოთ. წამავიდა, გველეთ დასახლდ. ეს ამბავ გაიგ ერეკლემ, ჯევსურნივ გიორგასავ ამას აყიდრებენავ, ამაზე აიყარავ.

ბიჩინაგა ძალიან კა ვაშკაც გაიზარდ. მთელის ჯევსურეთის ფასი იყვ. იმის ცალ არვინ შამოხდებოდ სანეს. თვალ-ტანად იყვ მაღალ, ლამაზ, არ ხგვანდა სხვა ჯევსურთ, ყველაშიიდ გამაირჩეოდ, ხოლო ხალხჩი იმით ედვ ჯაყ, რო ის იყვ ნაბიჭვარ. მაგრ ბიჩინაგამ ეს არ იცოდ, ვერცვინ ეუბნებოდ პირჩი.

ერთხან ერეკლემ დაიბარა ბიჩინაგა ქალაქჩი. ბიჩინაგაიც წავიდ ქალაქ. აქ ერეკლემ უთხრ ბიჩინაგას: — ხო აღარ გაყვედრებენავ ჯევსურნივ?

ბიჩინაგამ ვერა გაიგა, ხკითხ: — რას უნდა მაყვედრებდენავ, არას მაყვედრებენავ.

— როგორავ, უთხრ ერეკლემ, მე ყველა გავიგივ, რაადაც აიყარავ შენ მამაივ ბაცალიგოთავ.

ბიჩინაგამ აღარა უთხრ. ერეკლემ ბიჩინაგას აჩუქ ერთ ჯმალ, ერთ ქუდ, ერთ ხალათ, ერთ ჩაქმა.

ბიჩინაგა როსაც შინ მავიდ, ხკითხ თავის მამას გიორგას: — ესეებ მითხრავ ჯემწიფემავ.

მამამ უთხრ ბიჩინაგას: — მართალ უთქომავ. ეგივ ომაიშვილმ შამამაყვედრავ ნათელისძიამავ, კინაღ ერთუც ჩავჯოცეთავ. მეავ ავიყარეავ, აქ ჩამოვედივ.

ამის მემრ ბიჩინაგამ ყველა გაიგ. ერეკლეიც ძალიან კაი ხყვანდ, აძლევდ ხან რას, ხან რას, ყველაით ნებათ უსრულებდ. ბიჩინაგაიც მეორეს მამას ეძახდ ერეკლეს. უნდოდაც ბაგრატიონად დაწერებულიყვ, მაგრემ სცხვენოდ, ჯევსურთათ დარჩ იქავ არაბულად.

ერთხან ბიჩინაგა მივიდოდ ერეკლესთან. ორწყალჩი რო მივიდ, გაუტყდ ხიდი, ჩავარდ წყალჩი. როსაც ღმარხევდეს ცოლმ ჯტირ ჯმით:

ავი ამბავი გავიგონეო,
წყალმა დალია გველეთელიო,
ხიდი გაუტყდა ორწყალჩიაო,
ბიჩინაგაი დათხრიალდაო,
ქუდი ბატონის ნაჩუქარიო
წყალმა ბატონსავ წაუტანაო,
ქალაქჩი იცნა ერეკლემაო“.

საინტერესოა მთქმელის განცხადება გადმოცემის დამთავრებისას: „ეს ანდრეზ მიამბ ჩემ ბაბუამ თოთიამ, ბიჩინაგაიშვილმ, შვილიშვილმ ერეკლესამ".

ვანო არაბულის გადმოცემა ხევსურული მჭევრმეტყველებითაა მოთხრობილი. ეპიზოდების მოხდენილად დაკავშირებით მისი გადმოცემის შინაარსი ბუნებრივი თანმიმდევრობითაა განვითარებული. დასახელებული სვანი მთქმელებისაგან განსხვავებით, ვანო არაბულს არ ახასიათებს ნაწარმოების სქემატურად გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ იგი ცდილობს გმირის პორტრეტის მოცემას (ბიჩინაგას გარეგნობის აღწერა). ეს ახალი მოვლენაა ზეპირსიტყვიერების პოეტიკაში. ვანო არაბულს მოცემული აქვს აგრეთვე მოვლენების დახასიათება და მათი მიზეზის ახსნა. შეიძლება ითქვას, რომ თხრობის მანერითა და სტილით ვანო არაბული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მეორე კატეგორიის მთქმელებს უახლოვდება.

* * *

გასული საუკუნის ნიჟიერი მთქმელის, საგარეჯოელი გლეხის ჭიმას შემოქმედებაზე ამ შემთხვევაში აღარ ვჩერდებით. ზ. მაისურაძის (შაქრო) ფილეტონით ცნობილ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ეს მეორე ტიპის მთქმელი წინა თავებში არა ერთხელ მოვიხსენიეთ.

ჩვენი ნაცნობი მეორე ტიპის ბარელი მთქმელებიდან აღსანიშნავია ს. შილდის (ყვარლის რ.) მცხოვრები, წერა კითხვის უცოდინარი ზაქარა ბასილას-ძე ბიჩაკაშვილი. მისი მრავალფეროვანი რეპერტუარის ნაწილი 1944 წელს ჩავიწერეთ. მაშინ იგი შრომის უნარმოკლებული, 80 წლის მოხუცი იყო. ლეგენდების, თქმულებებისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა მოყოლა მისი პირდაპირი მოთხოვნილება იყო. ჩვენ მის ოჯახში ვკხოვრობდით თხუთმეტი დღის განმავლობაში. ზაქარა თითონ მთხოვდა ჩამეწერა მისგან ნაწარმოებები. იგი 1945 წლის ზაფხულშიც მელოდა, რომ მთლიანად ჩამეწერა მისი რეპერტუარი. იმავე წელს გარდაიცვალა.

ზაქარა ბიჩაკაშვილს მისი რეპერტუარის დიდი ნაწილი ბავშვობაში ჰქონდა ათვისებული მეხრეებისაგან. თავის სოფელში განთქმული ნიჭიერი მთქმელი ხშირად უჩიოდა მეხსიერების შესუსტებას. ამას იგი მწვავედ განიცდიდა. ჩვენთან შესახვედრად ზაქარა საგანგებოდ ემზადებოდა. თავის რეპერტუარს დარგობრივად და თემატიკურად ანაწილებდა. საგმირო-საისტორიო ოთხი ნაწარმოები

ერთ დღეს ჩაგვაწერინა. იმ დღეს მან უარი გვითხრა ზღაპრებისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა მოყოლაზე: „დღეს მხოლოდ ძველი ამბები ვიცი“.

ზაქარა ბაჩაკაშვილისაგან ჩაწერილ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ანაქრონიზმებისა და კონტამინაციის მოვლენები. ერეკლე მეორე მან შაჰ-აბასს დაუპირისპირა; კოხტა ბელადი — ლევან კახთა მეფეს და სხვ.

ზაქარა ღირსეული წარმომადგენელია პატრიოტი ქართველი მთქმელებისა. ზღაპრებს იგი, როგორც ეპიკოსი მთქმელი, მშვიდად, ნელი ტემპით ყვებოდა. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გადმოცემისას კი დინჯი ბუნების კახელი საშინლად ღელავდა. ერეკლე მეორის შებმა საქართველოს დაუძინებელ მტერთან შაჰ-აბასთან ისეთი გახცდით გადმოგვცა, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს პატარა კახის ხმლის ქნევა. ზაქარამ ეროვნული გრძნობის სიამაყით აღნიშნა მრავალრიცხოვანი თათრის ჯარის განადგურება ერეკლეს მიერ. მისი გადმოცემით, ჰაბუკი ერეკლე დაემუქრა საკუთარ მამას, თუ არ შეუწყვეტდა თათრებს ხარკის ძღევას: „არ გაუგზავნო თათარს ხარაჯა, თორემ თვალებს დაგთხრიო, მამას უთხრა“. ხარკის შეწყვეტის გამო შაჰ-აბასი 60000 ათასი ჯარისკაცით დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. „ერეკლეს ყვანდა 8000 კაცი. გაიპარა ერეკლე, მამას არ გააგებინა, იქ მიეგება წინ... რომ მიახლოვდა, ჩამოვიდა ცხენიდან და ჯარს უკამანდოა: — აბა შვილებოო, სულხომ არ გელაპარაკებით-ყეო, რომ არ გელაპარაკოთო, რაც მე ვქნა, ის ქენითო. ცხენიდან ჩამოვალ, ჩამოდითო; ხმალი ამოვიღო, ამოიღეთო. უწინ ორი ხმალდახმალ ყოფილა. ჯარს უთხრა: — ჩამოღით ძირსაო. ჩამოვიდა ცხენიდან, ჩაიჩოქა, კისერზე ხმალი დაიდო. ცალ ხელში ცხენი უჭირავ და ჩოქით წავიდა. მტერს ეგონა, შესარიგებლად მოდისო. დაარტყეს ცეფი, იარაღი უნდა აყაროს. მაშინ წამოხტა ერეკლე, გარშამო რომ შამოერტყა თათრის ჯარი, დაუწყო უმოწყალოდ ხოცვა. ერთხელ უთხრა თავის აფიცერმა: — ნუღარ გადახვალო (გადავიდა შესასვენებლად). აფიცერმა უთხრა: — შენ რომ მოგკლან, სახელს წაიღებენ, თუ არა, — ვერაო.

ერეკლემ არ გაიგონა იმის სიტყვა. თვრამეტი აფიცერი მოკლა და ბევრი ახალგაზრდა თათრისა. შაჰ-აბასს სულ დაულიეა ჯარი. თითონ 4000 კიდევ წამაიყვანა უკან. მამას გაუხარდა რასაკვირველია“. ჩემი მთქმელის გადმოცემის ეს ეპიზოდი საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარით შემოსეული აზატ-ხანის წინააღმდეგ

ერეკლე მეორის ბრძოლას უნდა გულისხმობდეს. ისტორიკოსის ცნობით, აზატ-ხანის 40000 ჯარისკაცს ერეკლე 2000 ქართველი მებრძოლი შეება. მრავალრიცხოვან მტრის ბანაკიდან ერთმა თავხედმა ხანმა ერეკლეს ცოცხლად შეპყრობაც კი განიზრახა. მაგრამ მტერი სასტიკად დამარცხდა[1]. ზაქარია ბაჩაკაშვილის გადმოცემის ანაქრონიზმს ფსიქოლოგიური გამართლება და ამავე დროს ერთკვარი ისტორიული საფუძველიც აქვს. კახელმა მთქმელმა სამხრეთის საზღვარზე ამოძრავებული ავღანელ-ყიზილბაშთა ჯარების მეთაური შეცვალა იმ აგრესორით, რომელმაც სისხლით მორწყო მისი მშობლიური კუთხის მიწა-წყალი. ერეკლეს საგმირო საქმეების დახასიათებისას ზაქარას მიერ აზატ-ხანის შაჰ-აბასით შეცვლა კანონზომიერი შემოქმედებითი პროცესია.

ერეკლეს ციკლის მეორე გადმოცემის თხრობისას ზაქარამ ქართველი მეფისა და კოხტა ბელადის შებმის ადგილი ასპინძიდან კახეთში გადაიტანა. მისი გადმოცემით, „ერეკლეს ძალიან ფიცხელი ომი ქონდა. კოხტა ბელადი წაჰყვიდა წინდაწინ და იყალთოში, ერთ საყდარში ოქროები ქონდა თავმოყრილი. ალაზანზე დაუხვდა ერეკლე. მეორე დაიტაკნენ მანდა. კოხტა ბელადმა მაიძრო ხმალი. დაბლა ცხენი მიუგდო ერეკლემ. ცხენი გაუჭრა შუაზე კოხტა ბელადმა. დაუსვა ერეკლემ ხმალი და ოთხად გაჰკრა ცხენი და კაცი“. ამ გადმოცემაში ზაქარამ ასპინძის ომის ეპიზოდს კონტამინაციის წესით დაუკავშირა 1751 წელს ჰარ-ბელაქნისა და შაქი-შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლის ერთი მომენტი, კერძოდ, მტრების მიერ ერეკლეს ცხენის სიკვდილი.

მთქმელი ერეკლეს გმირულ საქმეთა შორის განსაკუთრებით ხაზგასმით კოხტა ბელადის დამარცხებას აღნიშნავდა. ზემოთ აღნიშნული გადმოცემაც კი, რომელიც შაჰ აბასის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება, მან ასე დაიწყო: „ნეფე ერეკლე ძაან ფიცხელი იყო. კოხტა ბელადი იმან მოკლა, აი“. საქართველოს მტრებს—თათრებსა და ლეკებს ზაქარა დიდი სიძულვილით იხსენიებდა. გადმოცემა მეფის ქალის ღალატის შედეგად კოხტა ბელადის მიერ ლევან კახთა მეფის დამარცხებაზე მან ასე დაამთავრა: „დიდი დავლა აიღო ი მამაძაღლმა კოხტა ბელადმა მაშინ“. პატრიოტმა მთქმელმა მტრის პირითვე განსაკუთრებული სიზღვით მოიხსენია სამშობლოს მოღალატე ქალი. მისი გადმოცემით, ლევან მეფის ასულმა ვაშლში ჩადებული

[1] „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 484—485.

ბარათით ანიშნა მტერს ციხეში შესასვლელი. როდესაც გალავანში შესულ კოხტა ბელადს ქალი შეჰყოხვია, მტერმა „გაიძრო ხმალი და ჩამოუსო. — შე ბილწო დიაცოო, შენი მაძა ვერ შაინახეო და მე შამინახავო?“.

აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის უცოდინარმა მთქმელმა ზეპირგადმოცემის შინაარსის წიგნით დადასტურება სცადა. ერეკლესა და კოხტა ბელადის შებმის ეპიზოდი მან ასე დაამთავრა: „ქალალდში ეწერა რომაო, — ორი არწივი შაიბაო, ორი ვეფხვივით გულადიო“.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა თხრობისას ზაქარა ხშირად ჩერდებოდა სხვადასხვა ეპიზოდებისა და მომენტების განმარტებაზე. ერეკლეს მეფობის დროს ომი მან ასე დაახასიათა: „უწინ ომი ხმალდახმალ ყოფილაო“. განსაკუთრებით ცდილობდა იგი ენიშნებინა ნაწარმოებში მოხსენებული გეოგრაფიული ადგილები. კოხტა ბელადის საცხოვრებელი ადგილი კახეთში, ს. ენისელში ასე მანიშნა: „კოხტა ბელადმა ენისლის რიყეზე გაიარა, ორი მხლებელი მისდევდა იქით აქათ, კოპერატივი რომ არი, ეხლა არჯვანიანი რომ არი დასახლებული, იქ უცხოვრია ორი წელიწადი კოხტა ბელადს“. ზაქარა დაინტერესებული იყო ზუსტად ჩაეწერა მისი მონათხრობი. თხრობის პროცესში იგი ხშირად მეკითხებოდა: „ჩაჰწერე, შვილო“. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა თხრობისას ზაქარა ზღაპრისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა გაელენას განიცდიდა. იგი მიმართავდა პარალელიზმებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. სამშობლოს ერთგული ქალის კოხტა ბელადისადმი მიწერილი ბარათი მან ასე დაიწყო: „ალაზანი თაეის ბუდეს დააგდებს და სხეაგან გადავარდებაო, მეო, შენს სიყვარულს ვერ დავაგდებო“. ზღაპრის გავლენა იგრძნობა მის მიერ საისტორიო ნაწარმოებთა დასათაურებაშიც. გადმოცემას ერეკლე მეორეზე მან ასეთი სათაური მისცა: „ნეფე ერეკლისა“. დასასრულ ფორმულასაც ზღაპარსა და ისტორიულ ნაწარმოებს იგი ერთგვარს აძლევდა: „მორჩა, შვილო, მორჩაო“.

მეორე ტიპის მთქმელთა შორის აღსანიშნავია ხევსური ბესარიონ გაბური. 1914 წლის ომში დაჭრილი ბესარიონი დორპატის (იურევის) საავადმყოფოდან აკად. აკ. შანიძეს ფოსტით უგზავნიდა თავის რეპერტუარს. ბეს. გაბური ავტორ-მთქმელიცაა. ჩვენ მას შევხვდით 1944 წლის ზაფხულში, მის საკუთარ ოჯახში, პირიქით ხევსურეთში, არხოტში, ს. ჭიმღას. ჯერ კიდევ მხნე ვაჟკაცს ხევსურები პატივისცემით ეპყრობიან. მათ იციან, რომ ბესარიონის შემოქმედება ცნობილმა მეცნიერმა გამოაქვეყნა. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება,

უშუალოდ ზეპირსიტყველებაშიც შეგვეძოწმებინა მისი შემოქმედებითი ხერხები. ნაწარმოებთა ზეპირად შესრულებაზე მან უარი გვითხრა და საკუთარი ღირსების შეგნებით შეგვპირდა მისი წერილობით გამოგზავნა ფოსტით.

ბეს. გაბურის შემოქმედებაში საკმაო ოდენობითაა საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები — კერძოდ, ზურაბ ერისთავისა და ერეკლე მეორის ციკლებისა[1]. ბესარიონის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მაღალი პატრიოტული გრძნობა. ასეთი გრძნობით აქვს გადმოცემული კრწანისის ბრძოლის ამსახველი თქმულება „ძველებური ამბავი ნეფე ერეკლეს დროს, როსაც ერეკლემ ჯევსურნი დაიბარნა საომრად". სანიმუშოდ მოგვყავს თქმულების ერთი ეპიზოდი: „... ერეკლეც გამასულ. საომრად მამზადებული. ჯაჭვ იარაღით და ცხენით მართულ ჯევსურნ რო უნახიან, უძახებავ: „ჩემთ ჯევსურთ გაუმარჯვასავ!" ჯევსურთ შაუქცევავ: „ჩვენს ნეფე ერეკლესაც გაუმარჯვას!" მაშინ უთქომ ჯევსურთ: „რაზე დაგვიბარენავ, რა გაგიპირდავ?" ერეკლეს უთქვამ: „ვაი თქვენს ერეკლეს! „შენს ქალაქში ვისადილებთავ", დაუბარებავ თათრებს. ამაზე მეტ გაჭირება რაიღ იქნებოს?" მაშინ წაუკაფიაებავ ერეკლეს:

„მიშველეთ, ჩემნო ჯევსურნო, უნჯნი ყმანი ხართ ჩემნია.
„ფულს მაგცემთ მაგოდენასა, რო არ ზიდევდას ცხენია".

ჯევსურთ სწყენიოს ეს სიტყვა, რომავ „ჩვენ მეფემავ ეს რაად გვითხრავ, რო „ფულს მაგცემთავ?". ჩვენ განა ფულის გულისად ვომობთავ". მაშინ ერთჴმად უთქვომ ხალხს:

„თავს ვერ გაგიხრით ჯევსურნი, — უნჯნი ყმანი ვართ შენნია;
თეთრს ვინც აიღებს ჯევსური, ვინაც მახკიდას კელია,
გაუწყრას, ნეფევ ერეკლევ, ის სალოცავი ჩვენია".

თავისთვი ჯევსურები:

„დეემხადენით, ჯევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
„თათრების მალოდინი გვოქვ, განთ ვსხევართ ლუდის სმაზედა?
„გაგვიძვეღ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა!" [2].

ბეს. გაბურის ნაწარმოებებში ხაზგასმულია ჯევსურების დიდი სიყვარული ერეკლესადმი. დამახასიათებელია, რომ იგი ერეკლეს

---

[1] ბეს. გაბური, ჯევსური მასალები, წელიწდეული, გვ. 158—164.
[2] იქვე, გვ. 162—163.

მეფობას უკავშირებს ისეთ ამბებსაც კი, რომელთაც თითქმის არაფერი აქვთ საერთო ერეკლეს პიროვნებასა და მოღვაწეობასთან. საინტერესოა ამ მხრივ მისი გადმოცემებისა და თქმულებების დასაწყისები: „ამ ამბავს უფროსები გვიამბობენ, ამის მამსწრო არავინ ვართ, ძალიან ძველ ამბავ ას, ნეფე ერეკლის დროს მამკვდარი“ [1]; „ერეკლეს მეფობის დროს იყვ ეს საქმე“ [2]; „ერეკლეს ნეფის დროს ყოფილ ერთ ობოლ, გვარად ბალახურისძე“ [3] და სხვები. ბეს. გაბური ერეკლე მეფისადმი სიყვარულს ამჟღავნებს საკუთარ ლექსშიც. კავკასიელთა მონაწილეობა 1914 წლის მსოფლიო ომში საკუთარ ლექსში მას ასე აქვს აღნიშნული:

„გრანიცას გადარტყმული-ხყავ მთელ კავკასიის ჯარია,
სისხლით მასვრილებ ვაჟები, ძველნი ერეკლეს ყმანია“ [4].

ბეს. გაბურის შემოქმედებაში იგრძნობა დიდი სიძულვილი წარსული სოციალური ბოროტებისადმი. თქმულება ზურაბ ერისთავის ხევსურეთში ლაშქრობაზე ასე იწყება: „ზურაბ ერისთავს კშირად ულაშქრიან ქევსურნი. ერთხან შაუყრავ თავის ჯარი, წამასულ საომრად ქევსურეთ, მაგრამ არა მიუცემავ ქევსურთ ზურაბისად ჭირის მეტი“ [5]. მთქმელი სიყვარულითა და პატივისცემით ახასიათებს მტარვალი ფეოდალის წინააღმდეგ მებრძოლ გუროელ ვაჟკაცს მამუკა ქალუნდაურს [6].

ბეს. გაბურის გადმოცემულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შინაარსში უხვადაა ფანტასტიკური ელემენტები და უძველესი რწმენის გადანაშთები. ისტორიულ მოვლენებსა და პირებთან დაკავშირებული ფანტასტიკური ამბები მას სინამდვილის პრეტენზიით აქვს გადმოცემული. მთქმელი ძველი ხევსურული ტრადიციის ძლიერ გავლენას განიცდის. მისი რწმენით, ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი მამუკა ქალუნდაური ზებუნებრივი იყო: „მამუკა ქალუნდაურ ნაწილიან ყოფილას: როსაც სალაშქროდ სად გეემართებოდ, წინ მასკვლავივით თუ გაუძღვებოდ სვეტი, ანუ შუქი“ [7]. ბეს. გაბურს სჯერა, რომ გმირს ჯადოსნური ხმალი წინასწარ ანიშნებდა გან-

[1] ქისტის ლაშქარი არხოტში, იქვე, გვ. 164.
[2] დალეგა გაბურთა, იქვე, 170.
[3] ბალახურისძე ობოლი, იქვე, გვ. 179.
[4] ლექსი ბრძოლის ველისა, იქვე, გვ. 221.
[5] ზურაბის ლაშქარი კევსურეთში და მამუკა ქალუნდაური, იქვე, გვ. 158.
[6] იქვე, გვ. 160—161.
[7] იქვე, გვ. 159.

საცდლის მოახლოებასა და მტერზე გამარჯვებას. მისი თქმულებით, ზურაბის ლაშქრის ხევსურეთში შესვლა ქალუნდაურს ხმალმა ამცნო [1]. მეორე თქმულებითაც ხმალმა ანიშნა გმირს მოქიშპე თუშებთან შეხვედრა [2]. ფანატიკოს ხევსურს სჯერა, რომ მოკლულთა გროვაში გვაჭის აყირავება ღვთის ნიშანია. მისი თქმულებით, ქალუნდაურს ასეთმა ნიშანმა შეაწყვეტინა ზურაბის ლაშქრის ძლეტა [3].

ბეს. გაბური მითიური ელფერით მოსავს არა მარტო წარსულ საუკუნეთა გმირებს, არამედ — მის თანამედროვეებსაც. მისი ერთი თქმულებით, ქისტების წინააღმდეგ მებრძოლ ვაჟკაცს, ცნობილ მონადირეს, ს. ამღის მცხოვრებ ჯირჩლა ნისლაურისძეს „თოფიც ნაწილიანი აქვს: როსაც მტრის გამარჯვების დრო მაუვას, თოფი ღრუეშიით ამაიწიელებს და მაშინ ჯირჩლაც გაიგებს და წავა სამზირლად ქისტებში და არც დაბრუნდების ისრ, რომ ქისტის ჯავრი არ ამაიყაროს“ [4].

ბეს. გაბურის შემოქმედებითი უნარის დახასიათებისას აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს: „იგი კოხტად და ლამაზად ჩააქსოეს ხოლმე გაგონილ ლექსებს პროზაულ მოთხრობაში“ [5]. ბესარიონისთვის დამახასიათებელი ასეთი ეპიურ განმეორებათა მაგალითები წინა თავში მოვიყვანეთ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა პოეტურ თავისებურებებთან დაკავშირებით. ასეთი განმეორებებით შთაბეჭდილების გაძლიერების გარდა, ბეს. გაბური მიზნად ისახავს ლექსის გენეზისის გარკვევასაც. პროზად ნათქვამის ლექსად განმეორების შემთხვევებში მას აღნიშნული აქვს: „მაშინდელ სიმღერაი ას ეს ნათქვამი“ [6]; „მაშინ ნათქვამი ას“ [7]; „ეს სიტყვები მაშინ ნათქმები ას ქალუნდაურისები“ [8] და სხვ.

ბეს. გაბურის შემოქმედებაში გვხვდება კონტამინაციისა და ანაქრონიზმების მოვლენები, რაზედაც მიუთითა აკ. შანიძემ [9].

---

[1] ზურაბის ლაშქარი ხევსურეთში და მამუკა ქალუნდაური, გვ. 158—159.
[2] მამუკა ქალუნდაურის სიკვდილი, იქვე, გვ. 160—161.
[3] ზურაბის ლაშქარი ხევსურეთში და მამუკა ქალუნდაური, იქვე, გვ. 159.
[4] ჯირჩლა ნისლაურისძე, იქვე, გვ. 188.
[5] აკ. შანიძე, ხევსურული მასალების გამო, იქვე, გვ. 334.
[6] ზურაბის ლაშქარი ხევსურეთში, იქვე, გვ. 158.
[7] იქვე, გვ. 160.
[8] მამუკა ქალუნდაურის სიკვდილი, გვ. 161.
[9] აკ. შანიძე, ხევსურული მასალების გამო, იქვე, გვ. 333.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მეორე ტიპის მთქმელია ჯირჩლა ნისლაურის ძე წიკლაური. იგი, როგორც ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი და კარგი მონადირე, თითონ არის ხევსურული სიტყვიერების საგანი. როგორც აღვნიშნეთ, ბეს. გაბურს მითიური ელფერით აქვს მოცემული მისი სახე. ეს ხევსური ვაჟკაცი ჯერ კიდევ 1914 წელს ბეს. გაბურის მიერ ფიქსირებული ლექსით ხანდაზმულად იხსენიება:

„ნისლაურისძე ჯირჩლაი კლდისა ვეფხვია მწკლიანი,
სიბერე ლომსა არ უშლის, ას მაინც სახელიანი.
ბევრჯელ ჩავიდა ღილღოსა საომრად გულჯავრიანი,
ბევრჯელ ისრივა ჯირიმი, მთა და ბარს ედგა გრიალი,
ბევრკან დააგდა ღილღველი დაჭრილი, პირსისხლიანი“ [1]

ჯირჩლა ნისლაურის ძე წიკლაური ჩვენ 1944 წელს ვინახულეთ არხოტში, ს. ამღას, მის საკუთარ ოჯახში. იგი მაშინ 93 წლისა იყო. ხევსურები მას პატივისცემით იხსენიებდნენ. ეძახდნენ ნისლაურთ ჯირჩლას. მასზე მიმითითეს როგორც საუკეთესო მთქმელზე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მას კარგი მეხსიერება და თხრობის უნარი ჰქონდა. ორი დღის განმავლობაში ჩამაწერინ 10 ტექსტი. მათ შორის ზოგი ერცელი მოცულობისა. მის რეპერტუარში შედის როგორც ძველი, ისე ახალი ციკლების ნაწარმოებები. ნისლაურთ ჯირჩლა განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებდა ერეკლე მეორეს. პატივისცემით იხსენიებდა თამარ მეფესაც. ასეთი განწყობით ჩაგვაწერინა სამი ნაწარმოები თამარ მეფის ციკლისა: ეპიტაფიის ხასიათის გავრცელებული ლექსის ვარიანტი; ადგილობრივი გადმოცემა თამარის მიერ ქისტების დამარცხებაზე და მიტოვებული ბავშვის მოტივის შემცველი ტრადიციული ლეგენდის ვარიანტი. უკანასკნელი ლეგენდით ნისლაურთ ჯირჩლამ თამარის მიერ მიტოვებული ბავშვის, ერეკლეს მამის მოსარჩლედ ხევსურები გამოიყვანა. შვილის დასასჯელად გალაშქრებულ თამარ მეფის წინააღმდეგ ხევსურების ამხედრება მან ასე გადმოგვცა: „ჩვენ გაზდილ ჯევსურთ უპირეს მჯარი. წამაიგდეს უჯოცეს ჯარები. გეექცეს თამარ ნეჯეი გაიქცა:

— ეს მინდა ფრაკსაო,
დედასა შვილის მტერსაო“.

[1] წელიწდეული, გვ. 189.

ნისლაურთ ჯირჩლამ განსაკუთრებული განცდით გვითხრა ერეკლე მეორის ციკლის ლექსები („ქართველნო, ვერ გაიგითა“ და „ღმერთო, რა დიდი ბრალი ას“).

ნისლაურთ ჯირჩლას ნაწარმოებების შინაარსსა და თხრობის მანერაში შესამჩნევია ბიოგრაფიული მომენტები. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ თამარ მეფის ციკლის გადმოცემა. ამ გადმოცემის სხვა, უფრო ადრე ფიქსირებული ანაქრონიზმის შემცველი ვარიანტით თამარ მეფემ მურვან ყრუ დაამარცხა[1]. „ბევრჯელ ღილღოს საომრად ჩასულ გულჯავრიან“ მთქმელის ვარიანტით კი, თამარ მეფემ ქისტები დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ნისლაურთ ჯირჩლამ ერეკლე მეორის ციკლის ხევსურთა გმირობის ამსახველი ლექსი ავტობიოგრაფიული მომენტით დაამთავრა:

ამაგ სიმღერის მათქვამი
დასეტყული ორ ხთისაო,
ლაშქრობა მია მიყვარდის,
ამამღერება კმლისაო.

საბრძოლო ეპიზოდების გადმოცემისას ყოფილი მეომარი საოცრად ხელდებოდა და როლში შესული ჟესტით აღნიშნავდა ხმლის ქნევას. ნისლაურთ ჯირჩლას რეპერტუარში საგრძნობია კუთხური თავისებურებანი. ამ საკითხზე წინა თავში მიუთითეთ თამარ მეფის ციკლის ლეგენდის ვარიანტის ვრცელ ამონაწერთან დაკავშირებით. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში ნისლაურთ ჯირჩლამ მოხდენილად შეიტანა ზღაპრებისა და ეპიური ციკლის ნაწარმოებთა ჯადოსნური ელემენტები. ტარიელიანიდან ცნობილი გველების მოტივი[2] მან თამარ მეფის ციკლის ლეგენდას დაუკავშირა. ამ ლეგენდით, მიტოვებული ბავშვი გველებს გადაუგდეს. გველებმა ბავშვი შეიბრალეს და გალოკეს. შემდეგ კი საჯინიბეში ცხენებს შეუგდეს ფეხებში. ცხენები გაქვავდნენ. ამირანიანის ფშაური ვარიანტით ღვერთმა გააქვავა გველეშაპი, რომელსაც გერგეტის კლდეზე მიჯაჭული ამირანის ჩაყლაპვა უნდოდა[3].

ნისლაურთ ჯირჩლას, როგორც საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელის დახასიათებისას აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი სინამდვილის დაზუსტების მიზნით ერთიმეორის კომენტარად

---

[1] ფოლკლ. სექც. მას. № 9008.

[2] მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, გვ. 7

[3] თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ვარიანტი, „ივერია“.

იყენებს დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. ასე, მაგალითად, მან ჩაგვწერინა ბატონიშვილების ალექსანდრესა და გიორგის სამეფო ტახტზე ცილობის ამსახველი ლექსი. შემდეგ გვიამბო ლეგენდა, რომლითაც ერეკლე მეორე თამარის შვილისშვილია. ეს ლეგენდა მან ასე დაამთავრა: „მემრ იმან (თამარის შვილისშვილმა. ქ. ს.) ცოლ შაირთ. შვილს ერეკლე დაქვივ. მემრ კიდე მეორე შვილსაც კიდე ერეკლე, ისიც ნეფეი. მესამეიც ერეკლე. ისენ იყვიან ნეფედ ალექსანდრეს და გიორგის მამა. აი ხო ძოღან სიმღერეი ეთქვი ამისა. ისიც გაიქცა, გიორგიც რუსს მიებრა, რუსმაც საქართველო დაიჭირა. ეს არის ანდრეზი ბაგრატიონთა, თამარ ნეფისა. ბაგრატიონი ირმის ჯორც არ ჭამ, დედის ჯორცს ხო არ ვეპამთო“. ნისლაურთ ჯირჩლას სინამდვილესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იგი შემოწმების მიზნით ყოველ ნაწარმოებს ჩაწერისთანავე ხმამაღლა გვაკითხებდა. ნისლაურთ ჯირჩლასთვის დამახასიათებელია კონტამინაციისა და ანაქრონიზმების შოვლენები.

ნისლაურთ ჯირჩლას ხალხური სიტყიერების მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა. ჩვენ მისი შემოქმედების მხოლოდ ის მომენტები აღვნიშნეთ, რაც მას როგორც საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელს ახასიათებს.

მეორე კატეგორიის მთქმელთაგან აღსანიშნავია ემზა ალექსანდრეს ძე გუჯეჯიანი. ზემო სვანეთში განთქმულ მთქმელს მის მშობლიურ კუთხეში, ს. მულახში შევხვდით 1945 წელს. მაშინ იგი 96 წლის იყო. ემზა გუჯეჯიანი თავისუფლად საუბრობდა ქართულ ენაზე, იმერული დიალექტით. წარსულში იგი პროფესიული მეზლაპრე იყო. ბუთი წლის განმავლობაში ბექარბი დადეშქელიანის კარზე მის მოვალეობას ზღაპრების, თქმულებებისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა თქმა შეადგენდა. მისი ცნობით, სამზარეულოში ვახშმის მზადებისას, სადაც მსახურები იკრიბებოდნენ, შედიოდნენ დადეშქელიანები და ისმენდნენ ზღაპრებს. ასეთ გარემოში შეურჩევია ბექარბი დადეშქელიანს ემზა მეზღაპრედ. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მომსწრე მოხუცმა, ფეოდალური წყობილების დამახასიათებელი მისი ბიოგრაფიის ასეთი მომენტი უსიამოვნო გრძნობით მოიგონა: „ერთხელ მითხრა (ბექარბი დადეშქელიანმა. ქ. ს.) შენისთანა ზღაპრები მეც ვიცი, ოღონდ შენი ლაპარაკი მიყვარსო და უნდა მითხრა ზღაპარი ყოველ ღამესო. მატყუებდა და მალაპარაკებდა. სხვა სამუშაოზე გარეთ არ მგზავნიდა. დღე არაფერი არ

იყო ჩემი საქმე და ღაჩით არ მაძინებდენ — დღისინ იძინე და ღამით ილაპარაკეო“. ემზა გუჯეჯიანს ყველა ჟანრის ნაწარმოებთა მდიდარი რეპერტუარი ჰქონდა. დიდი ნაწილი ამ რეპერტუარისა გაგონილი ჰქონდა მამისაგან, რომელიც აგრეთვე დადეშქელიანების მეზღაპრე ყოფილა. თავისი რეპერტუარის წყაროს შესახებ ემზამ გვაცნობა: „მამაჩემი იყო კარგი მოლაპარაკე კაცი და ქეც დადიოდა დადეშქელიანებთან და იქიდან მაქ გაგონილიო“. ემზა გუჯეჯიანისაგან ოთხი დღის განმავლობაში ვიწერდით მასალებს. ყოველი შეხვედრისათვის იგი საგანგებოდ ემზადებოდა და რეპერტუარს დაგობრივად ანაწილებდა. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები მანზღაპრებისაგან გამოყო და ერთ დღეს ჩაგვაწერინა. განსაკუთრებული განცდით გვიამბო მან პატრიოტული თქმულება მულახელების მიერ თათრების დამარცხებაზე. თამარ მეფის მოღვაწეობა ემზამ სვანეთის ეკლესიების აშენებითა და ძვირფასი ნივთების შემკობით განსაზღვრა.

ბევრის მომსწრე მოხუცს ნათლად ჰქონდა შეგნებული საბჭოთა წყობილებით შექმნილი ახალი ცხოვრების დიდი უპირატესობა წარსულთან შედარებით. ამას იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ძველი ყოფის ამსახველ ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემისას.

ემზა გუჯეჯიანის გადმოცემულ საისტორიო ნაწარმოებთა გეგმაში, სტილსა და თხრობის მანერაში იგრძნობოდა პროფესიული მეზღაპრე. საისტორიო ნაწარმოებთა შინაარსს იგი აჟიანურებდა. ხანგრძლივი პაუზების შემდეგ ეპიზოდებს აკავშირებდა ფორმულით: „შენ ხარ ჩემი ბატონი“. ჯადოსნური ზღაპრების ოსტატს საისტორიო ნაწარმოებებშიც შეჰქონდა ფანტასტიკური ელემენტები. მისი თქმულებით, ოსეთიდან მულახში შემოსეულ თათრებს „ყოლიაღ ძაღლთაპირი კაცები. იგენმა ამოარჩიეს კლდეში შემოსასვლელი. კაცს არ შეეძლო გასვლა. ჯიხვი და არჩვი მივიდოდა მხოლოდ. იქიდან შემოსულარიან. მაღლა რომ ხეს და ქვებს აკეთებდენ, იგენი თურმე ძაღლთაპირებმა არ დააყენეს“.

საისტორიო ნაწარმოებთა გადმოცემისას ემზა იყენებდა მხტვრულ სახეებს. მისი თქმულებით, მულახელების მიერ დამარცხებული „თათრები, როგორც ფოთოლი, ისე მიქონდა წყალს“. ემზა გუჯეჯიანი ხშირად ჩერდებოდა გეოგრაფიულ სახელთა განმარტებაზე. მურზაყან დადეშქელიანებისა და მისი ძმების გარდაფხაძეების მიერ მოტყუებით შეპყრობისა და წაყვანის მომენტის გადმოცემისას

მან აღნიშნა: „იარაღი ჩამოართვეს და წამოიყვანეს ისე ბეჩოსა[1] და ლატალს[2] შუა გორაა, ბალს[3] ვეძახით“. ასეთ შემთხვევებში ემზა ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მისი მსმენელი სვანეთში პირველად იმყოფებოდა.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მეორე ტიპის ჩემი მთქმელებიდან თანამედროვეობასთან შედარების საშუალებით წარსულის განსახიერებითა და სიუჟეტის თავისებური განვითარებით გამოირჩევა სვანი, ს. ჰადიშის მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი გიორგი ალმაისის ძე ავალიანი. მისი რეპერტუარი ჩავიწერეთ 1945 წელს, ჰადიშში, ლამარიობის დღესასწაულზე. გიორგი ავალიანი საუკეთესო მეზღაპრედ ითვლება. ამიტომ მას ხშირად იწვევენ სვანები ლიფანაღლში. გიორგის დავლილი აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე. იგი თავისუფლად მეტყველებდა ქართულ ენაზე. თამარ მეფის შესახებ არსებული გადმოცემის თხრობისას წარსულის წარმოსადგენად მიმართა ხალხთა ბელადის სტალინის გრანდიოზულობას. მთქმელს ნათლად ჰქონდა შეგნებული თანამედროვეობის უპირატესობა წარსულთან შედარებით. თამარ მეფის ძლევამოსილებასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა სტალინის შეუდარებელი სიდიადე.

გიორგი ავალიანს საისტორიო ნაწარმოებში შეჰქონდა სათვალთმაქცო ეპიზოდები. გმირობასთან იგი მოხდენილად აკავშირებდა გონიერებასა და მოხერხებას. მტერზე გამარჯვების საწინდარი მისი ვარიანტებით ხშირ შემთხვევაში მოხერხებაა. ერთი მისი პატრიოტული გადმოცემა მთლიანად თვალთმაქცობაზეა აგებული: „თამარ მეფე დიდი ყოფილა. ამნაირი არა, როგორც სტალინია ჩვენი, ვერავინ აჯობებს. იგი მეფობდა საქართველოში. როცა თათარი გამოვიდა და საქართველოს ართმევდნენ, თამარ მეფეს ყოლია დადიანი. დადიანმა შავ სვანეთში[4] გამოგზავნა წიგნი. შავი სვანეთი მეემზადა, თვითო ფუთი ცერცვი წაიღეს. სვანეთის ჯარი ძველი სენაკის ტეხურზე დადგა. იმ ღამეს ცერცვი ტეხურის რიყეში დათესეს. თათრის ხენწიფემ გამოიხედა. მეორე დილას ადგა შავი სვანეთის ჯარი და რიყეში ცერცვს დაუწყეს კრეფა და ჭამა. თათრის

---

[1] სოფლისაბჭოა ზემო სვანეთში.

[2] სოფლისაბჭოა ზემო სვანეთში.

[3] გადასასვლელი, რომელიც ორად ჰყოფს ზემო სვანეთს.

[4] „ზემო სვანეთს ერთქვაო ძველად მეშხე შვან“. განმარტება მთქმელისაა (ქ. ს.).

უფროსმა თქვა: — არიქა, უკან დევიხიოთ, თვარა სვანეთი გამეცილა და იგენი ქვას ჰამენ და ჩვენ რას გვიზმენო, გაგვწყეტენო.

დაბრუნდა თათრის ჯარი, ჰორობს გადასცილდა. არ დააყენეს იქით".

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებში გიორგი ავალიანმა შეიტანა აგრეთვე ზლაპრის დამახასიათებელი ავანტურისტული მომენტები. სვანეთში გავრცელებული მურზაყან დადეშქელიანისა და გაგარინის ურთიერთობის ამსახველი გადმოცემა მან ასე დაამთავრა: „მურზაყანი დეიპირეს. ხელმწიფეს კაცი გაუგზავნეს წერილით, მაშინ ტელეფონები არ იყო. კაცი წევიდა პეტერბურგში. ამ კაცს დახვდა გაგარილის ცოლი. დაიპაიჯა, მოპარა წერილი, დაუხია და შეუცვალა და ხელმწიფესთან დაუწერა, რო ეს კაცი მოსაკლავიაო. ხელმწიფის მონათლული იყო მურზაყანი. აქითობას კიდო ამ ოჯახში მივიდა და დაწერა ქალმა გაგარილის ცოლმა: — როგორც მიხვიდეთ ქუთაისში, უნდა დახვრიტოთ მურზაყანი.

ქუთაისში რომ ჩამევიდა, სადაც სობორო იდგა ძველად, იქ მოკლეს მურზაყანი თოფით".

გმირის დაღუპვის მიზნით წერილის შეცვლა ზლაპრის ტრადიციული მოტივია.

ახალგაზრდობისას ფერხულის ოსტატმა გიორგი ავალიანმა ჩაგვაწერინა თამარ დედოფლის სასიმღერო და სხვა საისტორიო ლექსები.

გიორგი ავალიანის თხრობის გეგმასა და სტილზე გავლენას ახდენდა აუდიტორიასთან დამოკიდებულება. იგი იძლეოდა წარსული წეს-ჩვეულების განმარტებას. გულდასმით გვანიშნებდა ნაწარმოებში მოხსენებულ გეოგრაფიულ ადგილებს. ზრდილი სვანი ბოდიშს იხდიდა უხეში გამოთქმებისთვის და სხვა.

ჩვენ არ მოვიხსენიეთ საისტორიო ნაწარმოებთა ჩვენთვის ცნობილი ყველა მთქმელი. დასახელებულებთან შედარებით ისინი თავიანთი შემოქმედებით თავისებურებას არ იჩენენ.

V. დასკვნა

ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძველი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, მისი გმირული წარსულით, პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარებით არის განსაზღვრული. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი იქმნებოდნენ იმ ბრძოლების საფუძველზე, რომელსაც თავისი დამოუკიდებლობისა და კულტურის დასაცავად საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა ქართველი ხალხი უცხო დამპყრობლებისა თუ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა საუკეთესო თვისებები ქართველი ხალხისა—ღრმა პატრიოტიზმი და კლასობრივი თვითშეგნება, რაც ნათლად არის ასახული ხალხურ შემოქმედებაში. არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ, ხალხურ შემოქმედებაში საწინააღმდეგო შეხედულებათა შორის იმარჯვებდნენ და იმარჯვებენ პროგრესული იდეები.

ისტორიული ფაქტი ხალხური ნაწარმოების მხოლოდ პირველი საფუძველია. წინააღმდეგ ისტორიული სკოლის თვალსაზრისისა უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ნაწარმოები მიუხედავად დიდი ისტორიული ღირებულებისა, ისტორია მაინც არ არის. ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მათ შორის საისტორიოც, მხატვრული შემოქმედებაა ზეპირსიტყვიერების ყველა თავისებურებით —კონტამინაციით, ციკლიზაციით, ანაქრონიზმებით, ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავებითა და ტექსტის პოეტური ევოლუციით.

ქართული ხალხური სიტყვიერების საისტორიო განყოფილება წარმოდგენილია ლექსებით, გადმოცემებით, თქმულებებითა და ლეგენდებით. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი იყოფა ციკლებად. ციკლში გაერთიანებულია თემატიკურად და ქრონოლოგიურად ერთგვარი ნაწარმოებები. ზოგი საისტორიო ნაწარმოები არ ექვემდებარება ციკლიზაციას. ფოლკლორის მეცნიერული კლასიფიკაციისას საისტორიო განყოფილება გაერთიანებულია თემატიკური და არა

ჟანრობრივი თვალსაზრისით. ხალხიც ამ თვალსაზრისით ასხვაებს თავისი შემოქმედების ამ სპეციფიკურ განყოფილებას სხვა ჟანრებისა თუ დარგებისაგან.

ცნობები ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ შემონახულია ძველ წერილობით ძეგლებში, ისტორიოგრაფია ქართული ხალხური სიტყვიერებისა და კერძოდ, საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა, ორ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს XIX საუკუნიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; მეორე — საბჭოთა პერიოდს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებითად ტექსტების ჩაწერა წარმოებდა. მეორე ნახევარში კი პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მატარებელმა გამოჩენილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა, ალ. ხახანაშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ვაჟა ფშაველამ და სხვებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართული ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას. ქართული ფოლკლორისტიკის დასაწყისი და განვითარების გზები განსხვავდება დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკის გზებისაგან. დასავლეთ ევროპაში ეროვნული სულის იდეის გამოვლინებით გატაცებული რომანტიკოსები ხალხურ შემოქმედებაში მხოლოდ წარსულის გამოძახილს ეძებდნენ. ჩვენში დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან იდეურად დაკავშირებული განახლების პრინციპების მქადაგებელი რეალისტები ხალხურ შემოქმედებაში ხედავდნენ ცოცხალ სინამდვილეს—წარსულსაც და თანამედროვეობასაც. ქართველი რეალისტების თვალსაზრისი ხალხურ შემოქმედებაზე ისეთივე იყო, როგორიც რუსული ფოლკლორისტიკის პროგრესული ფრთის წარმომადგენლების — ბ. ბელინსკის, ნ. დობროლუბოვის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. ნეკრასოვისა და სხვების.

საბჭოთა პერიოდი ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიისა ხასიათდება პარტიისა და ხელისუფლების დიდი ზრუნვით ხალხური შემოქმედებისადმი. ამ პერიოდში დაგროვდა და კვლევის ობიექტად იქცა მრავალი ნიმუში ქართული ხალხური შემოქმედებისა. დიდი სამამულო ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა სააგიტაციო-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებს მრავალგვარი ფუნქცია გააჩნდა. საისტორიო ნაწარმოები თან ახლავს

შრომელი ხალხის საქმიანობას. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა არის თემა შრომის სიმღერებისა. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებს ჰქონდა სალაშქრო ფუნქციაც. ღრმა პატრიოტიზმისა და კლასობრივი თვითშეგნების საფუძველზე ზოგი საგმირო-საისტორიო ნაწარმოები რიტუალურ სიმღერადაც იქცა. ამგვარ სიმღერებს ისეთივე მაორგანიზებელი დანიშნულება ჰქონდა ხალხისთვის, როგორიც აღნიშნა ფრ. ენგელსმა რეინის დღესასწაულზე შესასრულებელ სიმღერისა და მუსიკის მიმართ. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის შესასწავლად მნიშვნელობა აქვს საგმირო ხასიათის მოთქმას და ისტორიულ პირთა გარდაცვალებაზე შექმნილ ლექსებს.

ყველა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებთა სპეციფიკური მყარი სოციალური ფუნქცია ისტორიული ხსოვნის უკვდავყოფაა. სოციალური ბოროტების დაგმობა, დიადი წარსულის მოგონება, თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოვლენებისადმი გამოხმაურება და სხვ. ეს არის ძველი და ამავე დროს ახალი სოციალური ფუნქცია საისტორიო ნაწარმოებთა თავისებურად გააზრებული სხვადასხვა სოციალურ ფენაში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები ყოველთვის იყო პატრიოტული გრძნობის გაღრმავების საშუალება. კლასობრივ საზოგადოებაში ეს ნაწარმოებნი აგრეთვე კლასთა ბრძოლის იარაღიც იყო.

საისტორიო ნაწარმოებნი მჭიდროდ არის დაკავშირებული სიმღერასთან.

საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი მომენტი: ა) ისტორიულ ფაქტებთან და პირებთან დაკავშირებით ახალი სიუჟეტების შექმნა; ბ) ისტორიული მოვლენებისა და პირების ტრადიციულ სიუჟეტებსა და მოტივებთან დაკავშირება. ძირითად ფონდს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა პირველი გზით შექმნილი ნაწარმოებნი შეადგენენ. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარებაში აღსანიშნავია აგრეთვე ლიტერატურული წარმოშობის ტექსტები.

საისტორიო ნაწარმოებნი უაღრესად კოლორიტულია.

საისტორიო ნაწარმოებთა პოეტური თავისებურებანი მათი სოციალური ფუნქციით არის განსაზღვრული. ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ციკლები ჟანრობრივად ერთგვარნი არ არიან. ციკლის ჟანრობრივი თავისებურება ძირითადად

მისი რეალური საფუძვლის ხნოვანობით არის განსაზღვრული. ძველი ციკლები ძირითადად თქმულებებისა და ლეგენდებისაგან შედგება. ახალი ციკლები მეტწილად გადმოცემებითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ლექსებს, მათი ჟანრობრივი თავისებურება რეალური საფუძვლის ხნოვანობაზე არ არის დამოკიდებული. სრული არ არის ცნობილი ფოლკლორისტების განმარტება საისტორიო ლექსებისა, როგორც მხოლოდ ეპიური ჟანრის ნაწარმოებისა. საისტორიო განყოფილებაში არა იშვიათია ლირიკულ და ლირიკულ-ეპიური ლექსებიც.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები სიუჟეტთა მთლიანობით ხასიათდებიან. სიმბოლოები, ეპითეტები და შედარებანი საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში პატრიოტული მიზნით და კლასთა ბრძოლის საშუალებადაა გამოყენებული. მათი საშუალებით მთქმელები ხდიან ამბავს სახეობრივს და გმირს-გრანდიოზულს.

ქართული ხალხური პოეზიის სხვა სახის ნიმუშების მსგავსად საისტორიო ლექსებიც შაირის ზომითა და მოცულობით ხასიათდება.

პროზაული ჟანრის საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები საქართველოში ხანში შესული მამაკაცებია. ქალები, იშვიათად, წიგნის გავლენით ყვებიან საისტორიო ნაწარმოებებს. საისტორიო ლექსები ყველა სქესისა და ასაკის მთქმელთა რეპერტუარშია.

საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: ერთი ჯგუფის მთქმელები მხოლოდ საისტორიო ნაწარმოებებს ყვებიან. სხვა ხასიათის ნაწარმოებებს ისინი არ ასრულებენ. მათ სინამდვილის ცოდნის დიდი პრეტენზია აქვთ, რაც გავლენას ახდენს თხრობის გეგმასა და სტილზე. ისინი გაურბიან ნაწარმოებებში ფანტასტიკური ელემენტების შეტანას. ამგვარი კატეგორიის მთქმელებს მთიან რაიონებში ვხვდებით.

მეორე ჯგუფის მთქმელები ასრულებენ ფოლკლორის ყველა სახის ნაწარმოებებს, რაც გავლენას ახდენს მათ მიერ შესრულებულ საისტორიო ნაწარმოებთა პოეტიკაზე. ნაწარმოებთა შინაარსს ისინი უფრო ავრცელებენ, ვიდრე პირველი ტიპის მთქმელები. უხვად შეაქვთ შიგ ფანტასტიკური ელემენტები. იყენებენ სიმბოლოებსა და შედარებებს. ასეთი კატეგორიის მთქმელებს საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით.

საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელები თავისებურად გააზრებულ მოვლენებსა და წინაპართა მიერ შექმნილ ნაწარმოებებს უკავშირებენ ცოცხალ სინამდვილეს და ყოველ ახალ შემთხვევაში ახლებურად გადასცემენ მსმენელებს. საბჭოთა მთქმელებს ტრადიციულ ნაწარმოებებში ახალი თვალსაზრისი შეაქვთ. ეროვნული და სოციალური მოტივები ქართველ მთქმელთა შემოქმედებაში მშრომელი მასის თვალსაზრისითაა მოცემული. ქართველი მთქმელების რეპერტუარში მეტწილად თანაბარი ოდენობითაა ძველი და ახალი ციკლების ნაწარმოებები. ეს მათი ღრმა ეროვნული და სოციალური თვითშეგნების შედეგია.

პირთა საძიებელი

ა

აბაშელი ალ. 7.
აბრამიშვილი ელ. 65.
აგურაშვილი ვ. 184.
ავალიანი გ. 88, 105, 295, 296.
აზადოვსკი მ. 30, 96, 197, 269.
აიკენი (Eicken) 9.
ალასირი ი. 220.
ანდრეევი ნ. 87, 90, 97. 236, 245.
არაბული ბ. 281. 282.
არაბული გ. 282.
არაბული ვ. 282, 284.
არაყიშვილი დ. 100.
არჯევანიძე ეთ, 60, 185, 186, 190, 268.
ასათიანი ნ. 56.

ბ

ბარდაველიძე ვ. 63. 68, 69, 70, 76. 77, 79.
ბარნოვი ვ. 56.
ბატონიშვილი ბაგრატ. 25.
ბატონიშვილი თეიმურაზ 92, 93.
ბატონიშვილი იოანე. 23, 24, 25.
ბაქრაძე დ. 122.
ბახაკაშვილი ზ. 284, 285, 286, 287.
ბახანა. 32.
ბეგიაშვილი თ. 59, 63.
ბეჭინსკი ბ. 30.
ბეჟანიძე. 55.
ბერძენიშვილი ნ. 7, 119, 144, 162, 179.
ბილანიშვილი ზ. 55, 81, 82, 176.
ბონჩ-ბრუევიჩი ვლ. 6.
ბოჭორიშვილი ლ. 64.
ბროსე მ. 19, 26, 29.
ბურჯანაძე ქ. 60.
ბუსლაევი თ. 31.
ბუქურაული ი. 55, 70. 108, 109, 153, 178, 238.

გ

გაბური ბ. 61, 101, 102, 181, 251, 287, 288, 289, 290.
გამბა. 58.
გამყრელიძე ლ. 73.
გარსევანიშვილი ალ. 167.
გაჩეჩილაძე ს. 56.
გიორგობიანი ქ. 73.
გოგებაშვილი ი. 21, 34, 45, 101, 122.
გოგიჩაიშვილი ფ. 33, 35, 36, 62.
გოგოლაძე ბ. 172, 215.
გოგოლაძე გ. 60, 172.
გოლოვინი ა. 26, 27, 58.
გოლუბინსკი 211.
გორგაძე ს. 56, 59.
გორგიჯანიძე ფ. 16, 17, 119, 209.
გორკი მ. 6.
გრენი ა. 57, 58.
გრიშაშვილი ი. 121.
გულაკი ნ. 135.
გულბანი ს. 205, 276, 277. 278.
გუჯეჯიანი ე. 105, 293, 294.
გუჯეჯიანი მ. 62, 72, 132.

დ

დადიანი ნ. 124.
დავითაშვილი ი. 55, 133, 136, 137, 138, 139, 140.
დალგატი. 203.
დემიან ბედნი 65.
დობროლიუბოვი ნ. 30.
დრეევსი ა. 222.

ე

ენგელსი ფ. 5, 79, 80, 103, 104.

ვ

ვართაგაია ი. 41.
ვაჟა-ფშაველა 7, 32, 40, 41, 42, 70, 107, 148, 150, 151, 152, 153, 178, 202, 224, 265.
ვახუშტი, 15, 22, 23, 24, 113. 114, 122, 127, 129. 143 162, 220. 227.
ველიჩკო. 54.
ვესელოვსკი ალ. 8, 223, 237, 249.
ვიქმე მესხი. 56.
ვირსალაძე ელ. 60. 61.

თ

თადეიშვილი ვ. 55.
თაყაიშვილი ეკ. 19, 21, 25, 122, 123, 124.
თომაშვილი დ. 213, 215.
თოფურია ვ. 62, 72, 131.

ი

იოსელიანი დ. 279, 280. 281.
იოსელიანი პ. 29, 154.

კ

კახანსკი ბ. 197.
კაკაბაძე ს. 16. 17, 19, 119.
კალმის-წვერა (ა. კობაიძე). 158.
კეკელიძე კ. 14, 15, 16, 25, 27, 135, 237.
კელენჯერიძე მ. 31.
კორეევსკი პ. 31, 90.
კიშმიშოვი ს. 59.
კოვალევსკი მ. 70.
კრავცოვი ნ. 205. 248, 249, 252.
კრივოშეევა ე. 96.
კრიუკოვა მ. 96.

ლ

ლარაძე პ. 91.
ლასენი ჰრ. 225.
ლაფარგი პ. 104, 197.
ლეჟავაძე ვ. 171.
ლენგი ე. 203, 217, 222, 232.
ლენინი ვ. ი. 5, 96, 97, 98, 239.
ლეონიძე გ. 25, 64. 83, 85, 106.
ლერმონტოვი მ. 53, 57, 58.
ლიკოკელი ბ. 160.
ლორთქიფანიძე ჯ. 139, 184, 224, 229.

მ

მაჭმაძე თ. (ი. ბყონია) 55, 186, 191.
მაისურაძე ზ. (მაკრო) 55, 73, 110, 284.
მაისურაძე ი. 139.
მაკალათია ს 52, 76, 158.
მამაცაშვილი დ. 34.
მამაცაშვილი ალ. 178.
მარეტიჩი ტ. 248.
მარი ნ. 135, 197.
მარჭსი კ. 5, 103, 104.
მახარაძე აპ. 60.
მახარაძე ფ. 31.
მერკვილაძე ს. 56, 167, 186. 190.
მეუნარგია ი. 55.
მილაშკილი ა. 185. 190.
მილერი ვს. 8. 22, 50. 57 222, 233, 235.
მირაკიშვილი ალ. 56, 125.
მუსაშვილი ალ. 224, 228.

ნ

ნეკრასოვი ნ. 30.
ნიეერიანი ც. 57.
ნინოწმინდელი დ. 143.
ნიჟარაძე ბ. 34.
ნეცუბიძე შ. 239.

ო

ორბელიანი სულხან-საბა 210.
ოქროპირიძე თ. 60.
ოჩიაური გ. 78. 105.

პ

პატკანოვი 49.
პეტრიაშვილი ვ. 60.
პირველი ი. 80, 105, 278, 279.
პოტტო 58, 141, 179, 263.
პუაჟი ვ. 15. 27. 58, 115.

ჟ

ჟორდანია თ. 15, 16, 19, 26, 27, 113, 123, 220, 221.

რ

რაზიკაშვილი თ. 32, 38, 39, 40, 74, 206, 210, 222, 228, 232, 233, 236, 242, 292.
როდონაია 91.
რუხაძე ტ. 25, 93.

ს

საბინინი 86.
სამხარაძე გ. 37.
საძაგელოვი — ივერიელი გ. 69.
სვეტლოვი ვ. 57.
სიხარულიძე ქს. 24, 25, 33, 37, 38, 42, 60, 64, 76, 106, 126, 127, 130, 132, 133, 134, 135, 136, 164, 165, 166, 169, 170, 171, 177, 178, 179, 204, 223, 233, 237, 259, 263.
სიხარულიძე შ. 101
სმირნოვი ა. 89.
სოკოლოვი ი. 30, 90, 96, 245, 259.
სპერანსკი მ. 20.
სტალინი ი. ბ. 65, 97, 98, 99, 100.

ტ

ტატიშვილი ნ. 60.

უ

უმიკაშვილი პ. 15, 32, 33, 34, 35, 36, 43, 62, 71, 72, 82, 84, 115, 155, 165, 168, 169, 173, 182, 183, 193, 194, 257, 258, 259, 261, 262, 264, 272.

ფ

ფერაძე ა. 34.
ფირალიშვილი ე. 51 92.
ფლეკი 211.
ფრეზერი ჯ. 200, 222, 226
ფუთურიძე რ. 65.
ფურცელაძე 201.

ქ

ქებაძე გ. 34.
ქიქოძე გ. 228.

ღ

ღლონტი ალ. 60, 63, 96, 99, 101.

ყ

ყაზბეგი ალ. 32.
ყაზბეგი ი. 56, 118, 238.
ყიუშიძე ი. 63.

შ

შადური ს. 34.
შავთელი 38, 201.
შანიძე ა. 34, 39, 40, 61, 62, 69, 70, 72, 74, 77, 120, 148, 149, 152, 153, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 169, 171, 180, 259, 263, 265, 287, 290.
შპიგელი. ფ. 211.
შუკვანი გ. 105.
შულგინი ს. 57, 115.

ჩ

ჩახრუხაძე 202.
ჩერნიშევსკი ნ. 30.
ჩერქეზიშვილი ლ. 34.
ჩიქობავა არნ. 7, 63.
ჩიქოვანი მ. 29, 37, 60, 63, 65, 95, 135, 250, 292.
ჩუბინაშვილი დ. 29, 122.

ც

ცაიშვილი ს. 64, 123.
ცანავა ა. 60.
ცინცაძე ი. 20.

წ

წიკლაური თ. 183.
წიკლაური ჯ. 225, 228, 230, 290, 291, 292, 293.
წერეთელი აკ. 6, 32, 37, 38, 184, 191, 201, 241, 244.

წერეთელი გ. 31, 55.
წერეთელი გრ. 195.
წერეთელი ეკ. 115.
წერეთელი კ. 195.

ჭ

ჭავჭავაძე ილ. 6, 7, 32, 34, 36, 111, 241, 256.
ჭალარა (კიკვიძე) 31.
ჭიჭინაძე ზ. 23. 54, 55, 127, 166.
ჭიჭინაძე კ. 207.
ჭყონდიდელი ან. 201.
ჭყონია აკ. 61.

ხ

ხახანაშვილი ალ. 32, 34. 44, 45 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 56, 57, 58. 69, 70, 136, 128, 129, 130, 232.
ხელიძე გ. 69.
ხერგიანი ან. 87, 105, 225, 231, 275, 276.
ხერგიანი მ 80.
ხერგიანი რ. 80.
ხიდეშელი ნ. 73.
ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი) 42, 43, 44, 45, 46, 51, 147, 155, 158, 162, 163.
ხიზანაშვილი დ. 56, 95, 147, 148, 150, 151, 161, 246.

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 7, 14, 16, 17, 19, 21, 27, 119, 144, 162, 179, 220, 232.
ჯანაშვილი დ. 45, 167, 174, 175, 176.
ჯანაშვილი მ. 27, 46 47, 72, 121, 122, 134, 142, 143.
ჯანაშია ს. 7, 119, 121, 144, 162, 179 208, 209.
ჯანგავაძე გ. 213.
ჯაფარიძე ბ. 34.